

ინგა ჰანტაძე

თალხი ბერანგი

ნოველები, ქსელი



# ინგა ბახტაძე

თბილისი  
≈ 2023 ≈





**ISBN** 978-9941-8-5105-6

დაბეჭდილია სტამბა „ფავორიტი სტილში“

ონგა ბახტაძე

თალხი ბერანგი

~~

ნოველები, ქსელი

~~ ♦ ~~



để giao thông có thể di chuyển thuận tiện,

để bảo vệ môi trường.



უბი ბენე, იბი პატრია –  
სადაც კარგია, იქ სამშობლოა –  
წყევლაა დიდი

არ მინდა ვიყო ჰომო ვიატორ –  
მომთაბარე ადამიანი,  
ჩემს მიწაში გატოტვილი  
ფესვი მსურს ვიყო

ონი ძალა  
ეჭვი ხელი საფლავზე

~———— სარჩევი ————— ~

კომენტარები წინათქმის ნაცვლად

~ 13 ~

ნოველები

ლამის ჩურჩული

~ 25 ~

უპასუხო კითხვა

~ 31 ~

ოთხი ჯვარი

~ 49 ~

ბედის ხრიკები

~ 61 ~

გადასასვლელზე

~ 73 ~

იუმორესკა

~ 93 ~

≈ ♦ ≈

~ ————— ნოველები, ესეები ————— ~

„ყაყაჩოსა სიწითლითა“

~ 105 ~

თალხი პერანგი

~ 123 ~

ზამბარა

~ 191 ~

შეწყვეტილი ვოდევილი

~ 217 ~

„ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო“

~ 241 ~

ხვედრი

~ 265 ~

ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი

~ 283 ~

ესეები

~ 325 ~



## კომენტარები წინათქმის ნაცვლად



მსურს, წიგნის ავტორს მივმართო:

რა კარგია შენი ქართული ენა და ძველი ფეოდალური სული! არც ერთი და არც მეორე ახლოსაც არ მიიკარებს გერმანული მოდგმის ცივ იდეალიზმს, რისგანაც კარგა ხანია სიციველა დარჩა. იდეალიზმს კი საერთოდ უყვარს გაქრობა სახალხო ცხოვრებიდან. მისი სამკვიდრო, ალბათ, ინდივიდია მხოლოდ, ცალკეული ადამიანი. ადამიანთა გროვები, მასები კი მატერიალიზმში სუნთქავენ კარგად, რადგან ვერ იტანენ უანგბადს, სუფთა ჰაერს – ვერც მონბლანს, ვერც იალბუზს, ვერც ჰინდიყუშს.

ეტყობა, ადამიანმა უნდა მოინანიოს თავისი ცნობიერება. ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა დიდი სიამოვნებით აკეთებს ამას და ასეთივე სიამოვნებით უბრუნდება მცენარეულ არსებობას. დიდ უმცირესობას კი არ ძალუდს მცენარედ ყოფნა და ჯიუტად განაგრძობს ადამიანად ყოფნას.

ვისი ბედი სჯობს? ძნელი სათქმელია! ორივე მხარეს თავისი ბედი ტანჯავს და ამას ჰქვია ადამიანის ცხოვრება. სლავური სისხლის გამო ნიცშემ ეს მწვავედ განიცადა. შვაბი ჰეგელი კი „განცდას“ არ კადრულობდა, მხოლოდ „ზროვნებას“ ცნობდა. ეს განსხვავებაა მათ შორის.

ნოველა „ხვედრს“ კითხულობ და ისვენებ სუფთა ქართულით და სიტყვის ოსტატობით. მთავარი, რაც მკითხველს ეუფლება, ეს ჩვენი ქართული ლიტერატურული კლასიკიდან მომდინარე სიყვარულია ადამიანისადმი! თითქოს მოქმედება ხდება დედამიწიდან შორს, სადაც ცხოვრების ხმაური ნაკლებია და პოეტის ფანტაზია – მეტი. აქ უღრუბლო ზეცაა და სიკეთეს თითქოს არაფერი ემუქრება.

დღევანდელი მწერალი ამ სამყაროს არ იცნობს და ამიტომ ვერც ხატავს. ჩვენი ავტორი კი ისე დამაჯერებლად ხატავს, რომ დასავლეთელი მწერალი გაკვირვებული დარჩება. ეს მას მოეჩვენება ფანტასტიკის ახალ ჟანრად, სადაც ფანტაზია ნაყოფიერად ახერხებს მოქმედებას ველურ გადაჭარბებათა გარეშე. მათი ფანტასტიკა ველური ფანტაზიით საზრდოობს, ინგა ბაზტაძის – ადამიანის სიყვარულით და დიდი შინაგანი სისუფთავით. ესეც ფანტასტიკაა, ოღონდ ქრისტიანული, ზომიერი. ეს „თბილი ნერვი“ ჩვენს ლიტერატურაში მუდამ ფეთქავდა. ავტორი სწორედ ამ ფეთქვის ერთგული დარჩა.

მაგრამ ამ წოველაში, და სხვაშიც, მთელი სიგრძე-სიგანით დგება „ბოროტების პრობლემა“: საიდან და რისთვის ჩნდება ამ უღრუბლო სოფლის თავზე ბოროტების აჩრდილი? ბედისწერისგან? მაშინ ბედისწერა მდგარა ღმერთზე მაღლა და ჰგიებს ღმერთზე უწინარეს.

მწერლისთვის ეს ცნობისმოყვარეობის საკითხიც არის და პროტესტის ნოტაც. „ცის“ მიმართ პროტესტის უქონლობა მე სიჩლუნედ მიმართია და ფარისევლობად. ამიტომ ე. წ. უფლის რწმენა ორივეს შეიცავს.

ყოფნა მესმის არა ღვთის ან ეშმაკის მეუფებად, არამედ მათ ომად. ამის კარგად გაცნობიერება იცავს ადამიანს „ბოროტების წარმოშობის“ თეოლოგიური კითხვისგან და ნაწილობრივ ამშვიდებს კიდეც მას. და საერთოდ: ომი სამყაროს შიგთავსია, გარევნულად ესოდენ მიმზიდველი სამყაროს! მართალია ჰერაკლიტე: „სამყარო მარად ცოცხალი ცეცხლია, ხან რომ გაჩაღდება და ხან რომ მინავლდება“. ცივილიზაციის ნივთიერი ფუფუნებანი ვერაფრით სჯობს იმ ომსა და ე. წ. საშინელებებს, რაც მას უცილობლად მოს-დევს.

ბრწყინვალე ნოველაა „ქალას ჩიტი ჩამკვდარიყო“. ყველაფერი კარგი: „კარგი თბილისის“ მონატრება, „ზნეობის სიყვრული“, რამაც ადამიანი უნდა შეგვაძულოს. სულიერი არისტოკრატიზმი, რაც ჩვენი მწერალი ქალის თვისებაა; შემეცნებისგან გამდიდრება და ტანჯვა...

შოპენჰაუერი ამგვარ ტანჯვას სიმშვიდის წყაროდ იტყოდა. მაგრამ სანამ სიმშვიდეს მოიტანდეს, მანამ ის მხოლოდ ტანჯვაა. ხოლო ეგზისტენციის ფილოსოფოსები დაამატებენ: სიმშვიდეს არავინ გპირდება, შენვე რისკავ ამ მოლოდინს და თვითონვე აგებ პასუხს შედეგისთვის!

ავტორს მინდა ვუთხრა:

ძლიერ მიზიდავს შენი მართალი, ტრაგიკული იდეალიზმი და ოსტატურად გამართული სიტყვა. ადამიანი სწორად უნდა აფასებდეს ცხოვრებას. ეს ამშენებს მას. მე კი დავიდალე კაცობრიობის დაუსრულებელი თვალთმაქცობისგან, რაშიც უპირველესად რელიგიას ვდებ ბრალს! მან ადამიანი შეაჩვია უტიფარ სიცრუეს და ამით ყველა ჯურის ნაძირალებს გაუხსნა გზა.

შემეცნებანი თავიდან აშფოთებს და აფორიაქებს სულს. მაგრამ მერე და მერე ამშვიდებს მას მაღალი, ინტელექტუალური სიმშვიდით, ატარაქსიას რომ ეძახდნენ ძველი ეპიკურელები და, ნაწილობრივ, სტოელები.

ნოველაში „გადასასვლელზე“, როგორც სხვა დანარჩენში, ყოველთვის ორი ძირითადი თემა შეიმჩნევა: ერთია ჩვენი ეროვნული ცნობიერების უბადრუკობა, მეორე კი – საერთო ადამიანური ბოროტების საკითხი. ასე კანტმა თავისი ცხოვრების ბოლო წლებში დაწერა „რადიკალური ბოროტება ადამიანში“. შოპენჰაუერი კი ამბობდა, შეუძლებელი მგონია რამდენადმე კეთილშობილი ადამიანი ცხოვრების დაისზე მიზანთროპიამ არ შეიძყროს.

„ხვედრი“ უღრუბლო ზეცის იდილიით იწყება და მწვავე ბოროტების აფეთქებისკენ მიდის. თითქმის უმიზეზოდ ჩნდება ის, თითქოს არაფრისგან. ამ ნოველაშიც თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ „სკოლა უკულმა დგას“ და ამ ფონზე ექსპიბიციონისტის აჩრდილი დაძრნის.

მარგოს კიგარედანინსპირირება არ სჭირდება არც სიღარიბის გან, არც ქუჩის გან. ის თავის თავში ატარებს შურსა და ღვარძლს, რა-საც ვერაფერი მოერევა, ვერაფერი ამოძირკვავს. ხოლო ყოფილ თანაკლასელთა შეხვედრა მკვდრადშობილი წამოწყებაა, მკვდრის გაცოცხლების ამაო მცდელობაა.

ფულის კეთების მარადიული უკვდავი სქემა ზუსტადაა დახატული ნოველაში „ბედის ხრიკები“, სხარტად და ელვისებური ინტუიციური წვდომით. მაგალითად, უნივერსიტეტში სასწავლო წლის ბოლო აკორდზე, მაისიდან თითქოს ყველაფერი იცვლებოდა. შუამაგალი ტიპები უნივერსიტეტის ბალში გამოდიოდნენ დილიდან და საქმიანად იდგნენ, ან მძიმედ დააბიჯებდნენ. შიგნით არც კი შემოდიოდნენ. იქ სხვა „სასტავი“ ჩნდებოდა. პირველი ის იგრძნობოდა, რომ მთელ სასწავლებელში მათი მოძრაობა და საქმიანი ურთიერთობანი იყო მთავარი, რომ უნივერსიტეტი ამისთვის არსებობდა, სხვა ყველაფერი კი მეორეხარისხოვანი დანართი იყო. ამ „სასტავში“ ვერ მოხვდებოდი, თუ ცაში არ დაიწერებოდა ბრძანება. ე. ი. უნდა დაიბადო მის წევრად. მინაზე მხოლოდ ამ ციური ნახაზების გადაწერა ხდება.

ფულის კეთების საკითხი ნაკლებად საინტერესოა – ცხოვრების მარადიული ნახაზი კი პირიქით. ნოველაში ეს დაიხატა ხელის ერთი მოსმით. მთავარი მოქმედი პირი შურა-ალექსანდრა თითქოს არსებობს და არც არსებობს, იდუმალი ხაზების კონაა. მისი ყველა მოძრაობა საიდუმლოებითაა სავსე, რადგან ის რეალობის ძირის ძირია.

მსხვერპლადაა შეწირული წუთისოფლის ხრჩოლვას. ის ერთ-გვარი წამებული მსხვერპლია, ასკეტია; მიდასსა ჰგავს ბერძნული მითებიდან, ვინც ფანტასტიკურმა სიხარბემ ცხოვრების გარეთ დააყენა და ოქროს მჭვრეტელად აქცია. შურა-ალექსანდრამ სიყვარული, ოჯახი, სილამაზე, სიცოცხლე შესწირა ოქროს და ძვირ-ფასეულობას. თვითონ კი მწირივით იცხოვრა.

ეს თითქოს გვიკვირს, მაგრამ ცხოვრება სწორედ ასეთ სიგიურებზეა აგებული. ასეთი ადამიანის ახლოდან დახატვა შეუძლებელია, რადგან ახლოს ვერ მიხვალ – მაშინვე გაქრება. ასეა, რადგან ის საფუძველთა საფუძველია, თუმცა კი, პირიქით, გამოწაკლისი გვქონია.

ავტორმა ეს ინტუიციით იგრძნო და ზედმიწევნით ფრთხილად წარმოსახა...»

„ყაყაჩოსა სიწითლითა...“ ძლიერი წოველაა. დადასტურებაა ერთგვარი „პესიმისტური ფატალიზმისა“.

ამ პირობით ტერმინს კარგი მნიშვნელობით ვამბობ. „ფატალიზმი“ იმის გახაზვაა, რომ ჩვენი ბედი ჩვენზე არ ჰყიდია, იდუმალი ძალების ხელშია. ამას ყოველი წამი ადასტურებს ჩვენი ცხოვრებისა. „პესიმიზმი“ კი ისაა, რომ ეს იდუმალი ძალები, როგორც წესი, ეწინააღმდეგება ჩვენს წებასა და სურვილებს. ამასაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ. არანაირი ღმერთი აქ არ ჩანს. ხოლო თუ ჩავრთავთ თხრობაში რაიმეს ასახსნელად, არ გამოგვადგება. ვერაფერს აგვიხსნის. პირიქით, წინააღმდეგობაში მოვა ფაქტებთან, ცხოვრების ფუნდამენტურ მდგომარეობასთან და ამით ფეხებში გაგვებლანდება.

ოღონდ ეს არ წიშნავს, რომ ცნობიერი არსება საცოდავია ღმერთის გარეშე. ჩვენი მდგომარეობის მთელი თავისებურება და არსი ისაა, რომ ჩვენ „ღმერთიც“ ვერ გვიშველიდა. „ღმერთი“ მანამდე სუფევდა, სანამ მოვიდოდით, და გაქრა ჩვენი მოსვლის გამო. დაბრუნდება მაშინ, როცა აღარ ვიქნებით. აი, ასეც შეიძლება დახასიათდეს ადამიანი ვითარცა სამყაროული მდგომარეობა.

მე ცნობიერება მიმაჩნია ერთგვარ დევიაციად, გადახრად. პრობლემა ესაა და არა „საიქიოს“ ან „სააქაოს“ საქმეები. შემეცნების მთავარი მიზანი და დანიშნულება ისაა, რომ ამხილოს ჩვენი გაბითურება, რაიც გვჭირს „ოპტიმიზმისგან“, „გამოსავლის“ ძიებისგან. აი ეს, ჩვენი გაბითურების მხილება მიმაჩნია ერთადერთ ხსნად. ჩვენი სიამაყე ისაა, რომ მივხვდით, ვამხილეთ და, მაშასადამე, აღარა ვართ გაბითურებულნი. პირიქით, წელგამართულნი ვდგავართ. მართალია, სიკვდილის წინ გული აუცილებლად აგვიჩუყდება და ცრემლიანი თვალებით მოვიხედავთ უკან, მაგრამ ეს ჩვენი სისუსტეა და ვერაფერს გვმატებს. პირიქით, უკან აღარ უნდა მოვიხედოთ.

თალიკო ავტორის სულს გამოხატავს, სულს მწერალი ქალისა. ეს ქალური ინტუიციაა. უცილობლად ტკივილიანი წარსულისგან და მომავლის გამო გამოუცნობი ძრწოლვისგანაა ეს ინტუიცია ნაკერ-

ნაკემსი. მისი ცხოვრების ერთადერთი აზრი მისი ნათელი გოგონაა, ვინც ყაყაჩოების, ანუ საცხოვრებო ილუზიების ზღვაში ცურავს. მაგრამ მას გაიტყუებენ პეპლები – ბედის ანგელოსები. დედა უკუღმა გამოეკიდება ბედისწერას, მაგრამ ეს საცოდავი მოძრაობაა და ბოლოს სიზმრად გადაიქცევა. ის ჩაიკეცება უკანასკნელი მოლანდების წინაშე. ის მისმა შიშებმა მოცელეს და დამარხეს.

გულში ყველაზე მეტად პატარა ნოველა „ლამის ჩურჩული“ რჩება. უყურადღებოდ მიტოვებული, საიდუმლო მხარეს ეხება ადამიანის ცხოვრებისა. კარგად უპირისპირდება სექსუალურ ურთიერთობათა გამარტივების თანამედროვე ტენდენციას და წინ წამოსწევს მის საიდუმლო მხარეს.

„შეწყვეტილ ვოდევილში“ და „ზამბარაში“ ეთიკური პრობლემა-ტიკა ბატონობს – გულისტყივილი საქართველოს ზნეობრივი დაცემის გამო. კარგადაა გახაზული ქართული ზნეობრივი დეკადანსის თავისებურებაც. ზნეობის დაცემა საერთო მოვლენაა დემოკრატიული მსოფლიოსთვის, მაგრამ დასავლეთში ის რაღაცნაირად უპირივნო, „უმანკო“ და შედარებით ასატანია. ევროპელი კაცი რობოტივითა და შინაური ცხოველივით მიჰყება ამ დეკადანსის ტალღას, რომელიც ფრანგული რევოლუციიდან და მონარქიის დამარცხებიდან მომდინარეობს.

საქართველოში კი იმავე დეკადანსის თან ახლავს აღტაცება, თითქოს მივაგენითო ცხოვრების აზრს. სასაცილოა ეს და სატირალიც. უზნეობაშიც ვყოყლოჩინობთ და ევროპულად ვასალებთ მას. ეს წარმოისახა „ვოდევილშიც“ და „ზამბარაშიც“ – უზნეობა შემოქმედებად იქცა!

გახარებს დაწმენდილი, კრიალა ქართული. საერთოდ, ენა ყველაზე კარგად, ნებიერად პოეზიაში გრძნობს თავს. ნოველების ავტორის ქართულიც პოეზია უფროა, ვიდრე პროზა. მისი დამოკიდებულება ენასთან ძალიან ფრთხილია. ენასთან მოპყრობის მაღალი კულტურა სულიერი არისტოკრატიზმია.

„უპასუხო კითხვა“ ტკივილიანი ნოველაა. ეს ტკივილი ცინცხალია და თრთის. ის, ბევრი სხვა ნოველის მსგავსად, წმინდა ლიტერატურული ნოველაცაა და მხატვრული ესაეც, ანუ პიროვნების

განცდებზეც მოგვითხრობს და ქვეყნის საერთო მდგომარეობაზეც. რაოდენ კანონზომიერი და მართალია მისი ტრაგიკული დასასრული. მყითხველში იმავე განცდას იწვევს, რასაც გალაკტიონის სტრიქონი „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი...“ და მთელი ეს პატარა ლექსი. ეს ბავშვი ნოველაში ბოლოს გამოჩნდა, არც არაფერი უთქვამს, მაგრამ დაუვინყარ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველში. ეს მწერლობაა! ავტორს უყვარს ადამიანი, სულისა და გონების სისუფთავე და ეს იწვევს ცხოვრების თავისებურ სიძულვილსაც. სიყვარულისგან ნასროლი ჩრდილია ეს სიძულვილი. მწერალს თუ სიძულვილის უნარი არ აქვს, ის ვერც სიყვარულს გამოხატავს და, მაშასადამე, ცხოვრებას ასცდება.

სიძულვილის საგანი კი ბოროტებაა. მწერალს უკვირს მისი არსებობა. ადვილია თქმა, რომ ბოროტება აუცილებელია; რომ სიკეთეა გასაკვირი, თორემ ბოროტება სამყაროში შინ გრძნობს თავს. ვისაც ჰერნია, რომ ამით საკითხი გადაწყვდა, ძალიან ცდება. კითხვა „რატომ?“ სწორედ ახლა, ამის გამო იფეთქებს: „მაშინ რა საჭიროა ყოფნა? იქნებ არყოფნა სჯობს?“ ჰამლეტმა სწორედ ეს იკითხა.

პესიმისტები ამ საკითხს არყოფნის სასარგებლოდ წყვეტენ. მაგრამ არსებობს კიდევ უფრო მრუმე და მძიმე პასუხი: „ყოფნა და არყოფნა ერთი და იგივეა, ანუ ერთმანეთზე უარესია!“ ასეთი აფორიზმი თალესს მიეწერება, თუმცა ყველა დიდი მოაზროვნე სწორედ ასე ფიქრობდა. ეს ჩანს ჰამლეტის მონოლოგშიც, ჯაკომო ლეოპარდის თხზულებებშიც, შოპენჰაუერთანაც, მარტინ ჰაიდე-გერთანაც, ვაუ ფშაველასთანაც... ადამიანის ამგვარი ბედი კონსტანტინე გამსახურდიამ თავის რომანებში „მამისგან წყევლად“ განმარტა.

„ტყვია დარაბაში“ ძალიან ძლიერი ნოველაა, საქართველოში დამდგარი საბედისწერო ვითარების გამომხატველი, ტკივილიანი, თან ავტორისეული დაწურული ლიტერატურული სტილით. ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს. თითქოს უსაშველობაც არაა, მაგრამ არც საშველი ჩანს. იდეალიზმის იმედი გვაქვს. თან ვხედავთ, რომ ქართული ცნობიერება იდეალიზმისთვის არ ვარგა, ვერ დაიტევს მას და ეს არაერთხელ დაამტკიცა.

საბჭოთა კავშირში, კერძოდ, მის სტალინურ პერიოდში ჩვენმა იდეალიზმია გაიღვიძა, მაგრამ „დათბობის“ ხანიდან დაიწყო ჩვენი ცნობიერების „გაბურუუება“. კავშირის დაშლამ კი ეს ბურუუაზიული ცნობიერება ჭიაყელურ ეგოისტად და მხედრიონულ მტაცებლად აქცია.

ამიტომ მისი „იდეალიზმის“ იმედი აღარ უნდა გვქონდეს. არაფერი ქართულ ცნობიერებაში აღარ დევს თვითმოსპობის მექანიზმის გარდა.

ამაღლებულს და ჰეროიკულს დღეს ვერსად ამოიკითხავ, მაგრამ მართალ სიტყვას უნდა მისდომ მაინც. სიმართლე ახლა იშვიათობაა ცნობილ სიქველეთა შორის. არადა, სწორედ მან უნდა მიიპყროს ჩვენი ყურადღება – სიმართლემ წერაშიც და ცხოვრებაშიც! „ტყვია დარაბაში“ ამ სამრეკლოდან მოგვიწოდებს.

„თალხი პერანგი!“ – დიდებული ქართულით ვისუნთქე, სუფთა ჰავრით! ენის სისუფთავე და სულის სისუფთავე ბატონობს შიგ. სწორედ ის, რაც ყველაზე მეტად აკლია დღევანდელ საქართველოს.

აქ კიდევ უფრო დაკონკრეტებულია მწერლის იდეალიზმი: ან სულიერება ფეთქავს ცხოვრების გულში, ან ცხოვრება, უბრალოდ, შეუძლებელია!

ასეთი იყო გერმანული სულიც მეთვრამეტე საუკუნის შუახანებიდან, ვიდრე მეცხრამეტის ბოლომდე. გერმანიაში რიყის ქვაც კი ამ სულიერებით იყო გაუღენილი. შილერის თაობა იქსოს დაბადების მსგავს რაღაცას ელოდა. ბედის ირონია: მათ შორის თვით ყველაზე დინჯმა ჰეგელმაც კი ფრანგული ზარბაზნების ჯოჯოხეთური გუ-გუნი მაგ დაბადებას მიამსგავსა!

მხოლოდ შოპენჰაუერს ელიმებოდა ექიდნურად, განზე გამ-დგარს! ხოლო ნიცშემ სულ მალე თავისი ტრაგიკული შემოქმედებით დაასრულა ეს წმინდა იდეალიზმი. ზეკაცის საიდუმლოებად აქცია იგი, ისტორიისგან სრულიად განაპირებულ შინაგან ყინულად... და მან უმწვავესად განიცადა სპეტაკი სულის ეს სრული მარტონბა. განსხვავებით შოპენჰაუერისგან, ვინც ფილოსოფიური სიბრძნით აგემოვნებდა და ინელებდა ამ მარტონბას.

ეს ქმნილება ალბათ „მხატვრულ-ფილოსოფიური ესეა“, შეჯამებისა და დასკვნისმაგვარი. წმინდა არისტოკრატის, ახალგაზრდა თბილისელი ქალის მიერ ცხოვრების უდაბნოს შემეცნება. ეს უდაბნო ფიზიკურად შუა აზიაშია, მაგრამ ეს ქალის წინაგრძნობაა, მისი სიზმარია. ამ ავანტიურისტულმა სიზმარმა აიტაცა იგი და ხიფათით სავსე გზას გაუყენა. მხოლოდ შემთხვევამ და ქალის ინტუიციამ გადაარჩინა რომანტიზმის ეპოქის ეს უკანასკნელი მოჰკვანები – ახალგაზრდა ცოლ-ქმარი.

რა მიიღეს მათ ამ გადარჩენით? ცხოვრების მძიმე გამოცდილება და რაღაც გაურკვევლის იმედი, მეტერლინკის ლურჯი ფრინველი! მათ იგრძნეს: ყოველივე გარკვეული და რეალური ცუდია; მაგრამ რჩება რაღაც გაურკვეველი, რაც რეალობაზე მაღლაა – მუსიკურ კრეშჩენდოსავით.

ცხოვრება თითქოს ფერფლად იქცა, მაგრამ მაინც გამართლებულია. გამართლებულია სწორედ იმ ცეცხლით, რამაც ფერფლად აქცია. ჩვენ ვტოვებთ წუთისოფელს ისეთსავე სულელურს, როგორიც დაგვხვდა. მაგრამ ის ღირს მხოლოდ იმ შინაგანი ცეცხლისთვის, რამაც ეს სისულელე გამოაჩინა, გაანათა, გადაუარა ვითარცა ფერფლს და ცათა ბნელეთში მიიმაღა!

მე მწამს ადამიანის უმაღლესი მიზანი. ესაა საგანთა არსის შემეცნება და აქედან გამომდინარე განრიდება ცხოვრების მორევისგან, მისი ქაფისგან, ანუ „ნარმატებისგან“, „სოციალური აღიარებისგან“, ადამიანებთან მიჯაჭვულობისგან, მათი გართობებისგან. რაღა დარჩაო, მკითხავს თანამედროვე მოქალაქე. ვუპასუხებ: დარჩა აზროვნება და მისი სხივით განათებული სინდისი.

შემეცნების, მარტოობის გზის გავლით თუ არა, სხვაგვარად ეს ნოველები ვერ შეიქმნებოდა. მარტოობის კულტურა ხომ კულტურის ყველაზე კეთილშობილი წახნაგია!

ზურაბ ხასაია  
ფილოსოფოსი, პოეტი



ନୟାଯାଳ୍ୟ

≈

≈ ⊕ ≈



ღამის ჩურჩული



ღრუბლებო შავო, მზეო საპყარო,  
მე აღტაცების ზღვაში შეველი.  
აღმოვაჩინე მთელი სამყარო,  
ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი.

გალაკტიონი



კოლხური ჰაერის მითური სურნელი ეფინებოდა იმერეთის იმდაბა-სოფელს. დღე თენდებოდა და ღამდებოდა. ღამე კოლხურად გრძნეული, სასწაულს ჰპირდებოდა თითქოს იქაურებს და ვნებით ავსებდა.

ხვეულებით მორთულ უანგმოკიდებულ რკინის ჭიშკრებთან თავშეყრილები საკვირველი ამბებით ასაზრდოებდნენ დაუოკებელ ფანტაზიებს და ცხოვრების გამოცანებს არკვევდნენ. რამდენი საოცრება გადმოცემულა გარდასული დროიდან და ვინ მოთვლიდა, რამდენი ფერადოვანი წარმოდგენით ილექებოდა და მათში, ჰაერის მითური სურნელი კი სულ ახალს და ახალს შობდა.

სწორედ ასეთ ჭიშკართან აიკრიფა იდუმალი ამბის ახალი მოთხრობა. ისევ კოლხური ფანტაზიით. ერთი იყო – ჭიშკართან კაცები იყვნენ მხოლოდ და იმერთათვის უჩვეულო შენელებული, დახშული ხმით თხზავდნენ ამ ამბავს.

დაბა-სოფელში, ცოტა მოშორებით, ძველ და პატარა აივნიანიდაში ახალგაზრდა ხეიბარი კაცი ცხოვრობდა. წელს ქვემოთ მოწყვეტილი, ლოგინს იყო მიჯაჭვული. ნათესაობა უმართავდა ხელს და უხანგრძლივებდა სვებედანყევლილ სიცოცხლეს...

და კიდევ ვიღაც. ასე უნდა გაელია ბოძებული მწარე წუთისოფე-  
ლი. თავიდან იქაურებს გული შესტკიოდათ ახალგაზრდა კაცის  
სატანჯველზე. მერე ნელ-ნელა შეერვივნენ და თანაზიარი გან-  
ცდაც გაქარწყლდა, მივიწყებას მიეცა.

ერთ დღეს ვიღაცამ ამბავი მოიტანა, ღამლამობით ქალის  
ლანდი გაკრთება და ძველი ოდის ხავსმოდებულ ჭიშკარში უჩი-  
ნარდება ხოლმეო. კოლხურ საოცრებებს მიძალებული იქაურე-  
ბი დაიძაბნენ – გაგონილი ნამდვილ ამბად მიეღოთ თუ ამბის  
მომტანის ღამეულ მოჩვენებად?

იმ ჭიშკართან თავმოყრილი კაცები, დახშული ხმით რომ არ-  
კვევდნენ წარმოუდგენელს, ხელებს შლიდნენ გაოცებით:

– რავა შეიძლება ეგი საქმე, ა? რავარი უნდა იყოს წელქვე-  
მოთ მოწყვეტილი კაცისთვის? არა, დოუჯერებელია ეგი.

ხანში შესულმა კაფანდარამ, წლობით ნარეცხ გაქუცულ პე-  
რანგს თავმომწონედ რომ ისწორებდა, ხელები გაშალა, თვალი  
მოჭუტა და იქედნურად ახვიხვინდა:

– რავა და ისე, რავარც საჭიროა. ეგი საქმე რომ გამოდის და  
შეიძლება თურმე, ანი მაინც გეიგეთ. აპა, ქალი რომ მიიპარება  
ფანცქალით ბნელში, ვითამ ტყვილად? არაა მასე. ქალი ქალია  
და თუ ეიშვა თავი, სასტაულს იზამს.

პასუხის გაცემა გაუჭირდათ კაცებს და გაჩუმდნენ.

მობიბინე ეზოში ჩადგმულ პატარა გაჭვარტლულ სამზადში  
ქალებს რა გააჩუმებდათ? შუბლზე ხილაბანდნაკრული, განწი-  
პული ქალი ქობაშემორდვეულ კაბას წამდაუწუმ ისწორებდა და  
ქმრის ძველ, ჩათელილ ფეხსაცმელში ფეხგაყოფილი ჯიუტად  
იმეორებდა:

– უყურე შენ, შეხედე შენ! კაცობაკტარ ბიჭს ეგი ქალი რეი-  
ზა აკითხავს ბნელში? ზღაპრებს უყვება ან ნანინას თუ უმდერის  
ძილის წინ. აპა, სხვა რაი? რეიზა იმეტებს თავს უბედური. გო-  
უთვალიათ და უამი შეყრია დაწყევლილს.

ჯერაც ახალგაზრდა, თეძომალალი და მკერდსავსე თვალ-  
უუშუნა მოხდენილად მორგებულ გახუნებულ ჩითის კაბაში, არ  
ეპუებოდა:

— უყვარს იმ გოგოს ნამეტანი, თვარა რეიზა გეიმეტებს თავს ღამლამობით წონიალისთვის. ხალხის მეერიდება ქე მაინც. სიყვარულს შეუძლია ეგი, სიყვარულს შეუძლია სასტაულები, მით-ქვამს მე.

ქალებმა მხარი აუბეს ჩითისკაბიანს:

— ასეა ნამდვილად. თუ წარმეიდგენთ, რა ნანინას უმღერის ეგი ქალი კი არა, ი კაცი და კაისაც უმღერის, მაშინ რას იტყვით, ჰა? შეუძლია ეგი სიმღერა კაცს და უმღერის. რაია ამაში დოუ-ჯერებელი.

ჩაიცინეს ქალებმა და დაიშალნენ.

ღამე შემოიპარა უჩუმრად დაბა-სოფელში. მთვარე გულგრი-ლად დაჰყურებდა ლარივით გაჭიმულ შარას. სიპი ქვით, ვინ იცის როდის საგულდაგულოდ ნაწყობი, ალაგ-ალაგ დაბლობის მსუყე ხავსით დალაქული ყორე-ლობები თითქოს მცველებად ედგა ნალოლიავებ-ნაფერებ ეზოებს.

უკადრისობდა კოლხეთის მიწა ორლობებებს და ხელისგული-ვით გაშლილ შარაგზას სჩუქნიდა იქაურებს.

ზღაპრისეულად გატოტვილ ხეებს რომ არ დაეჩრდილათ გზისპირი, შეუმჩნეველი იქ ვერაფერი დარჩებოდა.

ამ გზისპირს მიჰყვებოდა კატისებური სიფრთხილითა და სიმსუბუქით ქალი-ლანდი. მის ფეხქვეშ დახრეშილი მიწა თითქოს ბუმბულად ქცეულიყო. სიბნელე კი მცველად. გაყურსული ღამე საიდუმლოს უნახავდა ქალ-ლანდს, მედეასეულ ლტოლვას მისტიკურ ფრთებს ასხამდა.

ჭიშკარიც არ გაიღო ღრგიალით და არც დროთა სვლაში ჩა-მუქებულ წაბლის ხის კარს დასჭირდა შეხება.

ოთახის ბინდში ზღვის დამტევი ჩურჩული გაისმა:

— აგერ ვარ, შემოგევლოს ჩემი თავი, მოვ...

ხმა განყდა და გაიყინა.

რიკულებიან ძველისძველ რკინის საწოლის ქათქათა ქვეშა-გებზე წამომჯდარი ახალგაზრდა კაცი დაბნეულად დაჰყურებ-და იატაკს დაბჯენილ აქამდე მკვდარ ფეხის კიდურებს...

დილის ცისმარზე შარაზე გამოსული შუბლზე ხოლაბანდნაკ-რული გაწრიპული ქალი წკეპლით მისდევდა ულალ ძროხას. პატარა ოდას რომ მიუახლოვდა, ნაბიჯი შეანელა, პარვით გაჰე-და იდუმალ ჭიშკარს და გაქვავდა.

ოდის აივნის მოაჯირს დაყრდნობილი, მთელი ტანით შემარ-თული მხრებგაშლილი ახალგაზრდა კაცი მდუმარედ გასცერო-და ცის უსასრულო სიგრცეს.

კარის ზღურბლთან ქალის სილუეტი ჩანდა. მხოლოდ ქალის. ლანდი სადღაც გამქრალიყო....

ჭიშკრებთან გამოფენილი იქაურები ნეტარი გაოცებით მე-ათეჯერ უსმენდნენ შუბლზე ხილაბანდნაკრული, ქმრის გაჯე-გილ ფეხსაცმელში მოფლატუნე გაწრიპული ქალის ხმამაღალ ვიშვიშს:

— დიდუ, რა ნახა ჩემმა თვალებმა, დიდუი!.. სასტაული სცოდ-ნია თურმე სიყვარულს, სასტაული, გეიგეთ!

კოლხეთის მითური ჰაერის სურნელი გადაევლო დაბა-სო-ფელს იმერეთში. ის ფანტაზიის ახალ ამოფრქვევას ამზადებდა.

ଯଦୀବ୍ୟକ୍ତି ଜୀବନ୍କା – Warum?



ამად ვწუნობ საწუთროსა,  
სულ ბნელია, რასაც ელავს!  
დავით გურამიშვილი



— ჯენჯია, ჯენჯია! — გაისმა ბლავილისებური ძახილი ვერის  
ერთ ძველ ეზოში. შეფიცრულ ვიწრო აივანს აკრული ციცქა-  
გოგო ოთახში შეფრთხიალდა. ეზოს შუაგულს შებანჯგვლული,  
უამგამოვლილი კაცი იდგა, ჭუჭყანი მოსაცმელი მუხლებამდე  
სცემდა, ზორბა აღნაგობის პირქუშად იმზირებოდა და აქაურო-  
ბას მოსვლას ამცნობდა. მხარზე აკიდებული ხის ხელნაკეთი მძი-  
მე დაზგა სალესი ქვის გორგოლაჭებით ეზოს კაიხის აცვენილ  
საფარზე ერთი ამოსუნთქვით დადგა და იქაურობას გახედა.

— მუნჯი მიშა მოვიდა, მუნჯი მიშა, — შუშაბანდის ფანჯრები-  
დან გასძახეს ერთმანეთს.

ქვედა და ზედა ეზოდან მოგოგმანდნენ ქალები დაჩლუნგე-  
ბული დანებითა თუ მაკრატლებით. მოღუშული მუნჯი მიშა  
დაზგის ძირს ფეხს აჭერდა და მბრუნავ სალეს გორგოლაჭებს  
ნაპერნკლებს ადენდა. ქალებისთვის ეს სანახაობა იყო. ჭორაო-  
ბის საბაბიც.

გაჯიიუტებულ და აკვიატებულ ბავშვებს მუნჯი მიშათი აშოშ-  
მინებდნენ — ვეტყვით ყველაფერსო. ციცქა-გოგოსაც, თუ მო-  
ბეზრებულ ფაფაზე აიმრიზებოდა, მუნჯი მიშა მოვაო, ეტყოდა  
დედა. მუნჯი მიშას მრისხანე საფრთხობელა თავის საქმეს აქაც

აკეთებდა. რა მოაწყენდა ეზოს, თუხთუხა ცხოვრების სცენად ქცეულს?

- მამალო, წითელი მამალო!
- მეწვრილმანე, მეწვრილმანეე!
- მაწონი, კვერცხი, „მალაკო“!..
- ქათამი ვის უნდა, ქათამი!..

სიცოცხლის კასრს ავსებდა შეძახილები და ისიც დუღდა ძველ ეზოში. პირველი ადგილი მაინც მამალოს ეკავა:

— მიყიდე, რაა, მიყიდე! — ჭიჭყინით აბრუებდნენ ბავშვები დედებს. წვრილ ჯოხზე წამომჯდარი ბიბილოიანი ფერად-ფერადი მამალო კაპიკები ლირდა და დედების უარს მიწა ფეხქვეშ ეცლებოდა.

დიასახლისებთან მაინც მეწვრილმანე პირველობდა. კისერზე ფართო აბუანდით ჩამოკიდებულ მოგრძო მოსიარულე დახლს ჩაციებით უკირკიტებდნენ. ნემსებს, დუგმებს, კოჭის ძაფებს, საქსოვ ჩხირებს, იაფიან მაქმანებსა და სხვა სიკეთეებს მერამ-დენედ სინჯავდნენ.

ლიმილიანი თმენით იტანდა გულის წამლებ ზოზინს მეწვრილ-მანე. ფეხზე ძლიერ იდგა ხანში შესული გაძვალტყავებული ებრაელი კაცი და გულში თავის გაჩენის დღეს სწყევლიდა.

ქათამს თვალს არიდებდნენ გულდაწყვეტილი ქალები, დღესასწაულისთვის თუ დაგეგმავდნენ მის ყიდვას.

თუმცა სართულებზე აქა-იქ კანტიკუნტად იყვნენ გამონაკ-ლისები, ვისაც ქათამსა და ბევრ სხვა რამეზე მიუწვდებოდათ ხელი. მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შემდგარი, კაბარდინის პალტოებსა და მაშინ სანატრელ „სტეკლიანკა“ ჩულქებში გამოწყობილები კი პაკიპუკით ისე ჩაუვლიდნენ ამ ყველაფერს, თითქოს თავს არიდებდნენ იქაურობას. ალბათ იცოდნენ ეზოს საზომი — ნამამაძალლევით აქვთ ყველაფერი ნაშოვნიო.

ეს კი დიდ უზნეობას უტოლდებოდა მაშინ. მერე, კარგა მოგვიანებით, როცა თევზის თავი საქვეყნოდ აქოთდა და სხეულსაც ლპობა მოედო, ნამამაძალლევის ცნებამ პატივით დაიწყო ალმა-სვლა.

დიდ გაჭირვებაზე ხელის მოთბობა ჯერ კიდევ ომის დროიდან დაიწყეს მენავთეებმა და მეპურეებმა. ეს კიდევ „უცოდველი“ რამ იყო. მათ შემდეგ, როცა რაღაცით შეგულიანებულები ჩახვდნენ, ხელი ხელსა ჰპანს და ორივე პირსაო, ბეჯითად მიჰყვნენ ამ სიბრძნეს...

პარტიულ კიბეზე კენწეროსკენ აცოცებულებს მართლაც გადავსებული ფიალა ჰქონდათ, მაგრამ ისინი სულ სხვა სივრცესა და გარემოში ცხოვრობდნენ და არაფერი ესაქმებოდათ ძველეზოსნაირებთან.

მაგრამ, როცა ჩამოხოხებისა თუ ზღართანის დრო დგებოდა, სავსე ფიალა უკან რჩებოდათ, წინ კი ცარიელი დახლი ელოდათ. შემდგომში ჩამოხოხება-ზღართანის ეს წესი გადაჯექ-გადმოჯექით შეიცვალა. თავისიანების „გაფუჭებას“ აქედან მოყოლებული სამუდამო ტაბუ დაედო ვერცხლით მოვარაყებულ დიდ ყანად ქცეულ ფიალასთან ერთად.

ეზომ ეს ჯერ კიდევ არ იცოდა. ეს ჯერ მხოლოდ ნახევარფიალა იყო იმ ყიამდე ასულ ძლიმაში, რომელსაც დიდი სამშობლოს უმომავლო გზა უნდა დაესრულებინა.

ძველ ეზოში ოჯახებს თავ-თავიანთი ცხოვრება ჰქონდათ. ამ-ქვეყნად მოსვლისა და წასვლის საკუთარი ბედ-იღბალი. ვისაც როგორ შეეძლო, ისე მიიკვლევდა დიდი სამშობლოს უმომავლო გზას. მაგრამ მათ ყველას თითქოს ერთ დიდ ოჯახად კრავდა და ადულაბებდა საიდანლაც შემოლოდებული სიღარიბე.

ვერის ძველი ეზოც ხომ იმ თვალიუნვდომელი სივრცის ნაწილი იყო, დიდი სამშობლო რომ ერქვა სახელად. დიდი ბელადის შარავანდედით შემოსილი. ისიც, დიდი სამშობლოს კვალდაკვალ ისე ითავისებდა მობუზულ ხელმოკლეობას, როგორც მოძმესა და ახლობელს. ალბათ ამიტომ შეეძლო სიღარიბით დაოსტატებულს წლობით ნახმარი და გაცვეთილი მაუდის პალტოს შემოქმედებითი შთაგონებით დარღვევა-გადმობრუნება. გალა-მაზებაც კი. გაცრეცილ-დახვრეტილი წინდებისა და საცვლების დახელოვნებული კემსვა.

უშფოთველ ჩვევასა და უშფოთველ აზრს ერთიანად მოეცვა ყოველივე. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. კარგად გათვლილი სიზუსტით ნამდვილდებოდა საყოველთაო თანასწორობის ქადაგებას მორგებული, საყოველთაო სიღარიბის მედიდური ჰიმნი. ჯერ კიდევ სჯეროდათ ამ ჰიმნის და იმედი ხვალინდელზე გადადიოდა.

მაგრამ ეს სიღარიბე ქმნიდა იმას, რისი შექმნაც სხვას ვერაფერს შეეძლო — წიგნიერების სიმდიდრეს. ეს სიმდიდრე მხოლოდ მისი პირმშო და დოვლათი იყო. სოფლად და ქალაქად ამ დოვლათის მოპოვებისთვის ბოლო კაპიკაც გაიღებდნენ. ამ კაპიკს გაჰყავდა კიდეც ცოდნის გზაზე მისტიკური წადილი და შედეგიც ამ წადილისა არ აყოვნებდა.

შემეცნების ძლიერი ნება, მეტნილად სოფლის ძირ-წყაროდან შემოჭრილი, აგებდა დიდი ცოდნის დიდ გალავანს, შემომტკიცებულ სიამაყეს, რასაც ქართული მეცნიერება ეწოდა.

ძველ ეზოშიც შენატროდნენ და შეძლებულად მიაჩნდათ ოჯახი, ვისთანაც კედელს წიგნის თაროები ფარავდა. ბიჭი გოგნას წიგნით აწონებდა თავს. გოგნაც ამ ნიშნით ირჩევდა.

ათენ-ალამებდნენ კითხვაში, რომ მოესწოროთ ხელიდან ხელში გადასული სამი დღით ნათხოვარი სქელტანიანი წიგნის ჩამთავრება. დედების წაკითხულ ზღაპარ-მოთხობებს საათობით უსმენდნენ ყურებდაცქვეტილი პატარები. ვერანაირი ცდუნებით ვერ გამოჰვეჯდით მოზარდებს „გრაფი მონტე-კრისტოს“, „სამ მუშკეტერს“, „კვენტინ დორვარდსა“ და ვინ მოთვლის რამდენს. ვერ წაართმევდით ქალებს ძლივს მოპოვებულ ბალზაკსა და ზოლას.

ეზოში ბავშვი არ იყო, მუსიკაზე რომ არ ეტარებინათ. ფორტეპიანო და ვიოლინო მშობლებს ღირსების საგნად მიეჩნიათ. სწავლა უფასო იყო და ინსტრუმენტის არქონა სულაც არ უშლიდათ ხელს — ნათხოვარი ვიოლინო და მეზობლის პიანინო ავსებდა ამ ხარვეზს.

ფორტეპიანოზე ვარჯიში კი გამუდმებით ისმოდა ქვედა და ზედა ეზოს ფანჯრებლია ყოველდღიურ ყოფაში და ეს თითქოს

არავის აწუხებდა. უფრო პირიქით, საზრუნავ-საფიქრალზე იმე-დიანი შეგრძნებების გაჩენაში ეხმარებოდათ.

გულმოდგინებით მაინც ქვედა ეზოს მესამე სართული გამო-ირჩეოდა. იქ ტანწვრილი, ხვეულომიანი ლამაზი გოგონა პიანის-ტობაზე ოცნებოდა და საათობით უჯდა წინაპრის დანატოვარ-როიალს.

შემართული ახმიანებდა კლავიშებს და მრავალჯერ უბრუნ-დებოდა მძიმე აკორდებითა თუ ოქტავებით დატვირთული პა-საჟების ფორტისიმოს, ცხოვრებაზე გამარჯვების რწმენას რომ უნერგავდა.

ეზოც აიტაცებდა ხოლმე ამ ფორტისიმოს. რაღაც გაურკვე-ველი იმედებით ივსებოდა და მოწოლილ ფიქრებს გულდაჯერე-ბას მატებდა.

ვენეციას ისე ვერ შეიძყრობდა კარნავალი, როგორც მაშინ-დელ თბილისს კულტურული ცხოვრება. ვერა, მთაწმინდა, სო-ლოლაკი და პლეხანოვი – ქალაქის სულიერი მოუსვენრობის გუ-ლისგული – ერთ დღესაც ვერ ძლებდა დრამატული თეატრების, ოპერისა თუ კლასიკური მუსიკის კონცერტის გარეშე.

გამორჩეულად კი ახალგაზრდობა. იგი არად დაგიდევდა უსახსრობის ბორკილს და არავინ იცის, როგორ ნაშოვნი უფასო, ეგრეთ წოდებული კონტრამარკით ოპერის გადავსებული დარ-ბაზის ბოლო, ზემო ქანდარას დამპყრობლად მოევლინებოდა.

ქალიშვილები გულმოდგინედ გარეცხილ-გაუთოებულ კაბებ-ში გამოწყობილები ზემო ქანდარაზე კოპწიაობით სკამებს იკა-ვებდნენ. სკამებს ქალებს უთმობდნენ, თორემ რა დატევდა სცე-ნის მთელი მოქმედების მანძილზე ისედაც იქ ფეხზემდგომებს.

იმ გამოსასვლელ კაბას, გაცრეცვამდე რომ იყო გამოსადე-გი, მოწინებული ისტორია უნდა ჰქონოდა. უფრო კი ისტორიუ-ლი მოვლენის მნიშვნელობა. საკაბე ქსოვილი, თუნდაც ჩითის, გრძელ გზას გამოივლიდა, სანამ ოჯახის, ვინ იცის, რა სვეგა-დამხდარ ოქროს სამკაულში არ გაიცვლებოდა. თანასწორობის დიადმა ჰიმნმა სრულად და ბოლომდე დაცალა ფასიანი ნივთე-ბისგან ოდესლაც წელგამართული ოჯახები.

ავადსახსენებელი ეგრეთ წოდებული ტორგსინი საკუთარი ხელით მიგატანინებდა ბოლო ოქროს ბეჭედს ჩითში გადასაც-ვლელად. გაუგონრად გამომძალველმა, ეშმაკისეული გამომგონებლობით შექმნილმა სახელმწიფოს ამ ხრიკმა საბოლოოდ გააჩანაგა თბილისი.

მაგრამ სად ჩაედინებოდა ან ვისთან ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით წამოსული მდინარე, ვის შეეძლო სცოდნოდა? ნივთიერად ეს არავის ეხებოდა, მაგირ ცნობიერება უნდა გაკა-ჟებულიყო მომავლის რწმენით.

შეფასების ბოლო სიტყვა ქანდარას ეკუთვნოდა. სწორედ ის წყვეტდა წარმატების სცენურ ბედს. წარმატების ზეიმს ნიშნავ-და ქანდარიდან მოგრიალე ტაში და ფეხის ბაკუნით იქაურობის გაყრუება. ქვემოდან, პარტერიდან სახით ზევით შებრუნებულე-ბი ღიმილით ეგებებოდნენ გრიალს და ზოგჯერ მოუზომავი აღ-ტაცების გამო ამოსძახებდნენ ხოლმე:

— გალიორკა, ტიშე. გალიორკა, ტიშე.

ქანდარის კულტურული გამოცდილება და მასთან განუყო-ფელი გემოვნება არასოდეს ცდებოდა შეფასებაში. სულიერად იქ შეფარებული ჯერ კიდევ ბაგრატიონები, ჭავჭავაძეები, ფა-ლავანდიშვილები, მხეიძეები და სხვა ასეთნი, ბოლო სიტყვის გემოვნების მოკარნახები იყვნენ ხშირად. ეგებ ამით და სხვით ვერაფრით, გენურ რჩეულობას ქვეშეცნეულად რომ იხსენებ-დნენ. თბილისის დარბაზებისადმი ცნობილ რიდსა და პატივის-ცემას ესეც ქმნიდა. საზოგადოდ, თბილისი ტოლს არ უდებდა დიდი დედაქალაქის საყოველთაოდ აღიარებულ კულტურულ ავტორიტეტს და თავად ეს ავტორიტეტიც ჯეროვნად მიაგებ-და პატივს პატარა დედაქალაქის ნიჭა და დახვეწილობას. თბი-ლისი ღირსეული მასპინძელი იყო როგორც ევროპის, ისე დიდი სამშობლოს რესპუბლიკების დედაქალაქების ვარსკვლავებისა. მარტო ტოსკანინის მითური სახელი რად ღირდა. მოსკოვისა და ლენინგრადის ვარსკვლავეთი ხომ ქართველ ხელოვანებთან ერ-თად იკვრებოდა. ასე იყო: კულტურული შემფასებლის მაღალი

წოდება დიდხანს, ძალიან დიდხანს შემორჩა თბილისს, მაგრამ, როგორც ყოველივე, დრომ ისიც წალეკა.

თბილისის იმ გულისგული უბნებიდან მოედინებოდა ერის შემოქმედებითი ძლიერი ნაკადიც. ქართული მწერლობა, მუსიკა, მხატვრობა, თეატრალური ხელოვნება ამ ნაკადს უშრეტს ხდიდა.

დროდადრო ხარკის გაღებაც კი – „დროშები ჩქარა, დროშები ჩქარა“ – ვერას აკლებდა გალაკტიონურს და ვერც ბელადის ქება გოგლაურს. ის, თუ როგორ შეეძლო სულიერების ამ შემოქმედებით მცხუნვარებას ჩაკეტილ-ჩარაზულ სივრცეში კიაფი და იდეოლოგიურ გამყინვარებასთან ჩუმი ჭიდილი, ისტორიულ გამოცანად დარჩება დროის უსასრულო მდინარებაში. უძველესი ერის მოდგმისეული და ჯილაგისეული საიდუმლო ხომ არ იყო ამ გამოცანაში ჩაკირული ან იქნებ უმაღლესი განვების ნება? – ვინ იტყვის.

ძველ ეზოსაც, როგორც ყველას ვერაზე, თავისი ფანატიკოსი ინტელექტუალი ჰყავდა. სწრაფი ნაბიჯით უჩუმრად ჩავლილი ბინის კარს საგულდაგულოდ რომ მიხურავდა, მეზობლები აჩურჩულდებოდნენ, რაღაც აკრძალულ წიგნებს ინახავს და ამიტომ გაურბის ჩვენთან ურთიერთობასო. ისე კი პატივს სცემდნენ და რიდი ჰქონდათ.

ინტელექტუალი ზედა ეზოს მესამე სართულზე ცხოვრობდა და უნდოდა თუ არა, შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა მასთან ახალგაზრდების ხშირი სტუმრობა.

მეზობლებს საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ იქ შოპენჰაუერის ფილოსოფიურ პესიმიზმს არჩევდნენ? დიდი გერმანელის მსოფლმხედველობა ადამიანთა მოდგმის გარდაუვალ ბედუკულმართობაზე, ცხოვრების სიყალბისა და დაუნდობლობის მარადიულობაზე სულს უხუთავდათ და უფორიაქებდათ იქ შეკრებილებს. გამორჩეულად მაინც შთაგონებული სახის ერთი ყმანვილკაცი ბორგავდა:

– სრულიად შეუძლებელია ადამიანი ჰომო საპიენს იმავდროულად არ იყოს ჰომო მორალის. მაში, რატომ აიყვანა ცაში კაცობრის და მასთან ურთიერთობასო. ისე კი პატივს სცემდნენ და რიდი ჰქონდათ.

რიობამ დიდი მორალური ღირებულებები და ამ ღირებულებათა შორის უმაღლესი — თავისუფლების იდეა? რატომ ეწირებოდნენ ამ იდეას ყველა ეპოქაში, თუნდაც პირველი ქრისტიანები? მათ სხეულებს შესეული ვეფხვების გლეჯას რატომ ეწირებოდნენ ასეთ ტანჯვაში, თუ არა ქრისტესეული მორალური მცნებების-თვის?

ცხარე კამათში დილის რიურაჟი ოთახში შეუმჩნევლად იპარებოდა.

ერთხელაც, საერთო სამზარეულოში შეჯგუფებულ სამეზობლოს მეორე სართულის მეზობელმა ქალმა გაანდო, წუხელ, გვიან ღამით წაიყვანეს იმათმა და ბინა დალუქესო. საჩვენებელი თითით მეოთხე სართულისკენ ფრთხილად მიანიშნა — სხვა ვინ იქნებოდაო. მეოთხე სართულს ზიზღნარევად გახედეს.

ისედაც მეოთხე სართულის გაერთიანებულ დიდ ბინაში შესული მეზობელი არავის უნახავს. არც იმ ოჯახის დიდად არაფერი იცოდნენ, მხოლოდ ეს: კა-გე-ბე-ს მაღალი მოხელის არისო. ამ საფრთხობელას კი ხანდახან თავად ოჯახის დედა „გამოფენდა“ ხოლმე. ასეთ დროს მუდამ დაგმანული დიდი შუშაბანდის ფანჯარა იღებოდა და იქიდან რაღაცით დაბოლმილ-გაღიზიანებული შავ-შავი სახე განგებ დაბორებული ხმით ეზოს გასძახებდა:

— გააჩუმეთ ეგ თქვენი აჯღავლებული ნაბიჭვარი, თორემ... ხომ იცით, ვინ გეუბნებათ ამას. დიახ, იცით. პოდა, ჩუმად იყავით და ფრთხილად! — ჩაამთავრებდა რისხვას და მაშინვე ფანჯარას ჩარაზავდა. ეზოს ყველაზე თავაწყვეტილიც კი ვერ ბედავდა შეპასუხებას. გასუსულები მხოლოდ მზერით გამოხატავდნენ სიტყვით ვერთქმულს.

ოცდაჩვიდმეტი წელი უკვე კარგახნის ჩავლილი იყო, მაგრამ იმდროინდელი შიში არსად წასულა. ოცდაჩვიდმეტი ხომ მაღალი ოსტატობით და ღრმა ცოდნით შექმნილი ის ასაცრელი სისხლიანი ხსნარი იყო, რომელიც ჩაკეტილ-ჩარაზულ სივრცეს სამუდამოდ ააცილებდა თავისუფლების ყივანახველას.

თავად ამცრელი მრავალუამიერ მწყობრში იდგა და წინ ვინ გაუხტებოდა? უკვე ძალზე გვიან, თითქმის სხვა ახალ საუკუნე-

ში, აცრამ მოგვერდი რომ ქნა და ჩარაზულიც გაიხსნა, მაშინაც კი ვითომ აღსარებისთვის თავმოკატუნებულმა მრავალუამიერ-მა შეპარვით განაცხადა, აქ, ჩვენში ყოფილი არ არსებობს... .

უნებურად ყურს ჩაესმა თითქოს გადაშენებული: ლენინ ჟილ, ლენინ ჟივ, ლენინ ბუდეტ ჟიწ...

მრავლისმომსწრე ძველი ეზოს ამოუცნობ გამძლეობას თუ ძალას ერთი სისუსტე სჭირდა – სათუთი დამოკიდებულება პატარებისადმი. ასეთი ციცქანა-გოგო იყო. დიდი, მოცისფრო თვალები მაღალ შუბლსა და ნატიფად ჩამონაკვეთ სახეს ისეთ ნათელს ჰქონდა, ცით მოვლენილია, ამბობდნენ. ეზოს ეს პატარა საკუთრება უკლებლივ ყველას სიყვარულით შეანათებდა ხოლმე მიმნდობ თვალებს. ასაკისთვის გასაკვირ მიგებება-გამომშვიდობებაზე, დახვეწილ და მოკრძალებულ სიტყვა-პასუხზე ხანსმილნეულებიც კი აღტაცებისგან იბნეოდნენ.

– Доброе утро, дядя Александр, –莉米利托塔 და გამართული რუსულით აივნიდან ესალმებოდა დილით სახლიდან გამოსულ ქართველ ლექტორს, რუსული ლიტერატურის ისტორიას რომ ასწავლიდა უნივერსიტეტში.

– Доброе утро, наш маленький ангелочек, – ქვემოდან ხელს დაუქნევდა ციცქანა-გოგოს ლექტორი და მისი ლიმილით გამთბარი თითქოს უფრო მხნედ გადაჭრიდა ეზოს.

წიგნი უყვარდა. „აი ია“ ახალდანყებული ჰქონდა და ამიტომ დედა უკითხავდა. მისი დიდი თვალები უკვე მერამდენედ კრთო-მით ელოდნენ წიქარას ამბავს. ცრემლით ელოდნენ „ბიძია ტო-მის ქოხში“ დახეთქილ ყინულზე ფეხებდასისხლიანებული დე-დის თავგანწირვას პატარა შვილის გადასარჩენად. მაგრამ „თი-ნას ლეკურის“ დასასრულის მოახლოებაზე, მეტი არ მინდა, მეტი არაო, იტყოდა და წამოხტებოდა ხოლმე. „იავნანამ რა ჰქმნა?!“-ს ბედნიერი დასასრული მისი სიხარული იყო. ყველა ამბის ასეთ დასასრულზე ოცნებობდა. თუ ასე არ მოხდებოდა, მისი გულის-ცემა მხოლოდ ერთ კითხვას დასტრიალებდა: რატომ?

უკვირდა და კრთებოდა, ასე გამეტებით რატომ სცემდა გაძალიანებულ მოზარდ გოგონას პირველი სართულის კარმორლვე-

ულ შუშაბანდში მამა — ცხოვრებისგან განაწამები და შრომაში გატეხილი.

მის მოფრთხიალე გულს ვერ გაეგო, რატომ იწვა ყავისფრად გაპრიალებულ გრძელ ყუთში თვალდახუჭული ლამაზი ქალი და გულზე თეთრ ნახერში გახვეული მტევანი ესვენა. რატომ უფენ-და ფეხთან იების თაიგულს დედა და სხვებთან ერთად ტიროდა? ვერ გაეგო მოთქმაც, იცოდი და რატომ გაიმეტე შენი სიცოცხლე გულის მანკიანმა, თვრამეტი წლისამ და ახალშობილთან ერთად მიატოვე წუთისოფელიო.

იქ, კუთხეში ბელურასავით მობუზულმა ციცქნა-გოგომ გრძნო-ბით შეიმეცნა ყოფნისა და არყოფნის უხილავი ზღვარი. თითქოს ამ ზღვარზე მყოფი მისი არსება პირთამდე აღივსო იმ იდუმალი სიკეთით, რასაც თანაზიარობა ჰქვია, მთელ ცხოვრებას რომ ბე-დისეულად და ცრემლით დაჟყვება.

შეფიცრულ კედელს მიყრდნობილი ვიწრო ხის აივნიდან, რო-გორც ბუდიდან მერცხალი, გადმოსცექროდა ეზოს, რომელიც მისთვის ყოვლისდამტევი სამყარო იყო. თითქოს იცოდა, რომ აქ უნდა აედგა ფეხი ცხოვრების ვიწროეთში გასასვლელად, და მე-ტიც, გულგატეხილობის შესამეცნებლად. თავისიანი ეზოც ეხ-მარებოდა ფეხის ადგმაში, ეხიდებოდა.

მაგრამ ნაბიჯს უფრთხობდა და უბორკავდა ცუდად დაყუდე-ბული გრძელი კიბე, მთელ გაყოლებაზე მოძაგძაგე მოაჯირით. ზეგარდმო ხმით ესმოდა თითქოს ჩუმი სიბრაზის სისინი — ეს მე ვარ, ცხოვრების კიბე და უნდა მიფრთხილდეო. ნურც ჩემს სა-ფეხურს და ნურც მოაჯირს ნუ მიენდობი, ორივე გიმტყუნებსო, აუცილებლად. თუ არა დედასთან ან სხვა ვინმესთან ხელჩაკი-დებული, ისე გაკარებას ვერ ბედავდა.

ხისაივნიანი პატარა სახლი მხოლოდ ომის წინა წლებში გაჩ-ნდა ძველ ეზოში. თავად ეზოს გრძელ მართხულთხა მოხაზულო-ბას კრავდა მკვიდრად ნაშენი ოთხსართულიანი გვერდიგვერდ მიჯვით მიმჯდარი ევროპული არქიტექტურული ნაგებობები. ეს არ იყო შემდგომში მცდარად შერქმეული „იტალიური ეზო“. ასეთი არც არსად იყო ვერაზე.

გარე, ქუჩის მხრიდან ნეოკლასიციზმის სახეობის დახვეწილი სისადავის, ერთგვარად მშვიდი ფასადი სადარბაზოების მხატვრულად გამოყვანილ მძიმე ხის კარს აღებდა და მოპირკეთებული კიბის ფართო საფეხურით სართულებს მიუყვებოდა.

ეს იყო იქ მცხოვრებთა დარბაზული მხარე. შესასვლელის მოპირდაპირე ბოლოში პატარა კარი კი სულ სხვა – შიდა ცხოვრების ეზოში გადიოდა. ეს სხვა სამყარო თითქოსდა ადამიანთა ერთობის აუცილებლობის თუ ბედის საერთოობის წარმომდგენი იყო. იქ ფეხქვეშ საერთო მიწა ადგენდა თანაცხოვრების დაუწერელ ზნეობრივ წესს. საერთო ცა კი კარნახობდა მოზომილ ქმედებას.

გარეთ დარჩენილი გულგრილი დარბაზულობა ვერაფერს გეუბნებოდა, შიდა კი სრულად გიჩვენებდა იქ მყოფთა, ანუ ეზოს ვინაობას.

ამ არქიტექტურულმა ფილოსოფიამ ალბათ ისე ვერსად მოიკიდა ფეხი, როგორც თბილისში მეოცე საუკუნის დამდეგიდანვე ან უფრო ადრეც. ევროპას ჰქონდა ამის თავისებური მცდელობა, რაც პარიზული ნიშნით მოჩანდა უფრო წინმსწრებ დროში. მაგრამ ქართულ ნიადაგს იგი სხვაგვარად დაებჯინა, ისე, რომ შეეცადა კიდეც წაეშალა უძველესი შეგონება – კაცი კაცისა მგელია, *Homō hominī lupus est*.

ეზოს საკუთარი, მხოლოდ მისი, სართულიდან სართულზე ასასვლელ-ჩამოსასვლელი ჰქონდა, რაც თბილის იმ ფილოსოფიის სიმბოლოდ და სიამაყედ მომავლისთვის შერჩა. ეს იყო მეოთხე სართულამდე აზიდული რკინის სქელი ღერძის გარშემო ზამბარასაგით შემოხვეული რკინისავე ვიწროსაფეხურიანი კიბე. ზემოდან ისე ვერავინ დაეშვებოდა, ნელი ვალსი რომ არ ეცეკვა. ქვემოდან ასულს კი უნდა ეკითხა, ჩემო ეზოვ, შენგან დასამალი რა მაქვსო.

ხელის განვდენა არავის სჭირდებოდა. მაინც მიუხვდებოდნენ ხოლმე შეჭირვებას და ბოლო ლუკმას გაუყოფდნენ. საგან-გებო სუფრიდან ნარჩენებს თავისთვის დაიტოვებდნენ და უკე-

თესს მეზობელს შეუგზავნიდნენ. ჭირში მხარში დგომას შეხსენება რად უნდოდა.

ასეთი იყო, ახლა უკვე წარსულს შერჩენილი, ძველი ეზოს წესი და ვინაობა.

მრავალი წლის მერე, როცა დიდი სამშობლო ისტორიაში გადაბარგდა, თავისუფლების რომანტიზმს მინდობილმა პატარა ქვეყანამ ერთხანს გაიხარა. მალე კი, ერთბაშად ჩაბნელებულში რომ გაიღვიძა, უმნეოდ დაიბნა.

სანამ ფიქრობდა და გონებას იკრებდა, ამასობაში ნადავლს მიშვებულმა სულგაყიდულებმა ქვეყნის დაქცევის კალო დაატრიალეს, უკანმოუხედავად.

დამაქცევართა მთავარმა მდაბიოს სიხარბით რომ ხელი სტაცა და მობლუჯა ყოველივე მოსაბლუჯი, ქვეყანა ერთიანად დაამშია, გაყინა და ჩააბნელა. ნადავლს მიშვებულებს, სანამ ლაგამს ამოსდებდა, აცალა ნგრევა-აკლების ჩასამთავრებლად. მერე მოზრდილი ლუკმები ჩამოურიგა და სამუდამოდ ხელგას-ვრილები ხელზე დაიყენა. ვითომ ძე შეცოორილებს კი მხარზე მოუთათუნა, ქათმის საკენკი დაუყარა და გაცუცურაკებულები ყრუ ღრენით ააღრინა.

ამ უკუნეოში შინაგანმა ძახილმა შეაჯანჯლარა და მოყვასის სიყვარულის ნაპერწკალს გაჰკრა. ძლივს შენთებულ ცეცხლზე გადარჩენის ქვაბი შეიდგა. უშნოდ აყუდებული უსახური სახლების სართულების ბაქანზე რიგრიგობით საიდანლაც მოტანილ ძველ სამფეხას ქვევიდან ფიჩს შეუკეთებდნენ და ზედ წამოსარშულ ცხელ შეჭამანდს მეზობლებში დაატარებდნენ. უყველაფროდან ისეთს ნამცხვარსა თუ ხაჭაპურს მოიგონებდნენ, მტერს შეშურდებოდა. ასე მოიკიდა ფეხი გერმანულმა ანდაზამ თბილისში: „შიმშილია ოსტატ მზარეულის შემქმნელი“ (Hungrig macht den meister Koch).

ძველი ეზოს ზნეობის წესმა კვლავ იფეთქა, როცა გაჭირვებამ ერთიანად დაისადგურა. ამ წესმა ვინძლო ცოტათი მაინც დაამუხრუჭა მაშინ, ქვეყნის ძირიანად ამოგდების ქვეშ-ქვეშ

მცოცავი ზრახვები. რამდენ ხანს გაჰყვებოდა ეს ძალა კიდევ, ხვალინდელმა დღემ ვეღარ აჩვენა.

ეზოში ლერძის გარშემო შემოხვეული რკინის კიბე ყოველ სართულზე პატარა ბაქანს აკეთებდა და კარით შუშაბანდს უერთდებოდა. ბოლომდე შემინულ ნათელ შუშაბანდს ახლდა ეზოსკენ მიტრიალებული დიდი სამზარეულო და ახლოსვე შენეულში მიფარებული ფეხისადგილი. შუშაბანდი კი შეუძლოდა ფართოდ გაშლილ ოთახებს ფერებით მოჭიქული კედლის ღუმელით. მაღალი ჭერი ოსტატურად დაგვირისტებული ქობით კედლებს უერთდებოდა და მთელი ბინა ცხოვრების სიმყარის შეგრძნებას ამკვიდრებდა.

აშენებიდან მალევე აქ ბინებს იკავებდნენ ექიმები, ადვოკატები, მასწავლებლები თუ ხელოვნების მსახურები. მოკლედ, თბილისის ინტელიგენცია. მერე უკვე, საყოველთაო თანასწორობის კვალად, დაყოფილ-დანანევრებულმა ბინამ უნინდელი დანიშნულება დაკარგა და წარსულისგან გაუცხოვდა.

ცოტათი შემაღლებული ზედა ეზო რამდენიმე ქვის საფეხურით ქვედას უერთდებოდა. იქვე, ბებერი და შემოძარცვული ჭადრის ქვეშ იდგა სახურავიანი ფიცრის დიდი კიდობანი ნაგვის ჩასაყრელად, კატებისა და სარდაფებში შემალული ვირთხების გასახარად მალე რომ ივსებოდა.

იმ ზედა ეზოში საიდანაო და პატარა ორსართულიანი აგურის სახლი ჩაიდგა, შეფიცრული ვიწრო აივნით. უფრო კი ჩაეკვეხა. სიგანეში რომ ვერანაირად შეძლო, სიმაღლეში აწონიალდა და უადგილო ადგილას თითქოსდა შეეზარდა. ზურგით ყრუკედელს მიბჯენილი, სახით ეზოსკენ მოექცა და საძაგელ ბატის ჭუკს დაემგვანა. მერე სართულზე ასასვლელად სხვა გზა არ იყო და მოაჯირიანი მაღალი ხის კიბე ვიწრო ხის აივანს ააყუდეს. ეზომაც უშნოდ აყუდებული შეარქვა.

საიდან სად გაჩენილ პატარა სახლს ჯერ, როგორც უწესო მაცხოვრებელს, ამრეზით უყურებდნენ, მერე კი, როცა იქ ციცნა-გოგო გამოჩნდა და ხის პატარა აივანი ქანდარასავით დაიკა-

ვა, ანაზდად გულში ჩაიკრეს. იმიერიდან საძაგელი ბატის ჭუკი-სახლი, როგორც ზღაპარში იყო, თეთრ გედად გადაიქცა.

ზაფხულის ნაშუადლევი იდგა. ბოლომდე გამოლებული შუ-შაბანდის ფანჯრები სიცხეს ვერ შველოდა და უფრო ოთახებს აფარებდნენ თავს. ეზოს ხმაც დადუმებულიყო. ჩანს, საღამოს სიგრილეს ზანტად ელოდა.

ხის აივანიც მარტოობით მოწყენილობდა. ციცქანა-გოგო ოთახში სურათებიან წიგნს ათვალიერებდა, იქვე პურზე გასუ-ლი დედის მოლოდინში. დროდადრო კალთაში ჩასმულ თოჯინას ნაწილში უსწორებდა.

ეზოს სიჩუმიდან კნუტის საწყალობელმა კნავილმა ოთახში შემოაღწია. უმაღ აივანზე გაჩნდა და შეშინებულმა ეზოს ჩახე-და. იქ ბნელი და ნესტის სუნიანი სარდაფის ქვის კიბეზე ძლივს ამოცაცებული წითურა კნუტი მოკანკალე თათებზე იდგა და თითქოს შველას ითხოვდა. მოპირდაპირედ, შორიახლოს შავი გასუსული ვირთხა კნუტის გასაგლეჯად ემზადებოდა. ულვა-შიან წაგრძელებულ უსაძაგლეს ცხვირს აცმაცუნებდა, თითქოს უკვე მოშთობილ მსხვერპლს ყნოსავდა. ბოლოში ჩაწვრილებუ-ლი სქელი, ტიტველი კუდით ნახტომს ზომავდა.

ვიწრო აივანი სწრაფად გაირბინა. ჭიშკრისნაირ დაბალ პატა-რა კარს ხელი ჰკრა და კიბის თავთან წამით შეკრთა. ძირს ჩაიხე-და. წითურა კნუტი საწყალობლად კნაოდა ისევ.

მოძაგძაგე მოაჯირს პატარა ხელით ჩააფრინდა და თავგამე-ტებით დაეშვა. თითქოს ამის მომლოდინე ჩასაფრებულმა მოა-ჯირმა ყრუდ დაიღრჭიალა, შექანდა და გვერდზე გადაწვა.

პატარა ხელით მოაჯირს ჩაფრენილი, ფრთაგაშლილი ჩიტი-ვით ჰაერში მოფარფატე სხეული ეზოს გადაევლო...

კივილმა დასერა იქაურობა. ოთხ სართულზე აზიდულ, ღერ-ძის გარშემო ზამბარასავით შემოხვეულ ვიწრო რკინის კიბეზე თავდაკარგულები ჩამორბოდნენ.

ქალ-კაციანად ვერავინ შეძლო უსულო უმწეობასთან მიახ-ლოება. თავზარდაცემული ქვითინი და ძრწოლა ალბათ იქვე პურზე გასული დედის დაბრუნებას ელოდა.

უცებ ქვითინის შუქჩამქრალი სიმფონია შეწყდა. სიჩუმის დამბლა დაეცა ეზოს.

მესამე სართულიდან როიალის კლავიშებს მოსწყვეტოდა გერმანელი გენიოსის უპასუხო კითხვა – Warum? რატომ?

ცხოვრების ვითომმომრევი ფორტისიმო უკვალოდ გამქრალიყო.



ოთხი ჯეარი



ცოტანი ცხოვრობენ, უმეტესობა კი არსებობს.

ოსკარ უაილდი



უკვე აღარავის ახსოვდა, საიდან და როდის აღმოჩნდა და-რია-დაშა ერთ თბილისურ ოჯახში. რუსი ქალების შინამოსამსახურებად ყოლა ლამის ტრადიციად ქცეულიყო ქალაქში მაშინ და მერეც.

სწორედ რუსი ქალებისა. ქართველი აქა-იქ, კანტიკუნტად თუ გაკრთებოდა. შინამოსამსახურებად კი იწოდებოდნენ, მარა ისე შეეზრდებოდნენ ხოლმე იქაურობას, ოჯახის წევრობაც შეეძლოთ დაეჩემებინათ.

დასაკვეხნადაც ჰქონდათ საქმე. ცხოვრების სრული წესით იქვე ცხოვრობდნენ. ცალკე პატარა ოთახი თუ არ იყო, მისალებში გამომგონებლურად მოფარდულ კუთხეს მოუწყობდნენ. მარტო ყოველდღიურს კი არა, სადღესასწაულო სუფრასაც მიუსხდებოდნენ ოჯახთან ერთად, ილენდნენ.

ათწლეულები გადიოდა და წამოზრდილ ახალ თაობასთან ჩა-ბერებულებს არც სითბო აკლდათ მათი გულითადი და არც მოვლა-პატრონობა.

თითქოს წესისამებრ, მარტოხელებსა და მიუსაფრებს, არავინ ჰყავდათ – არც ახლობელი, არც ნათესავი; არც ბინა ჰქონდთ და არც საცხოვრებელი. როგორ და საიდან ევლინებოდნენ ისინი ქალაქს, არავინ იცოდა და, რაოდენ გასაკვირია, არც არავინ

ჩასდევდა ამ კითხვას. მეგობრებსა თუ ნათესავებს ან თუნდაც ნაცნობებს – კარგი ქალიაო მართუშა, ეთქვათ და ერჩიათ, უკვე საკმარისი იყო.

უფრო ხშირად ამართლებდნენ ეს მართუშა-ლუდმილები კე-თილ დახასიათებას და ოჯახს მიკედლებულები, იქვე ჩაპერდე-ბოდნენ ხოლმე. ზოგჯერ ქალაქშივე ან სოფლად თხოვდებოდ-ნენ, თუ გაუმართლებდათ. მართუშას მდომ ქართველ კაცს რა გამოლევდა ხშირად სოფელშიც კი. უმეტესი მოტყუებული რჩე-ბოდა და ოჯახს შეკედლებული იქვე ემშვიდობებოდა წუთისო-ფელს.

ასე გადმოეცა მემკვიდრეობით ელენეს დარია-დაშაც, უკვე შუახნის რუსი ქალი. ელენეს ბებიას, თამარს ჰქონდა ადრე მო-ნათხრობი ამბავი ოჯახში იმის უცნაურ გამოჩენაზე.

როცა ბოლშევიკები შემოვიდნენ, – დროის ისტორიული ათ-ვლა ასე იწყებოდა თამარ ბებიასთან (როგორც მისი თაობის ყველა წარმომადგენელთან), – ფეხშიშველა ჩამოძენდილ-დამშე-ული სალდათებით, იმათ ვიღაც უპატრონო რუსი გოგო მოსდევ-დათო. გზაში სალდათებს სხვა რა გაახარებდათ და ის უბედური მუცელგამობერილი გოგო ბოლოს ქართული სოფლის ვიღაცის ბოსელში შეღოღებულა.

ტირილზე იქ შესულ დედაკაცებს მშობიარე სახლში გაუყვა-ნიათ, ბებიაქალიც მიუშველებიათ და ქვეყანას კიდევ ერთი ღო-ბისძირის გოგო მიმატებია.

იმ სოფელში წამოზრდილა დაშა. ცოტა ქართულიც უსწავლია შტერსა და დონდლო გონებისას. მერე იქ ალარ დარჩენილა – ქა-ლაქში მინდა, ცირკი ვნახოო და ვინ გადაათემევინებდა – თბი-ლისში ჩამოტანტალებულა.

ბედის განგებამ თამარ ბებიას ოჯახში მიუყვანა თხუთმეტი წლისა. ოჯახი დიდი იყო, ბავშვებით მდიდარი. საქმეს რა გამო-ლევდა და ჩართეს დაშა ქართული ცხოვრების ფერხულში. იქ დარია ამჯობინეს სახელად და ასე შერჩა დარია-დაშას ორმაგი წოდება.

შინამოსამსახურის ანუ „დომრაბოტნიცას“ ტრადიციას ქვით-კირივით ამაგრებდა ის, რომ რუსი ქალები, ჯერ ერთი, კარგა ჯანიანები იყვნენ და დაუზარელნი – ხეცვა-რეცხვასა თუ ღვე-ზელების დახვავებაში პირველიბას არავის დაუთმობდნენ; მე-ორეც ისა, რომ ოჯახს ერთგულობდნენ. შინა ამბებს გარეთ არ დაათრევდნენ და საჭორაოდ არ გასდებდნენ. იქნებ პირიქითაც – მუშტით დაიცავდნენ და ხელსაც არასოდეს გაიმრუდებდნენ.

როგორ არ ცდილობდა თამარ ბებია დარია-დაშას ამ გზაზე დაყენებას – არაფერი გამოსდიოდა. რეცხვა-სისუფთავეს ვიღა ჩიოდა, ხელ-პირის დაბანაც სადავიდარობო გამხდარიყო. სამ-ზარეულოში რა ესაქმება ამ მართლა „ლამაზისეულს“, ნეტავ, საკუთარი კაბა-თეთრეული თვითონ გარეცხოსო.

ასე რომ, ტრადიციამ აქ ჩაიმუხლა და შინამოსამსახურედ კი არა, შინატვირთად დააწვა ოჯახს დარია-დაშა. ყველას უკვირ-და – რატომ არ გაუშვებენ ამ ყოვლად უვარგისსო, მაგრამ ამაზე სიტყვას ვინ დაძრავდა დიდ, კეთილშობილურ ქართულ ოჯახში.

წლები გადიოდა. დაქალებულ დარია-დაშას კი ჭკუა ისევ მოკ-ლე შერჩა. სიმღერა უყვარდა და გამოსდიოდა კიდეც. რადიოში მოსმენილ კაზაკურს ისე დასძახებდა ხოლმე დაბალი და ძლიერი ხმით, იფიქრებდი, ის ჩამოძონძილ-დამშეული „ატრიადები“ ნაღ-დად კაზაკებისა იყო.

რა გვეშველება, ეს რომ ახლა აცუნდრუკდება, თავს მოგ-ვჭრის და თავად შარაზე გავაო, წუხდა თამარ ბებია. მაგრამ ცდებოდა სიკეთით სავსე ადამიანი – დარია-დაშას სიყვარული სულ სხვაგან ეძახდა. ცირკისკენ. მისი გულის ძგერა მხოლოდ ცირკი იყო.

თბილისის ცირკის შენობაში, როგორც ზღაპრის ჯადოსნურ სასახლეში, ისე შედიოდა. გუმბათის ქვეშ მძიმე ილეთების ოს-ტატებს გაშეშებული შესცეკეროდა, ცხოველების მომთვინიე-რებლებს კრძალვით ტაშს უკრავდა, ხოლო ჯამბაზების ყირამა-ლებზე გადაბჟირებულს, თავი მთლად ავიწყდებოდა.

როცა თამარ ბებია გარდაიცვალა და ოჯახის ახალი თაობა თავ-თავის გზაზე გავიდა, დარია-დაშასთვის რა უნდა ექნათ და – ელენეს ოჯახს მემკვიდრეობით გადასცეს.

ვერ იყო კარგ დღეში ელენე. მისი პატარა გოგონა ისე შეიყვარა დარია-დაშამ, ხელიდან ვერ გააგდებინებდი. თამაშ-სიმღერით დასდევდა ოთახებში მოუღლელად. კოცნას რომ დაუწყებდა, ელენეს ლამის კრუნჩხვა ემართებოდა. ხვეწნას რომ დაუწყებდა – სასეირნოდ წავიყვანო, ვერაფერს აწყობდა და გაატანდა ხოლმე გულის კანკალით ახლო, კიროვის ბაღში ვერაზე.

მაგრამ ელენემ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა და აკრძალა გასეირნება, როცა ერთხელ სახლში დაბრუნებულმა გოგონამ დედას ჰკითხა: დარია-დაშამ ბაღში მიწაზე დაგდებული წითელი საწუწნი კანფეტი აიღო, ფანტაში გაავლო და მომცა. ეს არ შეიძლება, ხომ?

სახლში მოსულ სტუმრებთან მუსაიფი უყვარდა დარია-დაშას. სიტყვას არავის ჩაადგმევინებდა, თავის „აზრებს“ უთავბოლოდ გამოთქამდა და დააყოლებდა, „ჩემი მნენიები“ ასეთიაო. მას მერე ოჯახში „დაშას მნენიები“ მეტაფორად იქცა.

გავიდა დრო. დარია-დაშამ სიბერეში შედგა ფეხი და ერთ მზიან დღეს ელენეს მოახსენა: ჩემი ძვირფასები ხართ, მარა ცირკში უნდა წავიდე, „დრესიროვშიცას“ ძალლების მომვლელი სჭირდება. ოთახსაც მომცემენ და ხელფასსაცო. მართლაც ასე მოხდა.

ალბათ ლამაზი ჯიშის არტისტ-ძალლებს უვლის კარგად, თორემ გასტროლებზე თან რატომ დაჰყავთო, ამბობდა ელენე,

როცა თბილისში ჩამოდიოდა, ელენესთან მორბოდა სიხარულით – თქვენ, ჩემო საყვარლებოო. ისიც ფულს ჩაუკუჭავდა და მოეფერებოდა.

ბოლო ჩამოსვლაზე დარია-დაშა ძალზე შეცვლილიყო. მძიმედ სუნთქავდა, გულზე ხელს მიიჭერდა, ხმაჩახლეჩილი მალიმალ სტენით ახველებდა.

– მალე მოვკვდები, – სევდიანი თვალები მიაპყრო ელენეს. მისი წასვლის შემდეგ ამან გულით იტირა.

მას მერე დარია-დაშა აღარც გამოჩენილა. სად მიაპარა სული უფალს, ვინ იცის.

— შეუცნობელია გზები ჩვენი ცხოვრებისა, — იტყოდა ხოლმე ელენე და ჩანს, ვერ ივიწყებდა საიდანდაც მოსულ და სადღაც-ვე გაუჩინარებულ მიუსაფარი ქალის ბედ-ილბალს. დარია-დაშას მერე ელენეს ფიქრშიც არ დაუშვია შინამოსამსახურის ყოლა, ცხოვრებიდან თითქოს მოსროლილის ოჯახში შემოკედლება.

ცხოვრება კი თავისი წეს-კალაპოტით მიედინებოდა. ელენეს წლები ემატებოდა და ოჯახის საქმის თავმობმაში ისედაც საშუალოსანი, წიგნის სიყვარულში კი დიდად მარჯვე, აბეზარ ყოველდღიურობას მტრულად გახედავდა და მოწოლილ იმის ვალდებულებაზე მთლად აიღერღებოდა ხოლმე. გაუკეთებელ საქმეზე თითქოს ჯავრს იყრიდა და ჯიბრზე სქელტანიან წიგნს ხელში დაიჭერდა — ესეც თქვენო...

იატაკების გაპრიალებაზე გადაგებულ ქალებს ირონიით უყურებდა. გულწრფელად უკვირდა: არ უჯობთ, გონება-ტვინის გაპრიალებაზე ხარჯონ ერთი სიცოცხლისთვის გაღებული ძვირფასი დრო.

ოჯახსაც ამ მსოფლხედვით უდგებოდა. ეს კი არა და, წესად ჰქონდა ქმარ-შვილის წრეში დროდადრო და საკმაოდ ხშირად ხმამაღლა კითხვის საღამოების მოწყობა თავისი კითხვა-პასუხით. მედიცინასაც გადასწვდებოდა ხოლმე სამედიცინო-პოპულარული გამოცემების მოყვარული.

იმ თემებს ირჩევდა, რომლებიც შესატყვისად მიაჩნდა: სკოლის მოსწავლე შვილმა „კოზეტა“ და „გავროში“ წაიკითხა, ესე იგი, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი წელი“ უნდა გაუღერებულიყო. შეგონებას რომ შეაგებებდა შვილს „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდებისო“, მაშასადამე, დავით გურამიშვილისთვის უნდა მიეგდოთ ყური.

ელენეს ქმარი თბილი ღიმილით დაჰყვებოდა ხოლმე ცოლის ახირებას, თუმცა პატივს სცემდა და აფასებდა მის სულიერ ღირსებებს.

მაგრამ ცხოვრების ყოველდღიურობასთან „ბუნტი“ რომელ ქალს გასვლია, ელენეს რომ გასვლოდა? დაულაგებელ ოთახებს, დახვავებულ სარეცხს, აჩიჩქნილ უჯრებსა და საეჭვოდ ჩამუქებულ ქვაბებს ახლა ჯიბრში ვეღარ ჩაუდგებოდა და ვერც წიგნს მოუღერებდა წკეპლის ნაცვლად. ახლა ქმარმაც ხომ ფრთხოლად და ტაქტიანად შეახსენა ეს დაუნერელი კანონი ოჯახისა.

საგონებელში ჩავარდა. მიხვდა, შინამოსამსახურე ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა წიგნის გადასარჩენად.

საათობით ყურმილი ეჭირა, ნაცნობ-მევობრების იმედს ჩამოეკიდა. ორი დღეც არ გასულა და დაქალმა შეატყობინა:

— გიშოვე კარგი ქალი. უბრალო მარფუშა კი არაა, კულტურული რუსის ქალია. მაგრამ იცი, კუზიანი ყოფილა საწყალი.

— საიდან არის, ვისთან უმუშავია და საერთოდ, რა იციან მის შესახებ? — დაიძაბა ელენე.

— ვერაფერს გეტყვი. პირადად არაფერი ვიცი ამ ქალზე. ნატა მიქელაძემ, შეგიძლიათ აიყვანოთ. სხვა არაფერი.

ელენე კარგად იცნობდა ნატა მიქელაძეს, დარბაისელ და დახვეწილ მანდილოსანს, საუკეთესო სახელი რომ ჰქონდა საზოგადოებაში. გული დაიმშვიდა. მისგან დასახელებულს წყალი არ გაუვა, ვენდობი და გამომიგზავნეო, უთხრა დაქალს.

— საუკეთესო ქალი ვიშოვე, — სალამოს ქმარს ახარა.

— რა იცი, ძვირფასო, რომ საუკეთესოა? ოჯახში შემოგყავს, მაინც წვრილად გამოიკითხე, ბავშვი გვყავს და ხომ უნდა ვენდოთ.

— ყველაფერი კარგად იქნება, არა ღირს გაზვიადება.

სულ მალე „კარგი, მაგრამ ფიზიკურად ნაკლიანი“ ქალი გამოცხადდა ელენეს ოჯახში. ადამიანზე პირველ შთაბეჭდილებას დიდი მნიშვნელობა აქვსო, ამბობენ. ვერა პეტროვნამ ვა-ბანკი წარმატებით (თუ ზუსტად) ითამაშა ინტელიგენტის მეტყველებით, ეგრეთ წოდებული, კარგი მანერებით.

მოკლედ, იმდენად ღირსეული სახით წარდგა, რომ ზურგზე პირამიდისმაგვარი ბორცვი შეუმჩნევლად გაუფერულდა. ამ

სიკეთეს ისიც ემატებოდა, რომ თავისი ბინა ჰქონდა და ოჯახ-ში არ იცხოვრებდა – მხოლოდ დილის ცხრა საათიდან საღამოს ექვსამდე.

ბოლოს და ბოლოს, ამოისუნთქა ელენეს ოჯახმა შვებით.

ზუსტად დილის ცხრა საათზე მეორე დღესვე გამოცხადდა. ელენემ სიზუსტე შეუქო, რაზეც პასუხად ეთქვა, გერმანული პუნქტუალობა ჩემი ცხოვრების წესიაო. საგულდაგულოდ გამო-იცვალა ტანსაცმელი, თეთრი წინსაფარი შეიკრა და საქმეს შე-უდგა.

იატაკებით დაიწყო. ოთახები მოაწესრიგა. ელენეს მომზადე-ბული სადილი მიირთვა და გავაბოლებო, – აივანზე გავიდა. სა-ღამოს, წასვლის წინ წინასწარ ერთი თვის „ჰონორარი“ თავაზი-ანად სთხოვა და დაემშვიდობა – სამზარეულოს ხვალ დავაყენებ ფეხზეო.

კარის მეზობლებმა, ცხადია, ყურები ცქვიტეს – თურმე, ინ-ტელიგენტი მოსამსახურე მოუყვანია ელენესო. მიზეზს რა გა-მოლევდა და მასთან რიგრიგობით შესულებმა ვითომ სასხვა-თაშორისოდ თვალი გააყოლეს „ნამუშევარს“ და თავად მის შემ-სრულებელსაც. ცოტა ნირი წაუხდათ, როცა დაბალი ტანის, მე-ტისმეტად შეუხედავი, თავზე ნახევრადთმაგაცვენილი და, ვაი, უბედურებავ, ზურგბორცვიანი შუახნის ქალი დაინახეს.

იმანაც, თითქოს ყნოსვით, კარგად შეაფასა ცნობისმოყვარე-ები და უფრო დახვენა სტილი: ნება მიბოძეთ, უნდა შეგანუხოთ, თუ გადმობრძანებას ისურვებთ, – ტრიალებდა გათვლილი მოძ-რაობით.

მაგრამ მეზობლებზე განსაკუთრებული ეფექტი მაინც რეზი-ნის ხელთათმანებმა და მაქმანიანმა ქათქათა წინსაფარმა მო-ახდინა. მოკლედ, დღის ეს მთავარი ინფორმაცია სართულიდან სართულზე გადავიდა:

– უყურეთ, ელენეს ბედნიერებას ანი ძალლი არ დაყეფს, – ცოტა ირონიულად, ცოტა ქირქილით, ცოტა, ცხადია, შურითაც ჩაულაპარაკებდნენ ერთმანეთს, – ახლა მთლად წიგნებში ჩაეფ-ლობა.

ასე რომ, ელენემ გაიმარჯვეა, გაამართლა მისმა გადაწყვეტილებამ. ბინა გაკოხტავდა, ქვაბები ალაპლაპდა, იატაკებიც აპრიალდა და, რაც მთავარია, ოჯახს „კარგი ტონი“ ოდნავაც არ მოჰკულებია.

საინტერესო ნიშანი ამ მშვიდ მდინარებაში ის იყო, რომ სადილს მხოლოდ ელენე ამზადებდა. დილის მონაკვეთი ვერა პეტროვნას ებარა – ცხელ-ცხელი „ოლადიკებითა“ და „ბლინჩიკებით“, არომატულითა და უგემრიელესით. ქმარი სამსახურშიც კი იგვიანებდა, ეს სიამოვნება რომ არ გამორჩენოდა.

მაგრამ ყველაფრის გვირგვინი ელენესთვის მაინც ის იყო, რომ მის გოგონაზე ვერა პეტროვნას საუკეთესო გავლენა ჰქონდა.

– აბა, ჩემი მშვენიერო პრინცესა, დამისახელე, პუშკინის ლექსებიდან უფრო მეტად რომელი მოგწონს, – ჩაეკითხებოდა რუსულად. გოგონაც რუსულადვე ჩაარაკრაკებდა – მორკალურ ზღვასთან დიდ მუხას გარს რომ უვლიდა ჭკვიანი კატა. ქებას იმსახურებდა და სხვაც ასე ამგვარად გრძელდებოდა.

ორი კვირა გაასრულა ამ სიკეთემ თუ სიკარგემ. მესამე კვირის თავზე წასვლის წინ ვერა პეტროვნამ უკვე მომდევნო თვის „ჰონორარი“ დიდი მონიწებით სთხოვა – მრცხვენია, ჯერ კიდევ ამ თვის დარჩენილი ორი კვირა არ ჩამთავრებულა და მე კი წინასწარ უკვე შემდეგისას ვითხოვ, მაგრამ „ექსტრემალური სიტუაცია“ შემეემნაო.

უარს ვინ ეტყოდა ასე ნდობამოპოვებულ ადამიანს და რადგან ელენესთვის ქმარს ფული ჯერ არ დაეტოვებინა, სასწრაფოდ მეზობელს ესესხა.

– უდიდეს პატივისცემას იმსახურებთ, ელენა ვასილიევნა თქვენ და მთელი ოჯახი მაღალი ღირსებისათვის, – თავი ჩაღუნა და დაემშვიდობა, ხვალამდეო.

მაგრამ ხვალაც გავიდა, ზეგაც, კვირებიც... გაქრა საწყალი, ბუნებისგან თუ ღვთისგან დაჩაგრული ქალი.

როდის ყოფილა კარგი რამ დიდხანს გაგრძელებულა, ავი თვალი არ სცემოდა, სანანებელი არ გამზდარა? ამ ფილოსოფი-

ით ასეთ სამწუხარო ამბავსაც შეეგუა ელენეს ოჯახი და მიჰყვა ცხოვრების კუთვნილ დინებას...

— ნეტავ, დღეს რას გვიმზადებს დედიკო, — თვალი ჩაუკრა გო-  
გონას მამამ.

— არ ვიცი, მამი, მალე გავიგებთ, ხომ?

— აბა, მოვემზადოთ და თავი არ შევირცხვინოთ, მამიკოს  
გვერდში დაუდექი, არ მილალატო, ჩემო ჭკვიანო გოგონავ.

ამჯერად ელენემ სამზარეულოში მოაწყო სალამო. როცა მა-  
გიდას შემოუსხდნენ, შთაგონებით გამოაცხადა:

— დღეს ჩვენ წავიკითხავთ ანდაზებს, — და ქართული ანდაზე-  
ბის კრებული გადაშალა.

ხმამალლა კითხულობდა ჟამთა სვლაში ნაჭედ ხალხურ სიბ-  
რძნეს, მის სილრმეებში ჩაფენილ საუკუნოვან გამოცდილებას,  
სხარტად და მოსწრაფებულად ჩამონაკვთულ სიტყვა-გამოთ-  
ქმებს, მდიდარ მეტაფორულ ხედვას.

სალამო, მართლაც, დიდებული აღმოჩნდა, ელენეს სიხარულს  
საზღვარი არ ჰქონდა. ჩამთავრებული არ იყო, როცა კარზე ზარ-  
მა დაიწყარუნა.

— ვინ მაწყვეტინებს, ნეტავ, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა  
და დერეფანში გავიდა. კარი უკითხავად გააღო. ზღურბლს იქი-  
დან ფორმიანი მილიციელი თავაზიანად ულიმოდა...

— ბოდიშს გიხდით, ქალბატონო, შენუხებისთვის. ცოტა უხერ-  
ხულ საკითხზე მოგაკითხეთ, და თუ შეიძლება?

— მობრძანდით, რა არის თქვენი ვიზიტის მიზეზი? — სურდა  
აღელვება დაეფარა. — დაბრძანდით, გისმენთ, — მისალებში შე-  
უძლვა.

ამ დროს ქმარიც შემოვიდა და მილიციელს მიესალმა.

— ჰმ, უხერხულად ვარ, მაგრამ უნდა გითხრათ, რადგან ეს ჩე-  
მი მოვალეობაა.

ცოლ-ქმარი უხმოდ მისჩერებოდა.

— ჩვენთან აღრიცხვაზე არიან საშიში დაავადების გადამტანი  
პირები, რომლებსაც გარკვეული გრაფიკით ევალებათ დისპან-

სერში გამოცხადება. ჰმ, დიახ, ვენერიულ დისპანსერში. ამჯერად გვაინტერესებს და ვეძებთ ქალს, რომელიც ოჯახებში დადის დასალაგებლად ან, სულაც, შინამოსამსახურეობას სთავაზიობს. ვერა პეტროვნად აცნობს თავს და მის გარეგნობაში მთავარი ნიშანია კუზი.

— მერედა, ამ საწყალ, ბუნებისგან დაჩაგრულ ქალს რა კავშირი აქვს ამ საქმესთან! — აღმფოთებით ხმას აუწია ზრდილმა ელენემ.

— ის, რომ სწორედ ამ ბუნებისგან დაჩაგრული ქალის, როგორც თქვენ ამბობთ, სამედიცინო ანკეტაში წერია... ჰმ, დიახ ასე: „ვასერმანის თთხი ჯვარი, გუმოზური ფორმა“. კაიხანია გვემალება და მის კვალს მივყვებით. დღეს ამ კვალმა თქვენთან მოგვიყვანა. ჰმ, დიახ, თქვენი ოჯახიც და ყველა სხვა, სადაც ის ყოფილა, სამედიცინო გამოკვლევას ექვემდებარება...

ელენე სკამზე კი არ დაეშვა, დაენარცხა.

— ჩვენი ბუნება-ხასიათი ჩვენივე ბედისწერაა და ის... ის, „რაც მოგივაო“ სიბრძნეა უტყუარი, — თავდაკარგული მოთქმით ქვითინებდა.

ବ୍ୟକ୍ତିଗତ କାମଙ୍କାଜୀବି



ჩვენ ყველანი ვტოვებთ  
სამყაროს ისეთსავე სულელურს,  
როგორიც დაგვევდა.  
ვოლტერი



როცა სამუშაო დღე მთავრდებოდა და შენობა იკეტებოდა, მა-  
შინდა აიკრიფებოდა ხოლმე შინ წასასვლელად შურა. ალექსან-  
დრა ერქვა, მარა ყველა შურას ეძახდა. სახლში არავინ ელოდება  
და რა ეჩქარებაო, ამბობდნენ თანამშრომლები, თანაც ფრიად  
დაბეჯითებით. თუმცა, არაფერი იცოდნენ, მართლა ელოდა ვინ-  
მე, სად ცხოვრობდა, რა უყვარდა და რა სძულდა. პირნმინდად  
არაფერი.

განა არ აინტერესებდათ, ცხვირი ჩაეყოთ მისი ცხოვრების ამ-  
ბებში, ძალიანაც, მაგრამ მისადგომი პლატფორმა ვერა და ვერ  
გამოუნახეს. გულჩაკეტილი თუ მიუკარებელი როდი იყო შურა. პირიქით,  
სმამალლა ქოთქოთიც შეეძლო ყოველდღიურობაზე,  
სასადილოში ულუფებს ორმაგად დაილაგებდა და გემრიელა-  
დაც შეექცეოდა. კულინარიაში კაიხელა ცოდნას ამჟღავნებდა  
და დესერთ-ნამცხვრების რეცეპტებსაც გულუხვად ჩამოარი-  
გებდა.

მაგრამ მისი პერსონის შესახებ ოსტატურად შეცურებულ შე-  
კითხვებს კი, ნურას უკაცრავად, წინწკლებიანი კალმახივით მა-  
შინვე ხელიდან ისე დაუსხლტებოდა, ამბებზე მონადირეს მაღას  
მთლად წაუხდენდა.

ამ უმაღლეს სასწავლებელში ყველგან შურა იყო – შურა იქ, შურა აქ, ფიგაროსავით. კალიგრაფიით წერა შეეძლო ქართულადაც, რუსულადაც და რექტორატში გადასაწერ-გადმოსაწერზე, არიქა, შურაო. სასწავლო ნაწილში არეული ცხრილების დალაგებაზე – შურა იზამსო, უცხოელი სტუმარ-კოლეგები ჩამოვიდნენ – ალაფურშეტის გაწყობაში, შურას ვინ შეეცილებაო. და დაქროდა სართულებზე მუდამ დაუზარელი და ენერგიით სავსექალი.

დაბალწონიანი როდი იყო, პირიქით, კაბაში გამოჭედილი დიდი ბიუსტით და ჩამრგვალებული თეძოებით ცოცხლად იკითხებოდა, მარა ისე მსუბუქად მორონინე, ვითომც გრამიც არ აეკიდებინოს ზედმეტი. ახალგაზრდობაც ჩავლილი ჰქონდა და ტატით ორმოცდაათისკენ მიიჩევდა.

დიდისა თუ პატარის, ყველასთვის შურა იყო, წოდებით ბრუნვაში ქალბატონოს გარეშე. თავადაც ასე მოსწონდა თუ აწყობდა, ვერ გაიგებდი.

ისე კი, თავისი ლეგენდა რომ ჰქონდა, კარგად ჩანდა. მაგალითად, მოხუცი და ავადმყოფი დედა მისი ერთადერთი ქონება იყო. არავინ და არაფერი უნდოდა იმ ყოვლადშემკული დედის გარდა, მასზე ზრუნვა ცხოვრების მიზნად დაესახა. საგანგებოდ ჩაეკითხებოდნენ ხოლმე, დედა როგორ არისო. პასუხს არ დააყოვნებდა – იმას ენაცვალოს ჩემი თავიო.

პირსახით ქართველს არ ჩამოჰგავდა, მაგრამ გვარი ქართული ჰქონდა. რუსულენოვანმა ქართული მშვენივრად იცოდა, მარა ჩარუსულება მისი წესი იყო. დედა რუსი მყავსო, იტყოდა.

საცხოვრებლის მისამართი და ბინის ტელეფონი ვის უნდოდა, როცა იქ გაჩნდებოდა, სადაც დასჭირდებოდათ. ან პატარა ოთახ-კაბინეტში თეთრი საქალალდებით გაჭედილი სამაგალი-თოდ გაწყობილი კარადა თუ თარო მუდამ მზადყოფნაში იყო, მოთხოვნისთანავე ინფორმაცია წარედგინა ხელმძღვანელობის-თვის.

ლეგენდის მეორე ფურცელიც არსებობდა – ცხოვრებაში მხოლოდ ერთი მამაკაცის სიყვარულის ისტორია. მისთვის ყვე-

ლაფერი ვიყავი, მაგრამ ოჯახს ვერ მიატოვებდა და მეც ამაზე არ წავიდოდიო, კომენტარივით ჩაილაპარაკებდა ხოლმე.

ასე დაატარებდა კდემამოსილის ტვირთს და, აბა, რომელი კაცი აკადრებდა ავხორც ზრახვას იმ უმაღლეს სასწავლებელში? სერიოზული შემოთავაზება რამდენჯერმე ჰქონდა, მაგრამ შურა რისი შურა იქნებოდა, სიბერეში ფეხშედგმულ შინაბერა კაცების მიზანს ვერ ჩამხვდარიყო – ენერგიული და ერთგული მეურვის ანუ მომვლელის მიზანს. უარზე ამრეზილი ეს კაცები დერეფანში ჩავლილ შურას ხახამშრალები თვალს აყოლებდნენ – ასეთი სექსუალური მაინც არ იყოს ეს ოხერიო.

ლეგენდა ლეგენდად, მარა ერთი უტყუარი ამბავი მაინც არ-სებობდა შურაზე – მისი ხელმოკლეობა, ან სულაც გაჭირვებული ყოფა იმ მცირე ხელფასით, მის საბანს რომ უნდა გასწვდომოდა. ქალებს უკვირდათ, ასე როგორ უვლის ტანისამოსს, წლობით როგორ დაატარებსო. სათვალავი არეოდათ, პალტო როდინდელი ეცვა, ან კაბა, თანაც მუდამ სუფთად შენახული. ფეხსაცმელიც რომ არ ეცვითებოდა წლობით... გაკვირვებას ვერ მაღავდნენ, კუთხე-კუთხე მოჭორავეები. მისი უძველესი ტყავის ჩან-თა ხომ საარაკოდ ქცეულიყო.

– ასე იქნები, თუ პატიოსნად ცხოვრება გინდა, – ამბობდნენ მაშინ, სამოცდათიანების ხანაში, როცა ხელის გაუმრუდებლად არსებობა ძლიერს გამოდიოდა. დახლისქვეშეთისა და დეფიციტის ქვეყანაში სხვანაირებს დინოზავრეთიდან გადმოსულებივით უცქეროდნენ.

შურაც ამ სხვანაირებში გადიოდა. ამიტომაც სტუდენტობა გახვეულ-შეხვეულებს რომ დაარბენინებდა დეკანატსა თუ სასწავლო ნაწილის ოთახებში, შურასთან ყვავილებით თუ შევიდოდა საჭირო საბუთისთვის.

წლები გადიოდა და იქაური ქალების არმიიდან ვერავინ შეძლო შურას ბინაში შეღწევა.

– ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ამისთანა, – ერთმანეთს აქეზებდნენ და ცნობისწადილი ზღვარს გადასდიოდათ. ხრიკებიც

არ შველოდა საქმეს. ერთხელ, როცა ნამცხვრით მიადგნენ შურას ოთახს საღამო ხანს, წაგვიყვანე, დედა გაგვაცანიო, – წინწკლებიანმა კალმახმა ისევ აიცდინა და ხელიდან გასხლტა.

კადრების განყოფილების ინსპექტორ-ქალს პირსმელსა და უქმურს, ვინაც ვის რა ფერის ქვედა საცვალი ეცვა, ისიც იცოდა, ვერაფერი დააცდენინეს შურას ანკეტიდან.

– ემანდ ჭკუით იყავით, თავს რამე არ აუტეხოთ, – გაყინული მზერით გააფრთხილა. გაიტრუნენ. ეს ავის მომასწავებელი მზერა რომ ყველას და ყოველივეს ინიშნავდა, კარგად იცოდნენ და მორჩილად გაიკრიფნენ ოთახიდან. ბოლოს, როგორც იქნა, მოჰბეზრდათ და ქექვა-ჩხრეკის ქადილიც გაუნელდათ.

სასწავლო წელი დასასრულისკენ მიდიოდა და მისაღები გამოცდების რიავ-რიავი მალე დაიწყებოდა. ქაღალდ-ცნობების გადამუშავების მძიმე ინდუსტრიას გაჩვეულად უნდა ემუშავა, ათიათასობით სწავლაზე გულანთებული აბიტურიენტისთვის განათლების გზის გასახსნელად.

ეს გზა კი თავის მიხვეულ-მოხვეულებით მოყავისფრო თუ მონაცრისფრო დერმატინისყდიანი წიგნაკ-დიპლომით უთუოდ დასრულდებოდა და განათლებასაც ეგრევე ხელს ჩავლებდნენ.

წიგნაკ-დიპლომი გასავლისა და შემოსავლის დიდ ბორბალს ატრიალებდა პატარა ქვეყანაში – უდიპლომო არც სასიძო, არც სასძლო და საერთოდ არაფერი იარსებებდა. პოდა, მსხვილდებოდა რეპეტიტორ-მომზადებლების კორპორაციები, მისაღებ კომისიებში ჩართულების ფარული ორდენები, პირდაპირ თუ ირიბ მაშვალთა რაზმები, წვრილ-წვრილი ხელის გამკრავები და ასე უსაშველოდ.

პროტექციონიზმი კაიხნის ყავლგასული რამ შეიქნა, ახლა დღის წესრიგს მხოლოდ „ქეში“ ამოძრავებდა. თვალს ლიბრი გადაჰკვროდა თითქოს ერსა და ბერს, თეთრი და შავი ერთიანად აბურდულიყო, კალაპოტი მოშლილიყო და ზნეობა მიწყივ გადიოდა საზღვრებიდან.

დაზვინულ სუფრაზე რიხით ისმებოდა სამშობლოს სადღეგრძელო, გუშინ „მატრიკულში“ ჩადებული წითელი ასიგნაციებით

ჩათვლა-გამოცდის კონვეიერის მომწყობებისგან და მისაღებზე „ტაქსას“ რომ ადგენდნენ, იმათგან.

ამ დაძაბუნებულ ცნობიერებას ციცერონის „ვაჲ, დრონი, ვაჲ, ჩვეულებანი“ „O tempora, o mores“ გამაყრუებელი შეძახილიც ვერ მისწვდებოდა სრული დაცემის უსიერ ტყეში ჩაკარგულებს.

უმაღლესი სასწავლებელი ელიტარულ და პლებეურ ფენად იყოფოდა და მაზანდაც ამის მიხედვით ლაგდებოდა. იმათში მაღალ სატელეფონო ხაზთან მიერთებული და დევებთან გარიგებული ერთი ინსტიტუტი მაინც გამორჩეულად ყოვლისშემძლეობდა და ლამის იმპერატორობდა კიდეც ქვეყანაში, საცა ექიმობა დიდად ეპრესტიულებოდათ.

დაბლებში ფულის ნიშანი ბევრად იკლებდა, მაგრამ მთავარი ხომ დიპლომი იყო, მევენახეობისა თუ მეცნოველეობისა, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. ცუდი ამბები უზონავდა, ვაი, უბედურებავ, დედა-უნივერსიტეტიდანაც, თავის მოსაკლავი.

მერე მამულიშვილმა, „წითელი ინტელიგენცია“ ვნებს ქვეყანასო, როცა ხმამაღლა სთევა, რაომ — ყალყზე შედგა ის, ეგეც შენაო და დასცხო, მოგუდა ერისკაცების ხმა. ეს კი არა და, „უქარქაშო ხმლებმაც“ — დროის საყვირმა, ბოლმის ნამწვი იმანაც შეისუნთქა და ისიც დაეძგერა...

მისაღებ გამოცდებს წინ უძლოდა სხვადასხვა წესით პროცესების დალაგება — შენობა ისე იკეტებოდა, როგორც ციტადელი შემოსევებისგან და ადრევე შერჩეულ თანამშრომელთა მხოლოდ მცირე ჯგუფს შეეძლო იქ შესვლა-გამოსვლა. შიგნით კი დუღდა საქმე — კომისიის წევრების პერსონალური დაწყობა ანონიმურად, თუმცა გარე სამყაროში იმათი გვარ-სახელი უკვე გაუონილიყო და გაცხოველებული სირბილი გარეთ უფრო იყო, ვიდრე იმ დაგმანულ ციტადელში.

ასეთი სურათი ეფინებოდა ყველა სასწავლებელს და შურას-თანაც სხვაგვარ რატომ იქნებოდა? თვითონ შურა, როგორც წესი, შენობაში მოტრიალებს ექუთვნოდა და ამნაირი უპირატესობა არც არასდროს ჩამორთმევია — უკეთეს მომწესრიგებელს სად იპოვიდნენ, ენერგიულს, პატიოსანსა და სანდოს.

სასწავლო წელი ბოლო დღეებს ითვლიდა და ვნებათალელვის მაღალძაბვიანი ხაზი ეს-ესაა უნდა გაჭიმულიყო. ადმინისტრაციული სართულის დაელექტრონებულ დერეფნებში ერთბაშად ხმა გავარდა მეხივით: შურას განცხადება დაუწერია სამსახურიდან წასვლაზეო. ვინ დაიჯერებდა? ოთახებში მირბოდ-მორბოდნენ ჭორ-მართლის დასადგენად.

ყოვლისმცოდნე ბუღალტერიაში ჩურჩულებდნენ, „იქაური“ კურატორი და უქმური კადრებში შეკეტილან და დიდხანს არ გამოსულანო. ისიც დაუნახავთ, როგორ გამოლასლასებულა პრო-რექტორის კაბინეტიდან ალმოკიდებული სახით შურა და უჩუმრად გამქრალა შენობიდან.

ამაზე მეტი მასალა აღარ მოიპოვებოდა მომხდარის სრული დასურათებისთვის და, მიუხედავად ძალისხმევისა, ასე ბუნდოვნად მინავლდა მართლაცდა საარაკო ამბავი.

მისალებმა გამოცდებმაც ჩაიარა, ახალმა სასწავლო წელმა სადარბაზოს კარიც გახსნა, მაგრამ შურას ფეხისკვალიც წაშლილიყო და იმისი სახსენებელიც. ოთახში ახლა ვიღაც ყმანვილ-კაცი აწესრიგებდა თეთრ საქაღალდეებს, ახალი გზებითა და ამაღლებული მისწრაფებებით.

მაღე დერეფნებში ჰაერი ვადაგასული რძესავით აიჭრა – თუ გაიგეთ, პრორექტორს განცხადება დაუწერია წასვლაზეო. იმასაც.

კადრების უქმურს ტორტი მოუტანია ბუღალტერიაში ახალ-მიღებული ოროთახიანის აღსანიშნავადო. ცოტა ითმინა განა ქართლიდან ჩამოსულმა ჯერ ნაქირავებ, მერე ერთოთახიანში ძლივს დატეულმა და, როგორც იქნა, წელში გაიმართა ეს მუხლჩაუხრელი მშრომელი...

ერთ წყნარ ქუჩაზე სამსადარბაზოიან კორპუსში მეზობლური მისვლა-მოსვლით დიდად ვერ დაიკვეხიდნენ. თავ-თავიანთ ცხოვრებაში შეკეტილებს არც ამის დრო ჰქონდათ და არც სურვილი. საგანგებო რამ თუ მოხდებოდა, კარს მაშინ მიუკაუნებდნენ ერთმანეთს და ზოგ-ზოგჯერ სადარბაზოს ბაქანზე პირის-

პირ შეხვედრისას ზერელედ მოიკითხავდნენ. მცხოვრებლებს შორის ერთი ქალი გამოირჩეოდა ჩარაზულ-ჩაკეტილობით. წლობით არავინ შესულა მასთან და თავადაც არავის შეხმიანებია.

მარტოხელაა, არავინ ჰყავს, ჩანს, მთელი დღე სამუშაოზეაო, უთქვამთ ბაქანზე კარის მეზობლებს და იმის ვინაობას არც ჩასძიებიან. შურას კარი, მართლაცდა, არასოდეს გალებულა არავისთვის – ნათესავი არ ჰყავდა, არც მეგობარი და მეზობლებს ზღურბლიც არ გადმოუბიჯებიათ მისი. შენიშნული კი ჰქონდათ ხელმოკლე ქალის ღარიბული ჩაცმულობა, წლობით ნაცვეთი ტანისამოსი. მეტი არაფერი.

კაიხნის გაუხსნელ კარს არც ამჯერად მიაქცევდნენ ყურადღებას, ახალი დამლაგებლის ფული რომ არ ჰქონოდათ შესაგროვებელი. ზედიზედ ორჯერ მოსული გოგო დიდხანს აჭერდა თითს ზარს, მარა ამაოდ. მერე მეზობელს შესჩივლა, ორი დღეა კარს არ მიღებსო. ის მეზობელი ჩაფიქრდა, რაღაც სჭირს ალბათ, ბოლო ხანს სახლიდან არ გამოსულა, ჩანს, სამუშაოზეც აღარ დადიოდაო.

როცა ქმარი მიუშვა კარის გასახსნელად და ბევრი კირკიტით იმანაც რაღაც ხელსაწყოთი შეაღო, დამლაგებელსა და შუახნის მეზობელ ქალს მესამეც შეუერთდა, უფრო ახალგაზრდა და აქტიური.

დარიბი, მაგრამ გაკრიალებული დერეფანი გამრჯე დიასახლისზე მეტყველებდა. ქალებმა ოთახს მიაშურეს, კარი შეაღეს და გაშეშდნენ – მდიდრულად მორთულ-გაწყობილი დიდი ოთახი, მუზეუმს რომ ჰყავდა, ანტიკვარიატის პროფესიული უბადლო ცოდნით იწონებდა თავს.

ჩიპინდეილის შავი ხის ინგლისურ სერვანდს სევრის მოოქრული ფაიფური აკიაფებდა, კომპოზიციით შემკული ვენეციური საათები, შპიატრის შავი მეტალის კენტავრებზე შედგმული ლამპები, ამპირის სტილის მაღალფეხიანი ბრინჯაოს შანდლები წარსულის მაღალ ესთეტიკას გიზიარებდა.

კედლებს ამშვენებდა ვეჯვუდის ცისფერ-თეთრბარელიფი-ანი თეფშებისა და მედალიონების მთელი წყება, ბაროკოს კედ-ლის მძიმე თაროზე ზღაპრის წიაღს მიაგავდა ფაბერუეს ვერ-ცხლის არშიებში ჩასმული ფაიფურის კვერცხების ექსპოზიცია. ჭერიდან ჩამოშვებული ვენეციური ფერადი მინის ფანტაზია-ჭა-ლი ოთახს ერთ ჯადოსნურ სივრცედ ჰქონდა.

კუთხეში მიდგმულ ბლიუტნერის როიალს გამოეფინა როკო-კოს სტილის დიდი და პატარა ლარნაკები, ფაიფურის ფიგურები.

ჯერ კიდევ გონისვერმოსულებმა მხოლოდ ახლა დაინახეს ქა-ლი, იატაკზე რომ ეგდო. მძიმედ სუნთქვედა და ლია თვალებში ჩამდგარი უილაჯო გამოხედვით, თითქოს რაღაცის თქმა უნ-დოდა.

ასე ეგდო დამბლადაცემული შურა და საკუთარ ეშაფოტს შავნალვლიანად შეჰყურებდა. იქ სამი ქალი-ჯალათი ტრიალებ-და. აგერ, სანამებელ ფიცარნაგზე წითელი ქსოვილი გადაე-ფარებინათ, ზედ თვითონ შეეგდოთ და ოთხად დანაწევრებას უპირებდნენ, შუა საუკუნეების მოედნებზე რომ ხდებოდა, ისე. განძრევა არ შეეძლო, არც დაყვირება. მზერა შერჩენოდა მხო-ლოდ იმისთვის, რომ ეშაფოტის ჯოჯოხეთი საკუთარი თვალით დაენახა.

ჯერ ერთი მხარე დაუნაწევრეს, მერე მეორე, მესამე და, რო-ცა ჭალი-ფანტაზია ჩამოიხსნა, მეოთხეთი დაასრულეს.

მაინც ცოცხალი იყო.

ყურს ესმოდა, როგორ ემუქრებოდნენ ერთმანეთს ის სამნი, კბილებით იცავდნენ საზღაპროდ ნაშოვნ თავ-თავის წილს, ის სამნი ჭკუააშლილები.

თავის ქალას შემონახულ კუნჭულებში ნაცრისფერი ნივთიე-რება დაცინვითა და ზიზღით ზემოდან ეთამაშებოდა გახევებულ კუნძადქცეულ სხეულს – ორმაგად ცხოვრობდი, თვალთმაქცობ-დი, ცრუობდი, ჯამბაზობდი – ზემოდან ეჩურჩულებოდა შურას.

მხოლოდ დილის სისხამზე გამოძახებულმა სასწრაფომ, გა-დაყვანა არ შეიძლებაო და იქვე საწოლში გაამწესა. უკვე მკვდა-რი, მაგრამ ცოცხალი შურა.

— ეშველება რამე, თუ მალე სულს დალევს? — იკითხა სამიდან ერთმა.

— ვინ იცის, ასეთ ყოფაში შეიძლება წლობით გააგრძელოს. ახლობელი თუ ჰყავს ვინმე?

— არავინ. არც არავინ ჰყოლია. აქ სრულიად მარტო ცხოვ-რობდა.

— მაშინ მომვლელი უნდა აიყვანოთ, — უპასუხეს და წავიდნენ.

როცა გატანილ-გაფცევნილ ბინაში სამიდან იმ აქტიურმა ერთმა ფეხი აითრია და დარჩა, ჯერ შურას, მკვდარს, მაგრამ ცოცხალს, გესლიანი ღიმილით დახედა, მერე ჩაკეტილი გარდე-რობის კარი დანით მშვიდად გამოაღო და ჩაათვალიერა: კოხტად ამოკერილი მიტკლის სარჩულებიდან ძვირფასი ქურქები მოჩან-და — შავი და ვერცხლისფერი კრავეულის, ნუტრიისა თუ წავის...

ცხოვრება ფეხდაფეხ გეშით მისდევს სურვილების კუზიან დროს არარას სიცარიელისკენ.

P.S. „თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დატოვეთ ყველა“.

დანტე, „ღვთაებრივი კომედია“



Ճաքասան ՀՀ ՀՀ



აშმორდა გუბე, მაგრამ მძაფრი საათი რეკავს.

გალაკტიონი



რატომ ჩადგეს სკოლის ეს შენობა ქუჩისკენ ზურგშექცეულად, გაუგებარი დარჩა მაშინ, როცა ქალაქში დანარჩენი ყველა ფასადითა და მთავარი შესასვლელით ქუჩისპირს იყო და წინ სავალი ტროტუარით მოძრავ ალაგას გამოსაჩენად იდგა.

ის უცნაურად ზურგშექცეული კი დაუგეგმავი დაფეხვილი საცხოვრებელი პატარა სახლებით შემორკალული, ქალაქის ცენტრში, მაგრამ მისგან თითქოს მოწყვეტილი, ასრულებდა თავის დანიშნულებას. ჯერ ამ კერძო სახლებთან მოზიარე ეზოში უნდა შესულიყავი, მთავარი შესასვლელისკენ წრიულად უნდა მოგევლო და მერე შიგნით აღმოჩნდებოდი. ისე კი, შენობა მაშინდელი სტანდარტით ოთხსართულიანი, ვესტიბიულიანი და ფართოკიბიანი იყო.

იმ დილით მშობელი-დედების პატარა ჯგუფმა ეზოდან წრიულად შემოუარა და სკოლის დირექტორის კაბინეტისკენ გაემურა. დირექტორი ლირსდირექტორი იყო რუსული სახელით სვეტლანა და მეგრული გვარით. ხმის აწევით მოლაპარაკე ის არავის უნახავს – ორი სიტყვა და საქმე მზად იყო. მასწავლებელთა კოლექტივი ისეთივე შიშნარევი რიდით უყურებდა, როგორითაც უფროსკლასელები.

ახლა სწორედ დირექტორ სვეტლანასთან შესახვედრად კარგად მომზადებული მშობლები კაბინეტის კართან შეყოვნდნენ. მერე ამათგან უფრო თამამმა კარზე დააკავუნა. შემოსვლაზე შიგნიდან ხმამ ნება დართო და შელაგდნენ. დასხდნენ. მაგრამ შეთანხმებით პირველს დაწყება რომ გაუჭირდა, მეორემ, იმ თამამმა, იდო თავს.

– პატივცემულო სვეტლანა, ჩვენი მოსვლის მიზეზი ისაა, რომ სკოლის ეზოში ვიღაც ანანისტი აშინებს ბავშვებს, ჩვენს გოგონებს.

– ექსიბიციონისტი, – მკაცრად შეუსწორა საკითხის მცოდნე სხვა დედამ.

– დიახ, იცით, ის შუახნის კაცია. ეზოს კუნჭულებიდან მოულოდნელად გოგონებს წინ აეტუზება და ვისაც თვალს დაადგამს, გამომყევი, რაღაც უნდა გაჩვენოო. უმცროსკლასელებმა უფროსკლასელებს უამბეს და როცა „ის ძალიან საშიში კაციაო“, იმათ უპასუხეს, მერე დედებთან მოიტანეს ამბავი. გვეშინია და ახლა მარტოს ვერ ვუშვებთ სახლიდან, ორ ნაბიჯზეც კი. ქალთა სხვა სკოლებშიც, თურმე, ასეთები დაიძურნებიან.

დირექტორმა სვეტლანამ ისმინა, კოპები შეკრა, ისედაც სულ კოპებშეკრულმა და... მივხედავთო ამას, მოკლედ მოჭრა. მერე ფეხზე წამოდგა – აუდიენცია დამთავრებულიყო.

მას შემდეგ სკოლაში სილამაზით გამორჩეულ თეკლას მარტო დედიკო კი არა, ბებიაც თან დაჲყვებოდა – მოიყვანდნენ და მერე მოაკითხავდნენ ხოლმე წასაყვანად. თეკლას კი ეზოში გასვლა აუკრძალეს.

სულ მალე კარგად შესამალ ეზოს მოხვეულებში იმ „საშიშმა კაცმა“, ჩანს, გულმოდგინედ დამთვალიერებელი ფორმიანი მილიციელი დროზე შენიშნა და იქიდან ფეხი ამოიკვეთა, გაქრა ეგზომ მიმზიდველი ასპარეზიდან.

იმ წლებში თბილისში, ეგრეთ წოდებულ, „ქალთა სკოლებსა“ და „ვაჟთა სკოლებს“ ჯერ კიდევ ცალ-ცალკე ამთავრებდნენ და მხოლოდ უმაღლესებში ერთიანდებოდნენ. შემდგომ-

ში დაშორიშორებული „ქალთა“ და „ვაჟთა“ შეაერთეს ბუნების კანონისამებრ და ამათი „პოლარიზაცია“ სრული „ალიანსით“ დასრულდა. დღეს, როგორც იტყოდნენ, ეს იყო გენდერული სიბეჭე და მეტიც, დისკრიმინაცია, რაც, ცხადია, სავსებით ლოგიკურად უნდა გამოსწორებულიყო.

თეკლას კლასი ჯერ კიდევ „ქალთას“ ეკუთვნოდა და, ბუნებრივია, იქიდან გოგონების ყურის წამლები ურიამული ისმოდა მაღალ და წვრილ ხმაზე. თუმცა, ყველა როდი ურიამულობდა, ცრემლიანი სლუკუნიც ხშირი იყო და ბრაზიანი შეძახილებიც. თეკლა არც ერთს ეკუთვნოდა და არც მეორეს, მუდამ მშვიდი და კეთილად მომზირალი.

მაშინაც კი, როცა დღენიადაგ დაღვრემილი მარგო და მისი ხელის გოგო ანჩხლი ნათელა თეკლას სიმშვიდის დარღვევას ცდილობდნენ ასატირებლად, მიზანს ვერ აღწევდნენ. არადა, რას არ მოიფიქრებდნენ ამისთვის. მიზეზიც ხომ ბევრი ჰქონდათ – თეკლას თვალმშვენიერება, ნიჭიერება და აღზრდილობა, გამაღიზიანებელი წიგნიერება და წვდომის უნარი.

სამუალო ტანის გამხდარ შავგვრემან მარგოს სულს უმწარებდა პირველობის წადილი, სხვებზე მაღლა დგომის ჭია შესჩენოდა, შიგნიდან ხრავდა თითქოს. ღიმილი წაშლოდა სახეზე ამ პატარა გოგოს, პირქუში გადაჰკვროდა. თითქოს ყნოსვით ეძებდა სუსტს, რაღაცით დაჩაგრულს და პოულობდა კიდეც. ბავშვებში ხომ სუსტი საკმაოდ იყვნენ, აგრე მეწალის გოგო ცისანა, გულკეთილი და შემკრთალი, მისი პირველი ნადავლი გამხდარიყო. გაკვეთილზე თუ დასვენებაზე გესლიანი დაცინვით ტანჯავდა – შე, ჩერჩეტო ოროსანო, მამაშენმა ამ კვირაში რამდენი ტუფლი დააპაჩინკაო და გამოქანებულ ხელს თავში ჩაჰურავდა.

იგემა მარგომ მოძალადის პირველი კმაყოფილება და რაღა შეაჩერებდა. დამცირების ძალას ჩაუხვდა, ბასრად რომ სჭრიდა და აბეჩავებდა ატირებულ მსხვერპლს. ამას უკვე ხელის მოქნევაც დაამატა. როცა ჩაგვრის სხვა ხრიკიც მოიპოვა, მოქმედება ისე გაშალა, რომ გაჯგიმული მრისხანედ დაიარებოდა კლასში. მძიმე ნაბიჯიც სხვანაირი ჰქონდა, ბავშვისას არ ჰგავდა.

თავად უნიჭო როდი იყო. დაფასთან გამოძახებული არითმეტი იკულ ამოცანებს თავდაჯერებით ამოხსნიდა და ქებასაც იმსახურებდა. მაგრამ ეს ცოტა იყო თითქოს ნადავლზე დაგეშილი გოგოსთვის. ახლა უკვე სუსტები კი არა, გამორჩეულები ამოიღო მიზანში, საკუთარი ნებისძალის გამოსაცდელად და აშლილი სურვილის დასაცხრომად.

დღის ბოლო ზარი არ უყვარდა, სახლში უნდა წასულიყო და ამიტომ. აქ, კლასში ფეხმოკიდებული, შინ თავს დაკარგულად გრძნობდა. საკმაო იყო პატარა ეზოში შესულიყო და გასაღებით კარი გაეღო, მაშინვე იქაურობის სიძულვილი იპყრობდა.

ო, როგორ არ უნდოდა მიწისპირა ქოხმახი სახლის გაჭვარტლულ შუშაბანდში შესვლა და უფანჯრო ბნელ ოთახში ჭერზე ჩამომვებულ გაფშეკილ მავთულზე შიშველი ნათურის ანთება. კედელთან რკინის სანოლების და შუაში დურგლის ნაჩორკნ ოთხკუთხა მაგიდასთან მიწყობილი ოთხი სკამის დანახვა, სიღრმეში კი ტანსაცმლის კარადის გაშალაშინებულ კარებს ვერ იტანდა.

შუშაბანდი უარესი იყო. ტუმბაზე დადგმული „კერასინკა“ შავად აბოლდებოდა ხოლმე და ახრჩოლებდა იქაურობას. როგორ სძულდა შუშაბანდის ერთი სარკმლის თუნუქის ამონაჭერში გაყოფილი თუნუქისვე „ფეჩის“ მილი, გარეთ რომ გაჰქონდა დამწვარი შეშის გამონაბოლი.

ეზოს შუაგულში აგურით ამოყვანილ, მუდამ გალიბულ ონკანს სარეცხს რომ შეუდგამდნენ მეზობლის ქალები, ოთახში ჩაიკეტებოდა. ასეთივე საცხოვრებლით მორკალურ ეზოს ერთი საერთო საპირფარეშო „თურქული“ ჩასაცუცქით სიცოცხლეს უწამლავდა გოგოს და მზად იყო გადაეწვა ყველა და ყველაფერი.

მისი სული შიგნიდან თავად ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრებდა და შურისგებისკენ უხმობდა. ნება კერკეტი ჰქონდა, მაგრამ საით უნდა გაეწია, რა გზით ევლო, როგორ უნდა სცოდნოდა ჯერ კიდევ ბავშვს, ან კი ვის უნდა ესწავლებინა. მარტოობისა და გარიყულობის მთელი სისასტიკე ადრევე აირეკლა მისი ბუნების სარკეში, ადრევე იგრძნო მისი დაუნდობელი სახრე.

ახლაც, სახლში მოსულმა, კედელს მიმაგრებული შავი თეფუ-შისმაგვარი რადიომაუწყებელი ჩართო და დროის გასაგებად მი-აყურადა. დროს რადიო ჰქარნახობდა. დედა, საღამოს ბრუნდე-ბოდა, სართავი ფაბრიკის მუშა-ქალი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ადრე დაბერებულს რომ ჰგავდა. წელში გამწყვეტმა შრომამ სვე-გაწბილებულის სახე გაუხარელ ცხოვრებაზე გადაშლილ წიგნს დაუმგვანა.

**რადიოდან მგზნებარე მუსიკამ მარგო გააღიზიანა.**

— მე რატომ არავინ მაკითხავს სკოლაში, ყველას პატრონი ჰყავს და მე კი არავინ. იმ უვარგის გოგოებს მშობლები დასდე-ვენ. აგერ თეკლას დედაც და ბებიაც ორივე თან ჰყვება, მე კი... ჩემზე უკეთესი რითაა, მე რატომ ასე, რატომ? — გულის სიღ-რმემდე ჩასულმა წყენამ მაინც ვერ აატირა. ამ პატარა გოგოს სულში, სადღაც შიგნით კოცონის ნაპერნკალმა გაჰკრა და ფა-რულმა ქადილმა თითქოს უფრო გააკაშა: მაგათ ვუჩვენებ ყვე-ლას.

ნაშუადლევი კარგა გადასულიყო და დილიდან არაფერი ეჭა-მა. წინა საღამოს გამზადებულ სადილს დედა ქვაბით მაგიდაზე უტოვებდა გასაცხელებლად. შვილს გაუთოობული ფორმის კა-ბისა და გახამებული თეთრი საყელოს გარეშე არ გაუშვებდა, დაკემსილსაც დამალავდა და გაცვეთილ ფეხსაცმელსაც გაუპ-რიალებდა.

ახლა ქვაბი ცარიელი დახვდა. ასე ხდებოდა ყოველთვის, რო-ცა დედას სარეცხი და დაგროვებული საქმე ჰქონდა და ვეღარ ასწრებდა. პურითა და ყველით მოიკლა შიმშილი, არადა, კატ-ლეტი და სოსისი როგორ ენატრებოდა! გამოსავალზე ჩაფიქრე-ბულმა მარგომ რაღაც დაგეგმა, — სწორედ ასე მოვაგვარებო. დაგეგმილს კი უპირობოდ შეისრულებდა.

იმ დღეს საკონტროლო წერა იყო კლასში და გოგონები ფა-ციფუცობდნენ. დასვენებაზე ლოცებლაჟლაჟა გულიკო მარგომ დერეფნის კუთხეში გაიყვანა და მისი ჩანთიდან ოსტატურად ამოცლილი „შპარგალკა“ ცხვირნინ დაუტრიალა.

— აგრე, ხედავ, ვერ გადაწერ და ვერც დედაშენისგან დაბმული მასწავლებელი გიშველის.

ლოქო გულიკოს ლოყები აუცანცალდა.

— დღეიდან ყოველდღე ბუფეტიდან კატლეტსა და სოსისს გამოიტან და თუ სიტყვა დაგცდა, დირექტორს ეცოდინება თქვენი „ლამაზი“ ამბები.

იმ დღიდან კატლეტი და სოსისი მარგოს არ მონატრებია და შინ დაბრუნებულს ცარიელ ქვაზე გული არ დასწყვეტია.

მარგოს უცნაური ნაბიჯები დღითიდლე მძიმდებოდა. უკვე დედის კოურიანმა ხელებმაც მიახვედრა, რომ გადათხრილ გზაზე გადასვლას კოურიანი ხელი სულაც არ დასჭირდებოდა, თუკი პირდაპირს აირიდებდა და შემოვლითს იპოვიდა. გონება-გამჭრიახი ახლა დაოსტატებასა და ნების ვარჯიშში უნდა განაფულიყო.

გუმანით იგრძნო და მის დაკვირვებულ თვალსაც არ გამორჩენია მონდომებული ფუსფუსი იქ, საიდანაც შემოვლითით მოსწორებული უკოურო სავალი იწყებოდა.

პიონერთა ოთახს მიადგა, მგზნებარე აქტივისტებს გადააბიჯა და სკოლის პიონერხელმძღვანელის, სსრკ-ის ისტორიის მასწავლებლის ერთგულმა ხელის გოგომ სულ მალე ფორმის კაბის სახელოზე, ესე წოდებული, რაზმის მეთაურის წითელი სამკლავური მიიკერა. ანი შეეძლო მთელი კლასის პიონერია მწკრივზე გაეწყო — „სწორდი“ და მოესმინა პატაკი „მზად ვართ“.

მან შეძლო, სრულიად მარტომ, უკანიდან წინა რიგში გაჭრა — მე ცველაფერი შემიძლია, რაც მომესურვება, — ეს გულის ზემინც იგემა იშტაზე მოსულმა გოგომ.

მაგრამ მწკრივში თეკლა არ იყო. ის პირველ მერხზე იჯდა. ვესტიბიულში გამოფენილ „ფრიადოსანთა დაფის“ შუაგულში მისი ფოტო კიაფობდა. მოსული სტუმრებისთვის საჩვენებელ გაკვეთილებზე ის ვარსკვლავობდა: ისტორიისაზე საქართველოს წარსულის ქორონიკონს აშუქებდა, რუსულისაზე პუშკინის ლექსებს ზეპირად კითხულობდა, ფრანგულისაზე ჰიუგოს ლექ-

სი „განთიადი“ – „vuasi loror, la niui, san fiui“ რომ სუფთა ფრანგულით ააჟღერა, სტუმრებმა აღტაცებული ტაში შემოჰკრეს.

ამ პატარა გოგოს მასწავლებლები, თუ არა მეტაფორით, სხვაგვარ როდი მიმართავდნენ – ჩაში ნორი, მად-მუაზელ თეკლა, ჩვენო ბულბულად მოქართულეო.

დაღვრემილი მარგო ამას ვერ იტანდა, გული ჩაუმუქდებოდა ხოლმე, ჩაუშავდებოდა, გაურკვეველი უძლურება მოეკიდებოდა გამოსავლის ძებნაში. რაღაც უთუოდ უნდა მოეფიქრებინა, რაღაც გაეწყო მოწოლილის გასაქარვებლად. საგონებელმა ერთიანად დაიპყრო და დაგესლა. გეგმის შედგენას შეუდგა…

ხუთშაბათი დღე იყო. ცქრიალა ცირამ თანაკლასელებს აუწყა, კვირას თეკლა მუსიკალური სკოლის ღია კონცერტზე უკრავს კონსერვატორიის დარბაზში და მეც უნდა დავესწრო.

მეორე დილას კლასში შემოცვენილმა გოგონებმა ხმაურით ჩანთები შავად შეღებილ პრიალა მერხების ღია უჯრებში ნაჩქარევად შეაგდეს და პირველი გაკვეთილის დაწყებამდე დარჩენილი წუთები გუშინდელი ამბებით გააყრუეს.

უცებ ჩუმმა შეკივლებამ შეაჩერა კაკანი. თავის მერხთან დაბნეული თეკლა იდგა და დიდი თითის გადახსნილი ბალიშიდან სისხლი სდიოდა, იქიდან კი შუშის წვეტიანი ნამსხვრევის ბოლო მოუჩანდა.

გოგონებმა პირველ სართულზე ექიმის ოთახში გააქანეს. ექ-თანმა, ფარფაშა დეიდა თამარმა, ნამსხვრევის ამოღება ვერ გაბედა და თეკლა ამბულატორიაში წაიყვანეს. გულის ხეთქვით იქ მისულ დედას თეკლამ:

– ზეგ კონცერტზე ვეღარ დავუკრავ, – მხოლოდ ეს შესჩივლა და მერხის უჯრაში მიმაგრებულ შუშის ნატეხზე ჩაფიქრდა.

რატომდაც გაახსენდა, ცოტა ხნით ადრე, გარშემორტყმულ კლასელებს როგორ უამბობდა გენიალობისთვის დასჯილ ნიკოლო პაგანინის ამბავს, როცა მას სცენაზე გასვლის წინ ფეხ-საცმელში ჩაყრილი შუშის ნამსხვრევებზე ტანჯვამ ხელი ვერ შეუშალა ჯადოსნურ ვიოლინოზე კონცერთის ბრწყინვალედ დასრულებაში.

ცრემლმორეულმა თეკლამ, მე ამას ხომ ვერ შევძლებო და თავის მოცარტის სონატას თითქოს გული თან გააყოლა.

რამდენიმე დღეში თეკლას დედა სასწავლო ნაწილის გამგებ დაიბარა. გაკვირვებულს მორიდებით მიმართა – თქვენი გოგონა ეზოში პიონერთა მწყობრზე არ ცხადდება და წითელ ყელსახვევსაც არ იკეთებს. არადა, „ფრიადოსნის დაფაზე“ სხვაგვარად ვერ დარჩებაო.

შინ დაბრუნებულმა, შვილი დაარიგა:

– შეეცადე, დედა გენაცვალოს, საქმე მოაგვარო, სირთულე ხომ ამაში არაფერია.

– არა, დედა, ჩემთვის რთულია. ის პიონერული ორგანიზაციის აქტივი სწავლაში ხელმოცარულებისა და შურიანი ენატანიების თავმოყრის ადგილია. ერთმანეთსაც აბეზღებენ და სხვებსაც, ულირსები. მათთან არაფერი მაკავშირებს. არც ხაზზე დავდგები და ყელსახვევსაც არ გავიკეთებ.

როცა ეს საკითხი დირექტორს სკოლის პიონერხელმძღვანელმა მოახსენა, სსრკ-ის ისტორიის მასწავლებელმა და „ფრიადოსანთა დაფის“ საკითხიც ზედ დაამატა, ღირსდირექტორმა მკაცრად მოუჭრა – მეორეჯერ აღარ გავიგონო საამაყო მოსწავლეზე ამგვარი ლაპარაკიო.

მარგოს ჩახლართულმა ხელწერამ ამჯერად ვერ ივარგა. სამაგიეროდ, უკვე მოგვიანებით, როცა კომკავშირში დამტკიცების კომისიამ სიები განიხილა, იმ სიებში თეკლას გვარი „გამორჩენილიყო“. ასე რომ, ბოროტი კეთილზე მოექცა და „მანდატ-სამკერდე ნიშანს“ სამუდამოდ ასე გადაურჩა, მისდა გასახარად, თეკლა.

დღე დღეს მისდევდა, წელიწადი წელიწადს. კლასის ბავშვები მოზარდებად იქცნენ, „ვაჟთა“ „ქალთას“ შემოუერთდა და ასე შეიკრა მომავლის თაობა. რას შესძლებდნენ ხვალინდელისთვის ისინი, ათეული წლები გამოაჩენდა მხოლოდ.

ახლა კი, გოგონებს თმის ვარცხნილობა ადარდებდათ და საძულველი ფორმა-კაბის მოშორება. ბიჭები თავ-თავისთვის ინიშნავდნენ იმას, ვინც სხვა სკოლის „მომხვდურისგან“ უნდა დაეც-

ვათ. მოკლედ, გოგონები ქალიშვილობდნენ, ბიჭები ვაჟკაცობდნენ. სხვანაირად არ შეიძლებოდა და ვაჟკაცებს გამძლოლი, ანუ პირველი უნდა გასჩენოდა კლასში, ის კოტე იყო. ტანადი, სახენათელი და ნება უტეხი. იმასაც თავისი უნდა მოენიშნა და თუ არა თეკლა, სხვა ვინ იქნებოდა?

მარგო ამ ვითარებაში განზე დარჩა. ბიჭები თვალს არიდებდნენ ყინულჩამდგარ გამოხედვას და უცნაურ ნაბიჯებს, რის-თვისაც „მარშის მარგო“, მას რომ არ გაეგო, ფარულად შეარქევეს. ადრე ზრდადასრულებულ გოგოს, ჩანს, უფროთხოდნენ კი-დეც.

სიმაღლეში წამოზრდილი და სახეჩაქუფრული მარგოც ზე-მოდან უყურებდა მისთვის უცხო არსებებს, სასაცილო კაცუნებად მიაჩნდა. ახლა მას ცხოვრების სათამაშო მაგიდაზე მსხვილი ფსონების დრო უახლოვდებოდა. უკან მოტოვებულ პატარა სურვილების ხანა არარად ეჩვენებოდა.

მართალია, ჰუმანიტარული საგნები არ უყვარდა, მაგრამ ბიბლიოთეკიდან ხშირად გამოჰქონდა ლექსიკონი მისთვის აუცილებელი უცხო სიტყვების – „ინტრიგა“, „შანტაჟი“, „კოალიცია“, „კომპრომისი“ და სხვათა შესამეცნებლად. ჭადრაკის დაფამაც მიიზიდა – სვლების გათვლაში აოსტატებსო. „ცხოვრების აკადემია რომ გაიარო, მზად უნდა იყო“, – ვიღაცისგან გაგონილი მოენონა და გონებაში ჩაიწერა.

სკოლის კომკავშირის პირველი აქტივისტი რაიონულ ორგანიზაციაში თავისიანებს მიუჯდა და უფროსობასთან ახლო მიჩოჩდა.

მაგრამ შინ დაბრუნებულს თავდაჯერება თითქოს ფეხქვეშ ეცლებოდა, მთლად იკარგებოდა.

ახლაც შუშაბანდში იდგა და საძულველ ეზოს გასცეკროდა ჩაფიქრებული, გალიპულ ონკანს და „თურქულის“ გაზეთილ კარებს. დედა ბოლო ხანს გატყდა და დაბერდა. ხველა ღამითაც არ ასვენებდა. ფაბრიკის ქალებმა ძალისძალით ექიმთან მიიყვანეს, რენტგენიც გადააღებინეს და „ემფიზემააო“, დაუდგინეს. ეს გა-

უგებარი სიტყვა ხშირად იხმარებოდა იქაურ ქალებში და აღარ გაჰკვირვებიათ.

მარგოს ახლა ის აწუხებდა, რომ დედა ვეღარ შეძლებდა უწინ-დებურად ზამთრისთვის შეშაზე ზრუნვას და ნაწილ-ნაწილ მოტანილის შუშაბანდის კუთხეში ჭერამდე დაწყობას. წლობით წვალობდა, სულ საკუჭნაოს ნატრობდა, მეზობლებს რომ ჰქონ-დათ მიჯრით მიწყობილ „სარაიებში“. ზამთარი ახლოვდებოდა და მარგო გამოსავალს ეძებდა. ახლა დედის მაგიერ უნდა ეზ-რუნა ბევრ რამეზე, ვინაც უყვარდა თუ ეცოდებოდა, ვერ გარ-კვეულიყო. მამა არ ახსოვდა და არც დედისგან გაუგონია იმაზე რაიმე.

ეზოს ერთ მხარეს იმნაირივე შუშაბანდიან უფანჯრო ოთახში უშვილო ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ორმოცს მიტანებული ქალი დორდადრო შეიკეტებოდა ხოლმე და კარს ფრთხილად ულებდა მოსულს. მარგოს დედა მუდამ თავს არიდებდა მოჭარტალე დე-დაკაცებს და არ უსმენდა „ფრთხილად კარის გამოლების“ გაფე-რადებულ ამბავს. მაგრამ მარგოს თვალს არაფერი გამოჰპარ-ვია. მოთვალთვალე-მიყურადებულმა კარგად იცოდა იმ მოსუ-ლისა და ქმრის წასვლის დროც.

მოხდა ისე, რომ ცოლ-ქმარს თავის დროზე „სარაიაში“ ორი საკუჭნაო გამოუყვეს, შეშასაც იქ აწყობდნენ და საოჯახო ხრონ-გიც ბლომად შეენახათ.

დილაადრიან ეზოს ონკანთან ის ქალი ტრიალებდა, როცა ხა-ლათის ჯიბეში მარგომ წერილი ჩაუდო და გაყინული მზერით – შედი, წაიკითხეო.

მეორე დღეს „სარაიას“ მოლებულ კარებში აქეთ-იქით მორ-ბენალმა ქალმა საღამოსთვის საკუჭნაო დაცლილი დაახვედრა მარგოს, ვისაც არც ბავშვობაში, არც მოზარდობისას ხუმრობა არ უყვარდა და ეს მთელმა ეზომ კარგად იცოდა…

დამთავრებამდე ბევრი რამ შეიცვალა სკოლაში. ღირსდირექ-ტორის, სვეტლანას მაგივრად ახალი ღირექტორი კაცი დანიშ-ნეს. სკოლის გარშემო დაფეხვილი საცხოვრებლები აიღეს. სივ-

რცე კი გაიშალა, მაგრამ ის შენობა კვლავინდებურად ქუჩისკენ ზურგშექცეული დარჩა. საპირფარეშო მხოლოდ პირველ სართულზე რომ იყო და მუდამ ქლორით გადათეთრებული თურქული ფეხის ადგილი თვალებიდან ცრემლს ადენდა, ბოლო სართულზეც მოეწყო და ქლორის ნაცვლად ახლა უკვე თეთრ „უნიტაზებს“ სხვა უცრემლო ხსნარით წმენდდნენ.

თეკლას ოჯახმა ბინა შეიცვალა. ის სხვა სკოლას ამთავრებდა, მაღალი მიზნის გზაზე გასასვლელად ემზადებოდა. მარგოს დედა გარდაცვლოდა. მარტოდ დარჩენილს საძულველ ეზოში, სახელის გამოცვლა დაეგეგმა პასპორტის აღებისთანავე. მარგოს მაგივრად მედეა უნდა გამხდარიყო იმ კოხტად ჩაცმულ, მაღალქუსლებზე შემდგარ ლამაზი ქალივით, გვერდით ძელებური სახლის მაღალ სართულზე რომ ცხოვრობდა პარკეტიან, ტელეფონიან და აბაზანიან თბილ დიდ ბინაში...

\* \* \*

ვიღაცამ ითავა და ოჯახებში ტელეფონი აწკრიალდა – კლასელების შეხვედრა ეწყობაო სამი ათეული წლის აღსანიშნავად.

საქმის გამძლოლის ახალაშენებულ დიდი სახლის დარბაზულ ოთახში გრძელმა სუფრამ შუახანსმიტანებული სახეების მთელი გალერეა გამოაფინა. ჯერ შეძახილები აგორდა

- ბიჭო, ილო, შენ ხარ?
- ცისანა, გოგო, გიცანი, შენც გულიკო.
- ნაზიკო, საუკუნე გავიდა, ხომ?
- ლალი, ღმერთო, მგონი დავბერდით.
- ვახ, შეხედე, კოტე ისევ ისეთია... და...

ერთხანს ჭრიალებდა ოთახში ჯერ კიდევ ხელუხლებელი სუფრა.

ჯიბესთან ერთად სანოვაგის შოვნის დიდი გასაჭირი იდგა ქალაქში. მაგრამ ამაღლებული სულისკვეთება რას არ იზამდა – ფულის ნიშანსაც დააბუღალტრებდა ოცდაათ კაცზე, დეფიცი-

ტის კალთისქვეშეთიდანაც რაღაც-რაღაცებს ამოაცოცებდა და გრძელი სუფრაც ისე გაიწყობოდა, უცხო ვინმე ჩასულს ათქმევინებდა: აკი, „გარდამავალში“ არიან ესენი, ანუ ასეთ „ეტაპზე“, ამათ კი რა ეტყობათ ამისიო.

საიდან და რატომ უნდა სცოდნოდა იმ ვიღაცას, რომ ოც-დაათწლიანი „გარდამავლობაც“ და მეტიც შეეძლო ამ უცნაურ ხალხს. სუფრაზე ულუფების (ანუ პორციების) ჩამოტარების გონივრულ-ცივილურ წესს არად დაგიდევდა და ორსართული-ან თეფშ-კულინარიით სწორედ რომ თვალს დაუვსებდა ავის-მთქმელს.

მანამდეც ავისმთქმელს რა გამოლევდა, ნაირ-ნაირებით ჩაზნექილ სუფრასთან კარგად გაფეშქვილებს, მერე თავის ქვეყნის პრესაში გამომცხადებლებს – ქართველებს „ტოტალურად“ არასრულფასოვნების კომპლექსი სჭირთ და იქიდან ვერც ვერა-სოდეს გამოვლენო.

მინელებული შეძახილები სიტყვის აწონ-დაწონვამ და თვალით აზომ-დაზომვამ შეცვალა. ბოლოს მაინც თეფშმა გაიტანა თავისი და პირველი სვლა ხაჭაპურს ერგო. თვალად ხაჭაპურს, მარა შინაარსით სადღაც გაპარულს. მერე სხვა რაღაცით ნი-გოზშეცვლილ ფხალეულსაც და ყველაფერს დანარჩენს ასე ამ-გვარი დაემართა.

დრო იყო ასეთი, სახე და შინაარსდაკარგული, არსობის პუ-რის მძებნელი, მოშიებულ-ჩაბნელებული, ოთხმოცდაათიანი, შოვნაზე მოთარეშე.

ეს დრო სუფრას სახეზე ეხატა გამომხატველად.

აგერ ლოყებლაჟლაჟა გულიკო, მერხზე რომ იჯდა ხოლმე გაფხორილ-დაჯერებული, საუკეთესო შალის ნაჭრიდან შეკერილ ფორმა-კაბაში, წითელი ყელსახვევით და, რატომდაც და-ფასთან ერთხელაც არგამოძახებული. მაგიერ მაღაზიის გამგე დედასთან ერთად კლასის დამრიგებელთან დროდადრო მოჭუკ-ჭუკე. ის ახლა უფრო გაფხორილიყო ხორცით და უგემურ კული-ნარიას გულგრილად გასცექეროდა, ათივე თითზე წამოცმული კარატებით.

გვერდით ნატო ეჯდა, ის ცუნცრუკა ნატო, სკოლის ყველა მოჩრდილულ კუთხეში ბიჭებს რომ ეკოცნავებოდა. გახუნებულ-ჩაჩუტული და ცხოვრებაზე გულაცრუებული ახლა უმეტყველო სახით გაყურსულიყო. გულუბრყვილო ცისანა, მეწალის გოგო, სულ რომ ტუქსავდნენ მასწავლებლები ყეყეჩი პასუხებისთვის, გაკვირვებული და ნაოჭებში ჩაბერებული თვალებით, ხმას არ იღებდა.

მარცხნივ, მაგიდას იდაყვჩამოდებული ცირა, ყველაზე ტან-დაბალი, მოცუცქენული, მაგრამ ყველაზე ცქვიტი, ქერათმიანი და მარჯვე, სხაპასხუპით ლექსების მოყვარული, არტისტული და დაუზარელი, თითქოს ასეთივე დარჩენილიყო. დაძაბული და კრიტიკულად მომზირალი ათვალიერებდა ოდესლაც კარგად შესწავლილ სახეებს და დროდადრო კოპებს შეკრავდა ხოლ-მე, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანის თქმა უნდოდა და თავს იკავებდა.

მოპირდაპირედ თეკლა იჯდა ჩაფიქრებული. ადრინდელივით ნატიფი და მშვენიერი იყო. ასაკი მას ემორჩილებოდა, სიტყვი-თა და რწმენით მუდამ მგზნებარეს. ოღონდ სევდანარევი გა-მოხედვა ბეჭდად დასმოდა. ბავშვობისდროინდელი სახეების მთელი გალერეა ღრმა ფიქრებში დაატარებდა – რა სჭირთ, რა სიცარიელეა მათ თვალებში, რა უმეტყველოა მათი სახეები, რა აწუხებთ ან თუ აწუხებთ რაიმე, ნეტავ, ასე როგორ დაიცალნენ გრძნობებისგან. ესენი შეძლებენ განა აწმყოზე ფიქრს, ან მომავ-ლის განსჯას?

ბიჭებიც რას დამსგავსებიან – ჩაკურატებულები, უაზრო სა-ხეებით. სადაა მათი მაშინდელი ყმაწვილური წადილი ვაჟკაცო-ბაზე, სამშობლოზე, წინაპრებით თავმოწონებაზე, ქალის იდე-ალსა და სიყვარულზე. ნაკვალევიც გამქრალა ამისი მათ ინერ-თულ, არაფრის მთქმელ ფიზიონომიაში, პრიმიტიულ ლაყბობა-ში, არარეალიზებულ პიროვნებაში – გული დაუმძიმდა თეკლას.

ამ ფიქრებში ვერც კი შეამჩნია, რა დაუინებით აყოლებდა თვალს მაგიდის ბოლოში ქალი, ვისი წარბშეერული მზერაც

თითქოს სწვდებოდა მის საფიქრალს და წუხილს. ეს წონით დამძიმებული, მსხვილმკლავებიანი შავგვრემანი ქალი, არავის რომ არ გამოლაპარაკებია აქამდე, მარგო იყო, „მარშის მარგოს“ რომ ეძახდნენ ბიჭები, გოროზსა და პირქუშს.

თამადად დამჯდარ კოტეს მცდელობას, რამენაირად გა-ეცოცხლებინა უსახური თავშეყრა, მომავალი არ ეწერა. არა შეჯდა მწყერი ხესაო, – გულში ბრაზობდა და ორივ მხრივ ჩა-მომსხდარ ადრე კლასელებს და ახლა მის ხელის ბიჭებს, იდაყვს გაჰკრავდა – გაინძერითო.

ახოვანი და სახენათელი კოტე კლასსა და პარალელურებშიც პირველ ბიჭად ითვლებოდა, დახვეწილი ქცევითა და წიგნიე-რებით გამორჩეული, ფიზიკურად ნაწრთობი და უტეხი ნებისა. სწავლაზე დროს დიდად არ კარგავდა და გაკვირდებოდი, ყვე-ლა საგანში თავის სათემელს როგორ ჩამოსხებდა ხოლმე. მისი სიტყვა კანონის პარაგრაფივით ჭრიდა და ირიბ გამოხედვას არავის აპატიებდა.

გოგოებისთვის მიუწვდომელი, მხოლოდ ერთს ხედავდა სამ-ყაროში, თავის პირველ სიყვარულს – თეკლას. ყველგან და ყო-ველთვის გამარჯვებული თეკლასთან მარცხდებოდა. გოგონას-თვის გაზაფხულის კვირტი ჯერ არ აფეთქებულიყო და თანაკ-ლასელ ბიჭებს ამხანაგ-მეგობრებად მიიჩნევდა მხოლოდ. არ მოსწონდა და ვერ იღებდა კოტეს ქცევას – აღტაცებულ ცქერას და სულ კუდში დევნას. არც მის პირველობას და ამით თავმოწო-ნებას იზიარებდა. კოტე თეკლასთვის კარგი ბიჭი იყო და სხვა არაფერი. საერთოდაც, თანაკლასელების „შეყვარებულობანას“ უზნეობად აფასებდა. ახლა ამ უღიმდამო გრძელ სუფრაზე მხო-ლოდ თეკლას შუქი ციმციმებდა. როდინდელი გულის ფეთქვა იგრძნო და გაკვირდა – პირველი სიყვარული დაუვიწყარიაო, – მართალი უთქვამთ.

დიდ არეულობაში გონიერადაბნეულ, ნებანართმეულ და ცო-ლების მოიმედედ დარჩენილ მოკუნტულ კაცებს კოტე ვერ და-ემგვანებოდა. ჭინჭრიანში შიშველი უკანალით ჩახოხება საჩემო

არააო – დროს მოერგო, საქმის კაცებში ჩადგა, თავისი სიტყვის პარაგრაფი აქაც მოიპოვა და მხრებგაშლილი ახოვანიც დარჩა.

კოტე წამოდგა, წამიერი დუმილით თვალი მოავლო სუფრას, თავჩაქინდრული კაცების რიგს მოწყალედ გადახედა და:

– თეკლას ვთხოვთ, გვითხრას რამე, მის მოღვაწეობაზე ხომ არაერთხელ გვსმენია.

იატაკზე დავარდნილი ჩანგლის ასალებად სკამიდან გადახრილ მარგოს გარდა, ყველა თეკლას მიაჩერდა. ის წამოდგა, მშვიდად და მოკლედ:

– „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ – ერის მამის ამ წუხილს მისივე სიტყვებით უნდა ვუპასუხოთ დღეს, სწორედ დღეს: „ჩვენმა საკუთარმა თაოსნობამ თითქმის პირველი ფეხი აიდგა, როცა ჩვენმა ქართველობამ პირველ ხმამაღლა სთქვა: კმარა, დროა ჩემს თავს მევე მოვუაროო“.

ესლა უნდოდაო და სკამიდან წამოფრინდა ქერათმიანი ცირა. სუფრის თავზე ჩამოწოლილ-ჩამოხუთული ჰაერი ახალგაზრდა კრიალა ხმამ გააპო:

„ერი გულადი, პურადი…

გზნებით მოედინებოდა ორბელიანისეული…

...სხვა საქართველო სად არის“...

ტკაცანით რაღაც გატყდა თითქოს და მკვდრეთით აღმდგარი ტაში აგრიალდა. მაგრამ არ დასცალდა, ქალების რიგიდან წამოვარდნილმა გაგულისებულმა ნათელამ სუფრას ხმამაღლა მიახალა:

– გვეყო ამდენი პატრიოტიზმები, ყელში ამოვიდა. რა უბე-დურებაა ეს ქება-დიდება წარსულის. მე, როგორც ისტორიკოსი, გეუბნებით: ის ერთი თამარის ეპოქა იყო და მორჩა, მეტი არაფერი. ის თამარიც ვენერიული დაავადებით მომკვდარა.

თეკლას ისე დაბოლმილად გახედა ისტორიკოსმა, ვერ გაარკვევდი, მეფე თამარზე გაილაშქრა თუ თეკლაზე.

– უიმე, კახპა ყოფილა? – როყიო ყეყეჩური წამოსცდა იქამდე ხმაგაკმენდილ უბირ ცისანას.

კოტეს და თეკლას მზერა გადაიკვეთა.

კოტეს ჩაქნეული ხელის მოძრაობამ – ვაი, თქვე წყალწალე-ბულებოო, გამოხატა და...

დასრულდა ესე ამბავი.

მაგრამ მთავარი ხომ შეხვედრა იყო სკოლის სამი ათეული წლის შემდეგ, ღირებულ წარსულზე ხომ უნდა ეთქვათ რაიმე, ერთმანეთისთვის გასახსენებლად. ან უკვე არსებულის საფიქ-რალ-სადარდებელზე, ანმყო-მომავალზე, საერთო ჭირსა და ბედ-ილპალზე.

მაგრამ ვერა... ვერ ააწყვეს მთავარი ხმა-სათქმელი ერთ სიმ-ზე, ერთმანეთი ვერ იპოვეს ამ ხმის მოსასმენად. დაცლილ-გამო-ლეულებს თავმოწონების ნირიც წასვლოდათ, ჩვეული თავგამო-ჩენაც გამერალიყო.

შეხვედრა მთლად გამძალებული შეიქნა აზრით, გრძნობითა და გონიებით. დრო იყო ასეთი, გასრულება რომ არ ეწერა...

და ეს მოძეზრებულ-ნაძალადევი შეხვედრაც ზოზინით დაი-შალა. უსახურმა სუფრამ დაასრულა თავისი საქმე და საბოლო-ოდ დააშორა იქ თავშეყრილები. ოთახს ტოვებდნენ ზლაზვნა-მთქნარებით, ცალ-ცალკე ეცლებოდნენ იქაურობას.

თეკლას ცირა მიუახლოვდა და გაგუდული ხმით უთხრა:

– იცი, მარგო აქამდე რაიკომის ინსტრუქტორი ყოფილა, ცენ-ტრში დიდი ბინა დაუთრევია, ფულიც უშოვია. ქმარი ადრევე გაშორებია და ერთადერთ ქალიშვილთან ცხოვრობს. სახელიც გადაურქმევია თავისთვის, მედეა გამხდარა.

– ???

– თუ იცი, მის ქალიშვილს რა ჰქვია?

– ???

– ჰო, თეკლა...

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ თანგამოყოლილი საწუხა-რით და რაც უფრო გრძელია გზა, გადასასვლელიც მატულობს. შუქნიშნიანი.

სავალი მოსწორებული მხოლოდ ალაგ-ალაგასაა, დანარჩენი ოლროჩოლროებითაა დასერილი.

იქ ფეხიც ჩაგივარდება, დაშავდები კიდეც. კისერსაც მოიტეხ. ამიტომ გიწევს ხტუნვა ხან ერთ ფეხზე, ხანაც ორივეზე. იმ თანგამოყოლილი გამოცდილებით, რასაც ბავშვობაში კლასობანას თამაშისას, მოპოვების წადილი გიკარნახებდა, გიბიძგებდა და გაოსტატებდა გზაზე გასასვლელად.

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და სავალი გზის გადასასვლელზე

ვიღაც მწვანეზე გადადის

ვიღაც წითელზე გადაირბენს და

ვიღაც ყვითელზე შეყოვნდება.

შუქნიშანს ვერ ასცდება გადასასვლელზე.



ଓঁঃ  
ঢোল



წარმატების საწინდარი ტალანტი კი არა, მისი არქონაა.

ედმუნდ ბერკი



ზოგჯერ მხატვრულად ისეთი სრულყოფილი ამბავი-ეპიზოდი ჩაიხსატება ცხოვრებაში, ვერ მიხვდები საიდან და როგორ. იმის არც სცენარისტი გეცოდინება და არც რეჟისორი. არადა, როგორ მიჰყავს ორივეს მოქმედების გამართული დრამატურგიული ხაზი, თვალნათლივ დაინახავ.

ერთმა ამგვარმა ეპიზოდმა დამარწმუნა, რომ თავად ცხოვრებაა საუკეთესო სცენარისტიც და გამოცდილი რეჟისორიც, მოქმედი პირების შემქმნელიც და გამთამაშებელი. იმის სცენას თუ მიზანსცენას სულაც არ სჭირდება ხელოვნური დინამიკურობა, ის თავად ცინცხალი ენერგიაა, სიცოცხლის ბუნებრივი ფეთქვა.

ასე შემოვლით ვიწყებ ამბავს.

საბჭოეთში შემოქმედებით ინტელიგენციას კარგად აწყობილი ცხოვრება ჰქონდა. სახელმწიფო არაფერს იშურებდა, რომ მათ ორგანიზაციებს ანუ შემოქმედებით კავშირებს – მწერლებისას, კომპოზიტორებისას, მხატვრებისას, კინემატოგრაფისტებისას ერთიანი მისწრაფებები არ დაშრეტოდათ ერთიან იდეოლოგიურ სივრცეში.

ეს „კავშირები“, ჯერ რესპუბლიკას რომ ეკუთვნოდა, მერე კი საკავშიროს, ან იქნებ პირიქით, არც მეტი, არც ნაკლები, ახდენი-

ლი სალხინებელ-სამოთხე იყო იქ განევრიანებულებისთვის. შენ ოღონდ შექმნა-წერა შეგძლებოდა ღვთისგან მოცემული და ფიანდაზებს დაგიფენდნენ.

ჯერ იყო და, პრესტიულ უბნებში პრესტიულ სახლებს უშენებდნენ არატიპური პროექტით, ცხადია, უფასოდ გასაცემად. ქალაქში პატივით რომ ახსენებდნენ „მწერლების სახლი“, „კომპოზიტორების სახლიო“, არაერთი იყო. ყველაფერ დეფიციტურზე, პირად-კერძო მანქანების ჩათვლით, საქმე არ შეყოვნდებოდა – ისიც ჩამორიგდებოდა ხოლმე წესისამებრ.

ზამთარ-ზაფხულს დასასვენებელი „შემოქმედებითი სახლები“ ზღვისპირეთისა თუ მთიანეთის გამორჩეულ ადგილებში „პოდმოსკოვიედან“ მოყოლებული სომხეთის დილიჯანის, ჩვენი სინოპისა თუ ბორჯომის დიდებული პანორამების საუფლოში, კეთილდღეობის ნამდვილი მწვერვალი იყო წევრების ოჯახების-თვისაც.

არც საზღვარგარეთული ვოიაჟები ჭირდა. სხვები თუ ლამის თავს იკლავდნენ დემოკრატიულ პოლონეთ-უნგრეთ-ჩეხოსლოვაკიაში მოსახვედრად და ადგილკომ, პარტკომ და კიდევ ვიღაცის სანქციებისთვის საბუთების გროვას წინ და უკან დაარბენინებდნენ, „კავშირის“ წევრები მშვიდად იკავებდნენ ადგილებს ინგლის-საფრანგეთ-გფრ-ს მერიდიანებზე გასასვლელად.

ამას ყველაფერს პრივილეგიები ერქვა სახელად და სინამდვილეში ასეც იყო. მართალია, პარტიულ იერარქიაში მსგავსი სიკეთეები უფრო ჭარბად ხვავდებოდა, სამაგიეროდ შემოქმედებითი პერსონებისადმი პატივისცემას, იმათ მაღალ „იმიჯს“ პარტმუშავების საეჭვო ავტორიტეტი ვერასოდეს შესწოდებოდა.

შემოქმედებითი კავშირების დედა-მისამართი მოსკოვი იყო. როცა მიღწევები რესპუბლიკურ ყრილობებზე შეჯამდებოდა, იქიდან მოსკოვის საკავშირო ფორუმს მიემართებოდა. ეს სახელმწიფო-პოლიტიკური აქტი კრემლის უმაღლეს სარიტუალო ადგილას გამართული, გეორგიევსკის დიდებული დარბაზიდან მსოფლიოს აუწყებდა საბჭოთა კულტურის, როგორც მაშინ იწერებოდა, მძლავრ მაჯისცემას.

სამოცდაათიანებიდან მოყოლებული, მანამდელი იდეოლოგიური არტახები ძალუმად მოშვებულიყო – მანდელშტამის, მიხეილ ჯავახიშვილისა თუ პასტერნაკის ან „ფორმალისტობისთვის“ კარგა გაწევებულილი, მერე კი თანამედროვეობის კლასიკოს-კომპოზიტორებად აღიარებულების ჩამონათვალში სამსხვერპლო ქვაზე ახალი სახელები აღარ ამოტვიფრულა.

უკვე არც იმპრესიონიზმისა თუ ექსპრესიონიზმის სურნელი ჰაერს აღარ წამლავდა და არც ავანგარდიზმის თავაწყვეტილობა ილანძლებოდა – შემოქმედება შეკვეცილ ფრთებს შლიდა. ჩვენი, ქართული ამ დროს წინა რიგს იყავებდა – მუსიკას, სიტყვიერებას, ეკრანს მანამდე არნახული ასპარეზი მისცემოდა, დიდი ტაშით შეგებებული.

მაგრამ ამ სალხინებელში, ემანდ სიფხიზლეს თავი არ სტკივაო, საზრუნავში დიდად არაფერი შეცვლილიყო. ქვეყნის სადარაჯოზე დღენიადაგ მორუდუნე მეთვალყურეს, ხელფასიანსა თუ უხელფასოს, რა გამოლევდა. ჰოდა, უცხოეთში გასულებს, მეტადრე კაპიტალისტურში, ის მუშაკები წამითაც არ მიატოვებდნენ. ისეთი პროფესიონალები იყვნენ საქმისა, გაკვირდებოდი.

ერთი მაღალაკადემიურად შესრულებული ამბავი არ მავიწყდება. მოსკოვის სადელებაციო ჯგუფში საქართველოდან სამნი ვიყავით, ჩვენი კომპოზიტორთა კავშირიდან წარგზავნილები. დიდ დედაქალაქში წესისამებრ ინსტრუქტაჟი ჩაგვიტარეს, ლპობის გზაზე დამდგარ კაპიტალიზმს ჩვენთვის ზიანი რომ არ მიეყენებინა, პროვოკაციაში არ გავხლართულიყავით და ასე ამგვარად.

მერედა რა, რომ ცენტებში გამოთვლილი ინგლისური ფუნტი გვქონდა ჩამორიგებული ხიდისთავის გლახასავით, ლონდონში ჩავთრინდით და ეს იყო საგანგებო მოვლენა ჩვენთვის – ფორსაიტების უბანში ვისეირნებდით, ბავშვობიდან ნანატრ შერლოკ ჰოლმსის ბეიკერ-სტრიტზე, ტაუერი და ვესტმინსტერი ხომ დიდ ისტორიაში ჩაგვეძირავდა.

ისე აუშენდათ იმათ ცხოვრება, როგორც ამ იმედებს ახდენა არ ეწერა. ჩვენ სამნი, ქართველები სასტუმროდან გარეთ რომ

გამოვიდოდით, იქვე საძაგელი ღიმილით ჯგუფის რომელიმე წევრი დაგვეღრიჯებოდა – მეც წამიყვანეთო, მარტო ხომ ვერ ვივლიო. პირველ დღეს მართლა ასე გვეგონა, მერე ნაბიჯს რომ ველარ ვდგამდით ამ „მეც წამოვალოს“ გარეშე, გავბრაზდით.

იქვე, ჰოლში მოვითათბირეთ, ცხადია, ქართულად – მიხვე-ულ-მოხვეულებში ჩავიკარგოთ და მერე ჰაიდ-პარკს მივადგე-თო. თან ჩუმად ვიცინოდით, გვდიეთ ახლა კუდში, რამდენიც გინდათო. ბევრი ვიტრიიალეთ ქუჩების გასასვლელებში, ალბათ საათზე მეტი, ფეხზე ძლივს ვიდექით და როცა გვეგონა „მუშაკს“ გზა-კვალი აერიაო, ჰაიდ-პარკის ერთ-ერთ შესასვლელს მივადე-ქით თავისუფლებით ბედნიერები.

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ცხვირწინ ატუზულ ჯგუფის წევრ ქალს კინალამ შუბლით შევასკდით. გაოგნებულებმა ახ-ლალა გავიაზრეთ, მუდამ შორიაზლოს რატომ გვედგა ხოლმე ეს მოსკოველი არარუსი ქალი, წამყვანი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერმუშაკი – მას ქართული სცოდნია, წინაპრებით სოლო-ლაკელ თბილისელს, ჩვენზე მომაგრებულ ამ გაიძვერა პროფე-სიონალ-მოკაკუნე მეცნიერს.

მაინც რამდენი ყოფილან იმ ერთ ჯგუფში – ჩაშხამებულებს აღარც ლონდონი გვინდოდა და არც ეს ვოიაჟი – ფასი დაპკარ-გვოდა ყველაფერს, შექსპირის სტრატფორდსაც და მთელ ბრი-ტანულ სიძველეებსაც. მაგრამ მთავარი და სამწუხარო ის იყო, რომ უნდობლობით განვიმსჭვალე ყველასადმი, იმ გამოჩენილი საბჭოთა შექსპიროლოგისადმიც, დიდად რომ დამიმეგობრდა და მერე იქ გადაღებული ფოტოები თბილისში გამომიგზავნა გუ-ლითადი წარწერით. სამადლობელი პასუხიც არ მიმიწერია გუ-ლალრძნილს, ჩემდა სამარცხვინოდ.

ასე ხდებოდა ყველგან და ყოველთვის. მეხსიერებაში ჩამრჩა, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიაში, ნიურნბერგში სული როგორ მოგვიწამლეს. ჩავედით თუ არა, მაშინვე „დაგვარიგეს“, საღამოს გარეთ ფეხი არ გაადგათ, ქალაქში სოდომ-გომორა იმართებაო, სარკ-ელი ადამიანის გატაცებაც მოსალოდნელია, გადასაბირებლად.

როდა, სასტუმროს ლია ფანჯარასთან ჩამომჯდარი, შევყურებდი ისტორიულ პატარა მოედანზე შექუჩებული ახალგაზრდების გვიანობამდე მუსიკით ურიამულს, ჩვენთვის უცხო სოციალურ ყოფას, პანკების გაუგებარ ფილოსოფიას და წითლად შეფერადებული მამლის თავის მსგავს ვარცხნილობას, აგრესის ნატამალიც რომ არ ჰქონდათ თურმე, თავისუფლების აგრეგამომხატველებს.

ისე კი, ჯგუფის ხელმძღვანელებს, უფრო ხშირად ცნობილ პიროვნებებს ხელი ყველაფერზე მიუწვდებოდათ – ვალუტა არ აკლდათ, დილამდე თავის ნებაზე გადაიკარგებოდნენ კიდეც და შეეძლოთ ლიმიტირებული საყიდლებით ჩემოდანი დაეძებათ.

ახლა ვინ დაიჯერებს და არგაგონილი კომიკური ასეთი შეზღუდვაც მთელი ძალით მუშაობდა საბჭოთა „ტამოჟნიაზე“ – ქალის ყვავილებიან ლამაზ ტრუსს ანუ ნიფხავს, მაშინ ჩვენში ასე სანატრელს, ხუთზე მეტს თუ „აღმოუჩენდნენ“, ჩამოართმევდნენ და პასუხსაც მოსთხოვდნენ. უფრო ამაზრზენი კი იმ ნიფხვების ჩემოდნიდან ამოფრიალება იყო ყველას თვალწინ და გადათვლა.

შავი დღე დაადგებოდათ კაცებს, ვისაც ხელი წაუცდებოდა პორნოურნალებზე. კარგად გადამალულს ამოუთრევდნენ და „პირად საქმეში“ დავიდარაბას ვერ ასცდებოდნენ, იმ „დეფიციტურ“ ცნობისმოყვარეობას თავსაც გადააყოლებდნენ. სანდო მუშაკების ბარგი არ მოწმდებოდა, იმათ შრომას ხომ გასამრჯელო ამშვენებდა.

ვერ ვიტყვი, რომ გარეგნულად ფრიად წარმომადგენლობით ჯგუფში ღირსეული პიროვნება არ მოიძებნებოდა. ამ მხრივ უფრო მეტად ბალტიისპირელები გამოირჩეოდნენ დამოუკიდებელი ქცევითა და ისეთი თავდაჭერით, იოლად რომ ვერაფერს შეჰქედავდნენ მეურვეები. მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამრჩა ლონდონში ერთ საღამოს ჰოლში შეკრებილებს, რა გაკვეთილი ჩაუტარეს.

როცა მოსკოველებმა საქართველოს ისტორიაზე რაღაც რეგ-ვნული ჩააბოდიალეს, სიტყვის თქმა დამჭირდა.

ქართველი ხალხი-მეთქი, დავინწყე და უცებ ლიტველმა ცნობილმა კომპოზიტორმა სიტყვა გამანწყვეტინა:

— რატომ ქართველი ხალხი, ასე არაა.

არ ველოდი ამ კადნიერებას.

მოკლე პაუზის შემდეგ გასუსულ თუ კმაყოფილ მოსკოველებს იმან მკაცრად გახედა და ხაზგასმული გამოთქმით განაცხადა:

— ქართველი ხალხი კი არა, ქართული რასა.

კრინტი არავის დაუძრავს. მართლა, რა დიადი ყოფილა ეროვნული ღირსების გრძნობა, მისით აღმაფრენა.

მოვინანებით გავაცნობიერე, ერთი შეხედვით ანტინომიური კითხვა — რა პრივილეგია უნდა ყოფილიყო ეს საზღვარგარეთული გასვლები — შეურაცხმყოფელი სამოქალაქო უნდობლობა შენივე სახელმწიფოსგან, თუ დამამცირებელი კაპიკები, პატივაყრილ მდგომარეობაში რომ გამყოფებდა იქაურ გარემოში, ან იქნებ სამარცხვინო თავისტეხა პატარა საჩუქრებზე ოჯახისა და მეგობრებისთვის. ეროვნულ თავმოყვარეობაზე შემოტევა, უსახურობის იძულება ხომ სულიერი დაძაბუნებისკენ გიბიძგებდა, ღირსებას გართმევდა და დაუსაზღვრელი პროტესტის შეგრძნებას გიღვივებდა.

მაშინდა ჩავწედი ერთი მეგობარი, პროტესტანტული სულისკვეთების კომპოზიტორის ნათქვამს — არასოდეს ვყოფილვარ და არც ვიქნები საზღვარგარეთული ვოიაჟების „პატივშიო“.

პრივილეგია იყო განა ყოფითს სიკეთებზე დაკიდება შემოქმედი ადამიანისთვის, ვისაც ჭეშმარიტების ძირისძირში უნდა ჩაეხედა და იქ დანახულით გატანჯულს ის ეშვა, რასაც მაღალი შემოქმედება ჰქვია. მდაბალ კეთილდღეობაზე მიღურსმულს ხომ სულის ბორგვა ეკარგება, მთვლემარე სული კი რისი შექმნელია.

უფრო მეტიც. დრო რომ დადგა დიდი არჩევანის, ისტორიაში ყოფნა-არყოფნის, ზნეობის დვრიტა იმ პრივილეგიამ მთლად ჩა-

წიხლა, გასრისა და ამით ვნებულებმა მაშინ მწვირიან სულსა და მსახვრალ ხელს გუნდრუკი უკმიეს უკანმოუხედავად, ზურგშექ-ცეულები მტარვალს მიეახლნენ ლიცლიცით, ხელის გოგო-ბიჭე-ბად დაუდგნენ ისევ პრივილეგიებისთვის.

ათასწლიანებმა იცოდნენ კარგად, რომ ზნეობა ადამიანის დემონია (ჰერაკლიტე).

მაშინ რესპუბლიკებში შემოქმედებითი თავყრილობების სტუმრობა სულ სხვა იყო. იქ ფართოდ გაღებულ კარში გებატი-ჟებოდნენ საკუთარი იერსახის საჩვენებლად თუ გამოსაჩენად. კონცერთებს, სპექტაკლებს, გამოფენებს, ეკრანს, ფოლკლო-რულ ტრადიციებს ხელისგულზე გამოჰქონდა მიღწევები, რაც განუზომელ ძალას ჰმატებდა იმათ ეროვნულ ენერგიას, ეროვ-ნულ თვითშემეცნებას.

ასეთ თავყრილობაზე მიგვიწვია უკრაინის კომპოზიტორთა კავშირმა კიევში. ჩვენსავით კეთილი დახვედრა არც იმათ აკ-ლდათ, მაგრამ ქართველებისადმი გამორჩეული გულითადობა პირთამდე ივსებოდა.

ჯერ იყო და, მაშინვე მაღალი კლასის სასტუმროში დაგვა-ბინავეს. მერე მთელ დღეზე განერილ სამუშაოს შუალედებში პატარა დარბაზში უკრაინული კულინარიით გვანებივრებდნენ – თიხის ქოთნებში გამოყვანილი განთქმული ვარენიკებითა და ბლინებით. საქვეყნოდ ცნობილ ბეზეს ტორტს „კიევურს“ კი ისე დავეძერებოდით, როგორც კომიკურ ფილმებშია ხოლმე. ჩვენი მასპინძლები დეფიციტსაც გმირულად სძლევდნენ და ხიზილა-ლასაც გვთავაზობდნენ.

შემოქმედი უკრაინელების პროფესიონალიზმი და ნიჭიერე-ბა ისე მახარებდა, როგორც საკუთარი გაგახარებს ხოლმე. ეს გრძნობა მთელი სიწრფელით გავუზიარე მეგობარ ხალხს ცენ-ტრალურ რადიოში გამოსვლით და ჩვენს საერთო მისწრაფებე-ზეც ვთქვი.

სისავსის გრძნობით დამუხტულები ვბრუნდებოდით სასტუმ-როში და დაღლილობას არად ვაგდებდით. ერთხელაც, საღამო

ხანს მისულებმა მდიდრულად გაწყობილი ჰოლის სავარძლებში მოვიკალათეთ და იქაურობას თვალი გადავავლეთ.

ჩვენებისგან ცოტა მოშორებით აღმოვჩნდი, განმარტოებულად. შემოდგომის საღამო ოქროსფრით ეფინებოდა აზიდულ ვიტრაჟებს. ლაბადა გავიძვრე და საგარეოდ გამოწყობილმა, ფეხი ფეხზე შემოვდე.

სულ მალე მოპირდაპირე სავარძლიდან მამაკაცი წამოდგა და ჩემკენ გამოემართა. მძიმენონიანმა ახოვანმა თითქმის შუახანს მიტანებულმა თავი დამიკრა და შინაურულად მომმართა:

— ძვირფასო, დაღლილი ჩანხართ, მაგრამ მშვენიერი...

ვიფიქრე, ვიღაც სხვა ქალში შევეშალე-მეთქი, მაინც უხერხულობამ მძლია და დავიბენი. დაბნეულობას იმ უცხო მამაკაცის ხმამაღალი ლაპარაკი მიძლიერებდა.

— რატომ მიცემით ისე, თითქოს არ მიცნობდეთ, ძვირფასო?

— უკაცრავად, ვიღაცაში შევეშალეთ, — მივაგებე გაბრაზებულმა.

— სულაც არა. არ მეშლებით. თქვენ კი რატომ უარყოფთ ჩემს პიროვნებას ისე, თითქოს არ მიცნობდეთ.

ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— უმჯობესი იქნება თავაზიანობას მოუხმოთ და თქვენს სავარძელს დაუბრუნდეთ.

— ასე რატომ, თქვენ ხომ გიყვარვართ და უკვე კაიხანია, რაც შემიყვარეთ, — ხმას აუწია. თუ ასე მომეჩვენა შეურაცხყოსგან გაოგნებულს, არ ვიცი.

იქ მყოფების დაძაბული სახეები დავინახე, ზოგირთი კი, მგონი, მხიარულობდა კიდეც ამ ჩვენი „დიალოგით“ და რაღაც იდუმალი სახით იღიმებოდა.

წამოვდექი, ერთი სული მქონდა, გავქცეულიყავი.

— ნუ გამირბიხართ, მშვენიერო ქალო, მაინც დამიბრუნდებით, სხვა გზა არა გაქვთ.

თავზარდაცემული ადგილზე გავშეშდი. ამაზე მეტი სირცხვილი და თავის მოჭრა ასე საჯაროდ სხვის ქვეყანაში რომელ ქართველ ქალს რგებია დღეს, მზად ვიყავი ავტირებულიყავი.

ის კი აგრძელებდა:

— თქვენ კი არა, თქვენს შვილებსაც ვუყვარვარ და თანაც ძალიან, რატომ გიკვირთ, ეს ხომ ფაქტია.

მთელი დარბაზი მე მიყურებდა, იცინოდნენ და აქა-იქ ხარხა-რებდნენ კიდევ. თვალწინ ყველაფერი დამიტრიალდა, ფეხევეშ მიწა მეცლებოდა, როცა ჩვენები მომვარდნენ და შემანჯლრიეს:

— რა გჭირს, ვერ იცანი ის განთქმული კომიკოსი ვიცინის, ნიკულინისა და მორგუნოვის სამეულიდან? ის ხომ მორგუნოვია, ვერ ხედავ?

როგორ არა, ახლაც ვხედავ კადრს საბურავივით დაწნეხილ გავაში ჩარჭობილი უზარმაზარი შპრიცი აქეთ-იქით როგორ ქანაობდა და პირქვე დაწოლილი ვეება კაცი ამას აინუნშიც არ აგდებდა. ახლაც მესმის კინოდარბაზის თავაწყვეტილი ხარხარი.

სავარძელში ჩავეშვი ძალაგამოცლილი. ჩემი სიცილი შეშლილის სიცილს ჰგავდა იმ წუთებში.

ის კი იდგა შემცბარი და ბლუყუნებდა:

— მეგონა, მიცნობდით, ოცი კილო კი დავიკელი, მაგრამ ასე შევიცვალე განა? — ხელებს შლიდა დამნაშავესავით. — მაპატიეთ, მაპატიეთ, ეს როგორ მომივიდა როლში ბრიყვულად შესულს...

მეორე დილას წასასვლელად რომ მოვემზადე, კარზე ფრთხილი კაკუნი შემომესმა. ჩვენები იქნებიან-მეთქი და გავაღე.

ზღურბლზე პოპულარული კომიკოსი იდგა ვარდების თაიგულით, ჯენტლმენურად თავდახრილი.

— კიდევ ერთხელ მაპატიეთ, ქართველო ქალბატონო.

დარბაზში გათამაშებული სცენის ავტორი, ნეტავ, ვინ უნდა ყოფილიყო ან რეჟისორი?

ცხოვრება — ყველაზე დიდი შემოქმედი და გამთამაშებელი...

ცხოვრება — იუმორესკა.



ესებოსა სიწითლითა...



კარგია ზღვა, თუ შიგ არ ჩაიხჩობიო.



— ამაზე მალლა რაღას ავალწევდი, — თავისთვის დუდუნებდა და და მძიმედ, სვენებ-სვენებით მიუყვებოდა ხის ფართო კიბეს შუახნის ქალი. ბოლომდე ჩამოშვებული ცალი ხელით მიჰქონდა სატომრე ჯვალო ტილოს ორმაგად ნაკერი ჩანთა, ორმნკრივად რომ ჩაეწყო შიგ მანვნის შუშის ქილები და რაჭამიდან შემორჩენილი წვრილყელიანი, რძით სავსე წაგრძელებული მწვანე ლიტ-რიანი ბოთლები.

სვენებ-სვენებაში გახედავდა ხოლმე გაყუჩულ ეზოს. აპრილი ის-ის იყო დამდგარიყო, მაგრამ ჩამოქუფრული, უჟმური ცა თითქოს ეზოში გამოსვლის გემოს უკარგავდა იქაურებს, იმ ეზოში, საცა თანაცხოვრების ხალისის ჰაერს წამალივით ისუნ-თქავდა და ჭირ-ვარამსაც იქ იქარვებდა.

წყნეთელმა შუშანამ, ვინ იცის, როდინდელი შეღებილი, ახლა კი კანაქერცლილი ხის ფართო კარი შეალო და დიდი შუშაბანდის იატაკზე მძიმე ჩანთა ფრთხილად დადგა. იქვე ჯირკოზე ჩამოჯ-დომა ვერ მოასწრო, რომ ოთახიდან კეთილად შემოგებებულმა ახალგაზრდა ქალმა დაუყვავა:

— დაისვენე, შუშან, რა გზა შენ გამოიარე, მუხლჩაუხრელო ქალო, ღმერთმა ჯანი მოგცეს და გამძლეობა.

— ეჱ, ჩემო თალიკო, როდემდის შევძლებ კიდევ ამ ცხოვრების გზის ტკეპნას, ვიცი რო განა.

არადა, მთლად ხანსმიტანებული როდი იყო წყნეთელი მერძევე, შუახნისაც ვერ იქნებოდა შრომით ზურგდამძიმებული ქალი, კვირაში ორჯერ მაინც რომ მიაკითხავდა ძველ ეზოს ვერაზე. იმის იქით წასვლა არ სჭირდებოდა. გულდაგულ შედედებულ, შუშის ქილას თავსმომდგარ ცხიმის სქელსაფენიან და საამო სიმჟავიან მაწონს მთელი ეზო ისე ედებოდა, ბუნდღა აღარ რჩებოდა ტილოს ჩანთაში. შუშანას რძიანი მწვანე ბოთლის გარეშე ფაფა არ იხარშებოდა, ფრიალო თეფშით ბავშვებზე მისართმევად.

სანამ თალიკოსთვის გადადებულ რძე-მაწონს ფანჯრის რაფაზე შემოდგამდა, ოთახიდან გამოფრენილი პატარა ელისო ისე ჩაეხუტა მერძევე ქალს, იმან ცრემლი ვერ დამალა.

— შენ კი გენაცვალოს შუშანა ძალუა, ჩემო ანგელოზო. რა მზიანი სახე მოგცა უფალმა. გულიც ეგრეთი გაქვს.

მერე რაღაცით სევდამორეულმა, ახალგაზრდა დედას ჩასჩურჩულა:

— ეს გოგო ღვთითმოვლენილია, განა. ჰოდა, ფხიზლად იყავ, უწმინდური არ დაადევნოს ავ-ბოროტმა თვალმა. ამნაირებზე ნადირობენ ეგენი, მაშა, — მერე სამჯერ პირჯვარი გადასწრა გოგონასა და შემურთალ დედას. იმის სახეს რომ გახედა, ნეტავ რატომ ეს ენა არ გამიხმა, ფერი დაკარგა გოგომაო.

ბუნებითა და ზნით მოკრძალებულ თალიკოს გაჩენიდან ჩიტის გული დაჲყვა და ცხოვრებამაც თითქოს ამით ისარგებლა. ადრე დაქვრივებული მისი ახალგაზრდა დედა უმწეობამ ხნით უფროსსა და ორშვილიან კაცს გააყოლა, დედით დაობლებული შვილებიც გულით მიენდვნენ კეთილშობილ ქალს, ვინც სითბოს არ აკლებდა უბედობით შექმნილ ოჯახს.

სევდიანი პატარა თალიკო მოზარდობაშიც არ შეცვლილა, ახლაც ნიადაგ ჩაფიქრებულს ბედის რისხვამ ღრუბელივით გადაუარა. დედამ მცირეხანს იავადმყოფა და მალე მიებარა მიწას,

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლამაზი ქალი. ოჯახის მამა სიტყვა-დაკარგვული დაიარებოდა თითქოს დაცარიელებულ სახლში და ვერც კი გაიაზრა, როგორ ჩაეჭიდა თალიკოს ხელს, სიბერემდე მასზე მზრუნველი და ქომაგი.

თალიკოს არსებამ ამითვე უპასუხა და „მამა, რას ინებებო“, სულით ბოლომდე უერთგულა. მერე, როცა თალიკომ საკუთარი ოჯახი შექმნა, უსაყვარლეს ბაბუას ჩახუტებული ელისო ეტყოდა ხოლმე:

— ბაბუ, როცა თქვენ ისადილებთ, ტახტს გაგიმზადებენ, მე დაგელოდებით. ოღონდ მერე ხომ მიამბობთ თეთრ რაშ ჯეორანზე?

ტახტზე წამოწოლილ ბაბუას ჩუმად იქვე ჯირკოზე დაუსკუპ-დებოდა და მოთმინებით ელოდა იმის გამოღვიძებას. შაბათ-კვირა თალიკოს ოჯახში ბაბუს სადღესასწაულო დღეები იდგა, რა დროსაც უბედნიერეს ბაბუასგან ელისოს საგანგებოდ შერჩეული ხილი და საუკეთესო ნუგბარი მიერთმეოდა. სიძისგანაც რი-დი და პატივისცემა არ მოჰკლებია ამ დარბაისელ, ძველი კულტურის კაცს.

მანამდე კი, ვიდრე ოჯახს მოეკიდებოდა, დაქალიშვილებულ თალიკოს ცხოვრებამ კვლავ თავი ავად შეახსენა, ახალი დარტყმა მოუმზადა. თვრამეტი წლისამ ოჯახი დასტოვა და დეიდას შეეხიზნა. კაიხანს არავინ იცოდა ამის მიზეზი. საიდუმლოს ოჯახში კლიტედადებულად ინახავდნენ, მაგრამ დაფარული ადრე თუ გვიან გამუდავნდებოდა.

თურმე, და-ძმად შეზრდილებში გერმა ძმაშ სიყვარული აუხ-სნა – მიყვარხარ და, აბა, რა ვქნა, უნდა გამოგიტყდეო. თავზარ-დაცემულ გოგოს ისლა დარჩენოდა, გაქცეულიყო. მაგრამ გაქცევას მის სულში ჭრილობა არ შეუხორცებია.

— ყვაილების მიწა, ყვაილებისა, – გაისმა ეზოში.  
— ვაი, შენს პატრონს, შაქრო, შე ოჯახქორო, შენა ხარ განა?  
— წამოხტა შუშანა ჯირკოდან და გამოღებულ ფანჯრიდან ეზოს ჩაჰავდა.

— ეს შარდგამშრალი აქაც მოდის, ხედავ. რომ იცოდე, წყნეთი-დან ქალაქში ფეხით მოჩანჩალებს და უკანაც ეგრე ადის. დახეთ, რა გალეულია ეს ოხერმუდრები, თურმე მთელი დღე ერთხელაც არ მოშარდავს, ისე დაათრევს ზურგით შავი მიწის მეშოკს. არცა სჭამსო, ამბობენ სოფელში მაღაზიასთან მობირჟავეები. იმათ ხო ყველაფერი იციან, ჯერამაც არ დაბერებულა და ცოლი არ მოჰყავს.

კაცები იცინიან, რისი ცოლი, რა ცოლიო, ადრე ერთი ვირი ჰყოლია, წასულა და გადაკარგულა. სთქვეს კიდეც, მოჰპარესო. ისე უდარდია ემანდ ლვთისპირიდან გადავარდნილსა, ჩამომ-ხმარ-დაპატარავებულა. მერე ყვაილების მიწას თავად დაათ-რევს, ავტობუსშიც არ ჩაჯდება და თუ ვინმემ მაშინა გაუჩერა, არც იმასა.

ერთი ოთახი უდგას ალიზით ამოშენებული და იქ რომ მივი-დეს, მაღაზიას უნდა ჩაუაროს. ისე დაიყრუებს თავსა, ვითომცა კაცების დაცინვისა არ ესმის. ისინი კი ქიშქიშით გასძახებენ იქი-დანა:

— შაქრო, კაცი ხო გქვია. ჰოდა, რომ მოგაკუებენ, შენც უნდა მიაკუო, თორემა უტრაკო ეგონებით.

— ვაი, მაგის ყოფას, დაწრეტილს. ეპა, ამასაც ცხოვრება ჰქვია, განა, — მუხლის თავებს ხელი დაჲკრა მერძევემ, წამოდგა, ხენეშით ასწია ტილოს მძიმე ჩანთა და ნისიად ვისაც დაუტოვა წინა ჯერზე, იმათკენ გასწია.

იმ ძველ ეზოში მარტო ბაბუშკა ანიუტა არ ართმევდა რძე-მა-წონს შუშანას. თალიკოს გვერდით გრძელი შუშაბანდის ბოლოს შეყუულ კუთხეში საუკუნისგან ჩაუამებულ ვინრო კარს უკან როგორ ცხოვრობდა დროისგან დაჩამიჩებული ბებერი, არავინ იცოდა. ერთი იყო, კარს თუ ოდნავ გამოაღებდა, შარდით აქო-თებული ჰაერი შემოქანდებოდა ხოლმე შუშაბანდში.

ფეხისადგილი იმ სადგომში სად ექნებოდა, ჩანაფსამ ადა-მისუამინდელ ქოთანს იქვე ალაგ-ალაგ ამოტეხილ, ჩაშავებული ემალის ხელსაბანში ჩაცლიდა ხოლმე, უფრო დიდ მოსასტუმრე-

ბელს სად და როგორ ისტუმრებდა, ეს მხოლოდ მისმა ღმერთმა იცოდა.

ბევრი ეცადა თალიკო, დავეხმარები და დავალაგებინებ ოთახსო, არაფერი გამოუვიდა. ბებერი კარს მაინც არ გაუღებდა. ეზომ არც ის იცოდა, საიდან და როდის ჩამოეხეტა ეს რუსი ქალი, რატომ იჯდა გლახის დანიშნულებით რუსული ეკლესის შესასვლელთან, ქართული „ლურჯი მონასტრის“ გვერდით რომ იდგა ვერაზე, და ლიტურგიაც იქიდან რუსულად მოისმოდა.

დილიდან გვიან საღამომდე კართან ატუზული, ან იქვე ახლო ჩაცუცქული „და პომიჟეთ ვამ იოსიპი“, მეასედ იმეორებდა თავჩაიდული და იქვე გულმოდგინებით აწყობდა ნაწყალობევ ჩასაცმელს, საჭმელს. ხურდა ფულსაც გადათვლიდა ჯიბეში.

არაფერი გამორჩებოდა აქეთ-იქით მაცქერალს, მრევლსაც კარგად იმახსოვრებდა და ეკლესის მსახურებსაც თავმოკატუნებით ელაქუცებოდა ხოლმე კუდმოქიცინე ქუჩის ძალლივით.

საღამოს დაბრუნებული შუშაბანდში ბაკუნით შემოაბიჯებდა, იცოდა, ამ ბაკუნზე თალიკო გამოვიდოდა და იქვე ცხელ კერძს ან ხილს მიუკითხავდა. ქედმოხრით მადლობას კი ეტყოდა, მაგრამ მაინც შეამჩნევდი დაღარულ, რახნის დაუბანელ პირსახეზე ავად გაკვესილ მოჭუტულ თვალებს, თითქოს დამცინავს, თითქოს დაუნდობელს.

ასეთ წუთებში იმ სახეს ხანი არ ეწერა, როგორც თავად ბოროტებას, უხანოს. ერთი სჭირდა: სადაც მოეხელთებოდა, შხამით დაგესლავდა და სადღაც ჩამალულ სულს აზემებდა.

ერთხელ პატარა ელისოს წითელა-ბატონები დაუმძიმდა, მაღალმა სიცხემ წითლად გადაუბუგა სხეული. გამნარებული თალიკო თვალებით ევედრებოდა ექიმს, მიშველეთო. როცა ჩაძინებული შვილის მშვიდმა სუნთქვამ გონს მოაგო, წუთით შუშაბანდში გავიდა.

ბებერს რა გამოეპარებოდა და იქვე წაუჩიფრიფა:

— რა თავს იკლავ, ქალო, მაინც არ გადაგირჩება, მოგიკვდება. აგერ, ხუთი შვილი მყავდა, პატარობაშივე დაიხოცნენ, ერთიც

არ გადარჩენილა. ჰოდა, ასეა: ღმერთი გაძლევს და როცა უნდა, გართმევს. ნიკ დალ, ნიკ ვჟალ, იტყვიან რუსები.

გულშეწუხებულმა თალიკომ ოთახს მიაშურა. კიდევ კარგი, რომ იქ დეიდა ჟენია პატარას საწოლთან ეჯდა. იმან წვეთებით მოაბრუნა, დაამშვიდა. ნუ უსმენ მაგ ბებერ შეჩვენებულს, განგებამ თავისი მიუზღოო.

დეიდა ჟენიას, ანუ როგორც მთელი ეზო ეძახდა თეთა ჯენა-ს, წარმოშობით ლატვიელ და ჯერ კიდევ რევოლუციამდე საქართველოში ჩამოსახლებული აფთიაქარი ბაბუის შთამომავალს, სიკეთის თესვა ცხოვრების მიზნად მიაჩნდა. ძლიერი სულის ქალი უსამართლობას ვერ იტანდა, სუსტების ქმაგი, ქმარი პატივით ექცეოდა უშვილო ცოლს და თვალს ხუჭავდა იმის უზომოხელგაშლილობაზე.

თალიკო გამორჩეულად უყვარდა და პატარა ელისოზე ამაგს არ იშურებდა. თუ რამ ნუგბარი ეგულებოდა, გადაუნახავდა, ავად შეიქნებოდა, საწოლთან ეჯდა. ყველაფერზე შემკრთალ თალიკოს როცა შიში შეიძყრობდა, საშველად დეიდა ჟენიასთან ჩარბოდა პირველ სართულზე.

ასე რომ, ეზოს გადაშლილი წიგნივით ედო ორის ნიმუში – თეთრისა და შავის. არჩევანი კი მის ნებას დაეკიდა.

– დეპეშაა შენთვის, – გასძახა მეზობელმა თალიკოს. კოტესი იქნებაო, სიხარულით შეეგება ფოსტალიონს.

ქმარს ხშირად უწევდა მივლინებით გასვლა სხვა მხარეში, სხვა რესპუბლიკაშიც. სამხედრო დანიშნულების ნაგებობათა ინჟინერს საყვარელ ცოლ-შვილთან ყოფნა დღედაღამ ეოცნებებოდა. ახლაც ატყობინებდა, ჩამოვდივარო.

ოჯახი იყო მისი შინაგანი ცხოვრების საზრისი და საყოველ-თაო ღირებულება. მისი სულის არემარე სწორედ ოჯახის სიყვარულში გარინდულიყო.

შავნალვლიანობას როგორ გაიკარებდა მტკიცე ხასიათისა, მაგრამ ბედისწერის დაუნდობლობისა რომ იცოდა, ეს თავზარს

სცემდა. მოზარდობაშივე გაითავისა: კაცი თუ ხარ, გულადი, უშიშარი, უნდა შეგეძლოს სუსტის დაცვა და მოძალადეზე ლა-გამის ამოდება.

ქალთან მოკრძალებულს, ბილწისიტყვაობა ეზიზლებოდა და ამის უფლებასაც არავის მისცემდა. მისთვის სიტყვა ღირსებას უდრიდა და ვერ იტანდა ფუყედ მოლაყბეს.

— მამიკო ჩამოვიდა, — დიდხანს კისერზე იყო ჩამოკიდებული ოთხი წლის ელისო, — კუკა ჩამომიტანე? — ჩაციებით ეკითხებოდა.

თალიკო სუფრას შლიდა დაბნეულ-გახარებული. წესად ჰქონდათ, ყოველ ჩამოსვლაზე დათიკო იქვე გაჩნდებოდა, ბავ-შვობიდან კოტეს ცხოვრების ერთგული მეგობარი. მეგობრობა კოტესთვის ის ოქროს ზოდი იყო, რაც არაფერში გაიცვლებოდა და იტევდა ლრმა გაგებას: „ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო“.

— ბიჭო, კოტე, ერთი მითხარი, როდემდის უნდა იყო გადავარ-დნილი იმ შენს ობიექტზე. ოჯახი მაინც შეიბრალე. თალიკო ამ-დენს გულის ფართხალს ველარ გაუძლებს, სულ ბავშვზე მოკან-კალეს.

— აბა, რა გითხრა, დათიკო, სადაც ვჭირდები ქვეყანას, იქ უნდა ვიყო. კომუნისტობა სიტყვით კი არა, საქმით უნდა დაამ-ტკიცო. რაც საბჭოეთმა გადაიტანა სამოქალაქო ომიდან მოყო-ლებული, სამამულო ომით დამთავრებული, ტყუილად ხომ არ გადაიტანა, უკეთესი მომავალი ხომ უნდა დაუდგეს, ბოლოს და ბოლოს.

— რა მომავალზე ლაპარაკობ. აგერ, სამოციანი წლების და-სასრულია, უკეთესობას კი არაფერი უჩანს, ღირსეულ ცხოვრე-ბაზე ხომ ზედმეტია ფიქრი. როგორ დიდ საქმეს აკეთებ გამორ-ჩეული სპეციალისტი და თვიდან თვემდე თავი ძლივს გაგაქვთ, მეც ხომ ასე ვარ, საუკეთესო კონსტრუქტორად აღიარებული. მერედა რა? დივანი და სავარძელი რომ შეიძინო, ან „ცეკაში“ უნ-და იყო შემძვრალი, ან მოსკოვში უნდა ირბინო და სადგურში სა-ბარგო კონტეინერებს სდიო. თუ ამას შეძლებ, გამარჯვებული კაცი ხარ ამ „დეფიციტის სახელმწიფოში“.

ახლა ვერ ხედავ, საჭმელ-სასმელი რომ ისევ გაჭირდა? დიდმა პარტიამ, ნუ გეშინიათო, აგერ ვართო და პურის ტალონები ჩა-მოარიგა ცარიელ მაღაზიებში რიგებისთვის. თავად პარტიული იერარქიის ეშელონები ლამის დასკდნენ ხიზილალით, ცოლების ბრილიანტებით, მუქთა, გაზულუქებული ცხოვრებით, ბინა-აგა-რაკებითა და საზღვარგარეთ სეირნობით. სინდის იქვე ჰყიდი-ან, სადაც დასჭირდებათ. ნახავ, სულ მალე ლპობადი სისტემა, როგორ დაასრულებს თავის თავს.

— სამწუხაროდ, ასეა, მაგრამ სტალინი რომ ყოფილიყო, სხვა-ნაირად იქნებოდა. აღმავლობის გზაზე იდგებოდა ქვეყანა.

— კი, მაგრამ რის ხარჯზე? სადამსჯელო რეჟიმისა და შიშით დაბანგული ხალხის ხარჯზე. როცა გაფლანგვა დახვრეტით მთავრდებოდა საყოველთაო სილარიბის პირობებში, მილიონე-ბის რეპრესიების უბედურება, ხომ არ დაგვიწყებია?

— არც ისაა დასავინყებელი, რომ საბჭოეთი ერთადერთი სა-ხელმწიფოა, სადაც განათლება და ჯანმრთელობის დაცვა უფა-სოა, რომ ჩვენნაირი წიგნიერი და განათლებული ხალხი არსა-დაა.

— კი, ასეა, მაგრამ ისიც იცი, რომ მასწავლებელსა და ექიმს დღემდე ლამის მათხოვრის ხელფასი ეძლევა. მოკლედ, ამ სა-ხელმწიფო სისტემას ვერანაირი არგუმენტით ვერ გაამართლებ. ვერც „ნაომარი“ პერიოდით და ვერც მანამდელი „ბატალური“ სცენებით“. აბსოლუტური ძალაუფლებისთვის „ტროცკიზმთან“ ბრძოლას, როცა მილიონობით ადამიანი შესწირეს, ვიგინდარა იაგოდა-ეუოვზე ხელის შეხოცვით, დანაშაულის გამართლებას ანდაზა მიუყენეს: „ლეს რუბათ, ჟეპკი ლეთა!“

„მიზეზი“ ბრონშტეინ-ტროცკი იყო, შემოგდებული კაცი, ვი-საც „წითელი არმია“ შეაქმნევინეს, „წითელი ტერორი“ დააფუძ-ნებინეს და რუსეთი ხორცსაკეპში გაატარებინეს. კიდევ უფრო მანამდელის – ოციანების ბოლშევიკური „Великий голодомор“ ისე მიმალეს, უდიდეს შიმშილში ისე აჭმევინეს დედას პატარა შვილის ხორცი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

სისხლის ტბაში თეთრ გედებს ვერ აცურავებს! სტალინი? იგი, მართლაც, გრანდიოზული ფიგურაა აბსოლუტიზმის მსოფლიო ისტორიაში, გაიუს იულიუს კეისარივით შარავანდედით მოსილი და მისნაირი დასასრულით დასრულებული.

ადამიანთა ერთ თარგზე გამოჭრის კომუნისტური იდეა, სულელურია ისევე, როგორც საკუთრების ამოშლა რეალობიდან. ეს ადამიანზე დაუსრულებელ ძალადობას მოითხოვს, რაც შეუძლებელია მუდმივად გაგრძელდეს და მარცხისთვისაა განწირული.

კოტე ხმას არ იღებდა. უნდოდა მეგობრის სიტყვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ რატომდაც აღარ გამოსდიოდა.

— ასე რომ, ჩემო კოტე, იმ იდებში ხარ კიდევ ჩარჩენილი, რამაც ისტორიულად ვერ გაამართლა. ის მე არასოდეს გამიზიარებია და პრინციპულად არც პარტიაში შევსულვარ. ჩვენ, სპეციალისტებს პარტიულობა რაში გვჭირდება, უპროფესიონ და უსაქმურები ხომ არ ვართ იქ მოკალათებულების მსგავსად. ჩვენი საქმე გვიყვარს და ვემსახურებით კიდეც.

შეშინებული თალიკო კარს ეცა, შუშაბანდში გაიხადა და მერე კარი უფრო ჩარაზა. კა-გე-ბე-ს შიში სულაც არ განელებულიყო, არც მიყურადება და არც თვალთვალი. ეზოში ამ საქმეს მარტო ბაბუშკა ანიუტაც ეყოფოდა, ვისაც ქართული ესმოდა და მალავდა.

მეორე დღეს ჩაფიქრებულმა ქმარმა თალიკოს აუწყა, ერთ თვეში აზერბაიჯანში ვარ წასასვლელიო და მის სახეს მწუხარება რომ დაეტყო, დაამშვიდა, ორივეს თან წაგიყვანთო.

— წინასწარ მოემზადე, გულდაგულ შეარჩიე წასაღები, თორემ ისეთ ყრუეთში ვიქწებით, ხელთ ყველაფერი უნდა გვქონდეს.

ასეც მოხდა. გრძელი გზა იყო გასავლელი გამოყოფილი სატვირთო მანქანით. თალიკოს იმდენი ბოხჩა დაეგროვებინა, მარტო სატვირთოში თუ ჩალაგდებოდა. კაბინაში დედა-შვილი მძღოლის გვერდით დასხდნენ, კოტე ძარაზე მოთავსდა.

გზა ბედნიერი ელისოს ჭიკვიში იღეოდა. აქ თითქოს თავს იყრიდა სიცოცხლის მთავარი ნიშანი – პატარა სიხარულები და მძიმედ საზიდი ყოფა. ამ სიმძიმის გამნელებელი ადამიანური მოთხოვნილება – ხვალინდელის იმედი.

მაგრამ შუაგულში მაინც მთავარი იდგა – ყოველწუთიერი შიში არსებობის ბურუსის წინაშე. ამ შუაგულში დედის შიშიანობა მძლავრობდა, ვის გაშლილ ფრთებქვეშ შვილია. ამ ფრთებქვეშ იყო გადარჩენის დედური დიადი ინსტინქტი.

თითქოს დრომაც მიატოვაო ცისკიდესთან მიგდებული ეს პატარა სოფელი. უსასრულოდ გაშლილ ველზე, ხის ფესვსაც ვერ მოეკიდებინა იმ მიწაში, აქა-იქ ძალისძალით ამოსულ ბუჩქსაც – აქ რამ მომიყვანაო, უკვირდა. მაგიერ მსუყე ბალახი ყელყელა-ობდა მუქ მწვანეში, ათასნაირი სახელიანი თუ უსახელო ყვავილი გაბნეულიყო მის სიხშირეში.

მიწური სახლები გვერდს აკრული ცხვრის თუ ძროხის სადგომით, მიანიშნებდა იქ სოფელს და კიდევ სმელი ნაკელის სუნით გაბოლილი მიწურის თავზე ნაცრისფრად შესქელებული ჰაერი.

შორით მოჩანდა მორკალული ნათალი ქვებით მიმობნეული კაიხელა ნაკვეთი, შემოურაგავი და კარის არმქონე. ძნელი მისახვედრი არ იყო – სასაფლაო იყო იქ.

საუკუნეთა სიღრმეში ხალხის გონება კარგად ჩამხვდარა არ-სებობის წესს: ყოფნა და არყოფნა ერთადაა, იმათ ვერც ღობე დააშორებს და შესასვლელ-გასასვლელიც ერთი აქვს.

არსებობის სიბრძნით ნაკარნახევი გამოცდილება რომ არა, ვინდა ასწავლიდა გადარჩენის გზებს, ცასა და მიწას შორის შეუნელებელი შეტაკებისას თავის დაცვას, შიმშილის მორევას და გამრავლებასაც კი. იმ გაშლილ ველზე ადამიანი და ბუნება თითქოსდა საუკუნოვანი ზავით უნდა შეერულიყო და ეცადა, ის უხილავი შეთანხმება არ დაერღვია.

ასეთ გარემოში თუ სამყაროში მოხვდა თალიკოს პატარა ოჯახი. ჩანს, აქ უნდა ზიარებოდა არსებობის საზრისს, შეუმეცნებელი შეემეცნებინა, ამოეკითხა ცხოვრების ჯერაც დაუწერელი ფურცელი.

ახლა მთავარი დაბინავება იყო. ისე მოხდა, რომ სოფელში ერთადერთი ქვით ნაშენი სახლი უნდა დაეკავებინათ. სახლი ერქვა ერთ ოთახს წინ ღია აივნით. ადრე იქ მაღაზია-კოოპერატივი ყოფილა, მერე გაუქმებულა, რადგან საკმაოდ მოშორებით დაბა-სოფელში სასურსათო გაუხსნიათ.

თალიკომ ჩვეული გულმოდგინებით სუფთად მოაწყო ოთახი და დაკრეფილი მინდვრის ყვავილების დიდი თაიგულითაც მორთო. კოტე ყოველ დილას ცისმარეზე მანქანით სამუშაო ობიექტზე გადიოდა და საღამოს ბრუნდებოდა. მოშიებულს ცხელი სადილით გაწყობილი სუფრა ელოდებოდა, მოსიყვარულე ცოლ-შვილის სხივიანი სახეებით შეგებებული.

დღე დღეს მიჰყვებოდა, ცით ნაბოძებ სიმშვიდეს, თითქოს არაფერი არღვევდა. მაისი ილეოდა და უნდოდა თავისი სასწაული ეჩვენებინა სამყაროსთვის, თვალის გასახარი. ამისთვის გაშლილი ველი წითლად ააბრიალა ყაყაჩოების შემოტევით – სიცოცხლის ფასი იცოდეთ და გიხაროდეთო, მოუწოდებდა.

პატარა ელისო ისე შეიქრებოდა ხოლმე ყაყაჩოს ზღვაში, თითქოს იქაურობა უნდა გადაეცურა, წითელყვავილებიანი კაბით იქ ჩაკარგული მთელი არსებით ბუნებისა და სიცოცხლის სადიდებელს უგალობდა – ყაყაჩოსა სინითლითა... სიცოცხლე კი ხარობდა და ზემობდა თავის არს.

მარტო თალიკოს არ შორდებოდა მოსალოდნელის ქვეშეცნეული შინაგანი წუხილი, წითლად ატეხილი ცხოვრების ურიამულს უნდოდ შეჰყურებდა. ბედისწერის უძლეველობის შეგნებას დაეპყრო იგი, მიუწვდომელ, ერთბაშად მოვლენილ ძალას. მას ხომ თავად ცხოვრებამ ჩაუნერგა ბედის წინაშე ძრწოლა.

– სიცოცხლის ნება მტანჯველ ხვედრად ერგო ადამიანს, – იტყოდა ხოლმე, – ადამიანი წუთისოფელშია გაჩერილი, არა-და, ჰგონია იქ კარგად დავნავარდობო. დაუცხრომელ ბორგვაში ტრიალებს და ხილულ სამყაროში სიკვდილოვანი საწყისი ვერ შეუმჩნევია. ასე სჯეროდა. ბოლოს ამ ბორგვას მსწრაფლი დრო რომ გადაუვლის და ყოველივე სადღაც ჩაიყლაპება, მაშინ და-

იმშვიდებს თავს პოეტის ნათქვამით: „ღმერთმა გიშველოს სიკ-  
ვდილო, სიცოცხლე მშვენობს შენითა“, აბა, სხვა გზა სად ექნება!

ამ ფიქრებით შეპყრობილი ქალი გაჰყურებდა წითლად გაბ-  
რიალებულ ზეობას, არ სჯეროდა მისი თვალსასეირო სიკეთის,  
მიმალულ-გაყურსული ბედისწერის ყოველნუთიერ გამოკრთო-  
მის მოლოდინზი სული ეძაბებოდა.

გული არ უშვებდა იმ სიწითლეში ელისოს ნავარდს, უნდოდა  
ხელი ეტაცა და იქაურობიდან გამოეყვანა. მაგრამ გალალებუ-  
ლი შვილი ეცოდებოდა და იქ მიშვებულს თვალს მაინც არ აშო-  
რებდა.

მიწური სახლების მცხოვრებლებს ერიდებოდა თალიკო. ისი-  
ნიც შორიდან ადევნებდნენ თვალს, თუმცა პირბადიანი ქალების  
ცნობისმოყვარეობა თავისას შვრებოდა. კრინტი სიტყვისა არა-  
ფერი ესმოდათ თურქულის გარდა, მაგრამ მაინც ახერხებდნენ  
საყიდლად შეეთავაზებინათ კვერცხი, ქათამი, ერბო-ყველი. ლა-  
ვაში-პური კი თავისითვისაც გამოზომილი ჰქონდათ. ამიტომ თა-  
ლიკო წამოღებულ მჭადის ფქვილს პურისას უნაცვლებდა, ისიც  
მაღე გამოელეოდა. იმათი ბავშვებიც შორიდან უცქერდნენ  
ხოლმე ბაფთებიან ელისოს და ზოგჯერ გასძახებდნენ: „გიზ კი-  
ციკ, გიზ“ – პატარა გოგო.

თავიანთ საცხოვრებელში შეკეტილებს და ერთმანეთთან  
კაიხელა მანძილით დაშორებულებს, რა ახარებდათ და ანუხებ-  
დათ, ვინ გაიგებდა. ალბათ, საკუთარი დღესასწაულებიც ექნე-  
ბოდათ, სატირალსაც რას გამოულევდა სვედავსილი ცხოვრება,  
მაგრამ გარინდულ სივრცეში როგორ მიეღალებოდა მათი არსე-  
ბობის ქარავანი, ვერავინ დაინახავდა.

შინ შეპატიუებაც წესად არ ჰქონდათ და საყიდელს თალიკოს  
სახლთან შორიახლოს მოუტანდნენ ხოლმე. ისე კი ეტყობოდა, ბი-  
ნა სუფთად უნდა ჰქონოდათ მოვლილი. შორიდან მოჩანდა, ბანზე  
როგორ ანიავებდნენ ხელით ნაქსოვ ნოხებს და ჭრელ-ჭრელი ჩი-  
თის ნაფლეთებიდან შეკერილ საბნებს. წყალს ხომ შეუსვენებლივ  
ეზიდებოდნენ პაპისპაპის დროინდელი თუნუქებით.

ერთ დილას გაღვიძებულზე ელისო აიმრიზა, ხაჭაპური მინდა, მჭადი არ მიყვარსო. თალიკო აწრიალდა, პურის ფქვილი საშოვნელი იყო. დედის გულს მეტი რა უნდოდა და გამოსავალზე იწყო ფიქრი.

გაგონილი ჰქონდა, ერთი მწყემსი კაცი დროდადრო ფქვილს ყიდისო პატარა ტოპრაკებით, მაგრამ სად და ვინ იყო ის, საიდან ეცოდინებოდა.

მაინც გადაწყვიტა, სოფლის ბოლოს გზას დავადგები და იქნებ ვიპოვონ. მხოლოდ ელისოს მარტოდ დატოვების ეშინოდა, თუმცა, ეიმედებოდა მისი გონიერებისა და დამჯერობის.

— დედი, არ ვიცი, რა დრო დამჭირდება და ამიტომ სახლში დარჩები. კარს შიგნიდან ჩაკეტავ, არავის გაუღებ. ჩემო ჭკვიანი გოგო, შეცდომას არ დაუშვებ და დამელოდები. მაგიერ ცხელ ხაჭაპურებს შენთვის და მამიკოსთვის დღესვე მოგიმზადებთ.

ასე შეთანხმდნენ.

დილა იყო, მაგრამ კაიხნის ამონვერილი მზე იქაურობას ისე აცხუნებდა, შარაგზას მიყოლილ თალიკოს სიარული უჭირდა. უკაცრიელი არემარე კი თრგუნავდა იმის ისედაც შემკრთალ ბუნებას. მაინც შეუპოვრად მიაბიჯებდა და ცდილობდა შესამწევი არაფერი გამოჰპარვოდა.

ამასობაში მოწყენილი ელისო ხან რით ირთობდა თავს, ხანაც რით. ბოლოს მაინც კარს მიაპყრო მზერა. ყაყაჩოებს შევხედავო, გადაწყვიტა და ჩარაზული გამოაღო.

წითელი ფერი ჯადოსნური ბროლის ჯოხით უხმობდა — აქეთ, ჩემკენო.

აღტაცებულმა გოგონამ თავი მისცა ამ ძახილს, შეიჭრა ცხოვრების ღაულაჟა ყანაში და თავდაკარგულს აწი ვერაფერი შეაჩერებდა.

უცნაურად აჭრელებულმა პეპლებმაც ისარგებლეს, თითქოსდა შესატყუებლად და იმათ ადევნებული ჩაიკარგა გაძლილ სივრცეში.

შუადღისას დაბრუნებულმა თალიკომ გაიკირვა, კარი ერთი შეხებით რომ გაიღო. ქანცგამოლეულმა ტოპრაკი იქვე ჩამოსდო.

— დედი, კუკუდამალობანას ვერ გეთამაშები, ძლივსლა ვდგა-  
ვარ ფეხზე, სად ჩაიმალე?

ჩამიჩუმი არ ისმოდა. საწოლქვეშ შეიხედა, სუფრაჩამოშვე-  
ბული მაგიდის ქვეშაც. შვილი არსად იყო. რაღაც ცხოველურმა  
შიშმა აიტანა. სახლს გარს შემოურბინა. წითელ ველზე გაიჭრა.

— ელისოო, ელისოო, — გამნარებით უხმობდა.

წითელი ველი თითქოს გატრუნვით პასუხობდა, არსაიდან  
ხმა, არსით ძახილიო.

მირბოდა და შეშლილივით იმეორებდა:

— ეს რა ჩავიდინე, ეს რა ჩავიდინე, უფალო, მიშველე, — მუხ-  
ლებზე დაეცა და ზეცას ვედრება აღუვლინა: — მიშველე, შენ ხომ  
ყოვლისშემძლე ხარ!

მირბოდა და არ იცოდა, რომ იმის საპირისპიროდ ეჭირა გეზი,  
საითაც პეპლებმა გაიტაცეს ელისო.

ყოველი მოსახლის კარს მიმდგარი, მოკანკალე ხელით ბაბ-  
თებზე მიანიშნებდა — გიზ, გიზ, კიციკ გიზ — პატარა გოგოო, პი-  
რაკრული დედაკაცები მდუმარედ თავს აქნევდნენ — არაო.

ზეშეგრძნებებით გახელებული მოჩვენებათა გაუვალ ქსელში  
გაეხვია თითქოს.

ერთ მიწურ სახლს ჩაუსაფრდა, დაინახა, იქ ვიღაც კაცის  
ლანდი როგორ აეკრა საძროხეს, იმალებოდა.

მაშინ, უფრო ადრე, ამ მხარეში ახალმოსულმა ვერ გაიაზრა,  
რატომ ჩაეკითხა გადაცმული მილიციონერი, რაიმე საეჭვო მოძ-  
რაობა ხომ არ შეგინიშნავთო. გაიხსენა, როგორ გაიკვირვა იმ  
ყრუეთში მილიციელის გამოჩენა.

მერე, ვახშმობისას, ქმარმა როგორ უამბო სასხვათაშორი-  
სოდ თუ არა, ერთგვარი იუმორით:

— წარმოგიდგენია, მთიან აულებში, თურმე, უშვილო ოჯახები  
ბავშვებს ყიდულობენ და საკუთარივით სიყვარულით ზრდიან.  
ახლაც ყოფილან, ხედავ, ნაიბები და ჩვენი „იავნანამ რა ჰქმნა?!“  
ამ მხარეშიც იწერება.

— ბავშვებს სადღა შოულობენ?

— მოტაცებულებს ყიდიან ამ საქმეში დაოსტატებულები და კაიხელა ფულსაც აკეთებენ.

იმზამიერ, ახლა, განწირულობის აზრმა გაუქვავა გონება, ბე-დისწერის გარდუვალობის დემონმა აუბურდა ყველაფერი.

აღარ დარბოდა, მთვარეულივით დალასლასებდა, ჩერდებო-და და უაზრო სახით, ბაფთიანი გოგონა ყაყაჩოს კაბაში ხომ არ დაგინახავთო, ეკითხებოდა.

პირაკრული შავეაბიანი დედაკაცები, საწყალი შეშლილიაო, იცოდებდნენ.

რა გზა გადაიარა, მხოლოდ სოფლის ბოლოს მიყუჩულ ბანიან მიწურს შეეძლო გადათვლა.

იმასაც მიადგა. კარს ხელი ჰკრა, არც უკითხავს, ისე...

მიწის იატაკზე აკოჩებულ ტახტზე ბაფთიანი გოგონა იჯდა ხელში ერბონასმული ლავაშით და იქვე მყოფ მომლიმარ ქალს გაუგებარ ენაზე ყაყაჩოს სიწითლეზე უამბობდა ჭიკჭიკით.

— ელისო, — აღმოხდა და ჩაიკეცა.

ყაყაჩოსა სიწითლითა ცხოვრების ყანა დამშვენდება, განა?

წუთისოფლის სისხლისფერი სიწითლითა?!?



თაღლეთ ბერანდი



ნაწარმოებს ქმნის არა იმდენად მისი დამწერი,  
რამდენადაც მკითხველი.

როლან ბარტი

„ავტორის სიკვდილი“



სიბერის სიდიადეზე, მგონი, არავის უთქვამს ისე, როგორც  
ჰერმან ჰესსეს. ეს ყოფნის ის დროა, როცა მთელი სიმაღლით  
წამოიმართება სიცოცხლიდან გასვლის აუცილებლობა. როცა  
ეს გასვლა ჰეროიზმის ტოლფასია და ღირსეულია არყოფნას-  
თან შეხვედრაში, არსებობის წინაშე პასუხისმგებლობითა და  
ანგარიშგებით ძლიერი. სიბერეს ქედს უნდა უხრიდეს ახალგაზ-  
რდობის ჟამი, უპასუხისმგებლო და ანგარიშმიუგებელი, როცა  
თავდაჯერებულობა გზას უბნევს სინამდვილის წვდომას. ამი-  
თაა ახალგაზრდობის დრო სუსტი სიბერის წინაშე. ასე ფიქრობს  
ჰერმან ჰესსე. ფიქრობს და სწამს.

გერმანული სული როგორდაც სხვანაირად იმეცნებს სიბე-  
რეს. შოპენჰაუერიც ხომ მაღალი აზრით ეგებება ხანდაზმუ-  
ლობას. კმაყოფილია იმით, რომ თავი დააღნია ახალგაზრდობის  
ტყვეობას, მის მოუთოვავ ვნებებს, როცა ფუჭი სურვილი გიმორ-  
ჩილებს და სინამდვილესთან მოწყვეტილ სწრაფვას ემონები.

ასეთი შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ ვთქვა: ეს მარ-  
თლაც ასეა და ახალგაზრდობის უგნურობით და სიბეცით თუ  
არა, ან უფრო მეტით – თავხედობით და უტიფარი უპასუხის-  
მგებლობით, სხვათი ვერ აიხსნება ის, რაც თავს გადაგვხდა.

გრძელი ამბავი სამზარეულოში იშვა.

საღამოს მაგიდას ვუსხედით და ყოველდღიურზე ვლაპარაკობდით. პატარებს უკვე ეძინათ. უცებ ჩემმა მეორე ნახევარმა ანუ ძვირფასმა მეუღლემ ჯიბიდან ქალალდის რაღაც პატარა ოთხკუთხა ამოიღო და მამაჩემს გაუწოდა:

— აგერ ლატარიის მხოლოდ ერთი ბილეთი მაქვს აზარტის-თვის და იქნება თქვენმა მადლიანმა ხელმა შეამოწმოს, — გამზადებული გაზეთიც მაგიდაზე დადო გათამაშების ცხრილით.

მე სიცილი ამივარდა. დედაჩემმა ირონიულად გაიღიმა — ჟ, და. მამის ცნობილმა კეთილშობილებამ კი თავისი ქნა, დინჯად გაზეთი გაშალა და ციფრებს ჩამოუყვა. აზარტის ძაბვამ მართლაცდა ჩაგვაჩუმა. მამაჩემი წამით შეჩერდა, ბილეთის ციფრებს თითო მესამეჯერ გააყოლა, სკამიდან ოდნავ გაიწია და გაკვირვება უკვე ვეღარ დამალა:

— ამ ბილეთმა „მოსკვიჩი“ მოიგო, — თქვა და წამოდგა.

საერთოდ, მოგებისადმი დიდმა სკეპტიკოსმა, რაღაც ასე არ უნდა იყოსო, გავიფიქრე, მაგრამ ხმა არ გამიღია. დედაჩემს ირონიული ღიმილი სახეზე შერჩა და აღარც მოშორებია. ქმარმა ვაჟკაცურად დაამხო აღტაცება და თითქოს აქ არაფერიაო, სა-დაც იდგა, იქიდან ფეხი არ მოუცვლია.

მოგებული „მოსკვიჩის“ ამბავი სადარბაზოდან არემარეს სწრაფად მოედო. მგონი, გახარებულებიც ვიყავით. მაგრამ ბე-დიანმა უკვე ორი შვილის მამამ საჭესთან ჯდომა რომ არ იცოდა — დედაჩემმა გადაგვასხა ამის ცივი წყალი. ვაჟკაცია-მეთქი, ტყუილად არ მითქვამს, ზუსტად ოთხ დღეში ეს მან კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა.

ჯერ კიდევ ბარნოვის ქუჩას (შემდგომში აბაშიძისას) მეორე სართულის ფანჯრიდან გადავეყუდეთ მე და დედაჩემი. მოუთ-მენლად ველოდით. სულ მალე ტროტუართან ზედ ფანჯრის ქვეშ მოყვითალო მანქანამ ელეგანტურად დაამუხრუჭა. მძღოლის გვერდითი კარიდან ორმეტრიანი ძლივს გადმოვიდა. ქმრის სკოლის მეგობარი დავინახე. მერე მძღოლის კარი გაიღო და... ფანჯარაში გადაყუდებულებს მეტყველი ჩაცინებით ამოგვხედა.

ეს მძღოლი ჩემი ქმარი იყო.

დედაჩემმა მანქანას რომ ჩახედა, ჩვეული რუსულით წამოიძახა:

— ეთი რიცხვი შეუძლია!

იმ წამიდან ჩვენს დიდ ოჯახს ახალი წევრი შემოემატა, სახელად რიუკია. მას მერე, წლების განმავლობაში რამდენი მანქანაც გამოვიცვალეთ, შინდისფერი, ლურჯი თუ თეთრი, ყველას რიუკია ერქვა, დინასტიის შემქმნელი პირველის პატივსაცემად. მერე, მოგვიანებით ჩვენი რიუკია საქვეყნოდ ისეთი ცნობილი შეიქნა, ლამის გაგარინის კოსმოსხომალდიც კი დაჩრდილა. განთქმული ჩვენი ოდისეაც მისი რიუკა სხივით გაბრნყინდა და სამუდამოდ შერჩა სახსენებელს.

ოდისეა ცოტა მოკრძალებულად დაიწყო – სულ რაღაც ქერჩის სრუტით ყირიმისკენ სრბოლით. აბა, რა მომასვენებდა, ბახჩისარაის – გირეის რომანტიკული ამბის ადგილი რომ არ მენახა, ბავშვობიდან ისე ჩამეჭედა ულამაზესი ბალეტით „ბახჩისარაის შადრევანი“ ჩვენი ოპერის სცენაზე.

მანამდე ჯერ შორი იყო. ლესელიძიდან სოჭამდე დახვეული გზისა და ზღვის აკორდით შეკრული ჰარმონია ერთ სიცოცხლედ ღირდა. თუმცა, სულს ბრაზი წამლავდა – იმ ვიგინდარამ, იმერული სოფლის შემარცხვენელმა ქართული გვარ-სახელით სამშობლოს მინას რომ მოაჭრა და მოძალადეს საჩუქრად მიართვა, ამაზე ისტორიამ ხმა რატომ ჩაიწყვიტა? მაშინ ისტორიოგრაფიის კეთილსინდისიერებაში არასოდეს დავეჭვებულვარ, ახლანდელისგან სრული განსხვავებით.

შავი ზღვის დასავლეთი უკან რომ მოვიტოვეთ, აღმოსავლეთისკენ, კასპიისკენ ვიბრუნეთ პირი დერბენდისკენ. აბა, არ უნდა მივდგომოდი ოდესალაც დიდი საქართველოს – ნიკოფილიდან დარუბანდამდე სიამაყეს, ბავშვობიდან რომ მიტრიალებდა გულში ჩემი მშობლების გასახარად და ღრმად გატოტვილი ფესვით სამუდამოდ მიმამაგრა პატარა სამშობლოს სიყვარულს.

იქიდან წრეზე შემოვიარეთ დალესტნის მთიანეთის ცისპირს შეყუული აულ-სოფლები კოკისპირულ თავსხმაში თუ ქარიან

ავდარში დანგრეული გზებით. მაინტერესებდა, საიდან მოცო-ცავდა მუხთალი ლეკიანობა ხმალჩაუგებელ კახეთში და ბრძო-ლის ველზე კი არა, ზურგიდან ლამეული ჩუმი მიპარვით აპარტა-სებდა ყიზილბაშობისგან ისედაც განაწამებ, მაგრამ გაუტეხელ გულს საქართველოსი.

გნახე და გავიკვირვე, როგორ შეძლო პატარა კახმა სისხლის-მწოველა უჩინარი კოლოს გუნდების ერთიანად ისე გასრესვა, რომ მათი წივილი სამუდამოდ დადუმდა.

დრომ საოცარი კვანტი იცის და პარადოქსულიც.

მაშინ, როცა გმირმა შამილმა იმიერკავკასია შეაზანზარა რუ-სული ჩექმის ამოსაგდებად, ამ ჩექმამ ვერარა გააწყო დაღეს-ტნის ნებასთან. მაშინ, თბილისის არისტოკრატულ რაუტებზე ოქროსბუზმენტიან იმპერიის თვალტანად ქართველ თავად-ო-ფიცრობას დეკოლტიანი ლამაზმანები ეკეკლუცებოდნენ – რა გახდა ეს შამილიო.

დაბოლოს, ისევ ქართველმა შეძლო იმ ზანზარის დადუმება. ისევ ქართველმა ორბელიანმა შეუძლებელი ჰქმნა და დატყვევე-ბული შამილი იმპერიის ტახტს მიჰვარა. ასე აღსრულდა დროის პარადოქსი.

მაგრამ დრომ ისევ წაითამაშა უწინდელი კვანტი და ისევ პა-რადოქსულად. თითქოს აინტერესებდა, ახლა რას იზამენო. ახ-ლა კი, უკვე ამიერის და იმიერის ერთობას კავკასიისას იდეა-ლიზმის შამილებით, „ჰკა მაგასო“ ყიუინა დასცა ისევ ქართულად და დაუშინა უკვე არაგვაროვანმა, არაბუზმენტიანმა.

მაშინ, პირველად, არისტოკრატი ორბელიანი დიდებული პო-ეტიც იყო. ახლა წიგნის უმეცარმა უბირმა მარტო შამილების კი არა, ქვეყნის სახსენებელიც ლამის ამოაგდო.

რემინისცენციებს ვერ ავცდი და არც შემეძლო. ამიტომ მოკ-ლედ ვიტყვი: დაღესტნიდან კახეთისკენ დავეშვით და შევჩერ-დით იქ, საიდანაც „ყვარლის მთების“ ოდა მოისმოდა. ახლა ამ ოდამ შემაყოვნა რაღაცის სათქმელად, მაგრამ...

– კაროჩე, ტოო, რა გააჩიმახე. კანჩაი ბაზარ, პარიუში წადი, იქ ნაღდი შამპანსკი დალიე ყლუპ ყლუპ, მილანში დოლჩე-გაბანა-

ში გაიზმანე, ბოლობოლო სტამბოლში კაიბიჭი ბეზპონტა ააგდე, ზნაჩიტ ფალიაშვილის ქუჩის ძაღლივით ბოდიალს მორჩი, ა ტო სამ ტამ ბუდეშ, – სქესის გრამატიკა აერია საიდანლაც მოკარნა-ხეს. ჰო, იქიდან, უმისამართო სამწერლეთიდან.

– ვუოთ? შურ, ოფ კორს, ოლ რაიტ, ბაი, ბაი, – ვაწყნარებ მოკარნახეს სამწერლეთიდან.

ჩვენც უნდა დავწყინარდეთ. რა დროის ვარდბულბულიანია, ტანოტატანოს ფერება. ლექსებს რა დაწნავს. გარითმვა სჯობს თავის დედიანად... პროზა კი, კოკა-კოლის ბოთლში რომ ჩამ-ძვრალა, ჯინი ხომ არ არის, ერთ მშვენიერ დღეს ამოხტეს და დააგრიალოს.

ლირიკს რას ვერჩით (ესე იგი, პოეტს), როცა ჯერ კიდევ როდის, დიდმა პლატონმა თავისი იმპერატივებით დაძებგილ „სახელმწიფოში“ იქიდან კინწისკვრით გამოაძევა, ფუჭად ფუსფუ-სისთვის. მერე, კაიხით გვიან, კანტმა, დიდმა კენიგსბერგელმა ემანუელმა, სულ ტრანსცენდენტულს და „საგანს თავის თავში“ რომ ეძებდა, ამრეზით გადმოჰედა ლირიკას, ფუჭიაო – იმანაც. პროზა კიდევ ჰო, ხალხთა და ერთა ცხოვრებას, ბრძოლა-მის-წრაფებას მაინც გვაძლევს დასანახად და კაცთა მოდგმის საის-ტორიოდ კარგად ღირებულიაო.

Belle lettre-მა (ესე იგი, ლიტერატურამ) თითქოს მოჭამა დრო, დიდი მეცხრამეტე საუკუნე მორჩა, – თქვა მეოცემ და განახლების არეულობამ იწყო განევ-გამონევა – დეკადანისი გადაარჩენს სიტყვას კაზმულსო. ამ საქმეში აზრის არსმა წაჯეპ-უკუჯექი კი ჰქნა, მაგრამ სიტყვამ მაინც დაიმშვენა. სიმბოლიზმიო, ბოდლე-რიო, ცისფერყანწელი კოლაუ და ტიციანიო, კონსტანტინე და გოგლაო – დაინა ლექსი ულამაზესად.

მერე პროზამაც ჰაიდეგერი აიჩემა იქით დასავლეთში. მაჯის სიმსხოდან თითისტარამდე დაიკლო და ჩაშავდა ეგზისტენცი-ალიზმით სასონარკვეთილად მომზირალი. მერე ეპოქის დიდი ექსპერიმენტი ღირსეულად გავიდა ასპარეზის ვიწრო კარი-დან. Belle lettre-მა კი ღირსეულად შეუნდო ყველას. სარტრმა და

კამიუმ გადატრიალებაზე უარი თქვეს, კაცობრიობას ეგზისტენციის (ესე იგი, არსებობის) საზრისს მთლად ნულა წავართმევთო.

ისევ მამაპაპურისკენ მიეპყრო მზერა. მხარდამხარ ჩვენც დავუბრუნდით სქელტანიან ფურცლებს მარჯვენის დიდოსტატისას, ვარამს გმირთა, ხიზნებს ჯაყოსი, ვაებას თავსაფრიანი დედაკაცისას და კიდევ მრავალს. ყველაფერი მიდიოდა რიგიანად.

მაგრამ ოცდამერთეში კვალიდან მთლად ამოვარდნილის რისი მშველელი იყო სექსუს, პლექსუს, ნექსუსის მილერი – საკუთარი თავი გასჭირვებოდა. ახლა კი მთლად ამოგდებას უპირებენო შიზო მიშელ უელბეკები მიზანთროპიით და პორნოჭურვებით.

ასე რომ, ამჯერად Belle lettre-მა, ესე იგი ლიტერატურამ, მგონი, მართლაც მოჭამა დრო. ყველა წიგნი დაიწერა, ყველა მუსიკა, ყველა მეტაფორა ამოილია...

ჩვენი სიტყვაკაზმული ქართული, ბროლის წყაროსთავიდან როდის წამოსული „ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი“ დროის ფარლალაში გაიჭედა. აქა-იქ გამონათება რას გააწყობდა და... ქირქილილა შერჩა პირს თუ კალამს, ყოფნა-არყოფნის საფიქრალიდან ძირს გადმომხტარს დღეს.

ქირქილი კი ხელმოცარულობის ბლაგვი ხანჯალია. მას უნდა თავი იუმორში გაისალოს ჯერომ ჯერომის გულგასახეთქად. სატირას ბილნი ნატურალიზმი ვერ უშველის, დახვეწილი გემოვნება სჭირდება. იქნებ ირონია უნდა დაიბრალოს, სოკრატული, ან იქნებ იქით დარჩენილი ბოსხის დაუნდობელი სარკაზმი, თუ სალვადორ დალის ჰომეროსული ხარხარი.

არც ერთი, არც მეორე – არც არაფერი.

აი, მაშინ ბლაგვი შემოგიტევს: ნეოავანგარდიზმი, ნეოსიურ-რეალიზმი, ნეოდეკადენტიზმი, სულაც მეტერლინკის ნეორეაქციონიზმიაო ეს. ნეოები რაღაა, მარა საამისო კბილიც რომ არ არის. მაშ, მწერალ-სახელიანობა მონდომებია, თურმე იმას, პრემიადადებული, უძალლეთში კატა რომ კნავის იქ. თანაც მაგრა სარფიანი თუ მიდგებ-მოდგება და არ დაიზარებს. სურინამი-

კატმანდუც არ მოაკლდება მუქთად. აბა, კანტი ხომ არაა, ემანუ-ელი, ცხოვრებაში თავის ქალაქიდან ფეხგაუდგმელმა „წმინდა გონების კრიტიკა“ წეროს. შთაგონება სჭირდება შემოქმედს და ის, შინ კი არა, იქ რა ყრია ჯიბოსნებთან ვახტანგურის გარდა. გარეთ უნდა ეძებოს.

ვაგლახ, ამაოდ.

ჩვენი თავგადასავლის ამბავს მეც კარგა მაგრა გადავუხვიე. მარცვლებად გაპნეული დრო ახლავე უნდა ავკრიფო.

როგორც ვნახეთ, ჩვენი ოდისეის იდეის მიმწოდებელი თავ-დაპირველად მე ვიყავი, უპასუხისმგებლო და გაუაზრებელ სურვილებს აყოლილი. მერე ყველაფერი შებრუნდა და ჩემეული თავაგდება რწყილივით გამოჩნდა იმასთან, რაც ჩემმა ქმარმა დაატრიალა.

მაისის ერთ მშვენიერ დღეს, ვითომ სასხვათაშორისოდ, მითხრა:

— რა საინტერესოა — ზღვის სუნი ვიცით როგორია, ტყისა ხომ ვიცით და ვიცით, მთისა და ალპიურის სურნელს რა შეედრება. ნეტავ, უდაბნოს, ოლონდ ნამდვილს, საჰარის მსგავსს, როგორი სუნი უნდა ჰქონდეს, ან აქვს ასეთი რამ, გიფიქრია? — არა-მეთქი, გულგრილად ვუპასუხე და ჩემს საქმეს გავყევი.

თურმე, მერე როგორც ალმოჩნდა, ეს დრამატურგიის მხოლოდ შესავალი იყო. მომდევნო ექსპოზიციას მთავარი თემა უნდა გაეშალა და ასეც მოხდა.

— სამარყანდ-ბუხარასა და იმათ მეჩეთ-მედრესეებს ხშირად რომ ახსენებ, ესენი ხომ უზბეკეთშია. მერედა, უზბეკეთი რა ისე შორსაა, რომ კაცმა ვერ ნახოს. თუ თურქმენეთიდან გადაჭრი გზას ყარაყუმის გავლით, პირდაპირ იქ ამოყოფ თავს, — თქვა და ცხვირწინ „ავტომობილების დიდი მიზანი“ დამიდო. ამ სქელი წიგნ-ალბომის ძებნაზე დროს რატომ დაკარგავდა, როცა სულ იღლიაში ჰქონდა ამოდებული.

შევხტი თუ წამოვხტი, აღარ მახსოვს, მაგრამ ყურში ყარაყუ-მის გავლითო, გამეყინა.

ყარაყუმი, შავი ყუმი – შუაზიური მრისხანება ბარხანებად წოდებული ქვიშის დიდი მოძრავი მთებით უსასრულოდ გადაჭიმული უდაბნო, სადაც არც ოზისებია საჰარის მსგავსად და არც არაფერი ჭაჭანებს ყოვლისმშთანთქავი ქვიშის გრიგალების გარდა. საქარავნო გზაც კი არ ყოფილა იქ არასოდეს. ასე მახსოვს წიგნებიდან.

ამან კი გავლითო. სიგიჟის თუ სრული თავაწყვეტილობის წინანია – ვიფიქრე და შევშინდი კიდეც ოდისეას საფრთხეების წინაშე ასეთი მედგარი.

ცნობისმოყვარეობის ჭია ხრავს ჩვენს ცხოვრებას. შეუმჩნევლად. რამდენ სისულელეს ჩაგადენინებს ხოლმე მაცდურად შემომძვრალი ტვინში.

მხოლოდ დონდლოს ვერ ერევა ის, დანარჩენს ყველას. მაგრამ იქნებ სულაც არ არის ის ჭია და უფრო კი საზრისია საწუთროს ამოუვსებლის ამოსავსებად. თუნდაც ტანჯვით. ძველებმა ხომ თქვეს – რაც მეტია ტანჯვა, მით მეტია ცხოვრებაო.

ჰოდა, ეს ჭია შემომიცოდა და ჩამძახა, რას შეშინდი, დონდლო ხომ არ ხარ, შენ, საზრისის მოუსვენარო მჩხრეკელოო. თავისუფლად ამოვისუნთქე:

– მის მრისხანებას, ყარაყუმს უნდა გავეცნო პირადად, – ვუთხარი ქმარს და საკუთარ თავზე გამარჯვებულმა ავტომინისტრი დიდი კუნძული მოვიმარჯვე.

რაც მთავარია, კინალამ დამავიწყდა. ოთხათასიანი კილომეტრის უგნურობას ერთი მძიმეწონიანი არგუმენტი შიგ სახეში ვესროლეთ – შვიდკაპიკიანი ბენზინი. დღეს ამას ვინ დაიჯერებს, მაგრამ ასე იყო. ჩვენს დიად ქვეყანაში, უკაცრავად ვარ და ქალის ჰიგიენის საჭიროს რომ ვერ იშოვიდი, ბენზინი – ეს ენერგობარონი შვიდ კაპიკად იყიდებოდა. ჰო, და კიდევ ... პური.

პური ჩვენი არსობისა, რუსების ენით – Хлеб всему голова, ისე პატივაყრილი იყო მუქთა ფასისა გამო, რომ ტომრებით მიჰქონდათ სოფლად საქონლის და ღორის საკვებად. მოვიტევოს უფალმა და რამდენჯერ გვინახავს ქუჩაში ნაგვის ჩასაყრელში

მთელ-მთელი გაუჭრელი ეს ძარღვი არსებობისა. მსუქან დასაც-ლეთს ეს ახლა მაინც რომ სცოდნოდა, პირდაღებული სხვა ჭკუ-აზე დადგებოდა, იქნებ უკეთესისაზე.

მოკლედ, ორი თვის ხელფასით, შენახული რომ გვქონდა ალ-ბათ საამისოდ, გულდაჯერებულებმა გუდა-ნაბადი ავიკრიფეთ: ერთი პლედი, ერთი ყურთბალიში, ერთი ჩანთა (პროვიზიონკა ერქვა) რამდენიმე ბოთლი ბორჯომით, მოხარშული კვერცხით, ყველით და ჰურით. ჰო, კიდევ ვაშლებით, ასე რომ მიყვარს. მერე ვნახე, ჩემს ქმარს შებოლილი ძეგვი ანუ კაპჩონი კალბასი ჩუმად შეენახა – შხამია ორგანიზმისთვის, შხამია – ჩემი ზუზუნის ასა-რიდებლად. ჰმ, მაშინ რომ მცოდნოდა, რა ტურტლიან „ბუდკაში“ მომიხდებოდა სურსათის მსგავსი რაღაცის ძებნა იმ დასაკარგავ თურქმენულ სოფელში... კარგია, რომ არ ვიცოდი.

– აბა, რიჟიკ, არ გვიმტყუნო, შენებურად დასცხე, – სიყვარუ-ლით ხელი მოუთათუნა უკვე კარგად დაბანილ ჩვენს ბედაურს ქმარმა და... გავძვერით. ასე ვამბობდით ხოლმე, როცა ხელში შევატოვებდით ჩვენს ორ პატარას ბებიებს. უპასუხისმგებლოდ და უსირცხვილოდ. ბებიებს თუ არა, აბა, ვის? თანაც ვიცრუებ-დით – ორ, სამ დღეში აქა ვართო.

შუა მაისს გადაცილებული იყო და წვიმების მაგიერ თბილი, მზიანი დღეები იდგა. ყვაოდა ყველაფერი.

ბაქოს გზას დაადგა რიჟიკა. მაშინ სამანქანო გზებზე, დავარ-ქვათ, ტრასებზე ოთხმოციანი სიჩქარე, მეტადრე ასიანი, საამა-ყო გმირობა იყო. შეუსვენებლივ მთელი დღე და გადაბმულად ღამეც კი, ამ სიჩქარეს არ დააგდებდა ჩემი თავზეხელალებული ქმარი. მერე გვიან, უკვე ასაკში მეტი ფასი დავადე მის კაცურ უტეხობასა და გამძლეობას. მანამდე კი – ასეც უნდა იყოსო, მი-მაჩნდა. თუმცა, ადრეც ვიცოდი, რომ სხვა გაგებისა იყო კაცო-ბაზე. ძველი ქალაქური კოდექსის. დროებას რომ ალლოს ვერ უდებდა ვერასოდეს ამ დავიძყებული კოდექსისა გამო.

სულ უბრალო პატარა ამბავი მახსენდება. ნაშუადღევს აფო-რიაქებულმა ერთმა ჩვენმა ახლობელმა სამსახურში დაურეკა.

არიქა, შენი ცოლი სამშობიაროში მიგვყავს, პირველია და გვე-შინიაო. ვახ, რა ვქნა ახლაო, — სახენაშლილმა იქვე მანქანიანს სთხოვა, — წამიყვანე, ბიჭო, შორია და უნდა მივუსწროო. იმას ზლაზვნით ხელი გაუშლია, დაღლილი ვარო. მაშინ მანქანა ერთორს თუ ჰყავდა. ამ პასუხზე მეხდაცემულს დამგვანებია. ეს მერე მიამბო იქ მომსწრე ერთმა მეგობარმა და თან დააყოლა: თვითონ რომ ცეცხლიდან ზურგზე აკიდებულს გამოიყვანდა, ამიტომაც ვერ გაიგო და მეზი დაეცაო.

ვინმე რომ ამოიცნო, მასთან იმგზავრეო, რაღაც ამგვარი უთქვამთ. მე კი ვინმე კი არა, საკუთარი ქმარი თითქოს იმ გზებზე აღმოვაჩინე — უშიშარი და შეუპოვარი. ალბათ, იმანაც მე. მე-რე გვიან მითხრა — ქალები რომ გვჯობნით ბიოლოგიური სირთულით, კი ვიცით, მაგრამ ნებელობით რა ყოფილხართ, მგონი აქაც გვჯობნითო.

ბიოლოგიურად რომ ვუპირატესობთ, ეს სულ მალე ბაქოსკენ მიმავალ უღელტეხილის დახვეულ (სერპანტინი რომ ჰქვია) და-უსრულებელ-დაყირავებულ დაღმართზე დავამტკიცე.

ხუმრობა გვერდზე იყოს და, სიკვდილს გადავურჩით.

საჭეს მიდუღებული ჩემი ქმარი რიჟიკას რადიოს ახრიალებ-და და სახიფათო გზით თავმობეზრებულს, ჭამაც არ ახსოვდა. უცებ მანქანის დამწვარი ზეთის სუნი მეცა, არ ვიცი, სალონი-დან თუ გარედან შემოლწეული. დავიძაბე. გულმა რეჩხი მიყო. რაღაც ცუდი შევიგრძენი.

— გააჩერე, რაღაც ხდება, რაღაც იწვის, — ჯიუტმა მაშინვე გა-აჩერა ყირა დაღმართზე რაღაც ხრიკებით. ჩემს ყნოსვას გავყე-ვით და ხელი დავადე ადგილს, საიდანაც მიწაზე წინწკლავდა და იფრქვეოდა. ბედად, მალე ჩამთავრდა რეტიანი დაღმართი და რა გავიხარეთ, როცა გზისპირზე პატარა შენობას ზედ კედელ-ზე მითხაპნილი „პაკრიშკი“ ენერა. მივადექით. შიგნით შუახნის კარგად ჩასუქებული კაცი რაღაცას აჩხაკუნებდა.

— Здравствуй, брат, поможешь? — უთხრა ქმარმა კეთილი ლიმილით.

- Канечна. аткуда ви, а?
- Из Грузии, из Тбилиси.
- Ай салам, дарагой. Грузини наш брат, — тქვა და ჩაკურა-ტებულმა მანქანის ქვე შეუვინთა.
- Ай, алах спасат, а то какой авария, умирать точна, — შე-წუხდა ძალიან და სასწრაფოდ ჯიბეს იკრა ხელი. ეს რას უნდა ნიშნავდეს, დავიძენით. წამი და ჯიბიდან ხუთკაპიკიანი ამოილო, საბჭოთა სპილენძის კაიხელა ხუთკაპიკიანი.
- Вот, брат, эта точна паможет, Алах, — რიჟიკას მუცელს ამოედო, რაღაც მიზომ-მოზომა. პალუჩიცაო — წამომდგარმა გაგვიღიმა.
- როგორც გავარკვიეთ, ზეთის რკინის „ბაჩოკს“ ნასვრეტი გას-ჩენოდა და იქიდან ზეთი იღვრებოდა. ცოტაც და გამოილეოდა.
- მაშინ მანქანის აგებულებაში დიდად ვერ ვერკვეოდით, ჩვენ ორივენი, ვერ ვაცნობიერებდით, რა გველოდა: — ზეთი დაიცლებიდა, სიჩქარეზე მდგარ, დაკლაკილ დაღმართზე უმუხრუჭოდ დარჩენილებს... აი, რატომ თქვა, ალაპმა გადაგარჩინათო.
- ხუთკაპიკიანით დაუცვა თავი ნახვრეტს, მაგრამ როგორ, არ ვიცი. ის კი ვიცი, დანამდვილებით, რა სასწაულს მოახდენდა, მა-გალითად, გერმანიაში ამგვარი გროსმაისტერობა (ანუ დიდოს-ტატობა). მაშინ, საბჭოეთში ასეთები მრავლად იყვნენ ბევრ სხვა საქმეშიც. გაჭირვება მიჩვენე და...
- ჩვენმა აზერბაიჯანელმა ძმამ ეს არ იქმარა და ზეთიც პირამ-დე შეავსო.
- ხოშ გელდინიზ, — ხელი ჩამოართვა ქმარს ისე, რომ ჩემკენ არ გამოწეულა. ქალთან წესი არ იყო ამისი, ამიტომ არ მაკადრა. ქმარმა უკვე მომზადებული ფული რომ გაუწოდა, იწყინა —
- Ти, дарогой, грузин, значит наш брат, — так нелзя. მთელი სიწრფელით გვითხრა, ერთხელ კიდევ ხელი ჩამოართვა და ხოშ გელდინიზ — გაგვიმეორა.
- ასეთი იყო პირველი ნიშანი ზევიდან — თავს ნუ იგდებთ, გაფ-რთხილდით, მაგრამ უტიფრებს რას შეასმენდა.

გზა გავაგრძელეთ. ერთხანს ხმა არ გაგვიღია. ფიქრმა წაგვიღო.

მერე ქმარმა ყრუდ თქვა:

— რა პქენი, ბავშვები ობლობას რომ გადაარჩინე, არც კი იცი. რა ყოფილხართ ქალები, რა ზეგრძნობები გვარნახობენ?

ჯერ კიდევ სად იყო ამის დასტური, ყველაფერი ანი იყო, თუ იყო...

წინ ბარაქიანი მიწა იშლებოდა. სოფლის გზებზე ლობეებთან ჩამწკრივებული ბრონეულის ხეები მეწამურს ჰიმნს უმღეროდნენ. ბალებში ნუშის ყვავილები სიფრიფანა მაქმანებივით კოპწიაბდნენ და იქ ჩადგმულ სახლებს ტილოზე გადასატანად ამზადებდნენ. ამ სიცოცხლის ამოფრქვევაზე წუთიერი სიდინჯე წაგვგვარა და სრბოლის უინი გაგვიათვეცა.

ბაქოს საღამოს მივადექით. იქ ახალი და ძველი უხილავი ძაფით შეკრულიყო. ორივე შემკული და ღირსებით მომზირალი, თავაზიანად პირისპირ მდგომი და ურთიერთისადმი კრძალვით დამშვენებული. ამან გამაოცა და კეთილი შურიც ჩამილვარა. ნეტავა, ჩვენთანაც.

უკვე ღამისკენ რიუიკას გემ-ბორანის დიდ მუცელში ჩვენიანად შეგორება არ გაგვჭირვებია. წესისამებრ ბილეთები გავაფორმეთ ნავსადგურში, წესისამებრ მოგვემსახურნენ და ერთ პატარა კაიუტაში გაგვამწესეს.

აეროფობიაც მჭირს და ვატერფობიაც. ცურვაზე ვინ ლაპარაკობს. მაინც კმაყოფილმა შევხედე კმაყოფილსავე ქმარს: ღამეს კასპიას გადავცურავთ. დილით თურქმენეთის კრასნოვოდსკში ისევ მიწას დავებჯინებით და გავრეკავთ წინ ჩვენებურად. წინ, სულ წინ, მაგრამ საით და როგორ — ვიცოდით? მერედა რა, რომ არა. მაინც წინ.

არც ის ვიცოდით, რა იყო კასპიის ზღვა, წაგრძელებული, ხმელეთში ჩაჭედილი. მარილწყლიანი რომ არ ყოფილიყო, ტბა დაერქმეოდა. ზღვები ოკეანეებთან თანაცხოვრობენ, თუ ოკეანეში. ის კი არა, ზღვა ზღვაშიც მოკალათდება ხოლმე. აიღეთ,

საკაცობრიო ცივილიზაციის უზარმაზარი აუზი მედიტერანიისა – ხმელთაშუა ზღვა. მის შიგნით ეგეოსის თუ იონიის ზღვები რომ არ ყოფილიყო, არც ტროა, არც ლესბოს-სამოსი და საერთოდ ეგეიდის კულტურა არ იარსებებდა. კრეტა-მიკენის იმ წინაპერებული კულტურის გარეშე, იქ ქართველურის ძირები რომ ჰქონდა, ანტიკურობას რაღა ფასი ექნებოდა.

ახლა უფრო მარცხნივ – ლიგურიის, ადრიატიკის ზღვები რომ არა, რომელ რომსა და ვენეციაზე ვიოცნებებდით. ამ ჩვენი შავი ზღვის, ასეთი მშვენიერი ლურჯის, თავის წიაღში რომ ასაზრდოებს იმ ორ პატარას – აზოვსა და მარმარილოსას, უმისოდ არგონავტიკას ვინ ახსენებდა.

ასე რომ, კასპიას მსგავსი არაფერი გააჩნდა. ჰოდა, ტბაა ამიტომ. აბა, ბაიკალს ლამაზსა და ამხელას, გაუგონარ სუფთა წყალმტკარით, ტბა უნდა ერქვას უმარილობისთვის?

მოკლედ, კაიუტის ვიწროობაში მომლოდინებს ცუდი დღე დაგვადგა. ეს მოქუფრული და უშმური ტბა-ზღვა იოლი გადასაცური როდი ყოფილა. მეტიც – ლელვა-შტორმებით განთქმულს, მის თავზე გადაფრენილ თვითმფრინავს შავ დღეს აყრის ყანყალ-ტურბულენციით, ვიდრე თავიდან მოიშორებს.

ეს მერე მეც ვიწვნიე, როცა ტაშკენტში მივფრინავდი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე. ან იმ პირუტყვულ შიშს, ან იმ ჩაშხამებულ კონფერენციას, სადაც კარგა დიდი ტაშით შემომეგებენ ერეტიკული აზრებისა გამო, რა დამავიწყებს. ბაქოც, კასპიის ბატონ-პატრონი ქარების ქალაქად ამ უშმურის გამო მოინათლა.

თვალად შეუხედავი და ბოლმიანი მთელი ლამე იღრინებოდა და იქაჩებოდა. ძილს ვინ დაგაცლიდა. ჩემი ქმარი, როგორც ყოველთვის, წარბს არ იხრიდა და მეხუმრებოდა კიდეც – ამ ზღვას მუცელი იმდენი ნავთობით აქვს გამოყეყილი, რა გიკვირს, ჩვენზე რომ ჯავრი იყაროს. მოკლედ, გავათენეთ.

დილით, როგორც იქნა, ჩვენმა რიჟიკამ ფეხქვეშ მიწა იგრძნო, ჩაბერა – ჩაიხვიხვინა ბედაურივით და ალიურს რომ უწოდებენ, ისე გასწია.

მართლაც, რა ყოფილა ფეხქვეშ მიწა, ნიადაგი. ის, ვისაც ეს არ შეუგრძნია, ვერასოდეს ჩასწვდება სიტყვას „უნიადაგოს“ – ტრაგიკულის ტოლფასის შინაარსისას.

კრასნოვოდსკი. ყაზანჯიკ, ყიზილ-არვატ, ბაირამ-ალი – თურქებული ტოპონიმიკის გენეალოგიურ წმინდა აზაური აკაციის ხეს ის პელმენის კუნწულასავით როგორ ჩამოეკიდა, სიმართლე გითხრათ არ ვიცი და არც მაშინ მცოდნია. ეგაა, მერე მოგვიანებით „Бепое солище пустыни“ – უდავოდ დიდი რუსული ეკრანის ამ პატარა შედევრმა, იმწამიერ რატომლაც კრასნოვოდსკი თვალწინ დამიყენა. გეოგრაფიულად არა – სლავურ (?) – შუა-აზიური საოცარი შეუძლების განზოგადებულმა მხატვრულმა წარმოდგენამ.

კრასნოვოდსკი კარგად იყოს. კეთილი საქმე გვიყო და იქ რაღა გაგვაჩერებდა. წინ ნეპიტ-დალის ზეგანი გველოდა და აქედანვე იწყებოდა, ეგრეთ წოდებული, ტრანსკასპიის ათასებზე გამავალი ხაზი. უფრო ფართოდ კი ცენტრალური აზია.

მე ჩემი ანგარიში მქონდა მასთან, კულტურული შეჯახების ანგარიში. სამუელ ჰანტინგტონის გლობალური „ცივილიზაციიათა შეჯახება“ არ გეგონოთ – ჩემს ქართულ-აზიურ ლოკალურ შეჯახებაზე ვამბობ. ამაზე მერე უფრო კარგად.

– ნეპიტ-დალის ზეგანი ბოლომდე უნდა გადავიაროთ, არა, – ვკითხე ქმარს, – მერე, როგორ გაუძლებთ თქვენ ორივენი, შენ და რიუკა, წარმოგიდგენია?

– რადგან წინ და მხოლოდ წინ მივიწევთ, ზეგანი რა ისეთი ბარიერია, – მიპასუხა.

ზეგანი. ბავშვობიდან გეოგრაფიით გატაცებულს, ეს სიტყვა რაღაც შავი ჭირის წარმოდგენას მიქმნიდა.

გობის ზეგანი არ იყო, იქიდან ამოვარდნილმა მონღოლურ-მა ქარბორბალამ რომ გადაუარა ოქროს ხანას ჩვენსას და წარგვტაცა ყარაყორუმს. ამ ზეგანმა არ შობა განა მონგოლოიდი, ლამის ნახევარი სლავებისა და კინალამ ვენეციას მიღწეულმა. კინალამ რომანულ-გერმანიკული მონგოლოიდი დააპიბრიდა...

თურმე, ზეგანი ასეთი აღმოსავლური დიდი საფეთელა სულაც არ ყოფილა. უბრალოდ, ამომშრალი, გაბერწებული ტრამალი ყოველივე მწვანისას აშინებდა, რათა სიმშრალეთიდან თავი არ ამოეყო და ეს გეოგრაფიული გაგება არ წაერყვნა.

არ ვიცი, რამ გაგვაძლებინა. თითქმის შეუსვენებლად მივარღვევდით უკაცრიელ ჩაუამებულ მოყავისფრო არემარეს და ცაც ამ სიყავისფრეს ირეკლავდა თითქოს. ტრასა ისეთი გულისწამლებად სწორხაზოვანი იყო, რომ ვგრძნობდი, თვალის გუგა როგორ გვიშეშდებოდა. გზის საფარი მოხრეშილისა და ასფალტის გაურკვეველი ნაზავი იყო, მაგრამ რაღაცნაირად მიწას დადუღებული. ალბათ, სამხედრო დანიშნულებისა.

ისე მოვწყდი, თითქოს ფეხით მერბინოს. ქმარს შევხედე და მივხვდი, ზღვარს იყო მიღწეული. ნახევარ საათს წავთვლემო, მითხრა, ჩემდა გასაკვირად. გზისპირზე გავჩერდით. მანქანების გრიალის ხმა მოგვენატრა. ტრასაზე მხოლოდ ერთმა ჩაგვიარა. ცა ჩამოიქუფა, ალბათ უნდა ეწვიმა, მაგრამ უკაცრავადო – ასე ჩამოქუფული დარჩა. ერთი საათი გვეძინა. ამასობაში ჩამონელდა და ჩაშავდა უკაცრიელში. ახლაც მიკვირს, რატომ არ შევშინდი და სულაც პირიქით, რომანტიკულით გაგულადებულმა, აბა, დავიძრათ-მეთქი. კიდევ კარგი, ჩვენს რიჟიკას „ფარები“ მაგრა უნათებდნენ.

რისი დასახლება – ჭაჭანებაც არ იყო.

შუალამე გახდა, როცა მივადექით პირველ დასახლებულ ადგილს და რაღაც მტკაველა მოედანზე ერთბაშად დავამუხრუჭეთ. აქედან მოჩანდა ერთსართულიანი მართკუთხა თეთრად შეფეთქილი შენობები, ზუსტად „კიბიტკების“ მაგვარი. ზედ იმ ვითომ მოედანზე სამი საფეხურით შემაღლებული შესახედად სახლი, სასტუმრო გვეგონა.

მტერსა და ავს, რისი სასტუმრო. კარის ორივ ფრთა მთლად მოთხლეშილი იყო და... ძგიდესთან ავტომატმომარჯვებული მილიციელები იდგნენ. ოთხი თუ ხუთი, შეიძლება მეტიც.

ვახ, ეს სად მოვხვდითო – წამოსცდა ქმარს და მანქანიდან გადმოსვლა ძლივსლა მოასწრო, თავს ისე დაადგნენ. რუსები

იყვნენ, მეც გადმოვედი და გვერდით დავუდექი. უსიტყვოდ ჩაგვათვალიერეს. შეტევაზე პირველი მე გადავედი. ქალი ვარ და ამიტომ. აკადემიური რუსულით მოვახსენე, რატომ და რისთვის აღმოვჩნდით იქ. გაკვირვებით კი შემოგვხედეს, მაგრამ მათი ეჭვები უკვე გაფანტულიყო. ავტომატებმაც ჩაქინდრეს თავები.

ადამიანურად გამოცოცხლდნენ. იცინოდნენ – იცით, სად მოხვდით, კაზანდჟიკშიო და მრავალმნიშვნელოვნად გადმოგვხედეს.

– რუკაზე ყაზანჯიყია აღნიშნული. ალბათ, ეს დაბაა, – უთხრა ქმარმა. ახლა კი მთლად გადაბჟირდნენ, – როგორ არა, ოლონდ სროკმოხდილების ქალაქია პრეკრასნეიშიო.

გასაგები იყო. სასჯელმოხდილ განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებს (ანუ რეციდივისტებს) უფლება არ ჰქონდათ თავისუფლად გადაადგილების და ერთ ალაგას უყრიდნენ თავს საცხოვრებლად. ამისთვის ყაზანჯიყი აერჩიათ – ქვემოთ ნეპიტ-დალი, ზევით – ყარაყუმი.

ჩვენი რუსულით მოხილულებმა და უკვე თითქმის დამეგობრებულებმა დაბეჯითებით მოგვთხოვთ: მანქანა რაც შეიძლება კიბესთან მოაყენეთ, შიგ ჩასხედით და აქედან ძვრა არ ქნათო. თან საათს დახედეს. ღამის პირველი იყო. ახლა იწყებენ გარეთ გამოსვლას საგულაოდ და არც დაგესიზმრებათ, ეს რა არის, გვითხრეს. ქმარს გავხედე ფერდაკარგულს. აფორიაქდა და ამას ვეღარ მალავდა. მერე, როცა სამშვიდობოს გავედით, ვკითხე: ბიჭო, ვერ გიცანი, რა დაგემართა-მეთქი. შენი ბრალია, რაც დამემართა. ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი თან რომ არ მყოლოდა, იმათ დედას ვუტირებდიო. რაღაცის რომ ეიმედებოდა, ეს გვიან გავიგე.

პირველი, რაც სასწრაფოდ გავაკეთე, ეს მანქანის ფანჯრების შიგნიდან ჩაბნელება იყო. პლედით, ტანსაცმლით და რაღაცით.

– აბა, ჭკვიანად იჯექი, ღმერთი არ გაგიწყრეს და თავი არ გამოყო, – ჩაფიქრებულმა მითხრა.

– შენ რა, გარეთ დარჩები, მაშინ მეც... – გავჯორდი. იძულებული შეიქნა დავემაგრებინე უკანა სავარძელზე და თვითონ წინ

დაჯდა საჭის მარჯვნივ. ფანჯრებჩაბნელებულში ძილმა როგორ წამიღო, არ მახსოვს. არც რა დრო იყო გასული, ან როგორ მეძინა, როცა გარეთ რაღაცა მძიმე რამ ტრიალებდა. გონს მოვეგე და წინა სავარძელს ვეცი. ქმარი იქ აღარ იყო. პლედის კუთხე ოდნავ გავწიე და გავიხედე.

ახლაც თვალწინ მაქვს ის სურათი. მილიციის შენობიდან პროექტორი იქაურობას ანათებდა, აი, ზუსტად ისე, კინოში რომ გვინახავს – ციხის შიდა და გარე სივრცეში სინათლის ძლიერი ჭავლის ბრუნვა. ჩვენი მილიციელები ავტომატებით მირბოდ-მორბოდნენ. ხელით ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ. წამს არ ჰყარგავდნენ. მართლაც, შავი დღე ადგათ. ჩემი ქმარი გარეთ ზედ მანქანას მიბჯენილი იდგა და თვალით ინიშნავდა ყველაფერს, რაც მოძრაობდა. ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა და მოდარაჯე კავკასიური ნაგაზივით, თითქოს მზად იყო მომზვდური დაეგლიჯა. კარგია, რომ განათებული გარემო ხელისგულივით მოჩანდა. გასროლის ხმებიც მესმოდა. სულაც არ შემშინებია. აღბათ თავგადასავლით გატაცების უგნურობისა გამო.

მთელი ღამე ასე იყო. მალე მზეც ამოიწვერა, სულ სხვანაირი, ადრიანი, მაშინვე მოკაშვაშე. იქაურობაც თითქოს ჩაჩუმდა.

ჩვენი არაქათგამოლეული მილიციელებისადმი (ახალგაზრდები მეტნი იყვნენ) რაღაცით გამორჩეული პატივისცემა და, რაც მთავარია, ნდობა ვიგრძენი მოვალეობის მათი შეგნების შემხედვარემ. მერეც ბევრჯერ მიფიქრია, ნუთუ კიდევ შერჩენილიყო ლირსების გაგება მაშინ, როცა სამოცდაათიანებში (ახლა უკვე წინა საუკუნეში, მეოცეში), საბჭოეთის თევზის თავს აყროლება დაეწყო და ჰა-ჰა, მთელ სხეულს მოედებოდა. ასეც ხომ მოხდა.

მაგრამ ზნეობრივის (თუ გინდ მორალის) ერთბაში დარტყმით განადგურება შეუძლებელი ყოფილა. ძირის გამოთხრასა და ჩაშლას კაიხნის გზა სჭირდებოდა თურმე. ეს თეორიული დასკვნა გამინამდვილდა ჩემს ენაზე ჩემივე ცისქვეშ, მაგრამ გვიან, ძალიან გვიან... ახლა კი აზრი ამ მილიციელმა ბიჭებმა გამინათეს

— იმ დასაკარგავში არაადამიანურ პირობებში გროში ხელფასით სიცოცხლის რისკით რომ ცხოვრობდნენ.

გამოთხოვების დროც დადგა. მთელი სითბოთი გადაეხვია ჩე-მი ქმარი, მაგრები ხართო — ხელი ჩამოართვა სათითაოდ. ერთი ბოთლი ქართული ლვინო (ისიც დაუმალია) მიაწოდა რაღაცით შემცბარებს და როცა ჩემებური ვუთხარი, მთლად დაიმორცხვეს. მანქანით გაგვაცილეს კაიხელა მანძილზე.

ესეც, შენ, ჩემო რომანტიკოსო, მითხრა გაღიმებულმა და დავგაზეთ. რიჟიკაც ისე მიაჭენებდა, თითქოს იქ ყველაფერი ნა-ხა და გაიგო. ჩვენმა ერთგულმა რიჟიკამ. ცნობისმოყვარეობის ჭია იყო ეს თუ საზრისი არსებობისა — ეგზისტენციალისტების-თვის მინდოდა მეკითხა.

გეზი აშხაბადზე დავიჭირეთ. მისი ვინაობა უფრო იმიტომ გვაინტერესებდა, რომ ცხელი წყლით დავიბანდით, საწოლზე მუხლებმოკეცილი კი არა, როგორც რიჟიკას უკანა სავარძელ-ზე, გაჭიმული დავიძინებდით, ცხელ სადილს გეახლებოდით და ცოტათი თავს მოვიწესრიგებდით. ეს იყო და ეს.

მანამდე ჯერ კიდევ შორი იყო. ყაზანჯიყის გამოცდილებით პირთამდე აღვსილებს სამი დასახლებული წერთილი უნდა გა-დაგველახა — ყიზილ-არვატი, ბაჟარდენი, გეოგ-ტაპე. სხვა ჭა-ჭანი არ არსებობდა ქვეყნის დედაქალაქამდე. წერთილი-მეთქი. ქალაქის ადმინისტრაციული გაგება ტვინიდან ძირიანად ამო-მიგდო სროკმოხდილთა „ქალაქმა“ და თურმე სწორიც ყოფილა.

მთავარი იყო რუკაზე მონიშნული გზა არ აგვბნეოდა და სადღაც კისერი არ მოგვეტეხა. ამ ბრძნულ ჭკუაზე კი მოვდე-ქით, მაგრამ... ამ სხვა ამბავსაც ცალკე გიამბობთ.

მაშინ ვის დაესიზმრებოდა დღევანდელი ელექტრონული პატრონი ანუ მანქანის სანავიგაციო ხელსაწყო, მამასახლისი-ვით თავს რომ გადგას და მილიმეტრის სიზუსტით დაგატარებს. გრაფიკულად ხომ დაგიხატავს საით, რისკენ, ვისკენ უნდა გა-დაუხვიო, სად შეგხვდება საცობი და დახარჯულ თუ დასახარჯდროსაც მისხალ-მისხალ დაგიწერს. ახლა სიტყვიერსაც მიაშვე-

ლებს კაი ხმამალლა. ისე ჩაგდახებს და ჩაგიქაქანებს, მარტო ყური უნდა გაშალო, თვალი დაჭყიტო, ტვინი კი დაასვენო.

რამდენჯერ მიფიქრია – ეს ელექტრონული ყველაფრის გამკითხავი პატრონი – დრო ღვთისგან ფიქრისთვის ნაბოძებ ტვინს ასე მონდომებით რატომ თიშავს, რატომ არ აწუხებს და მზამზარეულს აძლევს თავის „პროდუქტს“ კაცობრიობას. ეს „პროდუქტი“ არაა, წიგნი ხელიდან რომ გამოსტაცა და შორს მიუსვლელში გადაისროლა. ამდენი თუ შეუძლია, რატომ არ ზრუნავს სულ უბრალოზე, მაგალითად... სურდოზე. არადა, ეს მზაკვარი რამდენს აწვალებს სანამ თავის ოთხდღიან რიტუალს – ცხიკინს, გაგუდვას, კურცხლებს, ღვარღვარის შესქელებას არ ჩაამთავრებს, არ მოეშვება კაცს. ანკი რაში სჭირდება თავისმტვრევა ბიოლოგიური შედევრის კლონი-ადამიანის ძალით შეკონინებაზე, უდედმამოზე. რა, ეცოტავება შვიდმილიარდიანი დემამიანი? ალბათ, სხვანაირი უნდა, იოლად სათვალავი და დამჯერე. ანდა კიბოს – სიკვდილის განაჩენს რით ვერ დააყენა საშველი, დროდადრო იმედის საკენკს რომ აბნევს – აი, მივაგენით წამალსაც და ბოლოსაც მოვულებთ იმ გენიალური ნანოტექნოლოგითო. რა ქნას დედამიწაზე ასე გამრავლებულთა დარღით შეწუხებულმა, ჰა?

ხრიოვ ტრამალს ბოლო არ უჩანდა. ნამცეცებილა დაგვრჩა საკენკად. ჩვენმა „ბორჯომმაც“ მოგჭამა ჭირი. ჰარიჰარად დაბანილი ცხვირპირით ლამის უსახლკაროებს დავემგვანეთ. საპონიც გამოგველია, და ვაი, ჩვენს სანიტარიას. ხელის დაბანაზე როგორ ვთქვა, მარა იმერული ესთეტიკით ამას „ხელის დამშვენება“ ჰქვია. იმერეთში მოშორებულ სოფელში ჯერ კიდევ ნახავდი, როგორ მიართმევდნენ სუფრის წინ სტუმარს ქათქათა პირსახოცს – ხელი დაიმშვენეთ, ბატონო. დაიბანეთო, როგორ აკადრებდა დახვენილი იმერი და, საერთოდ, ჭუჭყიანი, როგორც ესთეტიკური კატეგორია, ხომ მოდგმით არ არსებობდა მის ცნობიერებაში.

ევროპის საუკუნოვანი კამათი კი, მიეღოთ თუ არა ესთეტიკურ კატეგორიად ის, რაც მშვენიერების ცნებას არ შეესაბამე-

ბოდა, საბოლოოდ დასრულდებოდა იმერეთში. მაგრამ ბაუმ-გარტენმა, ცოდნის ამ დარგის დამფუძნებელმა, ეს არ იცოდა. რომ სცოდნოდა, მეთვრამეტე საუკუნეშივე ყველაფერი თავის ალაგას დალაგდებოდა, და დღემდე შემორჩენილი კამათიც შეწყდებოდა.

ასეთ გაჭირვებაში მივადექით ყიზილ-არვატის დაბის მთლად შუაში ჩადგმულ „უნივერმაგად“ წოდებულ მაღაზიას. უნივერმა-ლად ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერი ერთიანად დაეხრონგათ – სურსათიც და ეგრეთწოდებული სამრეწველო საქონელიც. გა-რეთ ოცდაათგრადუსიანი შიგნით თავისას ატრიალებდა ბუზებ-თან ერთად, პირლია ყუთებში ჩაყრილ „პეჩენიებში“ და განეპილ კანფეტებში გემოზე რომ გრიალებდა. თევზის, ნავთის, ნამხდა-რი ხორცის და კაცმა არ იცის რისი სურნელი, ანტისანიტარიის აკადემიურ შინაარსს გვიხსნიდა.

რა უნდა მელონა ამ შინაარსის კარგ მცოდნეს. უკან დასა-ხევი გზა მოჭრილი იყო. კრიმინალისტის თვალით ვზომავდი მოქმედებას: მთავარი პურია. გაქონილ, ჩაშავებულ დახლზე დახორავებულს გამოვშიგნავდი, გულს გამოვულებდი. ხუთი „პუხანკიდან“ ორი მაინც ხომ დაგვრჩებოდა. ხახვსაც ასევე. ყვე-ლის ნასვრეტებში ვინძლო მწერებმა ვეგეტაცია გამართეს, ამი-ტომ უარვყავი. შუშის სამლიტრიან მოხუფულ ქილაში ქლიავის კომპოტი დასაშვებია. საეჭვოს ამობურცული ხუფი ექნებოდა. ქმარმა საწყალობლად გახედა კონსერვის ქილებს და მრისხანე მზერა რომ შევაგებე, ყურები ჩამოყარა. ამით მოგვარდა საქმე, მაგრამ როცა გაკვირვებულ გამყიდველს ხელის საპონი ვთხოვე, აქოთებული სარეცხისა მომაწოდა, სხვა არა გვაქვსო. ცხადია, დავიწუნე. ისე კი, მერე საპნის მოტივმა როგორ დაამდერა, გი-ამბობთ.

არ გინდოდა ცხელი ღომიო – უწმაწური ანეკდოტისა დამე-მართა იქ. ბარნოვის ქუჩაზე, ზედ ჩვენი სახლის პირდაპირ, ვა-კეში პოპულარული მაღაზია იყო რძის ნაწარმის. დილაობით

რომ დავინახავდი, როგორ გადმოჰქონდათ ლია „გრუზიავიკიდან“ ტიტლიკანა ყველის დიდი თეთრი თავები, ახლა რომ ქარხნულს უწოდებენ, პროტესტით შეპყრობილს მინდოდა ბარნოვზე მიტინგი მომენტი იქაურების გამოსაფხიზლებლად. კარგად გათხუპნილ შუშის გრძელ ქილებზე, უფრო კი ბოთლებზე, მანვნისა და რძის მწარმოებელს წარბშეუხრელად სასჯელის უმაღლეს ფორმას გამოვუტანდი. პო, კიდევ, მოჭყლეტილ და მუდამ ჩასველებულ მოვერცხლილ ქალალში დაფასოებულ ხაჭოს დანახვაზე მამაძალლ მპარავ გამყიდველ ასიას ვირზე უკულმა შევსვამდი და მთელ ვაკეს მოვატარებდი.

როგორი რელატიურია (ფარდობითია) ყოველივე ჩვენს არსებობაში. რა ძვირფასი ყოფილა თურმე ჩვენი მაღაზია ვაკეში და ჩვენი ასია.

როგორც იქნა, ყიზილ-არვატი თავიდან მოვიშორეთ და ბაჲჰარდენისკენ გავწიეთ. იქ ჯერ კიდევ არმისულმა, ავიტეხე – თუ საპონი არ მექნება, ძვრას არ ვიზამ-მეთქი. არადა, ბაჲჰარდენამ-დე ცოტა იყო დარჩენილი. ჩემდა გასახარად, ტრასიდან ჰორიზონტზე შენობები დავინახე.

– გადაუხვიე, რაღაც რიგიანი მოჩანს, საპონს მაინც ვიყიდით, – ისეთი ხმით შევძახე, უარი უაზრო იქნებოდა.

უკვე ვუახლოვდებოდით, როცა წინ ფორმიან-ავტომატებიანები გადაგვიდგნენ. რუსები იყვნენ. ქმარს გადმოსვლა უბრძანეს, მე ჩამათვალიერეს. ერთ-ერთი რიჟიკას საჭეს მიუჯდა, გვერდზე ჩემი ქმარი მოისვა. უკან კი ორი აქეთ-იქით მომიჯდა ისე, ავტომატები არ დაუშვიათ. ახლა ქმარმა ჰკითხა, რას ნიშნავს ესო. ერთმა, როგორც ჩანს უფროსმა, გაყინული მზერით თამ რაზნერემცე-ო, – უპასუხა. ასეთი „კანვოით“ მივადექით დიდ ორსართულიან სახლს. ეზოში უკვე გველოდნენ. აი, თავგადასავალი, ისეთ გუნებაზე დავდექი, ცეკვა მინდოდა.

– რა გეცევებოდა, ქალო, ბენვის ხიდზე მოფარფატეს, – ისევ ზევიდან მოისმა. მანქანიდან გადმოგვიყვანეს. მე იქვე დამტოვეს, ქმარი კი წაიყვანეს.

ჩემთან შუახინის სიმპათიური რუსი ოფიცერი დარჩა (მერე გავიგე, კა-გე-ბეს პოდპოლკოვნიკი ყოფილა). ეს დაკითხვა იყო. ცალკე ჩემი და ცალკე ქმრისა.

— თქვენ საზღვარი დაარღვიეთ (ანუ სადემარკაციო ხაზი), რატომ? — შეკითხვასთან ერთად ხელი გაიშვირა. — იქით რომ ირანის სახელმწიფოა, იცოდით? — მკითხა თავაზიანად.

ნაღდი გაოცება ამოიკითხა ჩემს სახეზე გამოცდილმა პროფესიონალმა და პასპორტი მომთხოვა. ყველაფერი წვრილად ვუამბდე. მოგზაურობის მიზანი ჩემი, როგორც უმაღლესი სასწავლებლის ესთეტიკის ლექტორის, საქმიანობით ავხსენი. ქმრის ექიმის პროფესიაზეც საგანგებოდ მივუთითე. ვინაობის ნარდგენა მთავარი იყო. მერე კი გამოწვლილვით აღვწერე ყველა მოვლენა კრასნოვოდსკიდან მოყოლებული აქამდე. ბოლოს იქით შევეძავე — ტრასიდან რომ გადმოვუხვიეთ, აკრძალვის მაჩვენებელი რატომ არ იყო-მეთქი. საპინის არგუმენტი ისე მივაწოდე, რომ მთლად გაგულადებულმა დავაყოლე — ჩვენს ადგილას თქვენც ხომ ასე მოიქცეოდით. ისევ თავაზიანად გამიღიმა, — მჯერა თქვენიო.

ეს ჩემი გამარჯვება იყო. დიახ, რუსულმა მჭევრმეტყველებამ და, წარმოიდგინეთ, სიმართლემ თავისი ქნა. ნეტავ, ჩინურიც მცოდნოდა. ხომ ნათქვამია — რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. უმაღლესი ჭეშმარიტებაა ეს.

ამასობაში კაიხანი გავიდა და მხოლოდ ახლა ვიგრძენი მუხლებში სისუსტე — ნეტავ, რა სჭირს, საფრთხეშია, ვაითუ. ეზოში დაკითხულს შენობაში ვინ შემიშვებდა. სიმპათიური ოფიცერიც ხომ არ მტოვებდა. გულისგამანვრილებელი მოლოდინი თითქოს საუკუნეზე გაიჭიმა.

უცებ შენობის კარი გაიღო და ქმარი დავინახე თანმხლებ-თან ერთად. მოგვიახლოვდნენ. სახეზე, მის სახეზე უნდა ამომე-კითხა ბედის განაჩენი. მშვიდმა და დაჯერებულმა გამოხედვამ, როგორც ფილმში, ბედინერი დასასრული მამცნო.

რიუიკა ეზოს მიფარებულში გადაეყენებინათ. ოფიცერმა და უცნობმა თანმხლებმა იქ მიგვიყვანეს. ყურადღებით იყავით და ფრთხილადო, დაგვარიგეს.

— ამხანაგო ოფიცერო, თქვენი აზრი მაინტერესებს, — მივმართე სიმპათიურს, — შპიონები აქ როგორ მოვიდოდნენ დღისით, მზისით, თანაც მოკიაფე რიუა მანქანით? რომელი ჭკუათმყოფი ჩაიდენდა ამ სისულელეს?

— სწორედ ყველაზე ჭკვიანი, — მიპასუხა ღიმილით. სწორედ მოკიაფე რიუა მანქანის გამოჩენაა უკვე თავად ინფორმაცია, შორიდან თვალით დანახული ჩაშიფრული ტექსტი, — მოკლედ მოსხიპა პასუხი.

რა დიდებული რამაა კომპეტენცია, ვერაფერთან კონვენტი-რებული პროფესიონალიზმი, — გავიფიქრე და მანქანის სახე-ლურს ხელი ჩავავლე.

— ჰო, ახლა საით გაგიწევიათ, ხომ არ გადაიფიქრებთ მარ-შრუტს? — ისე, სასხვათაშორისოდ გვკითხა.

— რა თქმა უნდა, არა. აშხაბადისკენ გავაგრძელებთ გზას, — ვუპასუხეთ.

იმ ორი პროფესიონალის შეუმჩნეველი შემხვედრი მზერა და-ვიჭირე რაღაც მეექვსე გრძნობით, მაგრამ მალევე განელებული იქაურობის დატოვების მოუთმენლობით.

იმ ადგილს გავეცალეთ. საჭესთან მოლუშული ხმას არ იღებდა. მეც ენა ვერ დავძარი. უშნო ახირებით დამნაშავე ვერ ვე-კითხებოდი, რა ხდებოდა მის თავს იქ. დაძაბული სიჩუმე მან და-არღვია, მიუხვდა ჩემს განცდას:

— სახალისოსი რა გითხრა, მაგრამ ეს უჩვეულო თავგადასავალი ფილმისთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა. ვიცოდი, იყოჩაღებდი და სიმართლეს დაუმტკიცებდი იმათ, ვისთანაც სიმართლე არ ჭრის. მაგრამ ჩათვალე, რომ სასწაულმა გამოგვიყვანა იმ გა-მოუსვლელიდან.

მერე მიამბო, როგორ შეიყვანეს ოთახში და იატაკს დაჭე-დებულ სკამზე დასვეს. ყველა მონაცემი ჩაიწერეს, პასპორტი

სადღაც გაიტანეს და მხოლოდ გამოსვლისას დაუბრუნეს. ერთ შეკითხვას მრავალჯერ ატრიალებდნენ და უკვე გაცემულ წინა პასუხს, როგორც ჩანს, უდარებდნენ. ასე წრიულად მბრუნავი შეკითხვა ტრასიდან გადახვევის მიზანზე შეჩერდა. ისეთი ასლი იყო მისეული პასუხები ჩემის, გავვოცდი, ისეთივე წვრილად გადმოცემული. მიზნის ეპიცენტრად კი – საპონი – უსახონერილმანი დასახელდა.

ყოველივე გაიცხრილებოდა როგორც ჯერ არს და სადაც. პროფესიონალისთვის იქ საჭოჭმანო აღარაფერი უნდა ყოფილიყო. ნეტარ არს – იტყოდნენ ჩემზე სკეპტიკოსები და მართალ-ნიც იქნებოდნენ.

აბა, სასწაულიო, რატომდა? აი, აქ იყო ჩამარხული ძალლის თავი, ღვთიური ინსპირაციით უპოვნელი... მას წელს ქვემოთ ჩამალული და დამაგრებული რევოლვერი ჰქონდა. ამის ეიმედებოდა თურმე, გადასაკარგავში „ლამაზ ცოლთან ერთად“, ყაზან-ჯიყში რომ თქვა.

Sapienti sat (ანუ „გონიერისთვის საკმარისია“), – იტყოდნენ ლათინები. ახლა დავიჯერე მისტიკური ნისლის თეოლოგიური გაგება. ამ ნისლმა შებურა დამკითხავთა აზრი-გონება. არც კი გაუჩხრეკიათ. ორჯერ არ კვდებიან, ერთხელ უკვე მოვკვდიო, – ასე დაასრულა მონოლოგი ჩემმა თავზეხელალებულმა მეორე ნახევარმა.

სხვა დრო იდგა, თორემ ადრე...

და მაინც, ეს უპატიებელი ამსუბუქება იყო. ცხოვრების ფილოსოფია კი ამას არასოდეს გაპატიებს. მუდამ წინ დაგახვედრებს ადრე თუ გვიან. ამსუბუქება იყო იმ კეთილი დასასრულის (როგორც ჰეპი-ენდი კინოში) დაჯერება სიმართლით და კაიკაცობით რომ ავხსენი და რთულ გარემოებას ტოლფარდი მნიშვნელობა არ მივანიჭე. ვერ გავაცნობიერე ის, რომ ამ ძალზე სერიოზულ ინციდენტს შეეძლო ძირეულად შეეცვალა ცხოვრების ჩვენეული წესი თუ მრნამსი და მარადმყოფი სისტემის ნების ჭანჭიკად ვქცეულიყავით.

წლები დასჭირდა იმის შემეცნებას, რომ არსებობაში უაზრო არაფერია და არც წვრილმანი, ისეთი, როგორიც ამ ჩემი საპნის ირონია...

გზა მაცდურად იკეცებოდა უსასრულოდ, გეგონებოდა, სადღაც გაურკვეველში ჩვენს შეტყუებას ლამობსო. გამაბრუ-ებლად მოტრიალე ერთფეროვნების თავისებური ტრანსი იყო გეზის დაკარგვისა და გზის არევის მიზეზი, თუ რაღაც სხვა რამ, არ ვიცი. მაგრამ ასე მოხდა. დაბნეულები გავჩერდით და უმწე-ოდ მოვეშვით. ბნელდებოდა კიდეც.

— კართაგენი ჯერ არ დაცემულა, — რიხის მაგივრად კნავი-ლი გამომივიდა. მხოლოდ ახლა ჩავხვდი, რომ იმ ამბავმა გამოგ-ვწოვა მთელი ძალა და სულიერად დაგვასუსტა. ზოოლოგიური და ანთროპოზული (ანუ ადამიანური) მუდამ ერთი ლერძის გარ-შემო ბრუნავს — თვითგადარჩენის ინსტინქტის. იმას შინაგანი უჩინარი ძალების ამოქაჩვის დიდი უნარი შესწევს. ამის იმედმა გული გამიკეთა, თუმცა ვხედავდი, როგორ ელოდა ჩაბნელება თავის ბოლო ბერას.

ქმარი სიგარეტს მიეძალა, გამოსავალს ეძებდა. ის კი თავი-სით გამოგვეცხადა, ერთბაშად, თითქოს მიწიდან ამოვიდაო — მოტოციკლს მომჯდარი ახალგაზრდა კაცი იქაური პირსახით. მოგვიახლოვდა და მობრეცილი რუსულით, — რა გაგჭირვებია-თო, გვკითხა. საიდან გაჩნდა ეს დალოცვილი ამ ჩაბნელებულ უკაცრიელში, მართლაც სასწაული იყო, კარგა დამაფიქრებელი.

— უკან გამომყევით, არ ჩამომრჩეთ და ტრასაზე გაგიყვანთ, — დაგვაიმედა. არჩევანი სად იყო და გავყევით. რატომდაც ლამის შეუფერებელი სისწრაფით მიქროდა და ჩვენც მივდევდით წით-ლად მოციმციმე წერთილს გაუაზრებლად. ამ ციმციმის ბენვს დაეკიდა ბედ-ილბალი.

უცებ წერთილი ჩაქრა და ჩაიკარგა. ქმარმა იმწამიერ მანქა-ნა ადგილზე გააშეშა, ძვრა არ ქნა. ეს ქმედება ზევიდან იყო ნა-კარნახევი, გადამრჩენელი. კარი გააღო და გადავიდა უკუნეთ-ში, მეც მივყევი. მანქანის ნათება იქვე, ღრმად ჩაქცეული მიწის

მხოლოდ კიდეს სწვდებოდა. იმის იქით ყოფნა შეწყვეტდა ფერებას...

რა იყო ეს – მისტიფიკაცია, საზღვრის ამბის გაგრძელება თუ ჩვეულებრივი კრიმინალი? ასეთ დღეში რა გვეპასუხებოდა, თუმცა სულ მალე ამ თავსატეხს კიდევ ერთი დაემატა. განთიადს დაველოდეთ. როცა მზე აზიურად ერთბაშად ამოიწვერა სისხამზე, მწყობრში ჩავდებით თითქოს. ექსტრემალურში უჩინარი ძალა ისე ამოიქაჩა, რომ დაღლაც არ გვიგრძნია მთელი ღამის უძინარებს. ალლოს მივყავდით მარჯვნივ ალებული გეზით და გაგვიმართლა. ის ჩვენი ხრეშ-ასფალტით მინას დადუღაბებული დაძმაკაცებული ტრასა თვალწინ გამოგვეჭიმა.

კილომეტრიც არ გაგვევლო, წინ უჩვეულო სანახაობა გადაგვეშალა: გზისპირს, სადაც მანქანის ჩაგრიალება სანატრელი გამზდარიყო, „ვილისის“ მაგვარი იდგა. მძღოლის ადგილს კაცი ეჯდა ღია კარში გადმოყოფილი ფეხებით და... გაზეთს კითხულობდა. ეს იგივე იყო, ჩვენს მღვდელს საპარის უდაბნოში რომ ჩაეკუნცხა და ყურანი ეკითხა სტრიქონის მარჯვნიდან მარცხნივ. სანამ გავუსწორდებოდით, ქმარმა ისე შეანელა, რომ კითხვას დაწაფებულს თვალი თვალში გავუყარეთ და წამსვე რუხი დრამიდან ცისფერ კომედიაში ვისკუპეთ.

საოცარია ადამიანის ფსიქიკის უნარი მყისიერი ცვალებადობისა. შავიდან თეთრში ისე შეუძლია მოღულაცია, როგორც მუსიკაში სევდიან მინორს ნათელ მაჟორში.

აშხაბადისკენ ისე ვიარეთ, თითქოს კოპაკაბანას პლაზზე სომნამბულურად საამოდ მოთენთილებს გამოცოცხლება გვჭირდებოდა. ჩავედით და ჩვენდა გასაკვირად საკმაოდ სუფთა, კომფორტული ნომერი ავიღეთ.

აი, ბაირამობა აზიის შიგ შუაგულში მაშინ უნდა გეკითხათ ჩვენთვის.

ეს ჩვენი „ბაირამობა“ ბაირამ-ალისკენ გაგვიძლვა, ყარაყუმის უდაბნოს ჭიშკრისკენ. ამ სოფლისა და ქალაქის ნაზავმა თვალწინ დამიყენა ქალაქის აზიური გაგება, რაც ასე განსხვავდება

დასავლურისგან. ევროპაში ქალაქი აღმოცენებიდანვე ადამიანთა თანაცხოვრების ის სივრცე იყო, სადაც კანონი აწესრიგებდა სოციალურ და პოლიტიკურ შიდა ცხოვრებას. მოქალაქის უფლებებსა და მოვალეობას აწონასწორებდა „მე“ და „ჩვენ“-ის შეგნება თავად თანაცხოვრების აუცილებლობით განსაზღვრული. შეძლებულ და ხელმოკლე ფენებს საკუთარ ადგილს მიუჩინდა და უნარჩუნებდა შემაკავშირებელი უზენაესი სიტყვა – მოქალაქე. ეს კავშირი იცავდა ქალაქის თავისუფლებას და, მაშასადამე, თითოეულისას. სწორედ აქ ღვივდებოდა კონსტიტუციური მისწრაფებები. შუა საუკუნეებშივე ქალაქი ფეოდალური ყოფის სრული ანტიპოდი გახდა.

მოქალაქე-ბიურგერისა თუ მოქალაქე-სიტუაიენის ნება ამ გზით ჭედდა სამოქალაქო საზოგადოებას და მისგან განუყოფელ საზოგადოებრივ აზრს. ადამიანთა კომუნიკაციის ეს ფორმა წმინდა დასავლური რაციონალიზმის მოვლენაა, რაც საბოლოოდ დემოკრატით დაგვირგვინდა კიდეც. გრძელი გზა კი საუკუნეებს მოითვლიდა.

ხშირად მიფიქრია, რომ სამოქალაქო საზოგადოების მაღალი ცნობიერება და შეგნება ქალაქის ისტორიული მონაპოვარია. ამის მთემელია, მაგალითად, გერმანიაში შუა საუკუნეებში ათა-სამდე ქალაქის არსებობა. სწორედ სამოქალაქო შეგნებამ შეინახა და დღემდე მოიტანა უძველესი ქალაქები ევროპაში, ეროვნულ სიამაყედ მიჩნეულები.

მაგრამ მთავარი და საკვირველი ისაა, რომ ისტორიულ ქალაქებში დღესაც გრძელდება ცხოვრება საუკუნეების წინათ რომ იყო იმ სახლებსა და იმ სივრცეში. ეროვნულ-საზოგადოებრივმა ცნობიერებამ ხუთსაუკუნოვან შენობებს ახალი სიცოცხლე მისცა იმგვარად, რომ სულ მცირედიც მისი სახისა არ შეუცვლია. ამ ძვირფას დანატოვარს დღევანდელობაც სულს უბერავს და ხელისგულზე ატარებს.

სწორედ ქალაქი განასახიერებდა, მაგალითად, გერმანული „მე“ და „ჩვენ“-ის ერთობის იდეას. იქ ყოველს შენობას პატრონის

მიერ მოკაზმული ფასადი ჰქონდა და ასე მიჯრით მიწყობილებს საერთო ქუჩა უკარნახებდა ესთეტიკურად მოწესრიგებულ ყოფას. ცნება „კომუნალურიც“ ხომ აქედან წამოვიდა – საერთო წყალგაყვანილობა, ჩამნეტი მიწისქვეშა გვირაბი, ღამნათებელი ჩირალდნები და სხვა ბევრი რამ. „ჩემი“ და „კომუნალური“ ერთიანი გაგება იყო, თავად ცხოვრებით ახსნილი. ყველა ქალაქს რომ თავისი საკუთარი იერსახე ჰქონდა, ის მაინც უნდა დამორჩილებოდა ურღვევ წესს – ქუჩა თუ შესახვევი ერთ მთვარ მოედანს ჩაედინებოდა. იგი იყო თანაცხოვრების გულისგული და ერთიანი ნების სიმბოლო.

სამოქალაქო საზოგადოება და მისი ცნობიერება რომ ქალაქის ისტორიული მონაპოვარია, ამის თაობაზე ეს ჩემი მოსაზრება უფრო გამიღრმავდა, როცა აზიურს ჩავწედი. ადამიანთა თანაცხოვრების დასავლური წესი აქ (აზიურში) ისევეა გამორიცხული, როგორც „მე“ და „ჩვენ“ ერთიანობის იდეა. აქ „ჩემი“ სახლი ყრუ კედლით არის შემოვლებული, დახშული ვინრო კარით და მოწყვეტილია საერთო გარემოს. ვინრო ქუჩაბანდი თუ გასასვლელი მხოლოდ ამ კართან მისვლისთვისაა საჭირო და ქუჩის კომუნიკაციური შინაარსი მას არ გააჩნია. ყრუ კედელი ქალაქის ფასადს ვერ ქმნის ისევე, როგორც არქიტექტურის ნიშნებს. ქუჩაბანდი კი კომუნალურ გარემოს. „მე“-ს ჩაკეტილი ყოფის წესი დიდი მანძილით შორდება კომუნიკაციურ აუცილებლობას და, ბუნებრივია, მოქალაქე.

– ამ აუცილებლობის მოქმედი პირიც გამქრალია, მასთან ერთად კი ქალაქის ცნებაც. მსოფლმხედველობის საზომით უფრო ფართოდ თუ გავხედავთ, დავინახავთ, რომ საერთოდ აღმოსავლური აზროვნების ირაციონალიზმა ქალაქის ვერშექმნაშიც იჩინა თავი. ამისავე შედევი უნდა იყოს ისტორიული ქალაქების არარსებობაც. ისტორიული ძეგლები, რაც დღემდე აცვიფრებს კაცს არქიტექტურითა და ნატიფი შემკულობით, ეს მხოლოდ საკულტო-რელიგიური დანიშნულებისაა საცხოვრებლებიდან განყენებული. მედრესეების რელიგიურ-სასწავლო არქიტექტურული ანსამბლიც მოწყვეტილია ამ სივრცეს.

სამოქალაქო საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი, როგორც სოციალური და პოლიტიკური კატეგორია, აზიურ სივრცეში ისტორიულად ვერ განვითარდა და ასე შერჩა დროთა სვლას.

ბაირამ-ალიში ერთხანს მოგვიწია გაჩერება და ამან მიკარნახა, ის რისი თქმაც ახლა დამჭირდა. საერთოდ კი, შუა აზიაში ყოფნის მთელ დროს დასავლურ-აღმოსავლური – ამ ორი ცივილიზაციის შედარება ისე საინტერესო და მნიშვნელოვანი შეიქნა ჩემთვის, რომ შემდგომში მონოგრაფიაც დამაწერინა სათაურით „ქართული კულტურა – დასავლეთი“, და არამარტო ეს.

ბაირამ-ალი უდაბნოს ჭიშკარია-მეთქი. იმის იქით სხვა სამყარო იწყებოდა, იდუმალი, დროსა და სივრცეში ჩაკარგული. ამ ჭიშკართან უნდა დასრულებულიყო თითქოს კაცთა მოდგმის ფუსფუსი, რათა იქით, აბსოლუტურ სიჩუმეში მეტაფიზიკურ შემცნებას დაედო ბინა და თავისუფლად გაეშალა ფრთები.

მართლაც, ამ ქალაქისმაგვარში მომეტებული მოძრაობა მოხვდებოდა თვალს, ხალხმრავლობა. ყველა რაღაცას აგვარებდა და მიიჩქაროდა. ჩვენც შევავსეთ ისედაც გაუბრალოებული აუცილებლობა საკვებითა და წყლით. ბენზინი პირველ ნომრად მივიჩნიეთ და რიჟიკაც მოვაწესრიგეთ. ყარაყუმი, შავი ყუმი მდუმარედ გვიხმობდა.

გაურკვევლობა ისე შეგიტყუებს, ვერც მიხვდები. ჩვენც გავყევით უხილავ ხელს ქვიშის თხელი საფრით მოსწორებულ ჰორიზონტისკენ. გარემო უფერული და უსახო იყო. მრისხანებისა არაფერი სჭირო აქაურობას, – ვთქვი სასწაულის მაძიებელმა და უხასიათოდ ჰორიზონტს გავხედე. სულ მაღე მანქანის ძრავის ხმა შემოგვესმა. უკნიდან ნაცრისფერი „ვოლგა“ გვენეოდა და ღია ფანჯრიდან ხელს გვიქნევდნენ. ქმარი შეყოვნდა, ვერ გადაეწყვიტა გაჩერება, მაგრამ რიჟიკას „ვოლგამ“ აჯობა და როცა გაგვისწორდნენ, ქართულად გამოგვახეს – დაგვიცადეთო.

შევჩერდით. მზე გიგანტური ჩირალდნით ზემოდან აჩახჩახებდა დილას და ანკარა ჰაერი ასუნთქებდა არემარეს. ამ

დასალიერში ისევ მზემ შეახვედრა ქართველები და ისე გაახარა, თითქოსდა იქ, თავიანეთში ყოფის მუჯლუგუნებს არ აკლებდნენ ერთმანეთს ამ ყოფის შემოლობილში ვერდატეულები. მაინც რა უცნაურები არიან და უკუღმართები. შინ, თავის ცისქვეშ ისე დასცხებენ და გაიმეტებენ თავისიანს „მე“ „ჩემი“-ს ძახილში, მტრისას. და ამ ძახილში სადღაც მიგდებულ-მიჩურთულ „ჩვენს“ არად დაგიდევენ. სხვასთან კი, სხვის ცისქვეშ მოხვედრილები, ობლად რჩებიან თითქოს და „ჩვენით“ გამხნევებულები „ჩვენსას“ ეხუტებიან. გრიგოლ იტყოდა, რობაქიძე – ქართველი ვერ იცოცხლებს „მენის“ „შენში“ გაბრწყინების გარეშეო. ქართველები სხვაგან ბალახივით გახმებიანო. სხვისი კულტურის კლასიკოსად მართლაც გაბრწყინებული და მაინც ობოლი, ახლა, დღეს, გაიკვირვებდა – ვაგლახ, შინ და გარეთ ერთიანად კარგა მაგრა ერჩიანო თურმე ერთმანეთს, – გამწარდებოდა და მითოსის ქურუმს რწმენის ცა თავს ჩამოექცეოდა.

„ვოლგაში“ სამნი იყვნენ. ახალგაზრდა კაცები იმერულის გამოთქმით. ადრევე შეუნიშნავთ რიუკია და ისე მოხდა, რომ დაგვემგზავრნენ კიდეც. იმ სამიდან ერთის სიდინჯემ და ხაზგას-მულმა თავაზიანობამ მიიქცია ჩვენი ყურადღება, სხვა ორსაც არ აკლდა თავდაჭერილობა, მაგრამ ჩანდა, პირველი წინამძღოლობდა და საქმესაც ის განაგებდა. თედოდ გაგვაცნო თავი. სამივენი ხმელ-ხმელი აღნაგობისანი იყვნენ. უბრალოდ და სუფ-თად ჩაცმულები. ენაძუნებს ბევრი სიტყვა არ დაუხარჯავთ შეხვედრისას, არც ის უკითხავთ – საით გაგინევიათო. ამან ჩააფიქრა ქმარი და, როგორც მერე მითხრა, დაეჭვებული სიფხიზ-ლე ბოლომდე გაჰყოლია.

ისევ ჩვენ გავხსენით „ფრჩილები“ და ვუამბეთ, რამ მოგვიყვანა აქ, საით ვაპირებდით წასვლას. ჩუმად გვისმენდნენ და ბოლოს გაიკვირვეს, – რა გულადები ყოფილხართ და რისკიანებიო, თან მორიდებით დააყოლეს: ისეთი რა იყო სანახავი, ამ ხიფათიან გზად რომ ღირდაო. ჩვენდამი ნდობა და რიდი ვიგრძენი ამ გაკვირვებაში და მგონი, არც შევცდი. თავის თავზე მხოლოდ ისა

თქვეს, რომ უზბეკეთში მიღიან და უდაბნოზე მოკლე გზით გასვლას ამჯობინებენ. აქედან მოყოლებული კითხვის ნიშანი ხმარებიდან ამოიშალა, ტვინში კი დარჩა, ჩვენსაში.

— ჩვენ წინ წავალთ და გამოგვყევით, — შესთავაზა ქმარმა. ის მაშინდელი ლამე მწარედ ახსოვდა. შევთანხმდით და ადგილს მოვწყდით. ასე ვიარეთ კაიხანს, საიდან სად მოსულმა მოძმეებმა. ჩვენი თავქარიანობისა კი ვიცოდი, მაგრამ ამათ რა ძალა ადგათ, ჩინური რეპუსივით გატრიალებდი ფიქრებში.

— ვიცი, რაზეც ფიქრობ, — მითხრა ქმარმა, — დიდად თავსატეხი გამოცანა არ უნდა იყოს. უზბეკეთში მაგრა ფასობს „ვოლგა“ და შორიდან გადაჰყავთ ხოლმე გასაყიდად. შესაძლოა ესენიც ამ საქმეს მისდევენ ან უარესს. უარესია, თუ მანქანა ამათი ნაქურდალია და ამ სამყაროდან არიან. მაშინ, გარემოების კარნახით, ყველაფერზე წავლენ, არ დაგინდობენ.

— იქნება ცდები, მაინც ჩვენიანები არიან და არ მინდა ასე ვიფიქრო, — ვუპასუხე გულდაწყვეტით, — ღირსეულად უჭირავთ თავი, მოკრძალებულად.

— ჰოდა, სწორედ ეგ მაფიქრებს, ამათი პროფესიული მულამი ვიცი თავის დაჭერის და რბილად დაფენის. ურთიერთობის გამოცდილება ხომ მაქვს ციხის საავადმყოფოდან. გახსოვს, ქსნის კოლონიაში მაგათ ბოსს მწვავე აპენდიქსზე ოპერაცია რომ გავუკეთე და ბეწვზე გადარჩა, რა სუფრა გამიშალეს, რა ძმობას მეფიცებოდნენ. პატიმრებთან კი არა, თავი რესტორან „არაგვში“ მეგონა. მაინც შორს დაიჭირე თავი, არ ვენდობი. რას იზამ, მეც მინდა ვცდებოდე, მაგრამ არა მგონია.

— იქნებ შორს, სხვის მინაზე შენიანისადმი სიყვარულმა მეტამორფოზა ამოხეთქოს, — მოვიმარჯვე იდეალიზმი და იმედიანად გავხედე გზას.

ქვიშის საფრით მოსწორებული გზა კი აღარ იყო. წინ ბარხანების ქვიშის მთიანეთი ერთბაშად წამოდგა ალადინის ლამპრის გოლიათივით. ამის დანახვამ ყველაფერი დამავიწყა — ეჭვებიც, საფრთხეც, გონიერებაც... უდაბნოში ვიყავი, ნამდვილში,

მრისხანეში. ვინც უდაბნოში არ ყოფილა... ამას კიდევ ბევრჯერ გავიმეორებ ცხოვრების გზაზე.

ახლა ქვიშის გორებზე ვალსი რიჟიკას და მძლოლის მოქნილ ილეთებს დაეკიდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ასი თვალი უნდა გჭეროდა გეზისთვის. გეზი კარგა შორს ჰორიზონტზე ალაგალაგ ჩამწკრივებული რკინიგზის ბოძებს მიჰყებოდა. ეს იყო ტრანსკასპიური გზა კრასნოვოდსკიდან შუა აზიაზე გაჭრილი. სწორედ ეს ბოძები გახდა ჩვენი ერთადერთი მეგზური იქ. ის რომ არა, ფიქრშიც შეუძლებელი შეიქნებოდა უკიდეგანო ქვიშის ტალღოვან ზღვაში ბორიალი.

ისე კი, კაცი იკითხავდა, უგზოობას რატომ დავადექით და თავად რკინიგზას არ გავყევით. იოლი სათქმელია, რუკაზე რკინიგზის გასწვრივ სამანქანო გზა არ მიეთითებოდა და ლიანდაგებზე ხომ არ შევდგებოდით. თითქოს თადარიგიც დავიჭირეთ დასაზუსტებლად ბაირამ-ალიში, მაგრამ კითხვა-კითხვით სირბილში ვერაფერი გავარკვიეთ. თანაც პასუხს ვინდა ენდობოდა მწარე გამოცდილების მქონეთ.

ამ სირბილში ერთი პატარა ეპიზოდი ჩაიხატა. პატარა-მეტე-ქი – ენამ წაიბორძიკა. აკი პატარა და უმნიშვნელო ცხოვრებაში რომ არაფერია, იმ ჩვენმა საპნის „წვრილმანმა“ ხომ კარგა მაგრა ჩაგვცხო კინკრიხოში. ერთი უსახური სახლის წინ ჩამომჯდარ შუახნის კაცს გამოველაპარაკეთ გზის თაობაზე. რუსულს, როგორც ყველა, ისიც ამტკრევდა. საქართველოდანო, რომ გაიგო, რაღაცნაირად გამოცოცხლდა. მერე ჩაფიქრდა და პასუხი დააყოვნა. ჩაწვრილებული თვალები უფრო მოჭუტა და ბოლოს ამოღერდა – რკინიგზას არანაირი გზა არ გასდევსო. სტუმარი იყავით და ღამე ჩვენთან გაათენეთ. ვიღაცას გასძახა. სახლიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა და თავაზიანად მოგვესალმა. ჩემი ცოლიც გეპატიუებათ, დარჩითო. გულითადი მადლობა ვუთხარით, ვჩეკარობდით. ქალი სახლში შეტრიალდა და მალევე დაბრუნებულმა აზიური მოხატული ფიალით, კეთილად გაგვიღიმა – ეს მცირედი მაინც ინებეთ, თან ქალალდში შეხვეული რამდენიმე

ქორფა კიტრი მოგვართვა. მართლა გული ამიჩუყდა, გადავეხვიე და ვაკოცე. კაცმაც – ქართველები განთქმული ხალხი ხართ და თქვენი სამოთხე ქვეყნის ნახვა ერთ რამედ ღირსო. მეტი რა მინდოდა და გულიდან ამოვისროლე, – თუ ჩვენთან მოხვდებით, ახლა ტელეფონს დაგიტოვებთ და გიმასპინძლებთ-მეთქი. გულზე ხელი დაიდო და მდაბლად თავი დაგვიკრა.

გზას დავადექით. სიკეთით აღელვებულს არც გამხსენებია პატარა და წვრილმანი რომ არაფერია ცხოვრებაში, მაგრამ ამ სიბრძნემ მოგვიანებით თავი თვითონ შეგვახსენა „პატარა ეპიზოდით“.

დღე იწურებოდა, რიჟიკას გაკვალულ გზას უკან „ვოლგა“ ფეხდაფეხ მოჰყვებოდა. დრო კი გაიშალა, მაგრამ გზა ვერ გასწვდა დროს, ქვიშა მანძილს ჰქარავდა თითქოს. დილის აისი აზიაში ისეთივე უეცარია, როგორც საღამოს დაისი. მწუხრი ნელი-ნელ არ იღვენთება ღამეში, როგორც დასავლეთსა და სამხრეთშია. საღამო თითქმის ღამეა ერთბაშად მოსული. უდაბნოში ასეა. *Ex oriente lux ანუ მზე აღმოსავლეთიდან ამოდისო, – სწორად სთქვა დასავლეთმა პირდაპირი და მეტაფორული აზრით და ევროპასაც მოსწრებულად შეერქვა მზის ჩასვლის ანუ საღამოს მხარე, ამით რომ დაასათაურა კიდეც შპენგლერმა წინასწარმეტყველური თავისი წიგნი: „Der Untergang des Abendlandes“ – „საღამოს ქვეყნის ჩასვენებაო“ (ანდა დაისი), „თუმცა თარგმანმა „ევროპის მზის ჩასვენება“ – გააუფერულა ფერადოვანი მეტაფორა.*

ვიდრე დაბნელდებოდა, გავჩერდით. ჩვენი თანამგზავრებიც იქვე, გვერდით დადგნენ. გადმოვედით და მძიმე ქვიშაზე ახალფეხადგმულები შევეგებეთ უდაბნოს ბინდს. დღის ცხელი ჰაერი ჩაიკარგა ნათელთან ერთად და სიცივე სიბნელის გვერდს აეკრა. ამ მოულოდნელმა ცვალებამ დაგვაბნია ჯერაც ალლოვერა-ლებული დაქანცულები.

ქვიშის შემაღლებულ გორაკზე ვიდექი და გავყურებდი უცნაურად ჩამუქებულ სივრცეს, რაღაც არარეალურს, სიზმრისეულს. სიჩუმის საბურველი სმენას ახშობდა და სულ აბრუებდა.

რახანს ვიდექი ასე, არ ვიცი. უეცარმა შეძახილმა გამომარკვია. ზურგით შებრუნებული მოვტრიალდი და ელდა მეცა – იქვე ჩემ ახლოს თედო იდგა, ცალი ხელით გველის თავს უჭერდა, მეორით კი შემზარავ კლაკვნას აკავებდა. გონის მაშინ მოვეგე, როცა ქმარი დავინახე ხელში პატარა ცულით, როგორ მიეჭრა თედოს და გველის თავ-კისერს დაჰკრა. თედოს ბიჭებიც, ვის რა მოხვდა ხელში, მორბოდნენ.

თითქოს წამით დატრიალდა მიწაც და ცაც. გონება ვერ აჰყვა ამ ტრიალს, მხოლოდ გადარჩენის ინსტინქტმა იძალა. გველის თავი იქვე ეგდო, ტანი კიდევ ირხეოდა. წუთით ასე მივჩერებოდით და ამბის დალაგებას ვცდილობდით. ამბავი კი მოსაყოლად მოკლე აღმოჩნდა: ქმარი მანქანის საბარგულს აწესრიგებდა, თედო და ბიჭები „ვოლგას“ უჩხიკინებდნენ, მე კი ზურგშექცევით შორიახლოს ვფანტაზიორობდი. საბურავთან დახრილმა თედომ თვალი მოჰკრა ნელი სრიალით ჩემკენ წამოსულ ქვეწარმავალს. ერთი ნახტომით და მოზომილი სწრაფი მოძრაობით გველს თავში სწვდა, განძრევის ძალა წაართვა. მაშინ შესძახა, მომეხმარეთო. პატარა ცულმა, ქმარი საბარგულში რომ ინახავდა მუდამ, საქმე წარმატებით დაასრულა.

რა სახეობისა იყო ეს მოწითალო გრძელი რეპტილია, ვერ ამოვიცანით, მაგრამ მომაკვდინებელი შეამი რომ ედგა კბილებში, ეჭვი არავის შეპპარვია. სახელიც რა ერქვა, რაში სჭირდებოდა ჩვენი ქართული ესთეტიკური სახელდებით ამ „უსახელოს“ და „უხსენებელს“. როგორ შეძლო თედომ ჩემი გადარჩენა, უბრალოდ ითქვა: ადრეულ სიყმაწვილეში თვალიც და ხელიც გაუწაფია შიშველი ხელით ამ მცოცავების ჭერაში თავისთან ძირულაში და იქაურებს ყველაზე გამორჩეული მარჯვე ბიჭის სახელიც მიუნიჭებიათ. ყარაყუმი ძირულა როდი იყო, მაგრამ ყმაწვილობის სიმარჯვე არსად გამქრალა. ქმარმა და იმერელმა ახალგაზრდებმა მამაკაცურად მოკლედ მოჭრეს და უსიტყვო ხელისჩამორთმევით დაასრულეს სათქმელი.

ღამე კარგად ჩაკეტილ მანქანაში უნდა გაგვეთენებინა. რაც რამ გაგვაჩნდა ჩასაცმელ-მოსახური, იმით სიცივეს ვიგერიებ-

დით. არც ის ვიცოდით, უდაბნოს უკუნეთი რას გვიმზადებდა. ძილი გაგვიკრთა. მხოლოდ ახლა აგვეხილა თვალი ჩვენს სავალალო ხელმოცარულობაზე, როცა უდაბნოსთან „შენობით“ ლაპარაკი მოვინდომეთ. ყურს იქით დავტოვეთ მეზღვაურთა შეგონება – ზღვას თქვენობით მიმართავენ. ქვიშის ზღვასაც ხომ ეგევე ეკუთვნოდა, შესაძლოა მეტიც. იმ გორაკზე მოკლე ქვედატანითა და ქუსლამოლებული „ბასანოშეით“ რომ შევდექი და ნირვანა მოვინდომე, უნდა დავსჯილიყავი კიდეც კარგად, მაგრამ განგებამ ამჯერადაც მომიტევა, თითქოს აღასრულა მაღლალი სიტყვა – „ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხვიდოდე და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი“.

ყარა-ყუმმაც გვაპატია უბინო, კაცთაგან ჯერაც შეურყვნელი ქვიშის მანდილის გადაჯეგვა ამა ცხოვრების მანქანის ბორბლებით, გაუტკეპნელის ზნეუკმარი მიწიერებით გატკეპნა. ესეც უხილავი ძალის ინიციაცია იყო, მხოლოდ ახლა რომ შევისმინეთ და ახლა მივუგდეთ ყური მდუმარების საყვირთა საყვირს.

ყარა-ყუმმის მეორე განთიადს უძინარები შევხვდით. ბიჭები უკვე გამოსულიყვნენ და უჩუმრად მანქანას უტრიალებდნენ, ჩვენს შენუხებას ერიდებოდნენ. თედომ ბენზინის დიდი კანისტრა საბარგულიდან ამოსნია, თავსახური ხრახნილიდან ამოიღო და ის იყო, უნდა გადაეტანა, ერთბაშად მოწყდა. ბენზინმა იჩქეფა და წელზემოთ გადაევლო. ქმარმა ერთი კი თქვა – ეჭვი მქონდა და ასეც მოხდა, სტენოკარდიის სურათიაო და წამში მათთან გაჩნდა. დაბნეული და შეშინებული ბიჭები უმწეოდ იდგნენ და ვერც კი მოეფიქრებინათ ბენზინით გაწუნული პერანგის მოშორება. ქმრის მითითებით დასაფენი გამოიტანეს და ფრთხილად დააწვინეს.

თედო მძიმედ სუნთქავდა და მარცხენა ბეჭქვეშ ტკივილს უჩიოდა. საგულდაგულო გასინჯვით ქმარი დარწმუნდა თავის წინასწარ დიაგნოზში, როცა ჯერ კიდევ ჩვენი შეხვედრის დღეს შეამჩნია, როგორ ისრესდა ხშირ-ხშირად მარცხენა მკლავს შენუხებული. პროფესიული ჩვევა აიძულებდა, პატარა აფთიაქი

მუდამ თან ჰქონოდა მანქანაში და სხვა სამედიცინო პირველი დახმარების საგნებიც. ამან უშველა საქმეს და დროებით მაინც, შეაჩერა თედოს გულის კრიზისი. თუმცა, დაბეჯითებით აეკრძალა საჭესთან ჯდომა და მანქანის უკანა სავარძელზე დროდადრო წოლა დაევალა.

ბერზინით დასველებული და ქვიშაში ამოგანგლული თედოს პერანგი გადასაგდები შეიქნა. როცა ვურჩიე, დრო არ დაეკარგათ, წყალი გადაევლოთ და პირსახოცით შეემშრალებინათ უკვე მოკეთებული თედო, ბიჭები უხერხულად აიწურენ და ხმაგაკმენდილი მომაჩერდნენ. ქმარი მიუხვდა გასაჭირს და მხიარულად გამომძახა:

— აბა, ის ჩემი თალხი პერანგი ჩანთაში რომაა და ზომაში არ მერგება, სწორედ თედოს მოადგება და გამოიტანე.

ნათქვამს მივუხვდი და ჩანთას მივაკითხე. ეს ის პერანგი იყო, რომელსაც ჩემმა მხატვარმა მულმა მკერდის ჯიბეს ინიციალები ამოუქარგა და ჯერაც არ ჩაეცვა პატრონს. ბიჭებმა დარიგება პირნათლად შეასრულეს და თედო თალხი პერანგით შემოსეს.

პერანგი-მეთქი, ასე ვწერ, თორემ „საროჩკა“ რომ კიდია ენის-წვერს, რა დიდი გამოსაცნობია. ამას რა ამოაგდებს, ძვალსა და რბილშია გამჯდარი.

„საროჩკა“ რა არის, უკეთესებსაც ნახავდით: „ოთახში ორი კრაოტი იდგა გაერასკულ პოლზე. მეტი არაფერი. არც შკაფი იყო და არც სტოლი“, — ამბავს ჰყვებოდა მასწავლებელი თბილისის სკოლაში. აბა, ოზურგეთიდან რომ მოდიოდნენ კაზმული ქართულით ყმაწვილები, მერე კორნელი კეკელიძის მემკვიდრე საამაყო ქართველოლოგები, იქაური სკოლისანი იყვნენ სწორედ. ანდა ფილოსოფოსი და პოეტი სამეგრელოდან გერმანელ მოაზროვნებს და რუსულ პროზასაც ასე რომ გააქართულებს თარგმანით ზურაბ ხასაია, ისიც ხომ იმ პატარა სოფლის სკოლისა იყო.

სადღა არიან ცოდნის სიდიადეს რომ შთაგვაგონებდნენ, ისინი. პიროვნებად ყოფნის არსა რომ გვიხსნიდნენ, ღირსებისას,

მაღალი აზრისა და მისწრაფების ფასს, „ჩვენის“ გაგებას. ასე-თებს ცა ნიშნავდა (ილიასეულად) და ჩვენ გვზრდიდა. ასეთებს, როგორიც სკოლის ჩემი მასწავლებელი სოლომონ ცინცაძე იყო, დიდი ქართველობის მოდგმისა. წესად ჰქონდა: საგნის (მათემატიკის) გაკვეთილს მოამთავრებდა და საგანგებოდ დროს მოიტოვებდა ენციკლოპედიური შეკითხვებისთვის. რა დამავიწყებს ჩემს პირველ შეკითხვას ნიპილიზმზე და იმ ცასატყორცნილ მისულ განმარტებას. ან კიდევ ცივილიზაციაზე, ჩვენს ქართულ უძველეს ცივილიზაციის მაგალითს რომ დაამყარა ახსნა.

მათი შთაგონების გზით შევდიოდით შემეცნების დიად სამყაროში. მათ მიქციეს ეს სამყარო ჩემეულად.

რა ელის მასწავლებლის დაცარიელებულ ამბიონს დღეს – ვინ უნდა უპასუხოს? ყველამ, უკლებლივ. ქვეგამხედურების შურს და ნაზუქს რომ გადაჰყვა საკუთარი საუკუნეებით დღემდე მოღწეული, ახლა თავზე ცა რომ ემხობა, ვის მოეკითხება? ყველას, უკლებლივ. იმათაც, უშვერ ლაზლანდარობაში მოგულავე „თანამედროვე ქართველ მწერლებს“, ესე იგი, „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“ ამ რელიგიის უსირცხვილოდ მაჩემებლებს, მსუყე ასპარეზს ორივ ხელით ჩაჭიდებულ „ცნობად სახეებს“, მწერლობას რომ ხელს გამოჰკრავენ სექსის დაძონძილ „პრობლემებით“, ძველ ბიჭბუჭობაზე გულზე მჯიდის ცემით, თუ „სვეტსკობის“ კუდს ადევნებული ლიცლიცით. მოეკითხება ყველას, უკლებლივ.

რადგან „სამშობლო“ მეტაფორა კი არა, ძალზე რეალისტური ცნებაა. სამშობლო ისაა, სადაც შენ გეცხოვრება და სხვაგან – არა. სადაც საარსებო „ვაი, დედა“ და „დედა გენაცვალოს“ ენით შენით მხოლოდ შენ გესმის და სხვას – არა. და თუ ეს მინამ ჩაიტანა, შენც იმას გაჰყვები მოდგმიანად. ასე მოგეკითხება.

თალხმა პერანგისამ ამ ფიქრებთან მიმამწყვდია დღეს. მაშინ კი, რომ არ ჩამქრალიყო, ჯერაც სულს უბერავდნენ იმედს სულით რჩეულები, მერმისს ელოლიავებოდნენ სინდისით მაღლები და სანამ ასე იყო, იმედიც ღვივოდა, ოცნებაც, საამისო

საქმეც ხელს ემარჯვებოდა მოუღლელად. ასეთები საკმაოდ იყვნენ ჩრედო – მწამს დამლიანები. რწმენით, რომ ათასწლოვანს ნაწრთობს ვერარა მოერეოდა, ვერარა დასცემდა. მაგრამ... როგორც სჩვევია, იმუხტოდა დრომ და სადღაც „იქ“ გაყურსულ სინდისით კოჭლებს სულის მუნი დაერია, მიეძალა ათასწლოვანის საკუთარ ცისქვეშეთს ჩირქ-მუნუკიანი კაც-ქალი, ვინაც ჩრედო – მწამს ფეხქვემ გაიდო და ზედ ბუქნა ქნა. ეს ცოტა იყო და ხორუმი შეკრა, ცოდვით გადაეჭდო. ერთ წრეს მეორე გეშით ზემოდან დაედგა, იმას მესამე და შმაგ ტრიალში მიწის ბდლვირმა ერთიანად დაბინდა თვალსაწიერი – არა აწმყო, არა მერმისი, არა მიზანი, არა გზა. გონების გასასვლელი ჩაიხერგა და ჩაბნელდა თითქოს.

უდაბნოს შეუძლია შენიანი გახდეს და იმედის ხელი გამოგინდოს, მისეულ გამოცდას თუ გაივლი. ეს გავლა კი იეროგლიფებში გზის გაკვლევაა. უდაბნო ხომ დიადი ეტრატია ცისმარივით ხელუხლებელი ქათქათა.

იქ უნდა ამოიკითხო ის, რაზეც გალაკტიონი იტყვოდა – სინამ-დვილეზე მეტი სინამდვილე, შინაარსი სულიერ ძვრათა, უხილავი საზრისი არსებობისა. ამოიკითხო ის, რაც სიტყვიერი სათქმელის მიუღწევლობას გაგრძნობინებს, მარადშეუცნობლობას და ვერთქმას დაგანახვებს.

იქ, დროისა და სივრცის ღრუბელში მარტოობას რომ გიპრძანებს და სიჩუმის აბსოლუტურ განზომილებაში საკუთარ თავ-თან განყენებულ დროში გამყოფებს.

ამ აუცილებლობის თუ გარდაუვალობის პირისპირ დავდექით უეცრივ, როცა გიგანტური ბარხანის წინ ორ ნაბიჯზე ერთბაშად აღმოვჩნდით. წინ კი არა – მისი მრისხანების ქვეშ. თავი აღმოსავლეურ ზღაპარში გვევონებოდა, შიშს რომ არ გავექვავებინეთ. ორივე მანქანამ ეს თითქოს იგრძნო და გაშეშდა. დამბლისებურმა უმოძრაობამ სძლია ნებას და გონებას. რა ხანს – არ ვიცი.

– სიცოცხლე მეტი არაფერია, თუ არა ქვა ოკეანეში გადასროლილი, – ხმამაღლა ისე წამსკდა თავიდან მოულოდნელად

ამოვარდნილი ეგზისტენციალისტის პოეტური გამონათქვამი,  
თავისთვის ანგარიში არც მიმიცია.

საყვირივით გამომივიდა, თურმე გამოსაფხიზლებელი საყ-  
ვირივით. თითქოს დაძახებაზეო, ყველა ერთად გადმოვედით  
„მზით დამწვარ ცხელ უდაბნოში“. ნება და გონება ჩვენს სახეებს  
უკვე ეწერა.

ნებამ და გონებამ კი რეალურ სინამდვილეში მოქმედება გვი-  
კარნახა. რეალობა კი ასეთი იყო: გადასალახი ბარხანების სივ-  
რცის პორიზონტი გადაულახავმა, მიწყივ ამოზიდულმა ქვიშის  
მაღალმა მთებმა ჩახურა. ბუნების ეს გრანდიოზული ქმნილება,  
მართლაცდა, აპოკალიფსურ შიშს თესავდა ყოველივე სულიერ-  
ში იქ, მაგრამ ტვინის მაღალი ორგანიზაციის არსებას – ადამი-  
ანს უნდა შესძლებოდა ქმედება. განა სავითომოდ ითქვა – ადა-  
მიანი მოქმედების ჯამიაო.

ხუთნი ვიყავით, მაშასადამე, ეს ჯამი ხუთმაგდებოდა. თუმცა  
ყველაფერი საეგებიოდ ეკიდა ცას. გადაწყვეტილება „ვოლგის“  
ჯგუფის თავკაცმა – თედომ იდო თავს: მას უნდა მოენახა და  
გაერღვია გასასვლელი, როგორც ფონი მოვარდნილ წყალზე ამ  
აპოკალიფსურ ჯაჭვში, ჩვენ კი უნდა დავრჩენილიყავით და დავ-  
ლოდებოდით მაშველთან ერთად მის დაბრუნებას. თედო იმედს  
ისევ „ვოლგის“ ძრავაზე ამყარებდა, აქამდე რომ ასე უმართლებ-  
და. სხვა გამოსავალი არსად იყო.

არ ვიცი როგორ, მაგრამ ჩვენი თანამგზავრის მანქანა ნელ-  
ნელ თვალს მიეფარა...

– აბა, ჩემო მაგელანო, ხომ არ შეშინდი, – რიხიანად მკი-  
თხა ქმარმა და დააყოლა: – ამაზე დიდებულს განა რას ნახავდი  
ცხოვრებაში, ხომ ასეა?

– დიახ, ვინც უდაბნოში არ ყოფილა, იმან რა იცის არსებობი-  
სა, – მეც მედგრად დავუხვდი.

თურმე წამოვიყივლე – სიცოცხლის შემეცნებისთვის იქ, ბარ-  
ხანებში ჩარჩენილს, უნდა ჩამეხედა ყოფნის დაბინდულ, მრუ-  
მე წაპრალში. უნდა გამეგო, რატომ ვამაღლებთ ასე ფარფატა

ყოფნას და რისთვის ვამცრობთ თუ ვამდაბლებთ წარმავლობის პიტალო გარდაუვალობას.

ეს წუთები ზურგში ნელი მიპარვით მიახლოვდებოდა. ჩვენი მოყვითალო მანქანა კი ამ დროს გოლიათის ფერხთით გართხმულ წინილას რომ მიაგავდა, მხოლოდ სასონარკვეთას უშლიდა ფრთებს და ფეხქვეშ ნიადაგს გაცლიდა.

— თუკი ფონს გავლენ და ამას შეძლებენ, იმედი გაქვს, რომ დაბრუნდებიან ჩვენს საშველად, რეალურია მათი ეს დაპირება? — პირდაპირ დავსვი კითხვა.

— ვერაფერს გეტყვი. ეგებ იმ წუთში ასე სჯეროდათ, მაგრამ გალწევის შემთხვევაში, არ გამიკვირდება, გადაიფიქრონ და თავი არ აიტკივონ ჩვენთვის.

ლამე მძიმედ ჩამორნვა. მანქანაში შეკეტილებს ეს ფიქრი წუილით დაგვტრიალებდა თავს და როდის-როდის ძილში გავეხვიეთ. ხმაურმა წამოგვაგდო. ყველა მხრიდან თითქოს ტყვიებს გვიშენდნენ. დიდრონ-დიდრონი კენჭების სეტყვა დააცხრა მანქანას. მოულოდნელობისგან გაბრუებულებმა ანთებულ შუქზე ძლივს გავარჩიეთ კაკლისხელა შავ-შავი კერკეტი ხოჭოების კანონადა. ციდან კი ცვივოდნენ, მაგრამ როგორ, დღესაც ვერ გავრკვეულეარ.

კაიხანს ასე გაგრძელდა და ბოლოს მიწყნარდა. კარი არ გაგვიღია და არ გაგვიხედია დილამდე. ერთბაშად ამოწვერილმა მზემ კი საოცარი სანახაობა გადაგვიშალა: მანქანის მთელი ზედაპირი მზეზე ალაპლაპებულ შავ ხოჭოებს დაეფარათ, გარშემო ქვიშაც ამით მოფენილიყო. დაცვენილი გოლიათი მწერებით დახროვებული გარემო საძაგლი შესახედი იყო.

რატომ დაატყდნენ ჩვენს მანქანას ან რამ დასცა ამხელა გუნდი, ვერ გამოვიცანი. ეს პირველი იეროგლიფი ამოუკითხავი დამრჩა. გამოცანად დარჩა სულ მალე მათი გაქრობაც. ჩანს, არ დახოცილან და მზემ უკან ჩააბრუნა ქვიშაში ლამის მოთარეშე მისი ბინადარი.

დიდი ბარხანის პირველ დღეს მოლოდინის გრძელი თეთრი თავსაბური გადაეფარა. არსაიდან ხმამ, არსით ძახილმა პირ-

თამდე ამოავსო ჩვენი მარტობა და დღეც ასე მიიღია. აუწერ-ლად დაძაბული გონება ღრმა ძილმა გათიშა.

ცისკარზე თითქოს ერთი ხელის დარტყმით გამომეღვიძა. ქმარს ეძინა. კარის გაღება მოვინდომე, მაგრამ არ გაიღო. ვი-ძალადე და ოდნავ გავწიე... ქვიშამ იხუვლა და სავარძელს მოე-ფინა.

ამ მოულოდნელობამ მხოლოდ ერთი აზრი დაატრიალა: ნუ-თუ ქვეშაც ისე ინოვს ყოველივეს, როგორც ჭაობი და მანქანა-საც ჩვენიანად ჩაიტანს თავის წიაღში. ხმაარეულ შეძახილზე ქმარი გამოერკვა. კარის გაღების მისმა მცდელობამაც იგივე გვიკარნახა – მანქანის აკლდამად გადაქცევას ხელს ვერაფერი შეუშლიდა.

უდაბნოსეული გამოცდა გრძელდებოდა.

თუკი რამ მოიძებნა სათხრელად გამოსადეგი, ხელი ვტაცეთ და ოდნავ გაწეულ კარს დიდი მოთმინებით დავუწყეთ ქვიშის მარწუხებისგან გათავისუფლება. უკვე შეიძლებოდა მხარმიქცე-ულად გარეთ გაძრომა და ქმარმა არ დააყოვნა საბარგულიდან ცულის მომარჯვება საქმის ჩასამთავრებლად. ბედად, კარის ნახევრამდე ჩაფლულიყო ჩვენი რიუიკა. საბურავები არ ჩანდა, მაგრამ მთავარი მაინც კარი იყო. ისიც ვიცოდით, როგორ დავ-სხლტომოდით მოახლოებულ დასასრულს.

გადმოვედი და ფეხი შევდგი დიდი პარხანის საუფლოში. გა-დაშლილი წიგნივით იკითხებოდა ლამის იდუმალება მის გადა-ჭიმულ ხელშეუხებელ ქვიშის საფარზე. ჩაცუცქული ვკითხუ-ლობდი:

აგერ მირბის თავის საშველად წრუნუნა, თავგამეტებით იცავს პატარა სიცოცხლეს მდევრისგან. მდევარი კი მხატვრუ-ლი სრულყოფილებით მისრიალებს და არ ჩქარობს, თითქოს თავს იწონებს მოქნილი სიმსუბუქით და ლამაზად ხატავს ქვიშის მოლბერთზე თავის შემძლეობას. აი, ქრება პანანა ნაფეხურები, სრიალი წყდება და მშვიდდება. ნელინელ მინავლდა სიკვდილ-სიცოცხლის ათასებიდან კიდევ ერთი უხმო მელოდია...

აგერ კიდევ, იქვე შორიახლო, გამტრალი სიცოცხლის ნარჩენი არსებობის წესს კვლავ შეგახსენებს – ვიყავი და აღარ ვარ, იცოდე, ყველა წესი ირღვევა ამის გარდაო – გამხმარ-გაყავისფრე-ბულ ბუჩქის ძირას იმ ჩვენი გოლიათი შავი ხოჭოს ნაწილ-ნაწილ გამოჭმული აყირავებული ფიტულია, პატარა ნაფეხურებით გარემოცული. ეს გამხმარი ბუჩქიც კი მსხვერპლია სიკვდილისა და ისიც მარადიულ წესს ემორჩილება.

მაგრამ დახეთ, მომსპარს მიაგავს, მაგრამ სიცოცხლის დი-ად სურნელს კი აფრქვევს. ეს საქსაულის ბუჩქია სინამდვილეზე მეტი სინამდვილე. მისი ხმელი სხეულიდან ისეთი სიცოცხლის ეთერი სუნთქავს, ვერც ჟივანშისა და ვერც შანელს რომ ვერ შეუქმნიათ სურნელოვან ფართაზებში.

სწორედ საქსაულის ამ სასწაულმა ბოლომდე მომასმენინა მარადშეუცნობლობის მელოდია და განყენებულ დროში ყოფნის ურთულესი იეროგლიფი ამომაკითხვინა. ამომაბეჭდვინა ოქ-როს ასოებით ის, რომ სიცოცხლე უმაღლესი საზრისია თავად სამყაროსი. ის უნდა დააფასო, დაიცვა და ხელი შეახო მის ყოველ წუთს, რათა ამაღლდე მისკენ სვლით.

საგრძნობიდან სიტყვიერზე გადმოვიტანე რუსეთიდან გაქ-ცეული ერთი ფილოსოფოსის ანტინომია: ემზადე სიკვდილის-თვის და ამიტომ იცხოვრე სრულყოფილი სიცოცხლით; ცხოვ-რება წამია და ამიტომაც იცოცხლე მარადიულობის განწყობით; მზად იყავ, მოკვდე ყოველ წუთს და ამიტომ ჩათვალე, რომ სი-ცოცხლის არცერთი წუთი არაა ბოლო. თუკი ხედავ, რომ ბრძო-ლა უაზროა, იბრძოლე ორმაგი ძალისხმევით. წიგნის სათაური-თაც გიხმობს – „წადი გოლგოთაზე“.

ამ სიტყვიერმა რეალიზმა ერთიანად გამომარკვია. წამოვ-დექი, რომ მემოქმედა – უნდა წამომეწყო თამაში საკუთარი სიკ-ვდილის წინააღმდეგ. ქმარს გავხედე, თავგამეტებით იცავდა მანქანას ქვიშის შემოტევისგან. ღვარად სდიოდა ოფლი. მეორე დღესაც სანუგეშო არაფერი მოჰქონდა და ასე უნდა ჩალეული-ყო ღამის წყვდიადში. ახლა უკვე პირისპირ დავუდექით შავად

მომზირალ აჩრდილს – არც საკვეპი გვქონდა და, რაც მთავარია, არც წყალი.

ყარაყუმის მაისის ოცდათორმეტიან სიცხეში უწყლოდ აქლე-  
მი თუ წაიზლაზნებოდა თაკარა ქვიშაზე. აბა, სხვა ვინ. ელდა მე-  
ცა. მარტო ფილმებში მენახა უდაბნოში უწყლოდ შეშლილი ადა-  
მიანები. ითმენ წყურვილს-მეთქი, ვკითხე ქმარს, პასუხი არასო-  
დეს დამავიწყდება – ცხენის შარდს დავლევდი, რომ იყოსო.

ბორჯომის ერთი გაუხსნელი ბოთლი მქონდა ცხრაკლიტუ-  
ლად შენახული, მაგრამ ხელს არ ვკიდებდი. გაუსაძლისი ბოლო  
წუთისთვის ვინახავდი, ჩემთვის არა, მისთვის. თვითშეწირვას  
არ ვაპირებდი, უბრალოდ, წყურვილის გრძნობა მთლად გამქრა-  
ლიყო ჩემში და შიმშილისაც.

ამგვარი მდგომარეობა ზოგადად სამეცნიერო ინტერესის  
საგნად უნდა ქცეულიყო ამ ბუნებრივი ექსპერიმენტის პირო-  
ბებში, მეტადრე ფიზიოლოგები შეისწავლიდნენ სქესთა სხვა-  
ობის უკიდურესი განსხვავებულობის ჯერაც დაუდგენელ სა-  
კითხებს. ერთი შეხედვითაც გამოჩნდებოდა, რომ ექსტრემა-  
ლურ ვითარებაში ქალის ფსიქიკური ძალა სძლევდა მამაკაცის  
ფიზიკურ პირველობას. ფსიქიკური ძალთაკრება სჯაბნიდა მათ  
უპირატესობას ფიზიკურისას. რა დიდებულ ექსპერიმენტს კარ-  
გავდა მეცნიერება, სწორედ რომ დასანანი იყო. ამას მომდევნო  
დღის უცნაურობაც დაერთვებოდა.

ეს დღეც გამხმარი პურის თითო ნატეხით ისე დასრულდა, იმ  
ნახევარლიტრიანი ბოთლისთვის ხელი არ შემივლია. უკვე საბო-  
ლოოდ გადაიწურა იმედი დანაპირებ შველაზე. ნეტავ, სად არიან  
ის ჩვენი „მაგარი ბიჭები“, გავიდნენ სამშვიდობოს და გაგვირეს  
ხომ? რა ქართველობაზეა დიდებულა ლაპარაკი, რომელ ჩვენს  
ეროვნულ ლირსებებზე? ჩემს ბრაზს ბოლო არ უჩანდა. ქმარმა  
კი შანსი დაუტოვა მაინც – ვინძლო დაიღუპნენო.

თავად ფარხმალდაყრილს ჰგავდა, ხმას არ იღებდა, ჩანდა,  
დასასრულს უკვე შეჰვეულდა.

მე კი არა. პირველ შვილზე მშობიარობა გავიხსენე, ცხრამე-  
ტი წლის სიფრიფანა გოგოს ექიმი რომ მთხოვდა – კიდევ ეცადე,

გაიჭირვე, პატარა არ გაიგუდოსო. მაშინ თავს ზევით ძალა ვიხ-მე გაუგონარი და გონებადაკარგულმა ულამაზესი ბიჭუნა მო-ვალინე ქვეყნად.

იმიტომ გავიხსენე, რომ ახლაც თავს ზემოთ ძალა მჭირდე-ბოდა. ყოვლისმომრევი. ასეც იქნება-მეთქი, პირობა დავდე და ღრმა ძილში გავეხვიე.

დიდი ბარხანის სამი დღე-დამის დილა ისევ ქვიშასთან ჭი-დილში გათენდა. გამოვედი და ცას ავხედე. მან თითქოს რაღაც მანიშნა. დიდი ბარხანიც გაყურსული თითქოს მიცქეროდა. გა-ხევებული ვიდექი და ჩემს შიგნით გუგუნისმაგვარ ხმას ვუსმენ-დი. ჰალუცინაციები დამეწყო ალბათ. ნუთუ ასე იწყება დასას-რული. გაურკვეველი მოძრაობით ნება არნახულად დავძაბე და ახლა უკვე გარედან ჩემკენ წამოსული გუგუნი ყურს შეეხო.

ყვირილზე ქმარი მომვარდა. გუგუნი-მეთქი, მესმის. მოგეჩ-ვენაო – სახეზე გამწარება ეხატა. მომეხვია, მამშვიდებდა. მე კი ჯიუტად ხელს ვიშვერდი – იქ, ქვემოთ მანქანა გრუხუნებს. რა-ტომ არ გესმის-მეთქი, ვყვიროდი.

დიდ ბარხანს მივაწყდი და აცოცება დავიწყე; ფეხქვეშ ჩა-მოშლილი ქვიშა მებრძოდა, მე ისევ მივცოცავდი. ნეტავ, საიდან ამდენი ძალის მოზღვავება. ის სასოწარკვეთილი მომდევდა წვა-ლებით და ასე ქვიშის მთის წვერამდე... იქიდან ქვემოთ გადაშ-ლილ ჰორიზონტზე ტანკის მაგვარი მანქანა გრუხუნით მიიზ-ლაზნებოდა...

თავქვე დავეშვით გაუაზრებელი თავგანწირვით. ქვიშა არ გვიშვებდა, კოჭამდე გვაფლობდა და ფეხსაცმელს გვტაცებდა, გველს რომ დავეკბინეთ. არ დაგნებდები, ვყვიროდი და მივარ-ღვევდი ამოკითხულ ბოლო იეროგლიფს.

უდაბნო უკვე ჩემიანი გახდა და მშველელის ხელი გამომიწო-და. მისი გამოცდა აკი ბოლომდე გავიარე...

გრუხუნი შეწყდა. მუხლუხებიან მძიმე ტრანსპორტის ზედა მრგვალი მღიმებიდან მიყოლებით კაცები ამოძვრნენ, ქვიშაზე ჩამოიქვეითეს და, როგორც უცხოპლანეტელებს, გაშტერებით მოგვაცქერდნენ.

— Из какой жопы-то принесло вас, — Шემზარავად ჩამესმა მდაბიო რუსული და დიდთავა, წელს ზემოთ შიშველი, დაკუნთული ტიპი ჩვენკენ წამოვიდა, ასეთივე ორი გამოჰყვა. სჯობდა, იქ მოვმკვდარიყავით ორივენი, მუხლები მეკეცებოდა. ერთბაშად შევძახე:

— Товарищи, вас сам бог послал спасать нас, я корреспондент „Комсомольской Правды“, — да морглед ვუამბე ჩვენს გაჭირვებაზე. ქმარმა მანქანის ამოყვანა სთხოვა, მე კი დავამატე, რომ მათ ღირსეულ საქციელზე პრესაში დავწერდი მთელი საბჭოეთის გასაგონად.

პრიმატის სახეებს კეთილგანწყობის რაღაც ნიშანწყალი გადაევლო, მაგრამ ჩაკირულ გონებას უცებ ვერ მოერივნენ. წუთით მათი დუმილი საუკუნედ მომეჩვენა, მუხლები ძლივს მიკავებდა, ქმრის სახეს ბოლო სუნთქვა ეწერა.

— Ну даёте-же вы, гуляки, — პრიმატისავე ღიმილით დაიღმუვლა დიდთავამ და დახმარებაზე დათანხმდა. გრუსუნი ჩაირთო, — ჩვენ კი წინ გავუძეხით და არ ვიცი, რა გრავიტაციულმა ძალამ თუ ალლომ მიგვიყვანა ჩვენს ჩაფლულ მანქანასთან. რიუკიაზე გამობმული „ტროს“ საჭირო სიგრძისა არ შეიქნა და წინ ბარხანზე ატოტებული მძიმე ტრანსპორტი თუ უკან დაცურდებოდა, ჩვენ ქვეშ მოყოლილებს, ვერავინ აგვარეფდა. დიდთავა პირველმა ასეც გვითხრა და თქვენვე გადაწყვიტეთო.

პასუხად ქმარი საჭეს მიუჯდა, ძრავა ჩართო. მე გვერდით დავუჯექი. ის რაც ხდებოდა, ამაზე ფილმის მაყურებლები ან თვალს დახუჭავდნენ, ან სავარძლის სახელურს ჩასჭიდებდნენ. მუხლუხები მძიმედ მიიწევდნენ წვერისკენ, მის ქვეშ, სულ აბლოს მანქანის ფრთხილ სვლას საზღაპროდ აწონასწორებდა ქმარი და მის სახეს ვაუკაცური სიმტკიცე ამშვენებდა...

თავქვე ჩასვლაზეც, ვინ იცის, რა სიცოცხლე დაიხარჯა, მაგრამ სწორედ მან გაიღო ჩვენი მერმისის ძვირი საფასური. დიდი ბარხანის ჯაჭვებდადებული ტუსაღები ახლა გაშლილ პორიზონტთან ვიდექით და წინ ვეღარაფერი დაგვიდგებოდა.

გაადამიანურების თუ ჰუმანიზაციის გამოცდაჩაბარებულ ჩვენს პრიმატებს ხელი ჩამოვართვი და გვარ-სახელი ვთხოვე დანაპირების შესასრულებლად.

— Да ну его, на хуй, — ჩაიგინეს და რაღაცნაირი თავმომწონე რიხით გამოგვძახეს:

— Ну, теперь шуруйте прямо в писдец, — და ის „ПИС“ საით უნდა ყოფილიყო, ხელი გაიშვირეს. უსაძაგლესი უნმანურობა დედის ნანასავით ჩამესმა.

ქმარმა რიუკის კაპოტს ხელი გადაუსვა, აპა, შენ იციო. მე კი, შამპანურით უნდა ალვნიშნოთ გამარჯვება-მეთქი და რარიტეტული ბორჯომის ბოთლი ზარ-ზეიმით კაპოტზე შევდგი.

უკანასკნელად გავხედე ბარხან-გოლიათებს. სიყვარულით ვემშვიდობებოდი. განა მათ არ გამატარეს ეგზისტენციის ლაბირინთში, მათ არ ჩამახედეს სინამდვილეზე მეტ სინამდვილეში? ამომახსნევინეს არსებობის ამოუხსნელი იეროგლიფი და დამარწმუნეს — ნამი უსასრულობაა, რომ არსებული ოდენ დღესაა, არა გუშინ და არა ხვალ...

ვინც უდაბნოში არ ყოფილა, რას შეიმეცნებს — მეათასეჯერ მსურდა გამეორება. კამიუ და სარტრი მონინებით შემომხედავ-დნენ იმ წუთის ძახილში.

ტალღოვანი ბარხანებიდან ქვიშამ ნელი-ნელ ქვიშაზევე გაივაკა. ფეხქვეშ ბუმბულად გვეჩვენებოდა. ფერიც სხვაგვარი დაჰკრავდა — მკრთალად მოყვითალო.

— მაინც, ვინ იყვნენ ის ანთროპოიდები? თუ კრიმინალები? მაშინ საიდან უნდა ჰქონოდათ სამხედრო „ვეზდეხოდი“, ან იმ უკაცრიელში რას აკეთებდნენ, არადა, პირწავარდნილ რუს კატორდელებს კი ჰგავდნენ.

— ჩვენს დასაზვერად თუ საშველად რომ არ მოსულან, ნათელია. სამხედროებიც არ იყვნენ. ვითომ, ბარხანებში გასაიდუმლოებულ ობიექტზე დავალებით გააგზავნეს ასეთი ტიპები? აქ საინტერესო სხვაა: ცხოვრებიდან მოსროლილ ამ არსებებს რა გრძნობამ სძლია, რომ არ გაგვიარცვეს მანქანიანად და ქვიშაში არ ჩაგვმარხეს, ან კიდევ მეტი საშინელება. განა, ძნელი იქნებო-

და იქ მათვის. მაში, პირდაპირ დასტურდება, რომ ადამიანი გონიერ არსებასთან ერთად, მორალურ არსებად იბადება – homo sapiens, homo moralis.

– გამოდის ისიც, რომ პრიმიტივს შეუძლია არ ჩაიდინოს ის სისაძაგლე, რაც ინტელექტიანს არ გაუჭირდება. სადღაც გადაკარგულში ვიღაც გიშველის და იქვე შინაური მწარე ღალატის-თვის გაგიმეტებს. ლოგიკის სრული რღვევაა.

ამ ტვინისჭყლეტაში უეცრივ ფეხვეშ მძიმე სიმყარე ვიგრძენით და ბორბლების თავაშვებული გრიალიც გაისმა.

– მიწაზე დავდექით, მიწაზე, გესმის, მიწას დავუბრუნდით! – ვზიემობდი. არადა, ქვიშაზე რომ შევდექით მრისხანე ყარაყუმის კართან, ბაირამ-ალისთან, იქაც დიდი ტაში არ შემოვკარი! ასეთია ცვალებადობის მარადიული და დიადი კანონი, მისკენ კაცობრიობის ლტოლვა.

რა ვიცოდი, რომ დიდ ბარხანში ჩარჩენილებს სულ რაღაც ორიოდ კილომეტრი გვაშორებდა მიწას. ორი კილომეტრი გვიქოლავდა სიცოცხლის კარს.

ამ კარიდან ახლა გრიალით გამოსულებს წინ სანახაობა დაგვიხვდა, უფრო კი, უდაბნოს სტომაქიდან ამომხტარმა ყვითელ-მა მანქანამ ჯერაც უნახავი სანახაობა მისცა იქ შეჯგუფებულ ადამიანებს. უხმოდ გვიცქეროდნენ, მერე საფეთქელზე თითით გამომხატველად გვაუწყეს – შემლილები ყოფილხართო. ეს იყო ჩარჯოუ, სანატრელი ჩარჯოუ. ქალაქადწოდებული ყარაყუმის გადაღმა კარი.

ეს გატიალებული ჩანაგვიანებული საცხოვრისი სახეჩაუმებული ადამიანებისა, ვისაც ქვეყნის დასალიერი ყარაყუმის ბარხანები ეგონა, საზღაპრო მხარე კი ამუდარიის იქით. დიდი, განში ვერჩატეული მდინარე იმ დაგლახავებულ ქალაქს ესაზღვრებოდა და ბუხარა-სამარყანდის ისტორიულ აზიას მიჯნავდა თურქმენული უსახური აზიისგან.

ახლა ჩარჯოუს სასტუმრო-სადგომი ჩვენთვის გრანდ-ოტელი გამხდარიყო. შხაპი რა სახსენებელია, როცა ოდესალაც შინდისფრად შენალები ხის იატაკი რკინის ორი საწოლით, სულის

მოთქმას ჰგავდა. ვის გახსენებია სანიტარია-ჰიგიენა, როცა კაცმა არ იცის, რა ხელით ნათითხნი ხახვის ხინკლების წეტარებას მივეცით.

კისერზე მარყუშიანი შავი ნაგაზი სასტუმრო-სადგომის გას-წვრივ მთელ სიგრძეზე გაბმულ მავთულს ძუნძულ-ლრენით გას-დევდა ციხის მცველივით მოუღლელად. ღამის წვარამში მბჟუ-ტავ შუქზე ეს სურათი და ძილის ბნელეთი მალევე გამთლიანდა ჩვენთვის...

ისე კი, დიდებული შესახედავი იყო ამუდარია, ჯიქანსავსე მძიმედ მიიზღაზნებოდა ამომშრალ სივრცეში, საცა დედამიწა ისეთი ბრტყელი ჩანდა, ძვრაც რომ არასდროს ჰქონია. მიიზ-ღაზნებოდა უდაბნოს ქვიშისფერი, ქვიშით თუ მიწით შესქელე-ბული წყლით. რამ დააგროვა და დასძრა აზიური უდაბნოების მარწუხებში წყლის ამხელა დინება ათასკილომეტრიან გზაზე? იმ წუთებში გეოლოგს თუ გეოფიზიკოსს ვინატრებდი ამ საოც-რების ამოსახსნელად.

ახლა მის შუაგულში ვიდექით განიერ ბორანზე მანქანიანად. ამ მოცურავე პლატფორმის კარგა განრთვნილ გამძლოლს თვა-ლით ძლივს დანახული მოპირდაპირე ნაპირისკენ მოვყავდით. ერთმა იქაურმა კაცმა გაგვაკვირვა: ოკიანი „ვედროთი“ ტალა-სიანი მღვრიე წყალი მდინარიდან ამოქაჩა და მინის დიდ ქილაში ჩაასხა. სულ მალე მცირე ნალექზე ზემოდან დამდგარი ანკარა წყალი ჩამოასხა დასალევად. ესეც ხომ ბუნების სიკეთის შემოქ-მედება იყო.

გადაღმა უზბეკეთის მიწაზე შევდექით. ბუხარას მივაშურეთ. ისლამის სადიდებელი ძეგლ-ქალაქი მთლად მოღუშულ ნაცრის-ფერში გახვეულიყო. დინასტიური მავზოლეუმების თუ სამარხე-ბისა და მეჩეთების სიძველეს სიმაღლეზე უფრო განში გაშლილი არქიტექტურა მიანიშნებდა. ჩანდა, იმ წლების საბჭოთა უზბე-კეთს ხელი ვერ მიუწვდებოდა ძეგლების რესტავრაცია-შენახვა-ზე და ეს მიზეზი ტურისტულ სამოძრაო რუკაზე ნათლად ისახე-ბოდა. ნახევარი დღე უამთაგან აქერცლილ ბუხარას მოვანდო-მეთ და სამარყანდისკენ ვქენით პირი.

რაც დიდხანს ჩამრჩა მეხსიერებაში, ეს განუზომელ სივრცე-ში ბამბის ყანები თუ პლანტაციები იყო. უცნაურად მშვენიერი ბამბის ბუჩქი გაშლილ კოკრებში თეთრი ფუმფულა გულით, გიგანტურ აღმოსავლურ ხალიჩად მოსდებოდა იქაურობას. მონურ შრომაში წელგანყვეტილთა არმიები წარმოვიდგინე, ოქრო-თი რომ ავსებდნენ საბჭოურ ხაზინას მაშინ. ახლაც ასე იქნება უთუოდ, ოლონდ „ხაზინა“ მაგნატებმა თუ ოლიგარქებმა „გადა-იბარეს“.

გზები კიდევ ერთით გიზიდავდა – პატარა, ჯუჯა, თეთრად გადაპენტილი ჩიჩირებით. ისინიც თითქოს ბამბის ბუჩქების ნა-წილი იყვნენ. რა ჯაფას აკისრებდნენ ამ ფაფუკ არსებებს, ვერ დავინახე. მხიარულად და თავისუფლად მიბაკუნებდნენ მოხრე-შილ გზებზე. აბა, ჩვენში ზურგსატატებულ თივის ზვინში ჩაკარ-გული ვირუკა, მარტო ფეხები რომ უჩანს და გვარიანად დარიკ-რიკებს, კაცმა ასე რატომ გაიმეტა? ესეც არ ეყო და „შე ვიროო“ თავისნაირის სალანძღავად გამოიყენა.

სამარყანდს დაბნელებულში მივადექით. კარგად მოვლილ, უცხოელებისთვის განკუთვნილ სასტუმროში კაიხელა „ლევით“, უფრო ზუსტად ქრთამით დავბინავდით. აქაც, მაშინდელივით თურქმენულ აშხაბადში, დიდებული ბაირამობა მოვიწყვეთ – საჭმელიც ნაირ-ნაირი, შხაპიც და ტელევიზორიანი დიდი ოთახი გარეცხილ-გაუთოებული თეთრულით... მაგრამ დაგორგოლა-ვებულმა, ტუალეტის მოვარდისფრო ქალალდმა, მგონი, მოჭარ-ბებულ სიამეში ჩაგვაგდო.

ჩვენი იარაღულარუნა დიდი სამშობლო არსაჭიროებაზე ისე დაწვრილმანდებოდა, რომ ჩვენის ზურგის ამხანაგის სალოლი-ავოდ ქალალდის რბილ გაფერადებულ გორგოლებს დაახვევდა! ნაჩვევ კოხტად დაჭრილ გაზიეთს, ან მთლად უკეთესი, სასკოლო ცალხაზიანი რვეულის ფურცლებსაც ხომ დავყაბულდებოდით. როგორც აქამდე. განა პატიოსანს გენიტალიებს ჩვენსას ამაზე პრეტენზია ოდესმე განუცხადებია, იმათი უნესო-უპატიოსნო ქმედების გარე სასქესო ორგანოებისგან განსხვავებით?!

მოკლედ, ეპიკურეიზმის სრული კურსი პრაქტიკით გავიარეთ იმ ალაპკურთხეულ სამარყანდულ ოტელში.

გვიანი დილით, კარგად მომაგრებულები ქალაქში გავედით, უფრო კი გავიჭერით. ის არ ჰგავდა უამთა სიავით რუხისფრად დაჩაგრულ ბუხარას. აქ უკვე კაცის ხელს ეტრიალა, ფულიც დიდი დახარჯულა გურ-ემირის მავზოლეუმის გუმბათის ცისფრად ბრჭყვიალზე, მეჩეთებისა და მედრესების დიდოსტატურ მოჭიქულ-მოზაიკურ მორთულობაზე, აღმოსავლურ ჰაეროვან ქვით ნაქარგ სვეტების მწერივთა სინარნარის სრულყოფილებაზე. ის-ლამის შუააზიური მარგალიტი – სამარყანდი ჭეშმარიტად ალაპის ლირსას დიდებელ ცისქვეშეთს აკიაფებდა.

სამარყანდის „გურ-ემირი“ ტოლს არ უდებდა შორეულ და ასე ახლობელ ისპაპანს. ისიც ხომ ირან-ისპაპანელი სუროთმოძღვრის ქმნილება იყო. ამ ორმა მესამესთან – ჰინდოსტანის თაჯ-მაპალთან ერთად შეჰქრა ისლამური კულტურის ზენიტური სამკუთხედი.

ცოდნას რომ არ უშლიდა ხელს ისლამის ყოვლადობა, იმიტომაც აიგო ულუგბეკის უპირველესი ობსერვატორია აზიის შუაგულში, ფრთა გაუშალა უნივერსალურ ავიცენას ანუ იბნ-სინას ფილოსოფიის, მედიცინისა თუ მუსიკის მეცნიერებებში. მას ხელი არ შეუშლია სუფიზმის ანუ აღმოსავლური ნეოპლატონიზმისთვის, რისი კვალიც ღრმად რომ დააჩნდა სააზროვნო ისტორიას.

ეს მაშინ, როცა ქრისტიანიზმი მახვილით უპირისპირდებოდა ყოველივე საერო-სეკულარულს რჯულმდებლური აურაცხელი აკრძალვებით. გამორჩევით კი მაინც ცოდნისთვალს ფილოსოფიას ერჩოდა. ასე იყო ბიზანტიურ სამყაროშიც – „ურღვიოთო გარეშე სიბრძნეს“ – საქართველოც მასთან ერთად და დიდხანს არ ჩამქრალა დამსჯელი კოცონის ალი ევროპაშიც ჯორდანო ბრუნოს პირველობით.

მაგრამ პარადოქსი ისაა, რომ კულტურას აბარბაროსებს ნერევის ველური უინი და რბევის სისხლიანი ყიუინა. ხელით ქმნილს მონაპოვარს თავად მიაქანებს ისტორიის ნიაღვარში.

ასე იყო აღმოსავლეთშიც და დასავლეთსაც ეს უინი უხერგავ-და გონებას. ასე დაანგრია დიდებული სამარყანდი ირანელმა ნა-დირ-შაჰმა, ასე ინგრეოდა ცასაზიდული გოთური თუ რომანული ქმნილებები ევროპაში მონარქებისა თუ უზურპატორებისგან.

მარბევლის სისხლიანი ყიუინით ჩაეშვა თემურ-ლენგი „გურ-ემირის“ ანუ „ემირის სამარხში“ მისთვის და მისი მოდგმის თე-მურიდებისთვის 1404 წელს აგებულ მავზოლეუმში, სისრულეში რომ მოყვანა ულუგბეგმა – სწორედ მისმა შვილიშვილმა ულუგ-ბეგმა. ჩანვა და ჩაიტანა ცეცხლის რამდენი ვაება და მასთან გო-დება აოხრებულ საქართველოსი.

საბჭოურ ხანაში ნეფრიტისგან ნაკვეთი მძიმე, ჰერმეტულად დაგმანული საფლავის ქვა გადასწიეს და არად ჩააგდეს ქვაზე ამოტვიფრული რისხვა: „როცა ავდგები, შეზანზარდება სამყარო“. ეს 1941 წლის 19 ივნისს იყო. 22 ივნისს კი შეზანზარდა მსოფლიო... ქვესკნელიდან იხუვდა სისხლიანმა ყიუინამ ისევ.

ამ ფიქრებში დავბორიალობდი და მერე ვნახე, რა დრო გა-სულა. ქუჩაბანდებს გავუყევით, ნაგვიანს, მოუვლელს უხასია-თოდ და ახლადა შევამჩნიერ კუდს აკიდებული თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭები. აბა, რა გინდათ, ყველაფერი გვაქვსო, ვერ გავიგე, რას გვთავაზობდნენ.

– დროზე გავიდეთ აქედან, – ქმარმა ხელი გამიყარა. ნაბიჯს ავუჩქარეთ, აბეზრები კი ვერ მოვიშორეთ.

– იაფად მოგცემთ, იაფად.

ქმარმა მაგრად დაიფრინა უშნოდ ატორლიალებულები. თურ-მე, ნუ იტყვით, ნარკოტიკს გვთავაზობდნენ ნაირ-ნაირს, თრი-აქსა და, ეშმამ დალახვროს, კიდევ რას. და ეს დღისით-მზისით სავალ ქუჩაზე. რისი მილიცია, როცა ეგზომ კარგად ჩანდა, ვინ მფარველობდა ან სულაც აკეთებდა ამ, იმდროისთვის ჯერ კი-დევ უხმარ სიტყვას – ბიზნესს. თან ვისი ხელით – პატარა ბიჭე-ბის! ჰო, მერე ითქმოდა ხოლმე კრიტიკულ-აკადემიური ფორმუ-ლირებით სტაგნაცია-ზასტოის პერიოდი იყოო მაშინ.

საღამოს გასვლის თავი სადღა გვქონდა. რადიო ჩავრთე ახალი ამბებისთვის. უზბეკურზე რა მეთქმის, რუსულს კი ვინ

მოაკლებდა მაუწყებელს. მაგრამ ახლა სპარსული მუდამები ჩაირთო, აღმოსავლურ-მაჰმადიანური სამყაროს მუდერი ესთეტიკა, რასაც საათობით უსმენდნენ სავსე გრძნობით და განცდით. ამ სამყაროში დაფასება-სიყვარული არასოდეს მოჰკლებია მომღერალს და სიმიან საკრავზე დამკვრელს.

ვუსმენდი მონოტონურ, გაბმულ, ორნამენტებით ანუ მელიზ-მებით დატვირთულ მელოდიას და ვხედავდი, რა შორს იყო ის ჩვენი ალქმისთვის, სრულიად უცხო და გაუგებარი.

სწორედ ამ ფიქრებში იბარტყა იდეამ, რაც ცხოვრების მეთაურ აზრად მექცა და ქარტეხილიც ბევრი დამატება თავს. ვინ და რანი ვართ ჩვენ – აკადემიურად კი, ცივილიზაციაში რა კულტურტიპის წარმოვადგენთ, ამის ძიებაში, თურმე დისიდენტის ურემში ჩავმჯდარვარ იდეოლოგიურად, ანაზდად.

პოლიტიკურ-კულტურულად აზიურ რაობაში და სივრცეში ჩვენს შეყვანა-დამაგრებაზე რუსულმა იმპერიამ იმთავითვე ისე იზრუნა, რომ ევროპულ ცოდნას დღესაც სჯერა, მაგალითად, ქართული მრავალხმიანობის აზიურობა, ან კიდევ ჯვარ-გუმბათოვანი არქიტექტურის „ამიერკავკასიურობა“.

მოკლედ, ერთი აურზაური ატყდა ჩვენს იდეოლოგიურ სამართალში. მე კი არხეინად ვასაბუთებდი ტაშკენტში „აზიისა და აფრიკის მუსიკალური კულტურების“ სიმპოზიუმზე ერეტიკულ დებულებას, რომ ქართულ მუსიკალურ კულტურას არაფერი ესაქმება აზიურ ცალხმიანობასთან ანუ მონოდიასთან და, რომ ის ნამდვილად ევროპული კულტურტიპია. ესეც არ ვაკმარე და ვესროლე – საერთოდ მთელი ქართული კულტურა როგორც ერთიანი სისტემა, გენეზისით დღემდე წმინდად დასავლური ტიპოლოგიისაა-მეთქი.

იქ, დიდ სავსე დარბაზში მოგრიალე ტაში მეცნიერების წარმატებად მივიჩნიე და ბრიყვულად ვერ მივხვდი, რომ ეს ტაშის გრიალი უფრო მეტად ჩემმა „კონტრრევოლუციურმა“ გმირობამ გამოიწვია, როგორც გამოძახილმა იდეოლოგიური გალიიდან აზრის თავისუფლებისკენ გამოფრენაზე.

მართლაცდა, სათანადოდ ვერ შევაფასე მაშინ ძალზე სერიოზული გარემოება ისევე, როგორც ვერ გავიაზრე უნივერსი-

ტეტის ბალის ბოლოში კონფიდენციალურ შეხვედრაზე დაბარე-ბულს საქვეყნოდ ცნობილმა აკადემიკოსმა რაც მკითხა: საიდან, საიდან ხართ თქვენ, შვილო, საიდან ასეთი. მე ჭკუა არ მეყო – თბილისის ამა და ამ უმაღლესი სასწავლებლის კათედრიდან-მეთქი. ჩემი პრიმიტიული მიუხვედრელობით მისი გულაცრუება ვიგრძენი და საუბარი აღარც გაგრძელებულა. მხოლოდ გვიან, ძალზე გვიან ჩავუხვდი ახალგაზრდა გამბედაობისადმი ესოდე-ნი ყურადღების მიზეზებს.

მაშინ, იმ ხმაურში კი შევნიშნე, როგორ აიმრიზენ სომეხი კო-ლეგები – ეს რაა, ამიერკავკასიიდან გასვლისა თუ საერთოდ გან-დგომის ტენდენცია რატომ აქვთ ქართველებსო. ჩანს, ერთხმი-ანი მუსიკის მქონეთ, ცუდად მოუხვდათ ყურს. არადა, რატომ? მათი მშვენიერი ერთხმიანი საეკლესიო საგალობელი არ ამშვე-ნებს განა ქრისტიანულ კულტურას?

შესვენებაზე შეჯგუფებულებთან ვითომ წავიმასხრე – ამიერ-კავკასიური მარტო რკინიგზა ვიცი და სხვა არაფერი-მეთქი. ცი-ვად გამშორდნენ. იქ ჩვენებიც იდგნენ გატრუნულ-გასუსულები. გულგრილობის წვიმა ცრიდა თითქოს. რაღაც ჩამწყდა. სულხან-საბამ გამომძახა ამ დროს – ნუ დალონდები, ეგ ხომ „მწუხარე-ბაი სიკეთესა ზედა“ მოყვასისა არისო მხოლოდ. ისევ ის წყეული „მწუხარებაი“, შემჭმელი ჩვენი და დამაქცევარი...

რაღა გავაგრძელო და, სახლში დაბრუნება არ მაცალეს. უპირველესად, ცხადია, სამინისტროს კადრების უწყება და მი-სი უფროსის პატივცემული გვამი „შეწუხდებოდა“. კაბინეტში გამოცხადებულისთვის ერთი სული ჰქონდა, დაელრინა – რას მიჰქარავ, ქალოო, მაგრამ პროფესიული მოკატუნებით დამამუ-ნათა – აბა, რად გინდოდათ ამდენი უსიამოვნება, ხომ გიჯობთ წყნარად იცხოვროთო. აი, ახლა მოსკოვიდან რომ გამოითხოვეს თქვენი „პირადი საქმე“, განა კარგია.

მოკლედ, დღე არ გასულა და რექტორმა დამიძახა. აცხონოს ლმერთმა, ნიჭიერებით გამორჩეული იყო და თანაც ძმაკაცური:

– რა გაგვიტრა-ქტორე საქმე, ემანდ დაეტიო შენს ალაგას, სადაც გაფასებენ. მოსკოვიდან დარეკეს – მიხედე შენს კადრს,

განდგომა-გაუცხოების მავნე იდეებს რომ ავრცელებსო. ასე თქვეს, მარა საქმეში ნაციონალისტად, ეროვნული იდეების მქა-დაგებლად ანუ ანტისაბჭოთა ელემენტად გაგაფორმებდნენ. ეჭ-ვიც არ შეგეპაროს.

ამანაც ვერ გამამდიდრა სიფრთხილის გრძნობით, მგონი, მომწონდა კიდეც ელემანტურად შერქმეული – „სიმშვიდის ამ-ფეთქებელი“. ნარმომიდგენია, რას დაანონიალებდნენ ჩემს, ეგ-რეთ წოდებულ, დღისეს გამოტენილ-გასქელებულ თეთრზონ-რიანი საქალალდით, დღესაც იქ რომ ძევს, სადაც ჯერ არს, მავ-ნე იდეებისაგან ქვეყნის დასაცავად.

ჩაგახედებთო, რომ მითხრან, არ მინდა. არ მინდა იმათი ხელ-მოწერების ხილვა, ვისთანაც ცხოვრების გზა ერთად გამივლია...

იქიდან მოყოლებული დიდებული ეს წოდება თან მდევდა. ამიტომაც არც „ზრუნვა“ მომკლებია „იმათი“, არც ყურადღება, არასოდეს. მაშინაც, საბჭოურ სიმშვიდეში და მერეც, დამოუ-კიდებლობის ქადილიან სამშობლოშიც. ახლა, როცა ოთხმარ-ცვლიანი დასაბამიერი სიტყვა – არსი „ეროვნული“ ნელინელ დაემცრო, ჩაიფერფლა და დანაცრდა დემოკრატიის ნათხავში, უჩინარი მრავალუამიერი არეულ ღამის წკვარამში მოუღლელად დაძრნის მაინც...

დრო აღარ ითმენდდა. რის ფასად, მაგრამ უნდა დავბრუნებუ-ლიყავით. იმავე გზას ვინდა ახსენებდა და ახალი მოვიფიქრეთ – სატვირთო მატარებლის ღია პლატფორმაზე მანქანიანად შედ-გომა. მინდოდა კიდევ ხეტიალი, მაგრამ უკვე მეტისმეტს ვინ-დომებდი. დილით ადრე უნდა ჩავსულიყავით შუა აზიის მსხვილ სარკინიგზო კვანძის ქალაქ კაგანში. ბუხარიდან არც ისე შორს იყო და სახელდახელოდ მომზადებული სადგურის მთავარ შენო-ბას მივადექით.

ლიანდაგებით უსაშველოდ დაქსელილ გარემოს კოშკის-მაგვარ შენობაში აწესრიგებდნენ. როცა მთავარ დისპეტჩერს, რთული საქმისმცოდნეს ჩვენი თხოვნა მოვახსენეთ, დაკვირვე-ბით ჩაგვათვალიერა ლამის ნემსიყლაპიებად ქცეულება. ხმელ-ხმელი რუსი კაცის გადაღლილ სახეზე კეთილგანწყობა გაკრთა – მოგხმარებითო. მერე მივხვდით, რომ ნაადრევად გავიხარეთ.

რომელიდაც ლიანდაგზე სატვირთოს გრძელი შემადგენლობა ჯერ კიდევ ივსებოდა. ჩვენმა გამყოლმა რკინიგზელმა ნავთობის დიდ ცისტერნიან ორ პლატფორმას შორის ბაქანზე მიგვითითა – აქ იქნებით მანქანიანადო.

გასაფორმებლად უკან შევბრუნდით. დოკუმენტი შეგვიდგინეს და... გადასახადი არ მოგვთხოვეს. ხმელ-ხმელმა რუსმა ქმარს მხარზე დაჰკრა:

– Ну, мужик, доброго пути, жену береги.

გაოცებისგან დაბნეულები ვუცქერდით, როგორ ასწიეს და დასვეს ჩვენი რიუკა ღია პლატფორმაზე, მსხვილი ჯაჭვებით ორივ მხრიდან დააბეს და აპა, შეხტითო. თან დაგვარიგეს, სვლის დროს მანქანის კარი არ გაგველო, არც ბაქანზე გადმოვსულიყავით და სხვა მისთანანი.

ერთხანს ლოდინის შემდეგ მძიმე შემადგენლობა დაიძრა. დაძვრისთანავე კარგა მაგრა შეგვაქანა გრუხუნით... უკვე ვეთხოვებოდით ბუხარის საამიროს სამარყანდიანად, იმ დიდებულ ძეგლს აზისას, რომელიც 1868 წელს რუსულმა ჯარმა სამუდამოდ იმპერიის ქვეშევრდომად აქცია.

ორი დღე და ერთი ღამე ჯანჯგალ-ხრიგინით მივარღვევდით ღია პლატფორმაზე მიჯაჭვულები ჯერ ყარაყუმს, მერე ტიალ ტრამალებს. გზა-გზა ვჩერდებოდით გაურკვეველ პუნქტებში და ისიც არ ვიცოდით, რა მოხდებოდა თუ შემთხვევით ჯაჭვი აიშვებდა, ან ორ უზარმაზარ ნავთობიან ცისტერნას შორის მომწყვდეულებს, ძლიერი რყევა-ჯაჯგური რას გვიქადდა. რომ არ ვიცოდით, ეს იყო სწორედ ღვთის წყალობა.

მანქანაში გამომწყვდევამ ათასნაირი ფიქრი აშალა. იქ ერთ საოცარ კითხვას მივაგენი: რატომ დავნავარდობდით ხიფათით სავსე გზებზე ასე უდარდელად თუ უზრუნველად? კი, ახალგაზრდული თავქარიანობა თავისას აკეთებდა, მაგრამ ქვეცნობიერში სხვა რამ რატომ იდო – დაჯერება სახელმწიფო სისტემის სიმყარეში, რაც ანესრიგებდა სოციალურ სივრცეს, მართავდა და იცავდა კიდეც. ეს ერთგვარად პარადოქსული აზრი ცარიელ ადგილას ხომ არ აღმოცენებულა – სისტემის ბერკეტების რეა-

ლურობა ცნობიერებას ავსებდა და ხვალინდელის შიშს ნიადაგს აცლიდა. მიზეზებს ჩავეძიე:

დროისთვის ჩამორჩენილ – ხელმოცარულ ყოფასა და წინ-მსწრებ სულიერებას შორის სრული შეუსაბამობა სუფევდა ამ სახელმწიფო სინამდვილეში. ცოდნა ათი თავით მაღლდებოდა ყოფაზე, ფასეულობასაც ის კარნაზობდა და ამიტომ ყოფითს კომფორტს სულიერი სძლევდა უშფოთველად, შეგნებას ამაღ-ლებდა ცოდნის პირველადობაზე, თავდაჯერებას მატებდა და, როგორც გერმანელი იტყოდა, wissen macht stark – ცოდნაძლიერს ხდისო, ამ სიძლიერით ფასდებოდა კიდეც სახელმწიფო, მისდამი ნდობა მკვიდრდებოდა.

ამ ჩემს იდეალისტურ გაგებაში სიმართლის დიდი წილი იდო, მაგრამ...

ის სულიერება ლაგამამოდებული უნდა ყოფილიყო მაინც, რომ „მეტისმეტს“ ანაზდად „რეტი“ არ მოჰყოლოდა. ამისთვის ზრუნვა ძალუმად იფრქვეოდა, მეტადრე მოუსვენარ რესპუბლიკებში. ესე იგი, ჩვენშიც. ასე, მაგალითად:

მოხდა ისე, რომ „მერანმა“ რუსულად გამოსცა ჩემი წიგნი „На рубеже веков“. იქ გაშლილი იყო საქართველოს რუსეთის ქვეშემრდომად გადაქცევის ასწლიანი გზის პანორამა. XVIII-XIX საუკუნეების ქართველმა თავადობამ იმ უამთა აღწერით შექმნა კიდეც ქართული მწერლობის ორიგინალური უანრი – დოკუმენტური პროზა.

ჩვენმა რუსულად თარგმნილმა და წიგნად შეკრულმა ამ ძალ-ზე ღირებულმა (მეტადრე, რუსული ისტორიული მეცნიერების-თვის) გამოცემამ კი დღის სინათლე ვერ იხილა. ორ-სამ დღეში დახლზე კი არა, „მერანის“ საწყობში ერთი წიგნიც ვერ მოინახა – იმათ დავთრებში მიეთითებოდა მთელი ტირაჟის (ასეული ეგ-ზემპლიარის) შემსყიდველ რუსულ სამხედრო უნყებაზე.

დასტურ, ემეტისმეტათ წვრილად გადმოცემული ამბავი და წვრილადვე დასურათებული ტრაგედია იმპერატორის დაძახე-ბაზე გამოცხადებულ თავჩაქინდრულ მეფისწულებს როგორ ეუწყათ საქართველოს სამეფო დინასტიის სამუდამოდ გაუქმება თუ გაქრობა.

დღეს რომ ვცადო ამ წიგნის ხელახალი დასტამბვა, ერთ მოზრდილ ექსპერიმენტად ეღირება...

ახლა ყოველ ნაბიჯს მიჰყავდი შინისკენ, ყოველ ჩაქროლილ ადგილს და სული სულ წინ და წინ გექაჩებოდა. საზღვრებში დაუტევლობასა და გონების ჩარჩოებში მოქცევაზე ჩაგაფიქრებდა, არჩევანს გაიძულებდა – რომელი ჯობსო.

უდაბნოს დიადმა წიგნმა ჭეშმარიტების ის ფურცელი გადაგვიშალა, საცა ენერა: ზღვაზებრ მოვარდნილ სურვილში სიკვდილოვანი საწყისი ბუდობს. დაუდრგომლობას ხამს წინ გონების კედელი დაახვედრო. თუ ასეა, მაშინ ცხოვრებასა და არსებობას შორის აირჩიო უნდა, რა გიჯობს: ცხოვრება ამბოხია, არსებობა სიმშვიდე. ცხოვრება ბადებს, არსებობა ბერნი და უნაყოფოა...

მაგრამ საზღვრებში დაუტევლობა ბოლოსკენ მაინც საყუდელს პოულობს და შენც უნდა დაყენდე. ახლა ჩვენი საყუდელი კრასნოვოდსკი გახდა და იქიდან ამოვარდნილი ქარი მასვე ჩაუბრუნდა, იქვე მინავლდა. ღრჯო-ბოლმა კასპიამ საპირისპირო მხარეს გადაგვისროლა, გაქრა თვალსაწიერიდან. როგორც გააქრო დრომ „კრასნოვოდსკის“ ხანა და „თურქმენბაში“ გახადა, ჩარჯოუ კი „თურქმენბადად“ გადააკეთა. შეიცვალა რამე ამით განა? ალბათ, არაფერი.

ბაქოდან ისე გავიჭერით, როგორც ჩვენი პატარა შვილების ძახილი გვიხმობდა. წითელხიდგამოლმა „განიპოს კრეტსაბმელი“ შევძახე და ჩემს მიწას გეაჯები, ერთადერთო-მეთქი, მივეახლე.

ოჯახი ფეხზე დადგა. პირველი უფროსი ბიჭი გამოექანა, ჩამესუტა უცნაური დაყივლებით და მხარზე დამარწყია. ყივანახველა დამართნია თურმე. პატარა სხვანაირად შეგვეგება. პირადი მწვანე ქოთანი ქუსქუსით წინ დაგვიდგა, ესე იგი, კუკები ხართო. ასე მაღალმხატვრულად მოინდომა წყენის გამოხატვა.

ბედნიერებამ შეძლო წამის შეჩერება, რადგან ოჯახი უძირო სიხარულია, ვერგაზომილი. ამ შეჩერებულმა წამმა ძველი ბერძნების ფილოსოფიური დილემა გადამიწყვიტა: მარტოხელა ადამიანი მეფესავით ცხოვრობს, მაგრამ ძალივით კვდება.

გამრავლებული ძალლივითაა, მეფესავით კი მიიცვლება. დილე-  
მა აღარ არსებობდა – მეფესავით მინდა მოვკვდე, მისთვის ძალ-  
ლური ყოფა ღირს ჭეშმარიტად. მინდა სიკვდილის სასთუმალ-  
თან მონაგარი ცრემლ-წუხილით მემშვიდობებოდეს, მე კი ლოც-  
ვას ვტოვებდე მათვის.

იგივე ძველი ბერძენი შეგაგონებს – შვილი ოდენ ყვავილებია  
შენს საფლავზე, მხოლოდ. დიახ, საფლავი ყვავილმა უნდა შეამ-  
კოს, რომ უკუნეთი განათდეს ხსოვნით და ასე უსასრულოდ...

სამსახურს მივაკითხე და დეკანს გაცდენის მიზეზზე ვუამ-  
ბე. არაფერი უკითხავს. თითქოს იცოდა რაღაც ჩემზე მეტი. მუ-  
დამ ტაქტიანმა ამავე ტონალობაში – ნუ შეწუხდები, ყველაფერი  
მოგვარდებაო.

ზენა გრძნობამ აზრები ამიფორიაქა, ამომიყირავა განცდი-  
ლი სურათები: იქ, უკუნეთ ღამეში დაკარგულებთან საიდანლაც  
გამოცხადებული მოტოციკლისტი და ჩაქცეულ გზისპირს დგო-  
მა, ტიალ ტრასაზე გაჩერებულ მანქანაში გაზეთგაშლილი კაცი;  
საზღვრის დამრღვევებთან თავაზიანად მოლიმარი პოლკოვნი-  
კი. ახლა აქ, მამულეთში, გამძლედ ნართავი ძაფით წვრილად  
ნაგვირისტევი, ფერებით ერთმანეთში შექსოვილის რბილად და-  
ფენა, კარგად შექსოვილის.

ბრაზი მომერია. რას ბოდიალობ-მეთქი. რა ეჭვებს აჰყოლილ-  
ხარ, ამ სიჩუმეში რა გეხმაურება. ვერ ვიტანდი დაეჭვებას, ეჭვის  
ნაგავში ქექვას. ნდობის ზნეობისა მჯეროდა და ღირსების საქ-  
მედ მიმაჩნდა კიდეც. მიმაჩნდა, სანამ იმედგაცრუების კედელს  
მივაწყდებოდი ხოლმე. ეს რონდო-წრიული თან დამყვებოდა, არ  
მომკლებია და მაინც – ადამიანი არ იცვლებაო, ვარაუდობს აზ-  
როვნება. მეც ვეთანხმები.

რა იყო საეჭვო, მაგალითად, იმავე დეკანის მეგობრულ გაფ-  
რთხილებაში, როცა ერთხელ სასხვათაშორისოდ მითხრა:

– ლექციებზე უფრო მოზომე სათქმელი. უნდა იცოდე, აუდი-  
ტორიაში ორი მაინც გიზის, ვინც იმას ჩაიწერს, რაც „წამკითხ-  
ავს“ უნდა გადაეცეს. ნამეტანი გყვარებია ჰეგელის ციტირება  
და ლენინს ერთხელაც არ ახსენებ.

— რაო, — წამოვიძახე გაოცებულმა, ხელი ჩამავლო და შემან-ჯლრია ძველებრაულმა შეგონებამ „ვინც დაიჯერა, იმან წააგო“.

წავაგე კიდეც და თანაც მერამდენედ. საღამო დრო იყო, რა-ლაც საორგანიზაციო საქმეები მევალებოდა და ქალალდებს შევ-რჩიო ოთახში. ტელეფონმა დარეკა. ინტელიგენტურად მეტყველ-მა — თქვენი შენობის სახურავზე ფასადის მხრიდან ძველი ქარ-თული დროშა აღმართეს, კაბინეტიდან ვხედავ. ესა და ეს დეკანი სასწრაფოდ მოძებნეთ და გადაეცითო. თავიც დაასახელა. მო-შორებით მოპირდაპირე ძველებურ არქიტექტურულ შენობაში კაიხელა პოსტი ეკავა.

დერეფანი გადავჭრი. კაბინეტის კარზე დავაკაკუნე, სახე-ლურიც მოვქაჩე — არავინ. შემობრუნება ვერ მოვასწარი, გრძე-ლი დერეფნის ბოლოდან დეკანი ისე მორბოდა, უკან ორი უცნო-ბი ძლივს ეწეოდა. ასე მალე — საოცარია! კაბინეტში მიმინვიეს. ძალზე თავაზიანად — რაც გაიგონეთ და ვისგანაც, დაგვიწერე-თო. დეკანი კუთხის სავარძელში აბსტრაქტული მზერით ხმას არ იღებდა.

მეორე დღეს კუთხე-კუთხე ჩურჩულებდნენ — გუშინ გვიან საღამოს სამი არასრულნლოვანი ბიჭი დაუჭრიათ სახურავზე, პატრიოტულ ლოზუნგებს გაჰყვიროდნენ. აი, ასე იყო.

სულ ვფიქრობ, ნეტავ, ვინც არ დაიჯერა, მართლა არ წააგო?

მაშინ სამაგალითო მაგალითი უნდა გავიხსენი: ჩვენს უმაღ-ლეს სასწავლებელში ერთ ასაკოვან პროფესორს ფრიად აფა-სებდნენ. მისი შემოქმედებაც ხშირად გაისმოდა, მასზე წერდნენ და პატივს მიაგებდნენ.

იმ დღეს ქალაქი ყალყზე შემდგარიყო, უნივერსიტეტის, ცხა-დია, ივანე ჯავახიშვილისას (სხვა, მგონი, არც არსებობდა) სტუ-დენტების დემონსტრაცია წინმავალი ღირსპროფესურით დედა-ენის — ქართული ენის დასაცავად იდეის ტალღებს მიარღვევდა. თითქოს ერთ დაძახებაზე, ყველა სხვა უმაღლესი სკოლა მიჰყვა ფლაგმანს. ვინ ეპულებოდა მათ შენობებთან მილიციის თუ უფორ-მოთა კორდონებს — ხმა ერთი, ხმა ხალხისა გუგუნებდა.

იმ დღეს ჩემს ობლად რჩენილ სასწავლებელს მივაშურე აღელვებით – საკორდონე იქ არაფერი დამხვდა. სიმშვიდის ვესტიბულში აქა-იქ დაწყვილებულები ჩუმად მუსაიფობდნენ. ჩვენმა სახელიანმა პროფესორმა ჩამოიარა – რა ხდება, რა არეულობაა გარეთ, – გაკვირვებით ხელებს შლიდა. ბატონო-მეთქი, მივმართე, ენის ქართულის გადარჩენისთვის დუღს ქვეყანა და თქვენ ეს არ იცით განა? მოკატუნებული გულუბრყვილობით და ხმამალლა – არაო.

მან არ დაიჯერა და მაინც წააგო. ამქვეყნიდან წასვლის შემ-დეგ ვიღას უხსესნებია, კვალიც არ დამჩნევია მისი იქაურობას. დიდ ივანე ჯავახიშვილს ვიგინდარა მედროვეები პატივს რომ ართმევდნენ, სჯეროდა. და გაიტყორცნა სახელი მისი უსასრულობაში...

დღეები ყოფის ფუსფუსში ილეოდა. ყოველდღიურობა იმ ბაქტერიას ჰგავს, სხეულს რომ შეუჩნდება და აუძლურებს, ასე სულსაც. დილას სამსახურში წასასვლელად ერთმანეთს ვას-წრებდით. ტელეფონის ზარი ვითომ ვერ გავიგონე. ქმარმა აიღო ყურმილი. ერთხანს ჩუმად უსმენდა. მერე, კარგიო, მოკლედ მოუჭრა. შევხედე. გაქვავებული იდგა.

– რაღაც მოხდა?

– მოხდა და ისეთიც, სიზმარში რომ ვერ ნახავ. ბაირამ-ალი-ში გაცნობილი ცოლ-ქმარი, შენ რომ აღტაცებაში მოხვედი, გახსოვს. ის კაცი ახლა თბილისშია. ტელეფონის ნომერი რომ მიართვი, სწორედ ამ ნომერზე მატყობინებს, „წამალი“ ჩამოვიტანე და აბა, შენ იცი, მომეხმარეო. ხომ მოგწონს „წვრილმანზე“ ფილოსოფიური პასაჟები, ჰოდა, ახლა მთელი მოძღვრება დაუწერე მომავალს.

გახვებულიო, ცოტა იყო ჩემთვის. ცუდი ყოველთვის მოულოდნელია, მაგრამ ეს მეხის დაცემას უტოლდებოდა. აი, თურმე, ქართველების ქებასა და ზღაპრული ქვეყნის ხილვაში, რა თვალთმაქცობის მხრწნელი მატლები ბუდობდა.

დავიჯერე და წავაგე. ასეა?

რამდენიც უნდა წააგო და ფეხი წაიტეხო, მაინც ვერ დასძლევ ძირეულად მოცემულ საკუთარ ბუნებას დაჯერების თუ არდა-ჯერების, მრნამსის თუ ურნმუნოების სიცარიელის.

„იყავი ის, რაც ხარ“ თუ შენი ცხოვრების წესია, ისიც იცი, რომ ადამიანთა ჯგუფი თუ საზოგადოება ვერ იტანს ინდივიდუალობას, სძულს კიდეც. ამ წესის ჩაქოლვისაგან დაცვა ცხოვრების დედააზრად თუ გექცევა, მაშინ მძიმედ სატარებელი შეგექნება მისი ფორმულა „შენ და სხვანი“.

„შენ“ გიბრძანებს საკუთარი ღირსების ხელშეუხებლობას, სხვათაგან მანძილზე ყოფნას, მძიმე წუთებში დამოუკიდებლობის ურყევობას, ზნენამხდართაგან შორს დგომას.

ეს წესი გაარნახობს „ჩავარდნები“ სხვას კი არა, „შენს“ და-აბრალო: მეგობარმა თუ გაგდა და გიღალატა – ზედმეტად ენ-დე; გულცივი შვილები – ასეთები შენ გაზარდე; ხელისუფლება გჩავრავს – ამაში შენი ხელიც ურევია.

ამ წესით შენ გამომწვევად არღვევ იმთავითვე აღიარებულ კანონს: ნუ გამოირჩევი, ნუ მიიქცევ გარემოცვის ყურადღებას. ოდენ ფარსმან სპარსის შეგონება რად ღირს – ჯაბანად უნდა მოგქონდეს თავიო – იგავს გვიხსნის კონსტანტინე – ბატონი. სტენდალმა ხომ დაგვსეტყვა „წითელი და შავის“ სწავლებით – დამალე თავი და შენი უპირატესობა არ გამოაჩინო.

იმედს ნუ ჩაიდებ, რომ ადამიანები ობიექტურად შეგაფასებენ. „ობიექტურის“ ასეთი საზომი არ არსებობს. შენს ქცევებ-საც მხოლოდ საკუთარი ინტერესებით და მსოფლალქმით შეხე-დავენ. ამიტომ შენი სიკეთე სხვებისთვის ბოროტებად შეიძლება გამოჩნდეს. სხვებისთვის გაუგებარი ცხოვრობდი და ასეთად მოკვდები. ეს ზოგადი კანონია. „წადი გოლგოთაზე“ – ფილოსოფოსს ასე სწამს.

რატომდაც კლასიკოსებს არ ვუსმენთ ხოლმე სათანადოდ, ვერ ვუკვირდებით მათი აზრის ძალას. არადა, ნიცშეს პერიფ-რაზით – რომ გავუძლოთ ჭეშმარიტებას, ამისთვის გვაქვს ლი-ტერატურა. „სხვებისთვის“ მიუღებელია მაღალი აზრი-იდეა,

შენთვის მრწამსისეულია, კრედოა. ამიტომ შემოგიტევენ, რად-გან, როგორც პოლ ვალერი მოსხეპდა – როცა აზრ-იდეას ვერა-ფერს აკლებენ, ებრძვიან ამის მქონეთ.

თუკი რაღაცისთვის ტაში დაგიკრეს, გაგიკვირდეს უნდა. ესე იგი, რაღაც გაუგებარი გითქვამს. ჩარლი ჩაპლინის ირონიისა არ იყოს, აინშტაინს ტაშს უკრავდნენ მისი გაუგებრობის გამოო.

და საერთოდ, რაა წარმატება ან მასზე ტაში? წარმატებას რომ სულლაც არ სჭირდება ტალანტი, ის უფრო მისი არქონის მონაპოვარია. სწორად უთქვამთ.

ჩვენი ამბავი ერთხანს სჯა-ბაასში ყვავილობდა. ერთნი გულ-ლიად იკვირვებდნენ; მეორენი – რა უჭყუობააო, გვამტყუნებ-დნენ; მესამემ საინტერესოდ შეაფასა: განთქმული ავტორალი პარიზი-დაკარი თავის საპარიანად მაგრა ჩამოფასდა, გატრი-ზავდაო. ჯერაა და, „სიტროენების“, „რენოების“ თუ „პეუოე-ბის“ განყობილ კლასიან ძრავებს ჩვენმა უკლასო გარეუბნელმა „მოსკვიჩმა“ სამი თითის კომბინაცია უჩვენა. მეორეც ისა, რომ, როცა გარეულამებული რალი გატკეპნილ გზაზე ვიდოდა, აქ პირველად გადაჭრეს ყარაყუმის ბარხანები, თანაც ისე, გლეხუ-ჭა „მოსკვიჩს“ ცხვირიც არ დაუცემინებია. ამ ფაქტს ვერავინ გა-ექცევაო.

მართლაც, პირველობის ფაქტი პიტალო სიმართლეა. მაგ-რამ... პლაგიატორ-მიმთვისებლის მგზნებარე სურვილს რა და-აოკებს, რა გამოლევს და რომელ დროში.

როგორც ვერ დაიოკა დოქტორობის გზნება ერთმა ჯიბოსნის ცოლმა და ჩემი წიგნის პირველ სიტყვად აღიარებული მთელი თავი ჩაისკუპა (თუ ეშმამ იცის, ჩაუსკუპეს) ვაგლახად შეკონი-ნებულ დისერთაციაში.

სინდის-სირცხვილი რას მიქვია, როცა ასე დიდია წადილი დოქტორ-დედობამ მამის მიკიტობა გააზავოს შვილებისთვის. მერე, როცა შენიშნეს – ავტორს რა პასუხს აძლევო მოპარულზე, პინდური კობრასავით წამოიმართა: იმას უნდა უხაროდეს, რომ მისი წიგნი საჭირო ყოფილა. აფსუს, ვინ დაკარგეს სოფისტებმა. გადააგორა და ხახვივით შერჩა.

ასე რომ, ჩავრჩებით თუ არა პრშევალსკების და მარკო პოლოების ისტორიაში, დღესაც დიდია ეჭვი. ერთი კია, იმ სჯა-ბასის დღეებში ქვეყნის ცენტრალური გაზეთი „იზვესტია“ მომიტანეს, სადაც წამყვან გვერდზე მსხვილი შრიფტით დაესათაურებინათ: „С пустыней не шутят“ – „უდაბნოს არ ეხუმრებიან“.

ამიტომ ნავალ გზაზე სვლა გიჯობს, თუ ის საურიამულო სურვილი კი არაა, არამედ, როცა „ერთხელ სულს დააჩნდების“, როცა ამ „ერთხელს“ უსასრულო ლტოლვის ძალა მიეცემა.

ეს ძალა გვიხმობდა ხოლმე შემოდგომისპირს იმერისკენ, საცა „აგია იგი“ და „იქანა-აქანა“ ხმატკბილ ნანინად ჩამესმოდა.

ახლაც რიკოთიდან ხვეულა გზით ჩავუარეთ ილემს, ლორე-შას – მარადშეუცნობელ სულიერ ძვრას საუკუნო წესით მოღწეულს, განივთებულს დოქის, კეცის, ქოთნის, ქვევრის მიწათიხის მულერ სიმფონიაში.

ამიტომ ამ ნავალ გზაზე სვლა სულიერი უსაზღვროებისკენ სვლაა, შინაგანი ძალის თუ სიმყარის მოპოვების გზა. ის გზა – სავალია, ამერში მზის ჩასვენებისას გრემის ფერხთით რომ მთავრდება ხოლმე.

ზესტაფონამდე გზად ერთი პატარა სასადილო გვეგულებოდა. იმხანად ასე ერქვა, ახლა კი კაფე. გვერდს ვერ ჩაუვლიდი იქაურ ნადულს ცხელი მჭადით თუ პიტნაში გადაზელილ იმერულ ყველს ცხელი ღომით.

ჩვენი წესი არც ახლა დაგვირდვევია. იქვე ვიწრო გზისკიდეზე მანქანა შევაჩერეთ და მადლიან ადგილს მივაშურეთ. რამდენიმე მაგიდა იდგა „კლიონკა“ გადაფარებული, ზედ მარილით და დანაყილი ხმელი წითელი წინაკით.

– რას მიირთმევთ? – ზრდილ-იმერულით შუახნის მიმტანმა კაცმა. ყველაფერს-მეთქი, გავუცინე. ახლავეო. მხოლოდ ერთ მაგიდას უსხდნენ სამნი, მოპირდაპირე კუთხეში.

თვალით შემოვიარე ლარიბული, მაგრამ სუფთად შენახული ოთახი. უცებ მზერა შემიჩერდა კუთხის მხარეს მჭადით ხელში მოსადილეზე.

— ღმერთო, დიდებულო, — ქმრის იდაყვს შევეხე ჩურჩულით, — მეჩვენება, თუ ის ბიჭია თედოს „ვოლგიდან“?

— ნალდად ეგაა. არ შეიმჩნიო. დაველოდები, სანამ გარეთ გავა. მე ჩემი ანგარიში მაქვს მათთან.

— იმედია, გრძნობებს შეიკავებ.

— ნუ დელავ, ამას აზრი არა აქვს. სიმართლეს მაინც ვერ შევიტყობთ, გამორიცხულია.

მართლაც, როგორ უნდა შეიტყო იქ, უდაბნოს ბარხანებში იმ სამს რა სურვილი ღრღნიდა? სურვილი თვალთმაქცია და ბოროტ ზრახვას ისე შეფუთავს, სიკეთე გეგონება და მიგაძინებს, უილაჯოს გახხდის.

ამიტომაცაა, რომ ზნეობა სურვილს ვერ უმკლავდება. რაოდენ თვალადი უნდა იყოს აზრი და ნება, გონჯი სურვილი მაინც დაჯაბნის.

— წასვლას აპირებს და უნდა გავყვე. შეგვნიშნა. მოგვიანებით გამოდი.

ის კუთხის მაგიდიდან უხმოდ წამოდგა და სასადილოს უკანა კარს მიადგა, ქმარიც გაჰყვა. ოთახის სიჩუმეს არაფერი არღვევ-და. ვერ მოვითმინე და იმ კარიდანვე გარეთ გავედი.

— გვიცანი, ხომ?

— დიახ, გიცანით.

— მერედა, არაფერი გაქვს სათქმელი?

— აბა, რა გითხრათ.

— თედო სად არის და როგორ?

— თედო აღარ არის.

— შენი მეორე ამხანაგი?

— არ ვიცი, დაიკარგა.

— მაშ, დაობლებულხარ რალა და დარჩენილხარ კიდეც „ვოლგასთან“ ერთად.

გამჭოლმა მზერამ ის კუდით ჟანგიან სათაგურში გაბმულ აცმუკებულ ვირთხას დაამგვანა.

შეძრნუნებულმა ახლალა დავინახე, რომ მას თალხი პერანგი ეცვა…

ის თალზი პერანგი, რითაც დაუძლურებული თედო შევმოსეთ  
მისი ერთადერთი გადაგდებული პერანგის ნაცვლად.

თალზი პერანგი მკერდის ჯიბეზე ამოქარგული ჩვენი ინიცი-  
ალებით.

არაფერია ახალი ცისქვეშეთში.

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა  
და საქართველოს მედგას ულელი –

ტიციან ტაბიძე

მშობლიური ენა სულის ენაა, სხვა  
ენები კი – ოდენ მეხსიერების მონაპოვარი –  
იაკობ გოგებაშვილი

Ubi bene ibi patria

– სადაც კარგია, იქ სამშობლოა  
– წყევლაა დიდი –

ინგა ბახტაძე

არ მინდა ვიყო homo viator – მომთაბარე ადამიანი, ჩემს მიწა-  
ში გატოტვილი ფესვი მსურს ვიყო.

ინგა ბახტაძე  
ეპიტაფია ჩემს საფლავზე



କେମ୍ବଳୀ



ადამიანის გზა საკუთარ თავისკენ მიმავალი გზაა.  
ზურაბ ხასაია



სკოლიდან სახლი შორს არ იყო, მაგრამ ვიწრო ქუჩებით დახვეულ მთაწმინდის ამ აღმართს მუდამ უფრთხოდა. სძულდა კი-დეც. აუყვებოდა თუ არა, საიდანაო და ეზოდან უცებ გამოცვენილი გოგო-ბიჭები წინ გადაუდგებოდნენ.

— ზარა-ბარა-ზამბარა, ზარა-ბარა-ზამბარა, — ენას უყოფვდნენ და ემანჭებოდნენ. ამას რომ არ აკმარებდნენ, თმაში მწარედ და-ქაჩავდნენ, ჭიტლაყსაც ამოკკრავდნენ დასამცირებლად.

ვერავინ იტყოდა, რატომ. რას უშავებდა ან რით აღიზიანებდა ეს ცხრა წლის გოგო მისნაირებს — მასავით ძველმანებში გაქუ-ცულებს, საერთო ფეხსადგილიან ეზოში მიკუჭული შუშაბანდებიდან გამომტყვრალებს. ალბათ იმიტომ, რომ იოლი დასაჩაგრი გამხდარიყო, დამფრთხალი ქათამივით და გულამოვარდნილი სუნთქვით იმ შეჩვენებულ აღმართს მიმსკდარი.

ვერ გაეგო, რატომ აჩავრინებდა თავს. არადა, მედგრად რომ დამდგარიყო, ძალადობის იშტას დააკარგვინებდა კიდეც ბავშვებში მუდამ მთვლემარე დაუნდობლობას და გაუნელებდა პირველყოფილი ინსტინქტების დაუცხრომლობას.

კაიხანი უნდა გასულიყო ასეთ დღეში, ამას რომ ჩამხვდარიყო ზარა.

სახელი ბებიას დაურქმევია იმხანად განთქმული მომღერალი ქალის სიყვარულით. ახლა კი საპამპულოდ გაეხადათ უბნის ბავშვებს ზარა-ბარა-ზამბარაო. სამასხარაო და სამასხრო ნელი-ნელ შეეზრდება ხოლმე ყოფას, შეეხორცება. ასე შერჩა გოგოს მეტსახელად ზამბარა. ახლა დიდ-პატარამ ზამბარაო – ზამბარას დედაო, ზამბარას ეზოშიო.

იმ დღესაც გამოუხტნენ, მაგრამ უკვე სახლამდე სდიეს გაშმაგებულებმა. ძლიერ შეასწრო შუშაპანდში, ძალაწართმეული დაეშვა დაბალ ხმელ ტახტზე და ატირდა.

– მალე სახლშიც შემომივარდებიან, მხეცები.

– რამ დაგაბეჩავა, გოგო, არ იცი განა, რომ გაქცეულს გამოგეკიდებიან, გამოგდევენ. თუ წაიქცევი, ზედაც შეგდგებიან, – ვიღაცის ხმამ თითქოს შორიდან გამოსძახა.

ანაზდად ძალა მოეცა. საიდანღაც წამოსულმა სიმშვიდემ ცრემლი შეუშრო, გაქცეულის გულის თრთოლა საგულეს ჩაუდგა და... ხმელი ტახტიდან ახალი ზარა წამოდგა.

მიმოიხედა. სარკეს მიუახლოვდა. ჩაიხედა. იქიდან ავად გაკვესილი თვალები შემოსცქეროდნენ. სუსტი ტანიც ზამბარად გადაქცეოდა თითქოს, მოქნილ-მოუხელთებელი, რომ ვერ გატეხ, ისეთი.

– აწი, მიიღებთ ზამბარას, ვიფიცებ, – ცხრა წლის გოგო ერთბაშად ცხრაჯერ ცხრისა შეიქნა, რაღაც ბლანტი სისველე ჩაუდგა სულში, იმით გაიჟღინთა.

ოთახში იწყო ბორიალი. ათვალიერებდა. თითქოს პირველად იხილა იქაურობა. კედლებზე ჩამუქებული ლაქები შეამჩნია, მანამდე ვერდანახული, ფარდა და გადასაფარებელი კაიხნის გაურეცხავი ყოფილა თურმე. შინდისფრად შეღებილი ფიცრის იატაკი ჩაუამებულიყო უსიამოვნოდ.

მამის სახე აეკვიატა რატომღაც, სახლიდან წასულის, სხვა ცოლ-შვილით, ამ წუთებში იმაზე სევდა რომ გაეყინა. დედა, სახლმმართველობაში სამ-სამ მანეთს რომ იღებდა ქაღალდ-ცნობებში და ოქროყანელი მერძევესგან კარაქ-მაწონს არ აკლებდა

შვილს, სხვაგვარად წარმოუდგა, ღირსეულად. უცებ გამქრალი-ყო მეზობლების ქირქილი წუნკი და ხელმრუდეაო, ჯერ კიდევ გუშინ აგრე რომ ესირცხვილებოდა გოგოს...

აღმართს ნელი-ნელ აუყვა, თითქოს წონაში დამძიმდაო. ნაბიჯს ოდნავადაც არ აუჩქარა, წინ როცა გადაუდგნენ. შეჩერდა. შეათვალიერა მომხვდურები და... დაასწრო.

— შე მახინჯო ცხვირ-ხორთუმიანო, ვის დასცინი, საფეთე-ლავ? გინდა დაგიმოკლებ მაგ ხორთუმს და გაგალამაზებ! — ისე ჩავლო და მოუჭირა, სულ რომ ემანჭებოდა იმ გოგოს, აკვნესე-ბული ძირს დააგდო. გაშტერებულ და დაბნეულ ბიჭებს მიუტ-რიალდა.

— ახლა კი თქვენი ჯერია, თქვე შარვალჩაჯმულებო, — და ტა-ნით ყველაზე მოსულს ისეთი ალიყური გააწნა, წაბარბაცებულ-მა, თავი ძლივს დაიჭირა.

წამხდარი მოძალადეები რეტიანებივით გასცეროდნენ აღ-მართზე ზურგშექცეულად მძიმედ მიმავალ გუშინდელ და ახალ ზარა-ზამბარას.

იმ დღიდან შეჩვენებული აღმართი გატკეცილ გზად ექცა. წლები უნდა ევლო ასე, სანამ ცხოვრება ამ გზა-აღმართს ნიაღ-ვრებს მოუვლენდა ჩამოსაქცევად. წალეკავდა ჭკუა-გონებას, ზნეობას და ნათელ ქადილს სურვილების ქვენა გრძნობებით გა-უმრუდებდა, გაუმრუდებდა სულსაც და ხელსაც. სიცივის, სიბ-ნელისა და შიმშილის ჟამიანობა დამდგარიყო, სასონარკვეთის დრო.

ამ ნიაღვრის აღმართში უნდა ევლოთ და აზელილ-არეული დაღმართიდან დაშვებულიყვნენ ზარა და შუშაბანდებში შეყუ-შული ბავშვები. ახლა ისინი უკვე ბავშვობიდან ამონვერილი ახალგაზრდები იყვნენ, დაბნეულ-დაკარგულები. საით ეცქი-რათ, ჯაფა რაზე დაეხარჯათ, არ იცოდნენ, ან ვინ ასწავლიდა.

თავის შველის გარდა არაფერი დარჩენოდათ. მონასტერი კი ისე აირია, ძალი პატრონს ვეღარ სცნობდა. თავისუფლებაა და თავში ქვა გიხლიათო, კარნახობდნენ დიდ ლუკმას მიმწვდარ-

ჩამორიგებულები. დემოკრატიააო, ტვინს ურეცხავდნენ მშივ-რებს. ისინიც ამ ტვინით იფანტებოდნენ შორეთის გზებზე, იქ ხედავდნენ გადარჩენის გზას.

აგერ, უბანში გამორჩეულმა ცისფერთვალა თეთრ-ფუნთუ-შა ციალამ ვიღაცის შეგონება-შემწეობით თურქეთში ამოჰყო თავი. იქ დაბა-ქალაქის ტრასაზე ზორბა თურქს მაღაზია ეჭირა საჭმელ-სასმელით სავსე და ზემოთ ოთახებიც ჰქონდა. ავლილ-ჩავლილი მანქანიანი კაცები იქ შეჩერდებოდნენ, სანოვაგეს შე-არჩევდნენ ხოლმე და ვითომ დახლოთან მოტრიალე თეთრ-ფუნ-თუშა ციალასაც ზემო ოთახში ნუგბარად დააყოლებდნენ.

მერე ციალა მთაწმინდელ მეზობლის ცხვირა გოგოსაც შეე-წია, ზარას რომ ჩაგრავდა და იმან ცხვირი რომ ჩაულურჯა, უშუ-ამავლა და თხილის პლანტაციის პატრონს შავ მუშად დაუყენა, მისნაირად ხომ არ ივარგებდა საფეთელას მსგავსი.

ბიჭები კაცურ საქმეში ჩადგნენ და იარაღს სტაცეს ხელი. მარბევალთა რიგებში ჩაირიცხნენ მაგარი ბიჭობისთვის, ზარამ ალიყური რომ სტკიცა, ისიც. იშტისთვის წამალიც გაასინჯეს – მერე თვითონ იშოვეთ და სულის გაძრომამდე იკაიფეთო.

შოვნას მოყვარეზე თარეში სჭირდებოდა, საკუთარის აოხრე-ბა და... იწვოდა სამეგრელო, იხოცებოდნენ გასაყოფად ჭიდილ-ში სადღაც ჩამარხულ-ჩაკარგულები, ერი და ქვეყანა რომ უნდა ეშენებინათ, ემრავლათ, სწორედ ისინი. დალმართსა და წკვა-რამს კი დასასრული არ უჩანდა.

ჩაფიქრდა ზარა. როდემდის შეძლებდა პურსა და წყალზე ყოფნას, დაბნეულ-დაგლახავებული დედის შემხედვარე. თურ-ქეთის კანდიდატი სულაც არ იყო ევროპისკენ მომზირალი, გერ-მანიისკენ. ახლა მთავარი ენაა, დაასკვნა, საყველპუროსი მა-ინცო.

გვერდით ეზოში ამის მცოდნე ლია ეგულებოდა, თითო-ორო-ლა მოსწავლეს რომ ამეცადინებდა გაყინულ ოთახში. სწავლი-სას ვერ გადაუხდიდა და თხოვნით ეახლა – სხვებს ჩამოვუჯ-

დები და მოვუსმენო. ლიაც დასთანხმდა. პალტოსა და ქუდში საათობით უკირკიტებდა ლექსიკა-გრამატიკას ახრჩოლებული ლამპის მბუუტავ შუქზე. ნავთი თუ შემოელეოდა, გულს არ გაიტეხდა – სანთელს აანთებდა.

რაღა უჭირდა, თუ ადამისუამინდელ ჩაშავებულ კერასინკაზე დედა ტყუილ სუპს მოუხარშავდა. ნებამ თავისი ჰქნა და გაზაფხულის ერთ უკერასინკო დღეს ლიასთან გამოცდა ჩააბარა. ლიამ, ყოჩაღო და ხუთიანი დაუწერა, საჭირო წიგნიც აჩუქა.

ახლა გერმანიის საკონსულოს წინ ქარსა და წვიმაში საათობით იდგა გარეთ მისნაირივე გამწარებულების რიგში და მოთმინებით შესციცინებდა კარში შეშვებაზე განმკარგულებელ გაუმართავ გერმანულიან ვინმე ბედნიერ შალვას, კუშტი სახით მიეღო შეშვებაზე გადაწყვეტილება თუ მწყალობელით, იმის გუნების მარცხენა ფეხს რომ ეკიდა.

რუდუნებამ და ნებამ თავისი გაიტანა. ზარამ მიიღო უფლება გერმანიაში, ეგრეთ წოდებულ, ოპერმედჰენად ემუშავა. ჩვენებურად კი იქაური ოჯახის მოსამსახურედ.

საერთო ფეხსადგილიან ეზოში როცა შეიტყვეს, ზარა გერმანიაში მიდისო, ზეცას სასოებით თვალი ააპყრეს – ეს რა ბედნიერება ეწვიათ, ცხოვრების გზა გაიკაფესო, შეშურდათ. დედამისს კი ულოცავდნენ, საკუთარი ხელით ნაშენ იმ დიად ქვეყანას თავს რომ შეაფარებდნენ დაქცეული სამშობლოდან, როგორც იქნა, გაქცეულები.

— ახლა რა ვქნათ, გენაცვალოს დედა, არც ფეხზე და არც ტანზე არა გაქვს შესაფერისი. თვითმფრინავის ბილეთიც ძვირი ყოფილა, — ჩიოდა თავდაკარგული დედა.

— ვიპოვი გამოსავალს, მონდომებაა მთავარი, რაც მე არ მაკლია, — იცოდა ზარამ, რასაც ამბობდა და რისიც ეიმედებოდა.

სკოლა კი კარგად დამთავრა, მაგრამ სწავლას როგორ გააგრძელებდა იმ არეულ დროში, საღამოს გარეთ არ გამოესვლებოდა და ტროლებუს-ავტობუსის კარებჩამოლებულ კიბეს ვერ დაეკიდებოდა მთელი დღის მოშიებული. ან პროფესიით რას გააწყ-

ობდა, როცა ფიზიკოსები ბაზრებში იდგნენ, ხელნაკეთ წყლის გამაცხელებელსა თუ ელექტროპლიტას ყიდდნენ კაპიკებად.

ცხრამეტი წლისა ჩუბინი თვალით ჭვრეტდა ცხოვრების მიხვეულ-მოხვეულებში ჩასაფრებულ უცაბედობას და მხოლოდ ნების იმედით იყო. ოღონდ რამენაირად უნდა ჩამოეხსნა სინდის-ზნეობის ჯაჭვი და ამით სვლა შეემსუბუქებინა.

დილას ადრე გადიოდა სახლიდან. ჯიხურში იჯდა მთელი დღე. არც მთაწმინდა ჩამორჩენილა იმხანს ვერა-ვაკის, ჩუღურეთ-პლეხანოვისა თუ ჰავლაბარ-მეიდნის საიდანლაც მოვლენილ ჟანგმოკიდებული თუნუქით აკრულ და გისოსებასხმულ ჯიხურების სადგომებს, სასოწარკვეთის დამღასავით რომ ედო მთელ ქალაქს. სადგომ-მწკრივებს ჩამწვარ-ჩონჩხადქცეულიც არ აკლდა იმ მრისხანების შესახსენებლად, რაიც ურჩ მოყვასს ელოდა მოთარეშისგან.

პატრონის ორი ჯიხურიდან ერთს ზარა ემსახურებოდა. ის პატრონი ჩახრონგილ-ჩაბინძურებული ბაზრობიდან დღეგამოშვებით ტომრით ეზიდებოდა შაქარს, ფქვილს, ზეთს, კონსერვებს; ხორაგს სანთელი და ასანთი არ აკლდებოდა, კაცმა რომ არ იცოდა, საიდან შემოტანილს. ზარა სქელ რვეულს ავსებდა „პოსლეზე“ მოსულებისთვის. რუსული „პოსლე“ ანუ „მერეო“ გადამრჩენელი ცნება იყო ნისიაზე გამწესებულისთვის და ის რვეულიც კარგად იტევდა გვარ-სახელ-რიცხვებს.

„ბუდკების“ მწკრივს თავ-თავისი ყოჩი-ბიჭები იცავდნენ მომხვდურებისგან კაიხელა ხარკის ფასად. მაშინ ამას ვერავინ გაექცეოდა. პატრონმა ზარა გააფრთხილა, დღე-დღეზე ჩემთანაც გამოცხადდებიან და ასი თვალი გამოიბიო. იმ დღეს გვიანობამდე შერჩა. შინ დაბნელებულში მოვიდა რაღაც ტვირთით, გადამალეო, შეშინებულ დედას გადასცა.

დილას მისულს გისოსიანი „ბუდკის“ უშველებელი ბოქლომი ჩამოტეხილი დახვდა, თაროები დაცლილი. პატრონთან გაიქცა, არიქა, გატეხეს და გაქურდესო. ნინა დღის ნავაჭრის ფული, დილას რომ უნდა გადმომეცა და ლამე იქ შევინახე, ისიც დაიკარ-

გაო. ისეთ დღეში იყო, პატრონმა იქით დაამშვიდა, დავადგენ ჩამდენსო. დაუდგინეს კიდეც ყოჩ-ბიჭებმა, ჩვენი ხელი არ ურევია, მოსულებმა მიჰქარესო. დღეიდან კი ნალდად დაგიცავთო.

— ეგა მაგათივე ხრიკია, ეჭვიც არ შეგეპაროს. მახვეწიეს კი-დეც, დამიცავითო, — დაჯერებით გაუმეორა ჩაფიქრებულმა პატრონმა და, რას ვიზამთ, ხელი ჩაიქნია.

გვიანი ლამით ჩაბნელებულ დაღმართს შუშაბანდების სან-თელ-ლამპის შუქი რომ ვერ შველოდა, თავშალშემოხვეული ქალის ლანდი დაღმართის ბოლოს ნახევრადაყირავებულ, ვირთხების საჯირგალო აქოთებულ სანაგვის ყუთს მიადგა, ფრთხილად ჩაუშვა რკინის მძიმე ორკაპი და ფეხაკრებით შეუყვა უკუნეთს...

წასვლის დღე საცაა უნდა დამდგარიყო, ბილეთი კი ჯერაც ვერ ეყიდა. იმედი არავისი ჰქონდა ზარას. შორებელსა თუ ახლობელს ხელის გამართვა კი არა, ხელი იქით უნდა გაეწყდინათ. საქმეში გამოქექილმა თანაკლასელმა გოგომ ურჩია, იმ „ბუდკაში“ რას ზიხარ, ახალ მდიდრებს გახედე, იმათ ხისთავა ჭუპრებს მომვლელად დაუდექი და მერე თვითონ ივარგეო. რჩევა გამოდგა. „ბუდკას“ თავი დაანება, მოახერხა და ვაკის პარკთან პრესტიული სახლის პენტაუზში ზულუქად ჩამჯდარ ოჯახს ორი შვილის მომვლელად მოევლინა.

თავი ისე დაიჭირა, იქ მომვლელობა ვეღარ აკადრეს და გუვერნანტკად დაწინაურებული დილიდან საღამომდე დასდევდა ზნეაკვიატებულ პატარა მტანჯველებს. კატის თმენით ითმენდა ზარა, თაგვზე ჩასაფრებული კატის თმენით. მიზანი ამართლებს საშუალებასო, ერთხელ რომ ამოიკითხა, მას მერე ეს შუბლზე დაიწერა.

ეზიზლებოდა სვეცკობაზე გადამკვდარი, ახლა ქალბატონად ქცეული გუშინდელი უბირი კაროუნა, მჭადების ტყაპუნი რომ დავიწყებოდა და ელიტარულ ბიგ-ბენის მზა სადილ-დესერთებით საქმეშემოცლილს გარე-გარე ტრამუნზე ეჭირა თვალი. ვერ იტანდა მუდამ ცხვირში თითშეტიკნილ იმის ბავშვებს, უმნოლნავილით რომ იკლებდნენ გადიზაინებულ ათ ოთახს.

მაგიერ თვალის გუგით ყოველ კუნჭულს ფოტოსავით ტვინში იღებდა. დაძეძგილი გარდერობიც და უჯრებიც იქ იყო ჩაჭედილი.

დრო არ ითმენდა. უნდა მოესწრო. უილაჯო აზრებს იქვე მოიგერიებდა ხოლმე კარგად გათვლილით, თითქოს ლამეული მთვარის სხივით გაინათებდა. დინჯად ჩქარობდა.

ზღვა კოვზით დაილევაო და გონების ხმა კარნახობდა ამ თითო კოვზის შეუმჩნევლობას. დალევა არ მონდომებია, ყლუპიც იკმარა. არც დაძეძგილმა კარადამ აუჭრელა სურვილები, ლაგამი იმას იოლად ამოსდო.

თხუთმეტი დღის თითო კოვზით მშვიდად მოაგვარა საქმე, ისე მშვიდად, როგორც ერთხელ ნათესავის პანაშვიდზე საძინებელ ოთახში განმარტოებულმა სარკის ტუმპაზე დარჩენილი ოქროს ბეჭედი ჯიბეში ჩაისრიალა.

არავის ენდო და სიფხიზღვეზე ძალა არ დაიშუროო, ამ შეგონებას მუდამ თან დაატარებდა ზარა. ისე ჩაჯდა თვითმფრინავის სავარძელში, არავინ იცოდა, არც დედამ – ვინძლო დროზე ადრე წაიტიროს მეზობლებში. მოკლე ბარათი დაუტოვა – ყოჩალად დამელოდე, მოვა დრო და ჩამოგიყვან, უზრუნველ ცხოვრებას გპირდებიო.

მატარებლით უნდა გაეგრძელებინა გზა. დიდი ქალაქის სადგურში თავის ძლიერმა ტკივილმა სივრცის აღქმა დაუქვეითა. ნეტავ, რა მემართება, ოფლს მასხამს და ეს გულისრევა საიდან-ლაო, წუხდა თავისთვის. მაშინ არ იცოდა, რომ გაჩახჩახებულმა და ფერადოვანი რეკლამებით გასხივოსნებულმა გარემომ მძიმე დარტყმა მიაყენა ბნელეთ-უკუნეთს დაჩვეულ მთვლემარე ემოციას. მერე გაიგო, რას ნიშნავდა სიბნელის ფიზიკური ხანგრძლივობის გამო ფსიქიკური სინდრომის აფეთქება, ანუ სიბნელის სინდრომისა, მეტადრე ბავშვებს რომ აავადებდა საქართველოში მაშინ.

ჩემოდნით ხელში ძლივს მიაბიჯებდა. ცოტაც და მიწისქვეშა გადასასვლელში კიბეზე ჩაიკეცებოდა, ახალგაზრდა ქალი

რომ არ ამოსდგომოდა და ხელის ტვირთი არ გამოერთმია. ცოტა დაისვენეთო, კიბეზე ჩამოჯდა კეთილად მოლიმარი და ზარა გვერდით მოისვა. ერთხანს ასე იყვნენ. წამალზე მეტად იმოქმედა უცნობის მზრუნველმა ხელმა, რაღაც გაურკვეველი ბინდი მოსცილდა თვალს, შვებით ამოისუნთქა.

ქალმა ხელი გაუყარა, ხელბარგი თავად აიტაცა და ზარა ბაქანზე გაიყვანა.

— თქვენი მატარებელი ორ წუთში იქნება. ჩემი წავიდა, მაგრამ არაფერია, სხვას დაველოდები, — ჩამომდგარ ვაგონში შეაცილა და ბეჭნიერი მგზავრობა უსურვა.

ასეთი მოულოდნელი და უცნაური შეტევა კიდევ ერთხელ გაუმეორდა, როცა მორთულ სავაჭრო ცენტრში პირველად შედგა ფეხი და განცდის ზღვარიდან გავიდა. უბადრუკი „ბუდკიდან“ კეთილდღეობის ხვავპარაქიან სიზმრის შუაგულში მოხვედრილი, თეთრად მოპირკეთებულ მბზინავ იატაკზე ჩასაკეცად გამზადებული, უმწეოდ იდგა. შუშის გუმბათის ქვეშ შადრევნის გარშემო მორკალულ სკამზე დასვეს. იქაც მიხედეს, გაამხნევეს მოლიმარმა ადამიანებმა.

მხოლოდ მოგვიანებით გააცნობიერა სოციუმის არსის ის ცოცხალი გაკვეთილები ნაშრომ-ნაპატრონებ ქვეყანაში გადმოხვენილმა. მერე კი სულის შორ, ბნელ კუნჭულში საგულდაგულოდ ჩაიმარხა.

ორსართულიანი სახლის სხვენში გამოყოფილ ოთახს უნდა შეჩვეოდა ზარა. ოთახიც ისეთივე მოვლილ-გალამაზებული იყო, როგორიც მთელი სახლი. დეკორირებული რკინის თეთრი, ფართო სანილი ფუმფულა საბან-ქვეშაგებით და ქათქათა თეთრეულით გული იყო ამ მყუდრო სივრცის. ფოჩებიანი ვარდულა ფარდები ყავისფერ მძიმეკოჭებიან დამრეც კედლებში ჩატანებულ პატარა ფანჯრებს კოპნიად რომ დაკიდებოდა, წარსულისკენ უხმობდა, ან სულაც გრიმების ზღაპარში ამყოფებდა იქ შესულს.

ძველებური დიდუჯრებიანი კომოდი ნაქარგი გადასაფარებლით დროში გამქრალ საიდუმლოებას გიზიარებდა. კედლის

მოჩუქურთმებული ხის ფართო თაროზე ჩამოლაგებული მოხატული ლუდის მოზრდილი კათხები რელიეფით გამოსახული რკინის თავსახურით, ეროვნული მეხსიერებისადმი პატივისცემას კარნახობდა. კრიალა უამგამოვლილი ხის იატაკი ზედ დაფენილი ფარდაგით კი დროის იმ სურნელს აფრქვევდა, რითაც გერმანული სხვენის მშვიდი რომანტიკა ისტორიულად ულევი ფანტაზიით აფერადებდა თანამედროვე მოჩქარე ცხოვრებას.

სახლის ყოველი კუნძული ამ სულისკვეთებით სუნთქვდა. საცხოვრებლის საუკუნეებიდან წამოყოლილი ურლვევი წესის მთავარი წერთილი მაინც სარდაფი იყო. იქ იწერებოდა უამთასვლის ამბავი, ურომლისოდაც არსებობას ვერ წარმოიდგენდა ძირმაგარი ეროვნული ხედვა.

შავ-თეთრის გასაყარზე შემდგარი ზარა ერთბაშად დაიბნა. მხარი დასჭირდა საკუთარ ენაზე გულისნადების გამოსათქმელად, მაგრამ არც მხარი ჰქონდა და არც ენა იყო მისი, თურმე ასე ძვირფასი, ერთადერთი მაშველი ცხოვრების მოშიშვლებულ-მოსრიალე მოედანზე.

ვაი, დედაო, წამოიკვნესა გულმა ღამით. ჭკუით ჩახვდა შეცდომას, როცა ეგონა, რომ დიდი წადილი ყველაფერს შეაძლებინებდა, გაუკეთებელს გააკეთებინებდა შემართულს. უცხო სამყაროზე იცოდა რამე? თურმე არაფერი. ის ლამაზი ცხოვრების ასპარეზად წარმოედგინა, ლამაზი ნივთების, უხვი საკვებისა და კმაყოფილი ხალხის სამყოფელად.

იცოდა განა, რომ დილაუთენია უნდა წაეხემსა, შუადღეს ესადილა, სალამოს ევახშმა ზუსტად დადგენილ საათებში და თუ დროს გადააცდენდა, ვერაფერს მიიღებდა მომჭირნედ გამზომილი ულუფიდან – ვერც სადილს უპუროდ და ვერც ვახშამს კაცზე ერთი ნაჭერი ჰურით. წესრიგზე იდგა ყოველივე. შრომის მადლით იზომებოდა ცხოვრება, საუკუნეების ეს ფასეულობა ჟღერდა კიდეც ძვალ-რბილში გამჯდარ ჩვევაში.

Viel Schpass bei der Arbeit, – სიამე მუშაობაშიო, ისე უსურვებ-დნენ ხოლმე ერთმანეთს, როგორც კაი დროსტარებას ჩვენში.

შრომას ჭაშნიკს ისე უღებდნენ, როგორც კახელი ათწლიან რქა-ნითელს. აქედან იკვრებოდა ქცევის წესების დიდი კონა, იმის შესრულებას წყალი რომ არ გაუვიდოდა, ისე.

ჩასვლისთანავე ეს კონა მძიმედ დააწვა ზარას ყოფას. გონიერმა კარგად დაინახა ლრმა თხრილი, რომელსაც ზედ უნდა გადავლებოდა მოზომილი ნახტომით, შუბლით მიადგა კედელს, რაზეც უნდა აცოცებულიყო, რომ იქიდან ჩამხტარიყო გამიზნულ ადგილას.

მისეულ ნებას უხმო.

— მე ხომ ზამბარა ვარ, დრეკადი და ვერგასატეხი, — აგონებდა თავს, — თუ ჩავიმუხლებ, ისევ წამოვიჭრები, როგორც ზამბარა ზემოდან დაწოლის მერე, — აჯერებდა თავს.

დილაუთენიდან საქმე თავსაყრელად ჰქონდა სახლსა და ეზოში მოტრიალეს. გარჯის დიდი მაგალითი ხომ მისვლისთანავე თვალწინ გადაეშალა. და იყო შრომაში ხელებდაკაპინებული, დასვენებისთვის კვირადლე ეძლეოდა. ამასაც უქმად არ დაკარგავდა, გადაშლილ წიგნს ეჯდა ენის თავისუფლებისთვის. ერთი რამ აკვირვებდა — შემძლე ოჯახში წიგნი არსად ჩანდა, არც იმის თარო და კარადა. ანაზღად თავისიანებს შეადარა, ოჯახებში წიგნის სიმრავლე, სხვა თუ არაფერი, თავმოწონების საგნად რომ მიიჩნეოდა.

სახლის პატრონებს აკვირდებოდა. წიგნთან თუ მწყრალად იყვნენ, მაგიერ ტურისტულ წასვლა-მოსვლაზე ფხიზლად ეჭირათ თვალი. რეკლამების კითხვაში ანგებოტი იზიდავდა ანუ ფასდაკლებაზე შემოთავაზება. ერთი წლით ადრე გეგმავდნენ და მონდომებით ემზადებოდნენ. განა ვერ შესწვდებოდნენ კომფორტულ სასტუმროს, როცა მოტელ-ოტელს ირჩევდნენ, ეკონომიური ხარჯვა მეტ კმაყოფილებას ჰგვრიდათ.

ზარას აღარ ეუცხოებოდა სტუმრებთანაც ხელმომჭირნეობა, ყოველდღიური სადილის სუფრაზე ულუფებად ჩამორიგება. სმა-ჭამაზე გადაგებულ სუფრებს რომ იხსენებდა იქ თავისიანებში, ბრაზობდა — ამისთვის ვალებში ვარდებიან და თავი

მოსაწინთ კიდეცო. ნელინელ გადმოდიოდა ახალი ცხოვრების გზა-კვალზე, ეჩვეოდა, ითავისებდა.

ახლა იმასაც გეტყოდა, მერედა რა, პატრონის თოთხმეტი წლის გოგო და იმის ბოიფრენდი, მოზვერივით წამოზრდილი ბიჭი, ღამითაც რომ გოგონას ოთახში გორაობდა მოურიდებლად. პროგრესიაო. ან კიდევ, შუახნის ცოლ-ქმარი დღისით-მზისით საძინებელში რომ ატეხდა კვნესა-კრუტუნს, კარსაც რომ არ გამოკეტავდა ისე და ზარას იქვე საქმიანობას ძალლად არ აგდებდა. თავისუფლება არ ჯობსო მალვა-მოტყუებას.

თვე თვეს მისდევდა ჩამდინარე წყალივით. ზარა „წამოიჩიტა“, აღარც მხარი სჭირდებოდა, აღარც თავისი ენა. სხვისი ენით იმ წყალს თევზივით მიჰყვებოდა. კვირა დღეს უკვე ქალაქში ატარებდა. კაფეში უყვარდა საათობით ჯდომა, შემოსულების თვალიერება. შინამოსამსახურე რომ იყო, იქ ავიწყდებოდა. ეს ეტაპი უნდა დავასრულო, მეტი აღარ ღირს, აქედან ძვრას არ ვიზამ. რა მინდა იმ ბნელეთ-დაქცეულ შიმშილეთში. გონებაშტერი უნდა ვიყო, წასვლაზე რო ვიფიქრო. სამშობლო? სამშობლო იქაა, სადაც კარგად ცხოვრობ, – ფიქრებში იძირებოდა.

ქალს ყოველთვის შეუძლია აიწყოს ცხოვრება და სულაც არაა საჭირო ამისთვის მზეთუნახავი იყო. ჩვენებური ხომ გვასწავლის – ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო, – უტრიალებდა თავში და იქვე მაგიდას მიმჯდარ ელეგანტურად ჩაცმულ-მოვლილ ქალს და ცხოვრებამორჯმულ მამაკაცს თვალით ზომავდა. ბევრით არაფრით მჯობს ეს ქალი, ამას ბედი სწყალობს, მე კი ზურგს მაქცევს. ჰოდა, ჩემკენ მოვატრიალებ იმას. შემიძლია და მოვატრიალებ, – ლამის მუშტი დასცა პატარა მრგვალ მაგიდას.

– ერთ წელზე ნაკლები დამრჩა უკან წასაჩანჩალებლად. უნდა ვიჩქარო, – რაღაც უცნაური შენელებით გაპხედა გვერდით კედელზე დიდ სარკეს. იქიდან ავად გაკვესილი თვალები შემოსცეროდნენ...

მეორე დღიდან ჯაფას უკლო. სამზარეულოში ჭურჭელი დილამდე გაურეცხავი დატოვა. მერე შემოსასვლელ კართან გა-

მოწყობილი ფეხსაცმლის წყება ორი დღე ასევე ელაგა. ჭიშკართან ჩამოვლილი მანქანისთვის გორგოლაჭებიანი სანაგვე ქუჩის პირს არ გაიტანა.

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გადახედეს, ეს გოგო რამ შეშალა, თუ აქამდე საქმეს წესიერად ასრულებდა, ახლა რა ეშმაკი შეუჯდაო.

— ხელფასიდან დავუქვითავთ, — სთქვა გაღიზიანებულმა ცოლმა.

— ორასორმოცდაათი ევრო ისედაც ბევრია იმ მესამე ქვეყნიდან შემოკედლებულისთვის, — კვერი დაუკრა ქმარმა.

სად იყო ეს მესამე ქვეყანა და რა რჯულისა, მაინც ვერ გაეგო. ერთმა ნაცნობმა კი უთხრა, გეორგია უძველესი კულტურის ქრისტიანული ქვეყანაა, რუსი კი არა, სულ სხვა ნაცია არისო, მაგრამ ამან ფიქრით თავი არ დაიტვირთა, ერთი მაგათი, რუსებისა არისო.

თვის ბოლოს მართლაც ხელფასის ნახევარი მისცეს და მკაცრადაც გააფრთხილეს, აქედან ნახვალო. აღარც სუპერმარკეტში გაგზავნეს წვრილმან საყიდლებზე. არადა, ამას მოუთმენლად ელოდა. ათასნაირით გადავსებულ დარბაზებში მონუსხულივით დაიარებოდა, ხელით სინჯავდა ყველაფერს, სიზმრისეულად ეჩვენებოდა. დაბრუნებული სალაროს ქვითარს და დარჩენილ ხურდებს ჩაუთვლიდა ხოლმე პატრონს.

ერთხელაც მოულოდნელ ამბავს გადაეყარა. დაბარებულ თევზის კონსერვს არჩევდა, როცა სულ ახლოს ქართულად ხმამაღალი ლაპარაკი გაიგონა, უფრო კი გოგოების მოურიდებელი ჭყლოპინი. მიუახლოვდა და გაეცნო აცეტებულებს. სამნი იყვნენ, მისივე ტოლები. პედაგოგიურ სასწავლებელში ჩავირიცხეთ, ბინას ერთად ვქირაობთ და უეჭველად მოდიო. ტელეფონი და მისამართიც მისცეს.

ის ლამე ფიქრში გაატარა. დღისით გაცნობილებს დაურეკა, თუ გაწყობთ, მოვალო. შეთანხმდნენ. კვირა დღეს გამოეწყო, შოკოლადის კოლოფით მიცემულ მისამართზე მიაკითხა.

ძველებური შენობის მიწის სწორი ბინის ორ ოთახში ცხოვრობდნენ. პირველივე, რაც თვალში მოხვდა ზარას, ეს აწენილ-დაულაგებელი ბინა იყო.

ამბების მოყოლამ დიდი დრო წაიღო. ბოლოს ზარამ სხვაგან გადაუხვია:

— გოგოებო, როგორ ფიქრობთ, დაბრუნდებით სამშობლოში?  
— მე არც ვიფიქრებ, — თქვა თბილისელმა ქეთომ, ქეთად გა-დაკეთებულმა.

— დედ-მამა და პატარა ძმა იქ რომ არ მყავდეს, ალბათ არც მე,  
— უპასუხა ჩაფიქრებულმა თიანეთელმა კატომ, ანუ ეკამ.

— ეგეთი სამშობლო ვის უნდა, მე რო მინდოდეს. თუ იმას არ ვუნდივარ და იქიდან მაგდებს, წაეთრიე, საცა გინდაო. აი, ასეთი სამშობლო კი სანატრელია, ვენაცვალე, ნეტავ ამათ, — გაგულის-და თელაველი ნატო, ახლა კი ნატალი.

— გამოდის, აქაურზე გათხოვდებით და შვილებსაც გაუჩენთ, არა?

— რატომაც არა, თუ კარგა ვიცხოვრებთ, — თითქოს ერთხმაში წამოიძახეს ისევ აცეტებულებმა.

— შენ, შენ რას იზამდი, ზარა, ჰა?

— ალბათ, მაინც დავბრუნდებოდი, როცა იქ საქმე გამოკეთდება.

— ერიპაა, თუ ყველა გაქუსლავს, ვიღა გამოაკეთებს საქმეს, — ჭკუა გამოასხივა თიანეთელმა კატო-ეკამ.

ერთხანს ყურებჩამოყრილი სიჩუმე ჩამოვარდა. ზარა ექსპერიმენტით კმაყოფილი დარჩა.

დრომ თითქოს აჩქარება იწყო. უფრო კი ზარამ ააჩქარა, ისე-დაც ცუდად დამუხტულს ფიჩხი შეუკეთა ასაალებლად. პატრონმაც, სხვაგან ეძებეთ სამუშაოო და ერთი კვირა მისცა წასასვლელად.

გოგოებს მოელაპარაკა, მცირე ხნით თქვენთან დავრჩები ჩე-მი წილი ბინის გადასახადითო. ერთი ოთახი ორს ეჭირა — თბილისელ ქეთო-ქეთას და თიანეთელ კატო-ეკას. მეორეში თელა-

ველი ნატო-ნატალი იდგა, მეტს იხდიდა. პატარა სამზარეულოს და საშხაპე-ტუალეტს ყველა ხმარობდა. ზარა ნატო-ნატალის შეუამხანაგდა ქირაში და მის ოთახში ტახტზე მოეწყო.

უჭირდა და ვერ ეგუებოდა ნესტიან მოუვლელ ბინას, მაგრამ ითმენდა, დღეებს ითვლიდა, ღამეებს ფიქრში ათენებდა. კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ფული როდემდის ეყოფოდა, საქმეს დროზე უნდა სწორდა. ნამსახურევიდან რალაც მაინც დედისთვის უნდა გაეგზავნა, მთლად უპატრონოდ დარჩენილისთვის, იქ დამლა-გებლობაც რომ ვერ ეშოვა.

პირველად ნაცნობს გაატანა, ორას ევროს კაიხანს გამოიზოგავსო, მაგრამ იმან მგზავრობისას საფულე ამომაცალეს და თქვენიც დაიკარგაო. რას დაიჯერებდა უსინდისობას, საფულე-ში კი არა, სადღაც ტანზე ამოკერილში ექნებოდა უთუოდ, შიშე-ბით კარგად დამუხტულს.

მის მერე მთლად ალარ ენდობოდა თავისიანს. გაგონილიც ჰქონდა, ერთმანეთს ჰპარავენ, საცა მოიხელთებენო. ფულს ოთახში არ ტოვებდა, საგულდაგულოდ მალავდა. ნატო-ნატა-ლიც რა ჩიტი იყო, ზარას ნდობა ჰქონოდა და ასე ათენებდნენ ერთ ჭერქვეშ ერთ ბედქვეშ ჩავარდნილები. პირზე ჰაი-ჰუით, გულში კი ვინ იცის, რით.

ზარას ჭკუისთვალს არ გამოჰპარვია ოთახის მოზიარის სა-ეჭვო წრიალი. ასაკით მეტი გარეგნობისა სწავლით დაკავებული კი არა, საშოვარზე გასული უფრო იყო. არც ის ორნი იკლავდნენ თავს ჰედაგოგობისთვის. ცოტ-ცოტად წიგნში იქექებოდნენ, რვეულებს ჯლაბნიდნენ, ლექსიკონს ზანტად ფურცლავდნენ. მშობლების გამოგზავნილი რას ეყოფოდათ: კატოსთვის თია-ნეთური მოსავლით ნაშოვნი, ან ქეთოს მამის ნათაღლითევით გამოჭყლეტილი, იქ რომ ნაცნობ-მეგობრებში ამაყობდნენ, უცხ-ოეთში ნასწავლი შვილები ჩამოვლენ და ქვეყანას ააყვავებენო.

ამათი წადილი კი კაფეების აბრებს იყო აკრული, სული და გული ტანსაცმელ-ფეხსაცმლის ძვირიანი ბრენდების დამლებს უტრიალებდა. ახლა გვინდა ახალგაზრდობაში, თორემ მერე

ეშმაკსაც წაუღიაო. ამ რწმენით ჩქარობდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ კაი ცხოვრების მოსაპოვებლად. გაგონილი ჰქონდათ, აქაურ შეძლებულ კაცებს უცხოელი ქალები მოსწონთ, ცოლებად გამოსადეგიო. შორიდან იცნობდნენ კიდეც დუშეთ-საგარეჯოდან ჩამოსულებს, ინუინერ-ადვოკატებმა თუ ბიზნესკაცებმა ოჯახში რომ შეიყვანეს და შვილებიც გააჩენინეს. იმათზე ხმა დადიოდა, ხელისგულზე ატარებენ, გამოსაწყობად იტალიაში დაპყავთ და ხელში ათასევროიანი ჩანთა უჭირავთო.

ჯერჯერობით კი წვრილმან სამუშაოს გამოჰკრავდნენ ხელს. პატრონიანი ძალლების გასეირნებაზე იღებდნენ გასამრჯელოს, ოღონდ ერთი პირობით: ქუჩაში ძალლის ნასაქმარი ცელოფანის პარკით უნდა აეხიკათ. საუთოებელზეც დაუძახებდნენ ხოლმე, ზვინად დალაგებულის დილაადრიანად.

ზარას ყოველი საათი ხვალინდელზე ჰქონდა გათვლილი. საყველპურო წვრილმანს არ დაპყვებოდა. მიზნისკენ მიმართულ ქმედებას წინასწარ გეგმავდა. იცოდა, რომ ინფორმაცია საქმის ნახევარი იყო და ძირისძირში ჩაეძიებოდა ხოლმე. მიყურადებისა და თვალის დევნების ფასიც ადრევე გაეგო. ახლა სწორედ ეს სჭირდებოდა.

გრძნობდა, რაღაც მძიმე ჰაერი გუბდებოდა ბინაში. გვერდით ოთახში ორმა გოგომ ჩურჩულს უმატა. მისმა მოზიარემაც გარეთ გასვლას უკლო, ცდილობდა სახლში მეტხანს დარჩენილიყო. ზარა დაიძაბა.

ერთ დილას ნატო-ნატალი ადრევე გავიდა. ოთახში მარტომ ჩურჩული გაიგონა და გაიტრუნა, კარის ნასვრეტს ჭიქა მიადო და მიაყურადა.

— ცუდათაა ნატოს საქმე, ვერ ხედავ, უკვე იმალება კიდეც. ჩანს, საფრთხე იგრძნო. აბა, მა რა, ნელინადია უპასპორტოდაა და არალეგალშია ჩავარდნილი. სწავლობსო, ტურისტად ჩამოსულმა ეს ბლეფი როდემდის უნდა სწელოს.

— დახე, რა თქვა. ამ ზარას ნუ ენდობით, მუზმუზელაა და მამაძალლიო. თავს იკატუნებს, მარა ზოგჯერ ისეთს გამოგხედავს,

გაგაზრიალებსო. მაგის ასავალ-დასავალს ეშმაკიც ვერ გაიგებს, როგორმე აქედან მოვიშოროთ, გვიჯობსო.

— კიდევ კაი, ზარა ამ ამბების აზრზე არაა, თორემ რა შავ დღეს დააყრის.

ზარა ჩაფიქრდა. ბინა აწყობდა. იაფიც იყო და პატრონიც არაფრით აწუხებდა. თელაველო ზონზროხა, ცუდათაა შენი საქ-მეო, თავიდანვე ათვალწუნებულზე გაიფიქრა.

რამდენიმე დღე გაზეთებში დასაქმების გვერდებს დაუთმო, სურათი კარგად შეისწავლა. დილას უბრალოდ ჩაიცვა და უნარ-შეზღუდული პირების დახმარების სამსახურს მიაკითხა. ბიურო-ში გულდასმით მოუსმინეს, საბუთები შეუმონმეს და მიგავლენთ სამუშაოზე, ოღონდ ანაზღაურება მაღალი არ იქნებაო.

ზარამ მიზანში მოარტყა. არ შეცდა. შესწავლილმა სურათმა ხომ უკარნახა, ამ სამუშაოს მსურველი სანთლით საძებარი რომ იქნებოდა. რამდენიმე ვარიანტი შესთავაზეს. ერთი აირჩია — ქრონიკული დავადებით შეჭირვებული ახალგაზრდა მარტო-ხელა კაცის ყოველდღიური დახმარება, ანუ მოვლა. ექვს-ექვსი საათი ეჯდა მოსამზადებელ კურსს, ინერდა რჩევა-მითითებებს და ბოლოს გასაუბრებამაც წარმატებით ჩაიარა.

მისვლის დღეც დადგა. თავიდან უნდა შესდგომოდა ახალ გზას, მაგრამ უკვე გაკვალულს და საჭირო ჩვევებით მომზა-დებულს. ოთხსართულიანი სახლის ბოლო სართულის კარზე ზარის ლილაკს დააჭირა. მშვიდი და გაწონასწორებული იყო. აუღელვებელი სახით ჩაათვალიერა თავაზიანად შეგებებული ახალგაზრდა გამხდარ-ფერმერთალი კაცი. ბინა კუთხე-კუნჭულ მოატარა მორიდებულად — თუ შეიძლება, უკაცრავადო, ხშირად ასე მიმართავდა.

მისეულ თვალს არაფერი გამოჰქმარვია, ჩენილიც და უჩინოც. ორი დიდი და ნათელი ოთახიდან ერთი კიბით უერთდებოდა ზე-მოთ სხვენის ოთახს დამრეცი კედლით და პატარა ფანჯრებით. სამზარეულოც გაშლილი იყო, აბაზანა კარგად მოპირკეთებული.

შიდა ეზოსკენ მიპრუნებული ციცქნა აივანი თითქოს ამხიარულებდა იქაურობას. ძველებური ავეჯი არ ტვირთავდა სივრცეს და ბინა თავისუფლად სუნთქვავდა. არც იატაკიდან ჭერამდე ასული წიგნებით გაჭედილი თაროები უშლიდა ხელს.

როცა ზარამ თაროებს ჩამოუარა თვალიერ-თვალიერებით, ზურგს უკან უცნაურად დაბინდული ხმა შემოესმა:

— იცით, პროფესიით უურნალისტი ვარ. უნივერსიტეტის შემდეგ სულ ვმუშაობდი. ახლა არა. მე ხომ ეპილეპტიკი ვარ, პროფესიისთვის უვარგისი.

ანაზდად მოტრიალდა და ფერმკრთალის თვალებს შეეჩება. დაბნევას კაიხანია გადაჩვევოდა, მაგრამ გულმა რეჩხი უყო მაინც, სიტყვა ვერ შეარჩია.

— ეს წიგნები დიდი ძალაა თქვენთვის, ყველაფერს რომ დაძლევს, ისეთი, — კარგა დაჯერებით გამოუვიდა.

კაცს სახე გაუნათდა, ხელი გაუწოდა, უღრმესი მადლობაო. ასე გაიცნეს ერთმანეთი.

იურგენს ეპილეფსია ოცდათხუთმეტი წლისას ბოლოხანს გამოუვლინდა. უეცრივ, მოულოდნელად გაზეთის რედაქციაში დისკუსიის დროს ცნობიერება დაკარგა, მოწყვეტით იატაკზე დაეცა. დაავადება უფრო მსუბუქი ფორმისააო, დაუდგინეს. გონების გათიშვა მოკლე ხნით ხდება და წამლებით შეშველება შეტევებს შეუმსუბუქებს, თუმცა განკურნება შეუძლებელიაო.

საქმეს ისიც შველოდა, რომ ღამე მშვიდი ჰქონდა, დღისით კი დამხმარე ეყოლებოდა. დედის გარდაცვალების მერე, მამა კანადაში გადასახლდა. ახლა მარტოობის სულს უთბობდა ერთა-დერთი სულიერი არსება — ულამაზესი ფისო. ისიც თითქოს იზიარებდა პატრონის სევდას, გვერდიდან არ სცილდებოდა, ღამეც ფერხთით ეწვა და ხმამაღალი კრუტუნით სიცარიელეს უვსებდა.

ზარამ მალევე აულო ალლო იურგენის დაავადების თავისებურებას, ადრევე შეატყობდა ხოლმე მოახლოებულ შეტევას, მოხერხებულად ეშველებოდა. წამლებს დროულად აწვდიდა და, რაც მთავარი იყო, საჭირო დიეტით ხელს უწყობდა. ხშირად ქარ-

თულ კერძებს უმზადებდა. სადღესასწაულო მაგიდააო, ეტყოდა ხოლმე გაოცებული კაცი, უსაზღვროდ მადლიერი იყო.

შუადლისთვის მისული ზარა გვიან საღამოს ბრუნდებოდა. გოგოები იკვირვებდნენ, რა გამრჯე და მოწესრიგებულიაო. აინტერესებდათ, რას უხდიდნენ, მაგრამ ზარას კითხვას ვერ დაუსვამდი, მაინც აირიდებდა. კმაყოფილი იყო. იურგენმა ხომ ერთი იმდენი დაუმატა ხელფასს, საყიდლების თანხასაც თავად განაგებდა.

ერთ დღეს სახლში დაბრუნებულს აწრიალებული გოგოები კარში შეეგებნენ.

ვერ წარმოიდგენ, ისეთი ამბავი მოხდა. შენ რომ გახვედი, მალე პოლიციელი მოვიდა, ნატოს პასპორტი მოსთხოვა და პოლიციაში გაიყოლა, თქვენს კანონდარღვევას იქ განვიხილავთო. ღმერთო, იმათ ვერაფერს გამოაპარებ. ჯერაც არ დაბრუნებულა. ნეტავ, საიდან გაიგეს, ჰა? – წუნუნებდნენ დაბნეულები.

დიდი დრო არ დასჭირვებია ქვეყნის დატოვების განკარგულებას და ნატოს რა ძალა ჰქონდა, ჩაალაგა ბარგი და შუბლშეკრულმა მადლობაც არ უთხრა ზარას, როცა იმან ფული ჩაუკუჭა, გამოგადგებაო. კარიდან ისე გავიდა, დამშვიდობების ერთი თბილი სიტყვაც არ გაუმეტებია სახტად დარჩენილებისთვის.

ძირიან-ფესვიანად დასუფთავების მერე ზარამ ტახტიდან ფართო საწოლზე გადაინაცვლა და ოთახი თავის გემოზე გააწყო. წასვლისას ნატოს უთქვამს, ჩემთან ერთად ჩამოსულმა თბილისელმა ლიკამ, ამას წინათ რომ აქედან გაუშვეს, ნაღდად იმან ჩამიშვა, იმ გათახსირებულმა შურიანმაო. ეს რა ჩაუდენია, შენელებულად ჩაულაპარაკია ზარას.

დღე დღეს მისდევდა. სულაც არ გასძნელებია კვირის მანძილზე ორ-სამჯერ დღის საათებში მის მსუბუქ შეტევებთან შეგუება. სახლის საქმესაც მალევე მოისტუმრებდა ხოლმე. ბედად, სხვენის ოთახი არ ლაგდებოდა. დიდ საკუჭნაოდ გამოყენებული სავსე იყო არსაჭირო ნივთებით, დროთა სვლაში ოჯახის რელიკვიად ქცეულის გადაყრა პატრონის გულს რომ ეთანაღრებოდა.

თანაც გრძივად დაქანებულ-დაყუდებულ ხის კიბეზე ასვლა-ჩას-ვლა ისედაც მოუხერხებელი იყო. დროც რჩებოდა მაღაზიებში გასასვლელად, ენის დახვეწაზე სავარჯიშოების საწერად. გვერ-დით ხომ საუკეთესო მასწავლებელი ჰყავდა.

ასე გაშინაურდა უცხო კაცის სახლში. მხოლოდ ერთი ვერ იგუა – კატა. პირველივე დღიდან ახლო არ გაიკარა ზარა. ამ ქლესას მოვარჯულებო, ზურგი რომ მოფხანა, იმან წვეტიანი კბილებით და ბრჭყალებით უპასუხა. თეფშით საჭმელი რომ და-უდგა, ახლოც არ მისულა და ღრენა-ლაპარაკით ბალანაშლილი მზად იყო, სახეში სცემოდა. შეგეჩვევათო, ამშვიდებდა კაცი. ამათ კი ერთმანეთი სძაგდათ.

დროს თავისი მიჰქონდა და მალე ზარას პასპორტიც ჩაილე-ოდა. საღამოსკენ საყიდლებზე გასულს შეუგვიანდა. იურგენმა პატარა მაგიდაზე საათს გახედა. ზარას წიგნების ქვეშ ნახევ-რადშემალულ პასპორტს თვალი მოჰკრა და გადაშალა. გუნება წაუხდა – მოკლე ხანში ვიზას ყავლი გასდიოდა. კაიხანს ჩაფიქ-რებული იჯდა მუხლებზე მოკალათებული ფისოთი. დაბრუნე-ბულმა ზარამ მოიბოდიშა, შემაგვიანდაო და მას რომ სჩვევოდა, ისე ამოიკითხა რაღაც ახალი ნიშნები.

– ლიბე ზარა, მოსაფიქრებელია თქვენი აქ ყოფნის საკითხი. მძიმე გარემოში დაბრუნება ალბათ არ უნდა გსურდეთ. თუ ასეა, შეიძლება ქორწინება გავათორმოთ და ამით მაცხოვრებლის სტატუსი მოიპოვოთ, – იურგენს ხელში მისი პასპორტი ეჭირა.

– ეს როგორ, ვერ დაუუშვებ, თქვენი სიკეთე ბოროტად გამო-ვიყენო, – მოულოდნელობისგან შემკრთალის სახეს წყალი არ გაუვიდოდა.

– ასე ნუ იტყვით, თქვენ ლირსეული ქალიშვილი ხართ და თქვენს ხელს ყველა მოინდომებს.

ზარას ისღა დარჩენოდა, თავი მორიდებით დაეხარა და მად-ლობა ეთქვა. ზამბარას ხვეულმა იძალა და ბოლომდე ამოიწვე-რა, ბოლომდე გაიშალა.

იურგენის მეგობარმა უურნალისტმა ყველა ფორმალობა მოაგვარა. ზარამ კი კატო-ეკასა და ქეთო-ქეთას ხელისმომკიდეობა სთხოვა. გაოცებისაგან პირდაღებულები, ეს ვინ ყოფილა, აიმრიზენ, მარა უარს ხომ ვერ ეტყოდნენ. უფრო მეტად ქეთო-ქეთა ვერ ინელებდა:

— ნეტავ, რა ნახა იმ კაცმა ამ უქალო გოგოში? — თავისას შეუდარა: — მე რომ სექსუალური ვარ და ჩემნაირი გახდა-გაშიშვლება ბარე თორმა არ იცის, რატომ არაფერი გამომიგიდა იმ ჩვენებურ ბიჭთან, სავსე ცხოვრება აქ რომ აიწყო ათასნაირი მამაძალლობით. ჩემო ტუჩისქელაო, როგორც ყველას, მეც რომ მატყუებდა. კარგად გამომიყენა ყველანაირად და მერე დატყდა. ვითომც არაფერიაო, ახლა მეგობარს თამაშობს. ეგ ჯიბიდან გავარდნილი, ეგა, ბედი უნდა ყველაფერს, ბედი.

— თუ ნახე, თავი რო გაილამაზა, სულ ნაცარა თაგვივით რომ დასინსილებდა, ჩაცმის აზრზე არ იყო და არც აინტერესებდა. ამას ქალი ჰქვია? ახლა უსახურად დაგარცხნილ-გამოპრანქული რო ვნახე, სიცილი ძლივ შევიკავე. მგონი მართლა დაიჯერა ჩვენი მილოცვები, ისე გადაგვეხვია, — დიდხანს ფქვავდენ მოულოდნელ ამბავს დაქალები.

— ისე კი, რა ღმერთი გაუწყრათ, კაფეში მაინც აღენიშნათ, ეგ-რევე სახლებში რო ნავიდ-წამოვედით.

ჩამთავრებული საქმე თორმა აღნიშნა ცხელი ხაჭაპურით, ბაჟეში ინდაურით და ტორტით. მესამე იქ ბრაზიანი ფისო იყო.

— ნეტავ, თუ სძინავს, — დაძაბული უყურადებდა დილამდე თეთრად გათენებულ ღამეს დიდი ოთახის კუთხის დივანზე. არადა, რას გაიხარებდნენ ან რას ჩაიფიქრებდნენ ეგ დაბოლმილები, ჩემს ოთახში რომ დავბრუნებულიყავი ვითომ რაღაცის-თვის. ვერ მივართვი. ან ამ დაგლახებულს კი რა უდევს თავში, ვიცი განა. ნამდვილი თუ ფიქტიური, — ჩაკეტილ გამოცანაზე თავს იმტვრევდა ზარა.

გუტენ ნახტო, რომ მითხვა და საძინებლის კარი გაიხურა, როგორ გავიგო? მორცხვია თუ უფრო უარესი? ჩემზე გამიგონია,

სანდომიანი გოგოა, ლამაზთვალებიანი და ტანით კოხტაო. ესე იგი, მიზეზი ჩემთან კი არა, იმასთან ღვივის. ვინძლო ერიდება ჩემი სწეულს და თავის იმედიც არა აქვს. გამოდის, მე უნდა ვი- თავო და მერე გამოჩინდება, სადაა ძალის თავი ჩამარხული.

უბინო გოგოს ინტიმური ურთიერთობისა რა უნდა სცოდნო- და, მაგრამ ის ხომ მარტო ზარა კი არა, ზამბარა იყო.

მეორე დღე შეტევით დამძიმდა, უფრო რთულად, ვიდრე მა- ნამდე. დაღონებული კაცი ხმაგაკმენდილი ერთ წერტილს მისჩე- რებოდა. მხოლოდ მან იცოდა, რა მორევი ტრიალებდა მის სულ- ში. ცივი ქვეყნიდან გადმოფრენილ ჩიტს ამგვანებდა მიუსაფარ გოგოს, კეთილსა და გამრჯეს. მისი დიდი შავი თვალები ისეთ ჩანისლულ სევდას ასხივებდნენ, შეუძლებელი იყო გულს არ მოხვედროდა. ცხოვრების თანამგზავრად ექცა მისთვის მძიმე ჟამს. უკეთესს სად ნახავდა. სენი აფრთხობდა, ტანჯვის კვამლი სულს უხუთავდა, აბურდულ სურათს უხატავდა.

მეორე დღის ჩანაფიქრი ჩაეშალა ზარას. იმას მესამე მიჰ- ყვა, მეოთხეც, ყოველდღიური კრუნჩხვები აუტანელი გახდა და ექიმს გამოუძახა. დასკვნაში სტრესით გამოწვეულ მიზეზებზე ხაზგასმით დაინტერა. თუ ასე გაგრძელდა, შედეგი ფატალური შეიძლება გახდესო, სადარბაზოში ჩუმად გაუმეორა ექიმმა და პაერზე ყოველდღიური გასეირნება დაავალა.

ზარას თვალს არ გამოჰპარვია საწოლ ოთახში დიდი საწე- რი მაგიდის ჩაკეტილი უჯრა. ბინაში ხომ არაფერი იკეტებოდა? დრო მოიხელთა და მორგებული გასალებით გამოლებულ უჯრას ჩახედა. იქ მხოლოდ საბუთები იყო კოხტად დაწყობილ-დახარის- ხებული. საქალალდე „ნოტარიუსი“ გადაშალა. ყველა ბეჭდით დასტურდადებული დოკუმენტი იურგენისთვის დედის ძმის ანუ ბიძის ნაანდერძევ დიდ ქონებაზე ღალადებდა. სხვა ქალალდზე ისიც ჩანდა, რომ უცოლშვილოდ გადაგებული ბიძის სიბერის მეგობარი ქალი კანონიერი ცოლი რომ ყოფილიყო, პირდაპირი მემკვიდრეც ის იქნებოდა.

აქამდე იცოდა ზარამ, რომ ქმრის საკუთარი ბინის მოზიარე თავადაც იყო, ახლა თურმე დიდი ქონებისაც ყოფილა. ამას ქალალდის ცოლქმრობა თუ საწოლისა, ვერაფერი შეცვლიდა.

ჩუმმა ყიშინამ ნიავქარივით გადაუარა ყველაფერს აქამდე განცდილს. საყვირმა ყრუდ ამცნო ცხოვრების სავსე ხონჩაზე. გერმანულმა սომების მიზნი შეუძლებელი შესაძლებლად იქცევაო, აუნყა. ისიც ირნმუნა – საცა საამოა ცხოვრება, სამშობლოც იქაა. ყოველივე საკუთარ ნებაზეა დამყნილი, რომ სჯეროდა, ამიტომაც დიდ თმენასაც ბოლომდე მიიყვანდა.

კარი გამოკეტა და სადარბაზოს ბაქანზე წამით შეყოვნდა. ჭოჭმანით შებორკილს ყურში მთავრინდის აღმართმა ჩასწივლა: – ზარა-ბარა-ზამბარა, ზარა-ბარა-ზამბარა.

სახესთან ხელი აიქნია, თითქოს მოჩვენება მოიშორაო და კიბეზე დაეშვა. როცა სკვერში მომლოდინე ქმარი ისევ ბინის კარამდე მიაცილა, მაღაზიაში გავალ და მალე დავპრუნდები.

იურგენმა კარი შეაღო. დერეფანში პალტო გაიძრო და ოთახს მიაშურა. გაუკვირდა, ფისო რომ არ შეეგება. გასძახა:

– სად ხარ, ჩემო ფისო, სად?

განწირულმა კნავილმა მოიცვა იქაურობა. კნავილმა კი არა, რაღაც ადამიანურმა კივილმა. ის სხვენიდან მოდიოდა.

დაქანებულ ხის კიბეზე აიჭრა, ჩახრონგილ კუთხეში ჩაჭედილი კატა წვალებ-წვალებით გამოიყვანა.

– აქ რამ შეგაძვრინა, ჩემო საყვარელო, შენ ხომ სხვენში არა-სოდეს ადიხარ, იქაურობა არ გიყვარს... – ფერწასული ეფერებოდა მოკანკალე მეგობარს.

კიბის თავზე შემდგარს უცებ ფეხები წაერთვა, ხელებს თითქოს სალტები გადაუჭირესო, ფისო ხელიდან გაუვარდა.

დაბრუნებული ზარა მეოთხე სართულს დაღლილი ნაბიჯით მიჰყვებოდა. გასაღებიც ძლივს გადაატრიალა, იქ შესვლაზე ფეხს ითრევდა.

მაინც შევიდა. დიდ ოთახში სხვენზე ამავალი დაქანებული ხის კიბის ძირში გულალმა გაშოტილ კაცს კატა ლოყას ულოკავდა და და ხმამალი კრუტუნით ნანას უმღეროდა.

— მომეხმარეთ, თუ შეიძლება, მომეხმარეთ! — გაბმულ ზარზე გამოსულ მეზობელს გამწარებით ეძახდა.

მთელი თვე შავი არ გაუძვრია დაქვრივებულს. იკვირვებ-დნენ, საფლავზე ყოველდღე დადისო...

მეორადი ტანსაცმლით გულგატეხილი ახალგაზრდა ქალი მდიდრულ ვიტრინაში უახლეს მოდელებს მოჯადოებული შეს-ცეკროდა. მაღაზის წრიულად მბრუნავი მბზინავი კარიდან გამოსულმა, სტილისტის ფანტაზიით თმადავარცხნილმა, კოჭებამდე ძვირფასი ქურქით, გველის ტყავის ხელჩანთით და მიმოხვრითაც ელეგანტურმა ქალმა ერთბაშად მოსწყვიტა თვალი.

ისიც წამით შეჩერდა, შეფარული ამრეზით ჩაათვალიერა რა-ლაციო შემკრთალ-მობუზული და ყინულოვანი ღიმილით თით-ქოსდა მიესალმა. მერე ახალი „მერსედესის“ კარი შენელებით გამოაღო, საჭეს მიუჯდა.

— ღმერთო, ეს ხომ ზარა იყო, ნაცარა ზარა, როგორ, რა, რა, რანაირად? — მეორად ტანსაცმელში შეცხადებულს სიტყვა ყელ-ში ეჩხირებოდა.

მოვა დრო და ადამიანები ჭალარანი დაიბადებიანო, უთქვამს ძველბერძენ ჰესიოდეს ქრისტემდე მეშვიდე თუ მეექვსე საუკუნეში.

ଭାର୍ତ୍ତାବାଦିକୁ ପରିମାଣିତ



იმის სიცოცხლეა მშვენიერი, ვინც არ ჩაბლაუჭებია მას.  
ფრიდრიხ ნიცშე



ბოროტებამ თურმე მოყირჭება არ იცის. ერთი თუ იგემა და შეუჯდა ტანში კაცს, წაიყოლიებს და ატარებს ღამეულ სიავეში უსასრულოდ, შავი ყვავილით იყვავილებს იმის სულში უჭკნობად.

აბა, საიდან უნდა სცოდნოდა ეს ძნელადშესამეცნებელი რამ პატარა ბიჭს, მინდა, მინდაო გულის გამანვრილებლად რომ ღნაოდა და გორავდა ჩამტვრილ ხის იატაზე შუშაბანდში, როცა ცხარე სურვილი უმწეობას ეხეთქებოდა და ტანჯავდა.

იმას წითელი ცხენი-ველოსიპედი უნდოდა მეზობელი ბიჭის, მხიარული შეძახილებით რომ დააქროლებდა ხოლმე ეზოში.

— მორჩი ღნავილს, გუჯა, გვიჭირს და ვერ გიყიდით, არ გვაქვს ფული, გაიგე, შე ბრიყვა! — მწარედ წაუთაქა დედამ საბედისწეროდ მოქნეული ხელით.

მაშინ ჩაღვრილმა გაბოროტების შედედებულმა წვეთის ძალამ თუ არა, რამდა ჩამოკიდა ღობის რკინის გისოსზე წითელ-ცხენიანის საყვარელი ხატაურა კატის კნუტი, მხიარული ბიჭის გულის შემძვრელი ტირილი რამ მოსდომთელ ეზოს.

განა ამ დღიდან არ იყო, რომ გუჯას ჩვეული ღნავილ-სლუკუნი შუშაბანდში აღარავის გაუგონია. რამ ჩაუქრო სურვილის ვნება

და გაუქარვა ტანჯვა ცხოვრების გზაზე ჯერაც გაუსვლელს? ნუ-  
თუ იმ შედედებულმა წვეთმა სიძულვილის ჩუმი ძალა მოუკრიბა  
იმთავითვე, ცხოვრების ხერგილებში სახტუნაოდ.

ახლაც იხსენებს იმ ამბავს გუჯა და ეცინება:

— კიდევ კარგი, დროზე მივუსწარი და ყელში წავუჭირე ადევ-  
ნებულ ლანდს „ზნეობა“ რომ დაურქმევიათ ადამიანებს, ან იმის  
პრანჭია საყვარელს „სინდისს“.

— ვინმეს უნახავს, როგორ გამოიყურება ეს უმისამართოდ მო-  
ლასლასე დოყლაპია? ვერც ვერავინ დაინახავს.

— ჩემთან არა, „სხვასთან“ მიდი, — ხელის აქნევით აიცილებს  
იმას კაცი, დაუტატანებს, — მიდი, ზნეობის სახრე გადაუჭირე და  
ამასობაში საჩემო „კეთილს“ თავად გავაკეთებინებო, თავმოსა-  
წონად „სიკეთესაც“ შევუქებ და გულანთებულს დავაჯერებ იმის  
სიდიადეშიო.

მაშინ სკოლაში, ერთხელ კარგა მაგრა რომ ურახუნეს თავში  
და ცხვირპირი ჩაულილავეს, შიგ სიღრმეში დალანდა ცხოვრების  
არსის არსი — ბრძოლა. ბრძოლაში რომ მარტო იყო, ისიც, რომ  
რკინის გისოსზე კატის კნუტივით ეგრე ვერავის ჩამოკიდებდა.

ბრძოლა ხომ საყოველთაოა. მასშია გახვეული და ერთმანეთ-  
ზეა გადაბმული ბუნება, ადამიანი, ყოველი სულიერი — დიდი და  
მცირე, სუსტი თუ ძლიერი. ბრძოლა ასულდგმულებს მათ და აქ  
„სხვა“ თუ თავისიანი სულ ერთია:

აგრ ქათამი, თითქოს ასე უწყინარი, ისე სანსლავს გამოშიგ-  
ნული თავისიანის ნაწლავებს, ყელზე არ დაადგება.

ანდა, მწვანედ ლამაზად გაფუნჩული ხვიარა, მისებრ მწვანე,  
აწვდენილ ნაძვს ტანის ძირში რომ შეეპარება ქურდულად და მე-  
რე, ნელინელ ხოხვა-ხოხვით წვეროში შემოეჭდება, ისე ხომ ვერ  
იარსებებს, წვენი არ გამოსწოვოს იმას, ბოლომდე წაართვას სა-  
სიცოცხლო ძალა ან უკვე მთლად ჩაყვითლებულსა და სწეულს.

არსებობისთვის ამ დაუსაზღვრავ ომში ძლომიდან ძლომამ-  
დე ბზრიალ-ტრიალებს ბუზიც და ლომიც, ოლონდ იმ სხვაობით,  
რომ ლომი თავად მოიპოვებს ნადავლს მგრგვინავი ღრიალით,  
ბუზი კი გახრწნილ ნარჩენებს ბზუილით დააჯდება.

მაგრამ ადამიანი სხვა ცოცხალთაგან განსხვავებით, უფრო შავ დღეშია, რადგან სურვილებისგან მისი ტანჯვა ნივთების ზღვაში ჩაედინება. თვითვე იგონებს ამ ნივთებს და მერე მის სიმრავლეში გაჩერილი ისტერიკით იათმავებს ბრძოლას, არსებობის საზრისის წვდომის გზას სამუდამოდ შორდება.

ამიტომაც პროგრესს თუ ნინსვლას ნივთიერით არწყავს, სილამაზესაც იქ ხედავს. აკი, აღმოაჩენს კიდეც თურმე ჭეშმარიტებას – სილამაზე გადაარჩენს ქვეყნიერებასო. სულაც თავს იტყუებს – განივთებული სილამაზე, პირიქით, ღუპავს – ის ხომ დიდ საფასურს ახდევინებს სისხლით მოხვეჭილს, ახდევინებს, ვითარცა ლამაზი ქალი თვალმარგალიტით.

ამ მიხვედრასაც გუჯა მოგვიანებით, როცა ცოდნის მარცვლების აკრეფას შეუდგება, საბოლოოდ გაიმაგრებს რწმენით, რომ ცხოვრება ყველას ომია ყველას წინააღმდეგ, შუბლზე დაიწერს ლათინურ ამ შეგონებას – *Bellum omnium contra omnis* და ყოველ ნაბიჯს თავისას წინ წაუმძღვარებს.

თითქოს ფართო ეკრანზე ისე ხედავს გუჯა საკუთარი არსებობის განაწესს: ჯერ ერთი, ვნება ნებით უნდა შეცვალოს, რომ გათავისუფლდეს გრძნობებისგან. ნებისძალა უნდა დაიმკვიდროს თავის სამართავად, რათა ბოროტებისა და სიკეთის არჩევანი მთლად აღგავოს და ამოძირკვოს.

ყველაფერი ხომ ჩემს ხელთაა – უპირველესად კი საკუთარი თავი, ასე ძნელად სამართავი, რასაც მოვისურვებ, იმას რომ გავაკეთებინებ უჭოჭმანოდ.

გრძნობები რაში მჭირდება, ზედ რომ ფანდურივით ჩამოჰკრან „სხვებმა“ და სათავისოდ ამამღერონ! „სხვისაზე“ ჩამოკვრა უფრო სახალისო არაა განა.

ეს მისი შიდა განაწესი იქნება დაფარულ-დაგმანული. გარე განაწეს კი ფირნიშზე გამოაფენს – კაიკაცობას, კაიბიჭობას გაუმარჯოსო.

მაგრამ მთავარი მიღწევა გუჯასი მაინც ის არის, რომ ბრძოლის გაგებას ახლებურად გადასხვაფერებს – ბრძოლას თამაშად

გადააკეთებს. მუშტი-კრივზე რატომ გავიხარჯო, კუნთები რად დავიფლითო, როცა თამაშ-თამაშით მოვიპოვებ მოსაპოვარს, უხილავი თამაშით, რბილითა და თბილით. ამ ერთ სიცოცხლეს წვალებ-ჯახირად რატომ ვიქცევ, ისედაც ხომ „სიცოცხლე-კვდომაა“, ლევ ტოლსტოისა არ იყოს. სიკვდილი კი არა, კვდომის ხან-გრძლივი სასრულიანი დრო-გზა.

„სიტყვა-ქმედებაა“ – ესეც მოსაწონს კლასიკოსის. ჰოდა, სიტყვა ისე უნდა ამოქმედო, ამ ცხოვრების ყირამალა გიმნასტიკაში შენი ილეთი ვერავინ დაინახოს.

სიცხვილი? – ხალხის წინაშე გაითამაშე. სინდისი კი, შენ-გნით არსებული, ოდნავადაც არ აატოკო.

კრედოდქცეული ეს აზრები ისე ჩაფესვიანდა გუჯას სულის არემარეში, მომავლის დაბორცვილ გზაზე ერთხელაც არ წაბორძიკებულა. მაგრამ აზრი დონდლოა. თუ არ გააცოცხლე, ამას კი ვარჯიში სჭირდებაო. რა ბედენაა, გარს ამდენი ცოცხალი სავარჯიშო გახვევია, აირჩიე და ივარჯიშე, ისიც თამაშ-თამაშითო.

მაგრამ თამაშსაც ხომ აქვს სხვადასხვა სახეობა, უანრები რომ ჰქვია. თეატრი სცენურად იმას წარმოადგენს მხოლოდ, რასაც ცხოვრების დრამატურგიული სკოლა ასრავლის, რა გაათამაშოს და როგორ. ამიტომაცაა თეატრი იმთავითვე სულ დრამებსა და ტრაგედიებზეა დაყუდებული, კომედიაც იგივეა, ოღონდ არსებობის ავბედითობა სიცილ-ხარჩარითაა შემოსილი, გული რომ გადააყოლო და თანაც იყელყელაო, მახინჯი ლამაზზე რომ ხითხითებს, ისე.

თამაშის რა უანრი ავირჩიო, ეს აფიქრებდა გუჯას და მალევე გადაწყვიტა კიდეც: ვოდევილი – ცოტა კომედიური, ცოტა ინტე-ლექტურულური, ცოტაც ფსევდორომანტიკული, ჯამში კი ტრაგიკომიკური.

მართალია, ვოდევილი წმინდა ფრანგული მოვლენაა შუა საუკუნეების დემოსის წიაღში ნაშობი, მაგრამ მაინც საერთოა ყველასთვის თავისი დამცინავ-თავხედური კილოთი, ნახევარსიმღერითა და, რაც მთავარია, ამყოლი ბუნებით. ეს უანრი ისეთივე უი-

ნით ასრულებდა თავის საქმეს იქაურ რევოლუციებში, როგორი-თაც გილიოტინა ეროვნული არისტოკრატიის თავების ცვენაში.

თუკი რუსებმა მოიხმარეს ის და ანტონ ჩეხოვმა მოულოდ-ნელდასასრულიანი ერთაქტიანი პიესებით კარგა მოათვინიერა მაყურებელი, ქართული ხასიათი განა უფრო არ გაიხლართება ნათხავისგან ატეხილ ჟრიამულში, აიბურდება ვოდევილურ ფანდებში.

პოდა, ასე დაადგა გუჯას ცხოვრება ერთაქტიანი ვოდევილუბის გზას.

\* \* \*

ისევ ცუდ ხასიათზე ადგა დილას. ვერ იტანდა ყველა კუთხეში გაშლილ ლოგინს ოროთახიან ბინაში და ერთი სული ჰქონდა, სანამ იმას აალაგებდნენ.

ვერა და ვერ გამოვმდვრალვართ იმ საბჭოური ხელმოკლეობიდან, ახალ დროშიც არ ვვარგივართ, — მომეტებულად მამაზე ბრაზობდა, ხელმოცარულია და პატიოსნებით მოაქვს თავიო. ვერ იტანდა, როცა იქვე, გვერდზე ახალაშენებული სახლის ტრიპლექს-ბინაში მოკალათებულ თავის სკოლელზე ამრეზით იტყოდა, ნამამაძალლევით აქვს ყველაფერი ნაშოვნიო.

ბრაზი აწვებოდა, როცა ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსზე მყოფს, სკოლის მასწავლებლის პერსპექტივებზე უბურღავდა ტვინს და მაღალ იდეებზე გაილექსებოდა ხოლმე. სახლიდან გასული იქ დაბრუნებაზე ფეხს ითრევდა, დროს ჭიმავდა, სიხარულით გადაიკარგებოდა კიდეც.

გარეთ ეგულებოდა გუჯას ცხოვრების სარბიელი. იქ გრძნობდა ძალთა მოჭარბებას, თვალსასეიროს იქ ხედავდა და ჭკუის სამჭედლოსაც.

გვარი კი იცოდა და სახელიც დააზუსტა — თამრიკო. შავთვალება ნაფოტა გოგო ერთსა და იმავე დროს სადარბაზოს ღილაკს ხელს დააჭერდა და თაღიან სივრცეში გაუჩინარდებოდა. წარმოედგინა, როგორ შესრიალდებოდა ტრიპლექს-ბინაში სარკეებიანი

ლიფტით და მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ვერანდიან დიდ ოთახში უშველებელ ფუმფულა საწოლში პირდალმა ჩაეფლობოდა.

თამრიკოს დღის განრიგი გუჯას ზეპირად ახსოვდა – სად მიდიოდა, როდის ბრუნდებოდა. შორიახლო ისე დაუდგებოდა, იმას რომ შეემჩნია. მანამ გააგრძელა, სანამ მისკენ სახით შეტრიალებულმა გოგონამ მორცხვად არ გაულიმა.

დანახვისთანავე შემიყვარდიო, გუჯას გულანთებულმა ხმამ მთლად დააბნია ისედაც მოკრძალებული, გაუბედავი თამრიკო. იმ წუთიდან მოყოლებული მიენდო, მოფარფატე ჩიტივით დაჟყვა. მაშინ კი მთლად დაფრთხა, როცა მამამ, ეგ ბიჭი აქ გამომეცხადოსო, მყაცრად მოსთხოვა.

გუჯაც გამოეცხადა, მშვიდი და თავდაჭერილი. სიტყვამოზომილს სახეზე გულითადობა აღბეჭდოდა. ბოლოს მამამ კეთილგანწყობა ვეღარ დამალა კარგი აღნაგობის, წარმოსადეგი ბიჭისადმი, როცა გაიგო, ვისი შვილი იყო.

– პეტოს კაი ბიჭის სახელი პექონდა სკოლაში, ნიჭიერისა და წესიერებით გამორჩეულის, – გაბადრულმა ხელები გაშალა, ქალიშვილს უხმი: – ადრე კია ცხრამეტი წლისთვის, მარა თუ ბედმა ასე გიკარნახა, დამილოციხარ.

ქორწინებაც დაიგეგმა. ეგაა, გუჯას მამამ, პეტრემ პირი დააღო, საიდან, ბიჭო, დამამოყვრე ხომ მაგ ქრისტესფეხისმჭამელთანო. თამრიკოთი კი აღფრთოვანდა, ანგელოზი გაუზრდიაო.

გუჯამ დრო არ დაკარგა და საქმეს საყელოში სწვდა. ისტორიის ფაკულტეტიდან ეკონომიკურზე გადავიდა, სახვალიოს იმზადებდა. თამრიკოს ჩაფიქრებული სახით აუხსნა, ერთოთახიანს ვიქირავებ, ჩვენებთან სივიწროვეში ვერ შეგანუხებ. ახლა მეტი რომ შემეძლოს, მთელ ქვეყანას ხელისგულზე მოგართმევდიო.

სახვალიო კი ნელინელ მისკენ მოჩოჩავდა.

დათამ, სასიმამრომ კარგა გვარიანად შეუფუცხუნა:

– ე ბიჯო, რა ერთოთახიანი ამოგიჩემებია. ჯერ აქ იქნებით, სამსართულზე ვერ დავეტევით, თუ რა? საქმეში თუ კუდს მო-

იქნევ ჩემი დახმარებით, მერე თვითონ ივარგე და გინდაც ხუთი სართული აგიშენებია. დედისერთა გოგო კი ხელისგულზე ატა-რე, შენი კაცობის ამბავია. ვაჟიშვილად გამომადგები – დიდ გზა-ზე გახვალ.

გუჯამ გააჯანჯლა, მოღუშულმა, ასე არ შეიძლება, თავმოყვა-რეობის საკითხია. აგერ ეკონომისტი ყველგან საჭირო შევიქნები და ფეხზე დავდგებიო.

— დრო რატომ დაიკარგოს, რაც გითხარი, ისე მოიქეცი, — მთ-ლად აკარდნილმა დათამ.

— ბატონი ბრძანდებით, უნდა დაგემორჩილოთ, — ლირსების გრძნობით თავი დახარა გუჯამ.

მთელი სართულის პატარა დიასახლისი თამრიკო გუჯას თვა-ლით აწყობდა ოთახებს, იმ კერძების კეთებას სწავლობდა, რაც იმას უყვარდა, თვალებში შესციცინებდა, თავის გამომცხვარ ტკბილეულს გუჯას მშობლებს მიურბენინებდა და ტკბილად გა-იტრუნებოდა, როცა პეტრე გულში ჩაიკრავდა ხოლმე. ბედნიერი იყო. სწავლა აღარ აინტერესებდა, მაგრამ დიპლომი ხომ უნდა აე-ღო. გუჯაც თითქოს ვალში არ რჩებოდა – ართობდა ბავშვივით, ყვავილებს არ აკლებდა.

იმედმოცემულმა კმაყოფილმა დათამ არ დააყოვნა და საქმის კვალში ჩააყენა. დიდი სამკერვალო ფაბრიკის პატრონმა შიდა სამზარეულოს მარტო წვრილმანი კი არა, მსხვილი ხვეულებიც გააცნო, შემოსავალ-გასავლების თეთრ თუ შავ ხლართებში, მოკ-ლედ, ბუღალტერიაში ჩაახედა.

უკვირდა მისი ნიჭისა და ალლოსი, საქმის კაცად დაბადებულა ჩემდა გასახარადო. გუჯამაც ისეთი ხელანჯები მოიფიქრა ბიზ-ნესწარმოებაში, მოკლე დროში მოგებამ ბევრად იმატა. ყველა-ნაირად იმასაც ახერხებდა, ჩათვლა-გამოცდებში არ ჩამორჩენი-ლიყო.

ერთხელ საღამოს მოწყენილმა თამრიკომ გული გაუხსნა, პა-ტარები მიყვარს, მათი ბუშტა-ლოყები და თათებიო. გუჯამ თბი-ლად, მაგრამ დარწმუნებით, – დავიცადოთ, საქმეებს ავაწყობ და

მერე სამიც იყოსო. მანამდის კი თავის დაცვაო, ცივი ხმით დაას-რულა. თამრიკომ ცრემლი დამალა და ჩაჩუმდა.

დღე დღეს მისდევდა. გუჯამ საქმის სადავეები ისე მოიგდო, სიმამრს მადლობა აქეთ ათქმევინა, – ანი, შემიძლია ხშირად და-ვისვენო და რესტორნებში საქმიან შეხვედრებზე კი არა, გასარ-თობად ვიარო, კიდევ სხვა რამეცო, – თვალი ჩაუკრა. ჩათვალე, ჩემი ვაჟიშვილი გახდიო. კია ასე, მარა ქონება შენია და არა ჩემი, – გულში ჩაიხვია ამან.

დროება რომ ცვალებადია და ცხოვრებაც იმასთან ერთად, გუჯამ ეს ჭეშმარიტებაც ღრმად გაიაზრა, როცა ხელისუფლება შეიცვალა და დათას ბედიც შეტრიალდა. ახლა სათავეში ისინი მოექცნენ, ვისაც მაშინდელმა დათას დამქაშებმა მოგვერდი უქ-ნეს და ცარიელზე დატოვეს.

გუჯა მოლოდინის წუთებზე შედგა, როგორც ლოკომოტივი ფოლადის ლიანდაგზე.

დრო შეარჩია და სათავეში ახალმოსულს სანდო კაცი მიუგ-ზავნა, მიმსახურეთ, თქვენი ვარო. დაიბარეს კიდეც მოფარდულ შეხვედრაზე.

– სამხილ ამბებში კისრამდე იჯდება ეგ გოთვერანი გადამ-გდები, ჰოდა, ის სამხილები მაგიდაზე უნდა დამიდო, თუ გინდა მაღლა-მაღლა იფრინო, შენზეა, – მაღლიდან გადმოსძახეს და მა-გიდას მუშტი დასცეს.

გუჯამ თავშეკავებულად და უსიტყვოდ თავი დაუკრა. მანქა-ნაში რომ ჩაჯდა, ფრთხილი მოძრაობით პიჯაკის ღრმა ჯიბეში ჩაცურებული ხმის ჩამწერი გამორთო და საგულდაგულოდ გადა-მალა.

მიყურადება-თვალთვალში უკვე იყო ნავარჯიშევი და საამი-სო საშუალებებსაც შოულობდა. გაწაფვა ნაცნობ-მეგობრებში დაიწყო. პირველად „უკუკი“ რომ შეიძინა, ერთს მიაკითხა სახლში, ცივი წყალი მინდაო, სამზარეულოში გაისტუმრა და წიგნის კარა-დის ძირს ის ღილის ტოლა აპარატი მიატყეპა.

მერე შორიახლოს მანქანაში ლამის ნირვანაში ჩავარდა, ისე გააბრუა მოსასმენმა. ჭკუის სარგებელიც ნახა, როცა გაიგო, რას

ფიქრობენ მასზე სხვები. მას მერე სჭირდებოდა თუ არა, ისეთ იშტაზე მოვიდა, შეეძლო საათობით „ეკაიფა“ ხოშ-ჩავარდნილს. ამით თრობა ბოლოს ჩვეულებად გაუხდა.

კომპრომატების ძალაც იცოდა, დიდი საქმე თუ გინდა, კის-რის მოსატეხიც გულდაგულ შეადგინეო, თავს კარნახობდა. მინისქეშა ქმედება ხორციელ ვნებაზე, ანუ სექსუალურზე მეტად მოეჭიდა, ამით განტვირთვა კი სასიცოცხლო ენერგიად.

ამჯერად ოფლის ღვრა არ დასჭირვებია – ხელისგულზე ჰქონდა დათას ფაბრიკის შავი ბუღალტერიაც და უცხოელ დამკვეთებთან კანონდამრღვევი გარიგებებიც, კონტრაბანდული მასალა – ქსოვილები და საბანკო ფიქტიური კრედიტ-სესხები.

– ვახ, ვახ, „სროკი“ ზედა აქვს ამ დედამოტ...-ს, – ხელები მოიფრინიტეს მაღლა ახალმოსულებმა, დიდ ლუკმას ხომ გამოგლეჯენ, შურისძიების გულსაც მოიფხანენ.

– მაგარი ხარ და კაი პონტშიც გახვალ, – მხარი შეუჯანჯლარეს გუჯას, – შენისთანა სიძესაც არ დავიწუნებდი, გაიგე! კაი კრესლოშიც ჩაგსვამდი. აბა, შენ რას იტყვი, ბიჭო?

ბიჭმა გულითადი ნაცადი ღიმილით უპასუხა.

ეს კიბე ავლილია, ახლა სხვა ბაქანზე უნდა დავდგე.

„სროკი“ ნამეტანი კია, მარა ეყო, რაც იჯეჯილა. აი, ამას კი რა ვუყო, ამ ბოთე გოგოს, მგონი შემეცოდოს კიდეც. რაღაც ელასტიკური უნდა მოვიფიქრო, – სახლისკენ მიემართებოდა ფიქრებში.

ახლა დათას ტრიპლექს-ბინაში აღარ ცხოვრობდა. კარგ უბანში კოხტა ორსართულიანი სახლი აიშენა ისეთი, ბავშვობიდანვე რომ ეოცნებებოდა – თეთრრიკულებიანი აივნებით შემოვლებული. შენი კაიშვილობის ფეშქეში იყოსო, – დათამ დაუფინანსა და საკუთრება გუჯას ჯილდოდ გაუფორმა.

სამკერვალო ფაბრიკაში კომისია კომისიას ცვლიდა. ისეთი ქექვა-ჩხრეკის ბუღი იდგა, ეშმაკის სახარხარო ადგილი ეგონებოდა კაცს. დაფეთებულ თანამშრომლებს უნმარტავდნენ, დანაშაული დასჯადია და კანონს შესრულება მართებს, სამართალმა

პური უნდა ჭამოს და ჯიბის გამსქელებელ მპარავებს პატიება არ უწერიათ.

წასულია დათას საქმე – აწრიალდნენ ნაცნობ-მეგობრები და მიყუჩდნენ თავ-თავიანთი მოსვრილი კუდის შიშით დაზაფრულები.

გუჯამ მოახერხა და წინასწარი დაკავების ადგილას დათას მიაკითხა.

– ასე უცებ რამ დააბერა და გატეხა ეს გაჯგიმული კაცი, – გაიკირვა.

– მიშველე, გუჯა, დატრიალდი, არაფერი დაინანო, ისეთი ჭკვიანი ხარ, მოიფიქრებ რამეს.

– თავს არ დავზოგავ, გამაგრდით, – წუხილით სავსემ მხარზე ხელი გადახვია.

– შენი კაცობისა და ერთგულების ჭირიმე, – ისიც გადაეხვია.

გაბითურების სახალისო სცენები უყვარდა. შემთხვევას არ გაუშვებდა საამისოს, რომ არ გაეთამაშა არტისტული შთაგონებით.

იმ სცენასაც შთაგონება არ აქლდა ერთხელ, როცა გულაჩუყებული ამხანაგი გადაეხვია, ნაღდი ხარო. ამხანაგს ბინა უნდა ეყიდა და ფული დააკლდა.

– აგრ არა ვარ, ბიჭო, რამდენი გინდა? – ხელი გაშალა.

სულაც არ სჭირდებოდა ის ბინა გუჯას, თუმცა მოეწონა და...

მეორე დღეს დაღონებულმა შეატყობინა:

– ვიღაცამ ცხვირწინ ამართვა, ჩანს მეტი მისცა და დავრჩი ცარიელზე, ჩემი უიღბლო ცხოვრების დედაც, – თავი ჩაქინდრა და დააყოლა: – შენს სიკეთეს მაინც არ დავივიწყებ.

ამ წუთებში გუჯას სულში სიამე დასლიპინებდა. უიღბლო კი არა, პირდაღებული დოყლაბია ასე იქნები მუდამ. მე კი ამ ცხოვრების დავლურში მჯობი არ მეყოლებაო, – თავმოწონებამ ყიჟინა დასცა.

ახალმა მადიანებმა საქმე ელვის სისწრაფით მოამთავრეს, იმათებურად – მოაყომარეს, ისევ მოფარდულში აწონ-დაწონეს:

ვირის აბანოში ჩაჯდომა რა ბედენაა, სჯობს შიშველი უოპით სიპ ქვაზე გავსვათ, იქ კარგად იქნებაო.

დათა სასამართლომ იმით შეიწყალა, რომ ციხეში არ გაუშვა, მაგიერ ქონების ჩამორთმევის განაჩენი გამოუტანა: ბანკის ანგარიშების დაყადალება, უძრავ-მოძრავის ამოლება, ფირმის სახელმწიფოზე გადაცემა, ბოლოს კაიხელა გირაოს ვალდებულების დადებაც დააყოლა...

ყოველ დილას სახლიდან გასული თამრიკო დედას ეხმარებოდა დავრდომილი მამის მოვლაში. სხვა ვინ მივიდოდა. ერთი-ორი მეზობელი თუ მიაკითხავდა, ნათესავ-მეგობრები ისე გაქრნენ, თითქოს აორთქლდნენ. სადღა იყო იმათი გულზე მჯიდისცემა გაშლილ სუფრაზე, სათხოვარზე კარს მომდგარი დიდი თუ პატარა – ყოველივე ვითომც არც არასოდეს ყოფილა, სადღაც ჩაიყლაპა.

განაჩენი კი მოისმინა დათამ და შეიმეცნა კიდეც იმ სასამართლოს დარბაზში, საცა მოწმების ცვენა იყო, სახლამდეც მოაღნია. მერე ალარ ახსოვდა, რა მოხდა. არადა, ისეთი არაფერი, კაცს რომ არ დაემართოს – ჩაქცევა და დამბლა.

გონება კი დაუბრუნდა, ხელსაც ამოძრავებდა, მარა კუნძადეცეულ ფეხებს არაფერი ეშველა. ღმერთს მადლობას სწირავდა, მის დედისერთა გოგოს პატრონი რომ ჰყავდა საიმედო, ყოველ-დღე რომ მოდიოდა და ამხნევებდა.

— ლვთის საჩუქარია ჩვენთვის გუჯა, — თვალცრუმლიანი ცოლს ეუბნებოდა.

მოსაღამოებულს ბრუნდებოდა თამრიკო, ქმრისთვის უნდა მიეხედა, სადილი დაეხვედრებინა, სარეცხ-საუთოებელი მოესტუმრებინა. გუჯა ისე იყო დაკავებული, გვიან ბრუნდებოდა ხოლმე გადაღლილი.

ქვემოთ ტანზე გამოიცვალა და მეორე სართულს აუყვა. კიბე არ ჩაემთავრებინა, წყლის შხაპუნი რომ შემოესმა აბაზანიდან, დღეს ადრე დაბრუნებულაო და გახარებულმა გასძახა:

— ადრე მოსულხარ, გუჯა, შენ შემოგევლე.

შეწყვეტილმა შხაპუნმა და სიჩუმემ გააკვირვა. აბაზანის კარი ფრთხილად შეაღო და მოულოდნელობისგან ძგიდეზე წაიბორ-ძიკა...

იქ შიშველი ახალგაზრდა ქალი მინაზებულად ულიმოდა.

— თამრიკო ხართ, არა? მე თეონა მქვია, — ნაზადვე შეტრიალე-ბული, თამრიკოს თეთრ ხალათში გაეხვია.

მორიდებულმა ზნეობამ ვერ შეძლო ეკითხა, ვინ იყო, რა ესაქ-მებოდა მისი სახლის სააბაზანოში, უტიფრად მის ხალათში რო-გორ გაეხვია.

ახალშემოსწრებული გუჯა ორივეს უდარდელად წაეხუმრა:

— აა, გოგოებო, გაიცანით ერთმანეთი უჩემოდ, ხომ? ეს ჩემი თამრიკოა, ესეც თეონაა, ბავშვობაში მჩხავანა და აუტანელი. ახ-ლა მშია და დაღლილი ვარ, თამრო, მომხედე.

როცა განმარტოვდნენ, გულმართალმა გოგომ სასონარკვე-თილი თვალები მიაპყრო ქმარს, უსიტყვოდ ეკითხებოდა, რა უბე-დურებაა ჩვენს თავს, ამიხსენიო.

— ჩემი ბავშვობის მეგობარია, ბინა გაყიდა და საზღვარგარეთ მიდის საცხოვრებლად, წასვლა დროებით შეუყოვნდა და მთხო-ვა, ცოტა ხნით შენთან გამაჩერეო. უარს ხომ არ ვეტყოდი და გა-საღები მივეცი, — ვითომც აქ არაფერიაო, გულგრილად გამოცრა გუჯამ.

თავხედობა იმგვარი შემტევი ძალაა, ზომა-წონა რომ არა აქვს, არც საზღვარი და შენი-ჩემის არა გაეგება-რა. საცა ფეხი ჩაუვა, ბოლომდე ჩაიტანს, ასე შემოიჭრა ეს ძალა მოკრძალებული თამ-რიკოს სამყოფელში, ყველა კუთხე დაიკავა, ყველგან მიდგა-მოდ-გა, გაბაბაკებულმა დიასახლისი ლამის ხელის გოგოდ დაიყენა.

თვინიერი თამრიკოსთვის ფიალა მაშინ აივსო, როცა საღამოს დაბრუნებულს საკუთარ სახლში უხამსი სურათი გადაეშალა: მის საწოლზე წამოგორებული ვიღაც ნახევრად შიშველი ქალი მუსი-კას აღრიალებდა და შამპანურის ცარიელ ბოთლს კარს უმიზ-ნებდა.

იქით, აბაზანიდან ამომძვრალი, მთლად გაწუნული ტიტლი-კანა რაღაცას ღილინებდა და მის დანახვაზე, ეს ვიღა მოსულაო,

დამცინავად დაიკვლანჭა. სამზარეულოში გაურეცხავი ჭურჭელი მიეყარ-მოეყარათ და ნიუარაში გამოცარიელებული ქვაბების გორა იდგა.

— ეი, შენ, წრუნუნავ, რას გაშტერებულხარ, თეონა თუ გინდა, აქვე მაღაზიაში გავიდა, მალე კაცი უნდა მოუვიდეს ნაშას, ამ გაჭიმული სახლის პატრონი.

უტიფრობის წინაშე მთლად დაბნეულმა, ულონო და დაუცველმა, თავდაკარგულმა თამრიკომ კარი გაიხურა და მშობლებ-თან გაიქცა...

ლამით გვიან გუჯამ მიაკითხა, ძალისძალად წამოიყვანა. შინ მხოლოდ თეონა დახვდათ, ალერლილი და ირონიული. ზურგშექცეულმა მისთვის გამოყოფილ ოთახს ისე მიაშურა, ხმაც არ გაუცია.

— რა მოხდა, „პადრუგები“ მოუვიდნენ და გაილალეს, შენ რა დაგაკლდა ამით? — საყვედური მოესმა გუჯას ხმაში.

— ეს კი მეტისმეტია, ვეღარ გავუძლებ გაუგონარ უსირცხვილობას და ვერც საეჭვო ქალებს წავაბილწინებ ოჯახს. გაისტუმრე ეგ შენი ბავშვობის მეგობარი თუ ნაშა ახლავე, — ამბობმა გაიუღერა მორჩილი თამრიკოს სიტყვებში, გუჯასთვის თითქოს მოულოდნელად.

— ამას ვერ ვიზამ, კაცობის საკითხია.

— მაშინ მე წავალ და აღარ დაფრუნდები, სულ რომ მუხლებზე დამიდგე.

— ასეა? კი ბატონო, მიბრძანდი, მე ჩემს სახლში ვარ, თუ აღარ გინდივარ, თქვი, ძალით ხომ ვერ გაგაჩერებ, ხომ არ დაგაბამ? მაგრამ ნუ დაივიწყებ, რა ვიყავი თქვენთვის ყველასთვის, — წყენით სავსე ოთახიდან გაგულისებით გავიდა.

დილაადრიან საძინებელში რომ შეიხედა, თამრიკო იქ აღარ იყო.

ჩაიცინა, ესეც ესეო, თქვა და მოვარაყებულ სარკეში ჩაიხედა — იქიდან სცენარის ოსტატ-ავტორი კმაყოფილი უმზერდა.

თხელი ძენცვი არ ჩაწყდა, ისე იყო აწყობილი...

დათას ოჯახის ბედის ბორბალი მთლად უკუღმა აპრუნდა. გათვალისწინებინიდან გამოსახლებულმა, სადღაც შეაფარა თავი, გადანახული სამკაულები სანთელივით დაილია, ძვირიანი ნივთები ვალებმა გააქრო. ჰაერში ხმა გაკრთა, ამათ დაქცევაში სიძის ხელი ერიაო, მაგრამ ვინ დაამტკიცებდა, ასეთი ბიჭი ამას როგორ ჩაიდენდაო, ისედაც ვერავის დააჯერებდი.

გუჯას ამბები მოსდიოდა – დათას გასვენებაზე ათი კაციც არ ყოფილა, ისე მიაბარეს მიწასო, მთლად გალეული თამრიკო ნამ-ცხვრების ცხობით არჩენს დედასო. თავად თამრიკოს ერთხელ შეხვდა განქორწინების საბუთზე ხელის მოსაწერად მისულს. იმ საბუთში სიტყვაც არ იყო წილის გადაცემაზე.

– დახე, დახე, რა ამაყი ყოფილა ეს დაგლახებული, – გულში დასცინა გუჯამ. მას მერე აღარც გახსენებია.

ახლა სხვა – მაღალ ბაქანზე შედგა.

იცოდა, იქ თამაშები მანამდელი თამაშუკები არ იქნებოდა. ზვიგენების ტრიალში ერთი გაუთვლელი სვლა და იმათი კბილებით გამოშიგნული, დაკივლებასაც ვერ მოასწრებდა.

მაგრამ ის ხომ მოთამაშე იყო და სწორედ ცეცხლთან ახლო მისვლა უძლიერებდა ვნებას, თვითდამკვიდრების სურვილს უმ-ძაფრებდა. სჯეროდა, რომ მისნაირად ბარე ორი ვერ გადააფა-ფებდა ჩანაფიქრს, ვერ გააბამდა გაუვალ ქსელს, სცენას ვერ გა-აწყობდა გარედან მზიანს, შიგნით ავდრიანს.

კვლავ დერეფანში უნდა გაევლო, უფანჯრო, დახუთულ, უფ-რო შმორიანში და გაიარა კიდეც: სიძედ ივარგებო და გახდა სიძე, კაი „კრესლოში“ ჩაჯდებიო და ჩაჯდა მთავრობის აპარატის უფ-როსად, საიდანაც ამა ცხოვრების ჰორიზონტის ნათება ხელის-გულივით იშლებოდა, ორივე ხელს საამოდ ათბობდა.

ოლონდ დიანა-დიკო, ვაი, როგორ არ ჰეგავდა თამრიკოს! ყვე-ლა გზაზე ნაცად-ნავალს თითის აწევით მოსწონდა ურთიერთობა – შინაც და გარეთაც, შეპასუხებას განანებდა. გუჯამ ამასაც მოურგო გასაღები, რაღაც-რაღაცაში აიყოლია კიდეც, მარა ფხიზლად იყო – ამნაირთან თვალებლია უნდა გეძინოსო.

მოხედვა ვერ მოასწრო და, დროს ვერ დავკარგავ – ქმარზე უფროსმა პირველი შვილი გაუგორა, თვალსა და ხელს შუა მეორეც. ბედნიერი მამის როლში იდგა, ბედნიერი ბაბუის საამებლად. მამამისის პეტრესი კი არა – იმან ზურგი შეაქცია, ანგელოზი გოგო რატომ დაგვიკარგეო. ჭექაქუხილგამოვლილი ახალი არანაირად ეპრიანებოდა.

უმოძრაობას რომ ვერ იტანდა გუჯა, ახლა უძრავ-მოძრავის დაგროვებას შეუდგა. ამ საქმეს მადააშლილობა ჭირს და ისიც, მოუთოკავი სურვილების ტრიალში, ნაირ-ნაირ ხერხს იგონებდა, ათნაირად დაწნულ-დაგრეხილს.

მალე ისეთში შესახლდა, სრა-სასახლეაო, იტყოდი. გაკვირდებოდი: ამ ცისფერ-ვარდისფერ მარმარილოთი შესამოსად რა ჯიბე უნდა ჰქონდა იმას, ვინც გააკოტრეს და ჩალისფასად თვითონვე ჩაიგდეს გამკოტრებლებმა.

ცოდვიან სახლში ნუ შეხვალ, გეშინოდეს, შვილები გყავსო, ამაოდ არიგებდა პეტრე შვილს. შევიდა კი არა, შეგრიალდა და დიდი ნადიმიც გაჭიმა, სხვის ხარჯზე. თვლა რომ დაეკარგა დაგროვებულის, ახლის წამოწყებამდე, გუჯად მოიწყინა.

გართობა მჭირდებაო და თეონას დაურეკა:

– რაო, ჯიგარო, გიჭირს? მოდი, სიურპრიზებს დაგახვედრებთ ჭკუიდან ასაწევს, – კაცთმცოდნეობის დოქტორი, დოქტორობას შეპირდა.

დიანა-დიკო რა ჩიტი იყო, ქმრის ფარული ხვანცალი გამოჰპარვოდა. ჰოდა, მიუვარდა სიურპრიზის მომწყობს.

– დედიშენის ძღრენს ნუ სჭამ, უბედურო, გაგანადგურებ, შანთით ამოგინვავ ემაგ სიურპრიზებით გაცვეთილ ხვრელს, – ღრმად ჩამჯდარმა თვალებმა მიახვედრა, მუქარაზე მეტს იზამდა.

ასპიტივით შემართულმა ორი შვილის დედამ კბილებში გამოცრა, თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამოსო.

გუჯასაც არ აკლდა ხედვის უნარი – უნდა დავასწრო, ვიდრე მამამისს ჩაუკაკლავს და ჩემს დასჯას მოსთხოვსო. ერთი ძველი, მთლად გადასაგდები მანქანა იყიდა და თავადაც ძველმანებით შენიდბული სახლიდან გასულს უკან გაჰყევა…

საბჭოურ-ქალაქური ტიპის პირველ სართულზე შესასვლელი კარის შეღებას დიდი გარჯა არ დასჭირვებია, არც ვიდეოთვალის საჭიროდ შემალვას. ცოტაც დაელოდა და მოსაპოვებელიც მოიპოვა.

— თქვენთან კონფიდენციალური საქმე მაქვს, გადაუდებელი და კაბინეტში მიმიღეთ, — შეუთვალა სიმამრს. დიდი სიფრთხი-ლით დაუდო სანახავი და მწუხარედ თავჩაქინდრულმა, ახლა რას მიბროანებთ, რა ვქნაო.

ის გაბრაზდა, თუმცა არ გაჰკვირვებია, ეს გოგო თავისას არ იშლისო, — გულში გაიფიქრა

— ამჯერად აპატიე და მერე შენი კაცობის მე ვიცი, — მხარზე ხელი გადახვია.

ვიდეოჩანანერი დაუტოვა, ასლი ხომ ჰქონდა...

ქალი გუჯასთვის მხოლოდ მდედრი იყო, დუნე არსება და მალე რომ ხუნდება, ისეთი რამ. მბორგავ სიცოცხლეში ქალისთვის წვა-დაგვა იგივეა, რაც სიცარიელეს რომ მიახარჯო დაუდრო-მელი სურვილებიო. სიყვარულზე ხითხითებდა, ნეტავ, რა არის, მაცოდინაო.

მაგრამ შემთხვევას არ გაუშვებდა, სხვისთვის რომ არ წაერთმია „ვარიანტი“, როგორც თავად ამბობდა, ისე, სასხვათაშორისოდ. ისევ თვითკმაყოფილების ჟინით ატაცებული, უცნაურ შეგრძნებებს მიეცემოდა ხოლმე.

შეგრძნებები თრობაში გადაუვიდა, უამისოდ აღარ შეეძლო. საზღვრებში დაუტეველს სურვილი ზღვაებრ მოაწვებოდა და იგი ლამის დაენაცრა. მოწოლისგან თავისუფლდებოდა, როცა ვინმეს დამდაბლებას შეძლებდა, სულიერ ჩაქოლვას.

ოღონდ აკვიატებული თუ მანიაკური ეს ლტოლვა სცენურ მოქმედებაში უნდა გაეხვია და დრამატურგიული ხაზის განვითარებისთვის გარედან ეცქირა.

ახლაც ზნენამზდარი ცოლისა არ აღელვებდა — რქიანი სხვისი თავის დანახვა სჭირდებოდა, იმაზე სიცილ-ხარხარით განტვირ-თვა. ამ ავადმყოფურ ყოფაში სცენარიც მოამზადა.

როგორც სჩვეოდა, ერთი ცოლ-ქმარი დაიახლოვა, უფრო კი ქმარი, ცოლთან ადრე, გათხოვებამდე ისედაც სიახლოვე ჰქონდა მოკლევადიანი. ვერ გივიწყებ და მოდი, გავიხსენოთ ადრინდელიო, იცოდა იმის ვნება-ფიქრები ზენანი და გაჭიმა მოქმედების ხაზი.

მასპინძლობაში თავგამოდებული დაათრობდა ხოლმე ალა-ლად მინდობილ ქმარს და ეშმას ხითხითით ჭიშკრამდე აცილებდა მოქანავეს, გასვლას ძლიერ რომ ასწრებდა, პირიდან იაფიანი სასმლის ამოსაქცევად. ის კი გულლიად ძმობას ეფიცებოდა და კაცობის ნიმუშად მიიჩნევდა, ლექსიც კი უძღვნა სადღეგრძელოში, როცა უანგარო გუჯამ კაიხელფასიანი სამსახური უწყალობა.

ცოლ-ქმართან ერთად სუფრაზე ისინიც ჰყავდა ხოლმე, ვინც იცოდა ახლა უკვე სხვისი ცოლის მაშინდელი ხრიკები, როგორმე გამოეჭირა მომავლიანი გუჯა და ახლანდელი ამათი ხვანცალიც. მასპინძელთან ხელგადახვეულს უცქერდნენ და ვაი, მაგის პატ-რონსო, – ერთმანეთს ხან თვალს ჩაუკრავდნენ, ხანაც ცოლის გულგრილ გამოხედვაზე, დამცინავად უღიმოდნენ.

გუჯას სცენარში ეს კულმინაციური წერთილიც იყო და განტვირთვის ფსიქოლოგიური ზენიტი.

– მე Homo Faber ვარ, ადამიანი-ინჟინერი, დიახ, დიახ, ადამიანთა სულებისა და ქმედების ინჟინერი.

თუმცა ზენიტს მისას არც ლიცლიცი აკლდა – ბატონო გუჯა, ინებეთ, ბატონო გუჯა, რასაც გვიბრძანებთ, და არც ფერხთით ხელის ბიჭების ზრიალ-ტრიალი,

მაგრამ ცხოვრების სიხარბე უძლეველია, უნაშთოდ ახურდავებს, დაუცხრომელ ბორგვაში ღლის, არაქათს აცლის. ასეთ წუთებში დიდი კაბინეტის მბზინავ სავარძელში ის უცნაურად გაირინდება.

– რაო, რა სიბრძნე აფრქვია იმ ბებერმა სოკრატემ – Gnothi Seauton შეიცან თავი შენიო. იმისას ჩემს სიბრძნეს შევაგებებ: შექმენ თავი შენი-მეთქი.

— ბებერი სოკრატე, ალბათ, კითხვითვე უპასუხებს: — რას იხდი თავის შექმნაში, ვინძლო ძვირზე ძვირსო და სოკრატული ირონიით ჩაჩუმდება.

შემმეცნებელმა იცის, გამრუდებული ნება, ბოროტი მიზნის ენერგიად ქცეული, არ ჰქმნის, ის ანგრევს...

\* \* \*

— ცხენი, წითელი ცხენი, მომაშორეთ, მიშველეთ, ბნელში მიმათრევს, ფლოქვებით მტკეპნის, — ძრწოლვაატანილის ძახილმა ააფორიაქა ოჯახი.

— ჩქარა, გომართელს დაურეკეთ, დროზე შემატყობინეთო, ხომ გაგვაფრთხილეს.

ოცი წლის ბიჭი ტელეფონს დასწვდა.

— ისევ დაეწყო, ბატონო ვახტანგ, აბი ვერ დავალევინეთ, გვებრძვის.

კაიხანს ეჯდა სასთუმალთან შუახნის კაცი მთლად გაქვავებულ გუჯას და თვალს ადევნებდა მისი სახის უილაჯო მეტყველებას.

მთელი წელინადია ცდილობს გამოცდილი ექიმი ამ გახშირებული ფსიქო-ისტერიკული შეტევების ძირი მიზეზების დადგენას, მაგრამ ამაოდ. ვერა და ვერ გაშიფრა იმ „წითელი ცხენის“ მბორგავი კოდი, ასეთი აპოკალიფსური შიშით რომ იპყრობს ავადმყოფს.

შეტევის დაცხრომის მერეც, ვერაფერს ადგენს, რადგან იმას არაფერი ახსოვს და როცა „წითელი ცხენის“ საიდუმლოს ჩაეძინა, მუდამ ყრუ კედელს აწყდება ხოლმე.

ფსიქიატრმა ალბათობრივი დიაგნოზი მაინც დასვა: ჰალუცინოზი, გონების დაბინდვის ისეთი მოვლენა, როცა ყურთასმენა იულინთება მყვირალა ხმებით, მას რომ ლანძღავენ, ემუქრებიან, ავკაცობაში ადანაშაულებენ, ზოგი აწყნარებს კიდეც, მეგობრულად ელაპარაკება. მაგრამ აღგზნებულს უფრო მეტად მოხვიხვინე წითელი ცხენი ტანჯავს, ლოგინს აცოცებული ხვლიკები, ვირთხები და ობობები.

წამლებს მხოლოდ გომართელის ხელიდან იღებს. ცოლ-შვილს არ ენდობა, მათი ლალატის შიში იპყრობს, ასე ასკვნის ექიმი. მაგრამ ერთი რამ აფიქრებს და ვერ აუხსნია – დიაგნოზს დასნეულების ყველა ნიშანი ადასტურებს, რისი წარმომშობი ალკოჰოლიზმი ან ნარკომანია უნდა იყოს, მსგავსი კი არაფერი ყოფილა გუჯას ცხოვრებაში. მაშ, საიდან?

ჩანს, არ სცოდნია მკურნალს, რომ თრობა ოდენ სასმელმა და საშხაშ-თრიაქმა არ იცის, რომ არის რაღაც სხვა მათრობელა, ურომლისოდაც ვერ არსებობ, ვერ სუნთქავ, ის ცხოვრების კუზად გექცევა, ზემოდან გაწვება და ღამის წკვარამში დაგარბენინებს.

– ვერ დაგიმალავთ, შესაძლოა პროცესი გართულდეს ან სხვა სინდრომი დაემატოს. მთავარი და გადამწყვეტი მუდმივი თვალის დევნებაა. ფანჯრიდან გადახტომის, თვითდაზიანების ან სულაც სხვებზე თავდასხმის სურვილიც არაა გამორიცხული, – ცოლს მიმართა.

– იქნებ გვიჯობს, საავადმყოფოში მოვათავსოთ? თქვენც ასე არ შეწუხდებით.

ცუდად ენიშნა ექიმს ქალის ნათქვამი, მზრუნველი ცოლი ასეთ კითხვას არ დასვამს. განა არ იცის, რა არის ის საავადმყოფო, ამ მორთულ-გაჭიმული დიდი სახლიდან იმ ჯოჯოხეთში გადაყვანა რით დამთავრდება, ამაზე არ წუხს. მდუმარედ მიაჩირდა.

გამჭოლ მზერას გაუძლო ქალმა და მის თვალებში ღრმად ჩაბუდებულმა რაღაც შავმა ქადილმა თავად ექიმი შეაკრთო.

სწრაფად გამოემშვიდობა და მომვლელს დავალება მისცა.

„ნითელი ცხენის“ სინდრომმა კი უმატა. ექიმმა ვერ ამოიცნო, ვერ გაშიფრა ის, თუმცა სიკვდილოვანი საწყისი და დასაბამი გუჯას ცხოვრებისა იქ რომ იყო, ღრმად სჯეროდა.

ადამიანთმცოდნეობაში ყველაზე დახელოვნებული ფსიქიატრიც კი ვერ ჩასწვდა იმას, რომ ცხენის ძუაზე სურვილების მძიმე აცმა დაუტევლობის გამო საბოლოოდ განყვეტს ძუას და დაშლილი აცმა მიმოაბნევს სნეულების კიბოვან უჯრედებს, რაიც მერე „ზნეობრივი აშლილობის“ ამოუცნობ სინდრომად დასახელდება.

დილაადრიან ვახტანგ გომართელი ტელეფონის ზარმა გამო-  
აღვიძა.

— ვერაფერს გავხდით, დანით ხელში დარბის ოთახებში, ნითე-  
ლი ცხენი უნდა ვიპოვო და მოვკლაო. რა ვქნათ, ექიმო?

სახლს რომ მიადგა, სვეტებიან შესასვლელში აღლვებუ-  
ლი ადამიანები ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ექიმს ცოლი მიუახ-  
ლოვდა.

— ველარ დაგელოდეთ, ისეთი ვითარება შეგვექმნა, იძულებუ-  
ლი გავხდი, ფსიქიატრიულის სასწრაფო ჯგუფი გამომეძახებინა.

— გასაგებია, ყოველივე გასაგებია, ნულარ გააგრძელებთ, —  
გომართელმა ჯიქურ მიაგება.

არც ქალმა დაიხია და დაბლვერით გახედა.

— ეს ჩვენი პირადი საქმეა და ჩვენივე გადასაწყვეტი.

ექიმმა გაიკვირვა, ეს ნათესავ-ამხანაგები ასე უცებ აქ რამ  
შეჰქარაო. იმათ საუბარს მაინც ყური მიუგდო.

— აფსუს, რა მაგარი კაცი გაფუჭდა. ვინ იფიქრებდა, ამ დღეში  
ჩავარდებოდა ასეთი ნებისყოფიანი, განწონასწორებული...

— კი, ასეა. კაი სიტყვა არ დაენანებოდა, დახმარების ხელი გაწ-  
ვდილი ჰქონდა და შენსას გაიზიარებდა, შეგეკითხებოდა ამაზე.  
იმაზე, ყველაფერს დააზუსტებდა. რამ შეშალა ასე, რამ დაანარ-  
ცხა, საოცარი და გაუგებარია.

— აბა, აბა, რა საქმიანი, წუთს უქმად რომ არ დაკარგავდა, ყვე-  
ლაფერი რო ეხერხებოდა, ცივ ქვაზე დაასახლებდა კაცს.

— რა სიტყვის კაცი იყო, არასოდეს არაფერი ავინწყდებოდა,  
ტყვიას ტყვიაში აჯენდა, რა მოფიქრების უნარი ჰქონდა, გასაო-  
ცარი. მიზნისკენ დინჯად, ორგანიზებულად მიდიოდა და ყველა-  
ფერში იმარჯვებდა. ამხელა ქონება — ფირმები, სახლები, მიწები  
— სულ თვითონ მოიპოვა, აბა, მამამის პეტრეს კი არ დაუტოვებია.

— სამართალია ახლა ეს, გაკოჭილი რომ შეაგდეს მანქანაში.  
მაინც რას იხვერებოდა, ვერ გაიგებდი — გამიშვით რკინის გისოს-  
ზე დაკიდებული ხატაურა კატის კნუტი მეძახის, უნდა ჩამოვ-  
ხსნა, უნდა ვუშველოო.

— ანდა, რა აჰევიატებია — წითელი ცხენის ბრალია ყველაფერი, როცა მოვსპობ, კარგად გავხდები, გამიშვითო.

— ცოლი მეცოდება, თავად ერთგულმა ერთგული ქმარი დაკარგა. კიდევ კარგი, დილაადრიან გაგვაფრთხილა, მოდითო. მარტოა, შვილები ხომ საზღვარგარეთ არიან სასწავლებლად, უფროსი ვაჟი აქამდე აქ იყო, გუშინ გამგზავრებულა...

გომართელი აჩქარებული ნაბიჯით გაეცალა იქაურობას. ჯერაც ყურში უბზუოდა ნალაპარაკევი. უცბად შეჩერდა, ხელისგული შუბლზე იტკიცა, თითქოს ბანგიდან გამოერკვა.

— ღმერთო, დიდებულო, ნუთუ ამ დრამის ვითომ გამზიარებელთა ნალაყბებს უნდა გაეხილა ჩემთვის თვალი. აქამდე გონების ხმა თურმე დახშული მქონია, არადა ამოუხსნელი რებუსი ხომ მარტივია: „წითელი ცხენი“ და „კატის კნუტი“! — ამ ორივესი, ანუ სურვილებისა და ზნეობის შეჯახების, ორი კონფლიქტური საწყისის გენომი ყოფილა.

სურვილების უძლეველობამ და ზნეობის მარცხიანობამ მუდმივ ურთიერთჭიდილში ძირი გამოუთხარა ფსიქიკას, რაღაც ტოქსიკური მკბენარი შეუსია, მთლად დასვრეტილი დაშალა იგი.

დაჭიმულმა მავთულმა ვეღარ გაუძლო სულ უფრო მომეტებულ ძაბვას და ჭახანით ჩაწყდა.

მოხდა ისე, როგორც თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. იმ ორთაგან ვინ აჯობა?!

საუკუნეების გამკივანი ხმა კი არ წყდება — ეპეი, თქვენ, შეისმინეთ, ზნეობა ადამიანის დემონია, დემონია...



ქალას ხიჭი ჩაძევდა იყო



აზრს მარტოობა უყვარს. როცა სურთ  
გადაეხვიონ, ის განზე გაიწევს ხოლმე.

მარტინ ჰაიდეგერი



მაშინ მაგნიტოფონი სიზმრადაც არ არსებობდა და არც ფირ-  
ფიტების ელექტროგამხმოვანებელი. ტრადიციული პატეფონი  
კი თავისი მოსქელო შავი ფირფიტებით, ასე რომ უფრთხილდე-  
ბოდნენ ოჯახებში, ყველას ხომ არ ექნებოდა. არადა, თბილისი  
ერთიანად დაჰყვებოდა იმდროინდელი პოპულარული მელოდი-  
ების ტალღებს. ვერავინ აჯობებდა ამათ გამდერებაში თუ მხატ-  
ვრულ სტვენაში.

კინოდან გადმოდიოდა ეს ტალღები. კინო იყო ქალაქის  
გრძნობის მუხტი და დერიტა, შავ-თეთრი ყოფის გამფერადე-  
ბელი. ახლა უკვე კლასიკად ქცეული დასავლური მუსიკალური  
ეკრანი, მაშინ როგორ იპარებოდა იდეოლოგიურ საცერში, გა-  
იკვირვებდა კაცი. მაგრამ პირიქით იყო. სწორედ იდეოლოგიაშ  
ომის შემდეგ ხანაში მოჰყოინა ქვეყანას, ესე წოდებული, „ტრო-  
ფეინი“ ფილმები – ამერიკულიც და, წარმოიდგინეთ, გერმანუ-  
ლიც. ალბათ, განაწამები მილიონების ნათელ ხასიათზე მოსაყ-  
ვანად.

ამ ჩანაფიქრმა გაამართლა იმითაც, რომ ეს მუსიკალური ეკ-  
რანი ესთეტიკურად ნატიფი, კარგი გემოვნების ნამუშევარი და  
ადამიანისთვის კეთილი განწყობის მომტანი, დიდხანს რჩებო-

და მეხსიერებაში და ფანტაზიას ამდიდრებდა. მაგრამ ჯადოს-ნურად სასმენი და თვალით მორთულად სანახავი, აუხდენელი სურვილების ძლივს მინავლებულ თესლს ნელი-ნელ აღვივებდა. ცნობიერსა თუ ქვეცნობიერში ფენებად აფენდა და დროში შორეულისკენ გატოტვილ ფესვს უჩინარ ძალად აქცევდა.

აი, ეს რომ ვერ გათვალა ყოვლისგამთვლელმა რკინისხელი-ანმა, ჩაიმუხლა კიდეც მერმისის წლებში და ჩაიკეცა ყალყზე შემდგარ „სურვილების ომში“.

მაშინ კი, კინოთეატრების სალაროებს მიწყვეტილ გოგო-ბიჭებში, ვინ ვის დაასწრებდა ფილმის მერე მელოდიების იმიტა-ციასა თუ საკრავებზე იმპროვიზაციაში, ამათთვის დიდ რამედ ღირდა. ნიჭიერ „სლუხაჩებს“ უცხო სიტყვები სულაც არ სჭირ-დებოდათ – მთავარი მელოდიების გაცოცხლება იყო ხმით თუ სტვენით, გასაკვირი მუსიკალური მეხსიერება იოლად რომ იტა-ცებდა დინა დურბინის, ჯანეტ მაკდონალდის, მარიკა როკის კაშკაშა ხმებით აუღერებულ კინოკადრებს, „ჯორჯ დინკა ჯა-ზიდან“ თუ გლენ მილერის „მზიური ველის სერენადის“ სიცოცხ-ლით გავსებულ კომპოზიციებს. ასეთ ვითარებაში მხატვრულმა სტვენამ წინა ადგილი ალბათ იმიტომ დაიჭირა, რომ უცხო სიტყ-ვიერი ტექსტის მიუწვდომლობა ამით გადაფარულიყო.

როგორ არ ჰეგვდა ამ დროის ესთეტიკური წადილი წლების მერე იმავე დასავლეთიდან, უფრო კი ამერიკულიდან წამოსულ, ესე წოდებული, მასკულტურის იაფიანი სუროგატით გატაცე-ბას, ქეცივით რომ მოედო ქვეყნიერებას და ჩვენშიც მაღალი გე-მოვნება შაურამდე ჩამოაფასა. თუმცა, დაბალი მოხმარების ამ, როგორც უწოდებენ, „ამერიკანიზმაც“ კარგა ინამყვანა „სურ-ვილების ომში“.

ახლა კი მელომან გოგო-ბიჭებში ლარა გამოირჩეოდა მხატ-ვრული სტვენით, რთულ პასაჟებს ისე ოსტატურად დაასრია-ლებდა სხვადასხვა რეგისტრში, მთლად დაგიპყრობდა. ბავშვო-ბიდან პიანისტობაზე მეოცნებე, მონდომებას არ აკლებდა საა-თობით მეცადინეობას. დედაც ფორტეპიანოს მასწავლებელი

ჰყავდა და ოჯახის ცხოვრებაც თავის კვალს გაჩვეულად მიჰყვებოდა.

ხელმოკლეობაში განაფული ლარას ოჯახი სოლოლაკში ცხოვრობდა. ერთსართულიანი განში გასული ძველი სახლი ეზოში იდგა. სამი საფეხურით მიწიდან ამაღლებული გრძელი ხის აივანი ხისავე ჩამრგვალებული მსხვილი რიკულებით დროს ისე ჩაემუქებინა, მოშავოდ შეღებილი გეგონებოდა. გარე კედლებზე რელიეფურად ამოყვანილ მორკალურ ჩარჩოებში ჩატანებული, აივანზე გამოსული დიდი ფანჯრებითა და ასეთივე ორი კარით, ის ძველი თბილისის სახლს უფრო წააგავდა, ვიდრე სოლოლაკურს.

ეზოში თითქოს ობლად ჩარჩენილს, გარშემორტყმოდა სამსართულიანი მეცხრამეტე საუკუნის გერმანული ფსევდოკლასიციზმის სტილის მძიმე შენობების გაყოლება, ეზოს მხრიდან მაღალი შუშაბანდებით აზიდული. ამათი ნაჩუქურთმევი რკინის ჭიშკრები და სადარბაზოს ორფრთიანი მორთული ხის კარები წარსულისკენ რომანტიკულად გიხმობდნენ, ისეთის მშვენიერისკენ, თითქოს იმ წარსულში ცხოვრებისეული ვაება არც ყოფილიყოს.

ეზოში ყრუ თაღისქვეშ გავლით უნდა შესულიყავი და აივანზე აგველო. მაღალჭერიან ოთახებში რაღაცნაირი სიძველის სუნი იდგა მუდამ, თითქოს გარდასულ დროთა საგანგებოდ შესახსენებლად, ღია ფანჯრებიდანაც რომ არასოდეს გადიოდა. ყოველი კუნჭული უჩინარ წარსულს გინამდვილებდა.

კედლის საუკუნოვანი საათი წითელი ხის წაკვეთ ჩარჩოში თეთრ ფაიფურზე ამოყვანილი ოქროსფერი რომაული ციფერ-ბლატითა და მთელ სიგრძეზე ჩამოშვებული გონგით, ბაკარას მინის კარით რომ იკეტებოდა, როდის დადუმდა და გახევდა, არავის ახსოვდა. ის კი გიცქეროდა და გეუბნებოდა თითქოს, ცხოვრება ჩემნაირია, შენს კუთვნილ დროს იწიკნიკებს, გონგსაც დაჰკრავს და ბოლოს რომ გაგიჩერებს, ეს არ დაგავიწყდესო.

ფართო, მძიმე ოთხკუთხა ფეხზე დაბჯენილი დიდი, მრგვალი მაგიდა ყასიდად იდგა შუაგულ ოთახში. ბოლოჯერ როდის გასწიეს ოცდაათკაცზე გამშლელი, არც ის ახსოვდათ. არადა, ვინ იცის, რამდენი ლხინი ზიდა მძლე ზურგით ასე მყარად მდგომა. ალბათ, უკვირდა კიდეც, რამ გაფანტა და გააქრო მორთულ-მოკაზმული ქალების კისკისი და გულდაჯერებული კაცების ბაასი ცხოვრების ავ-კარგზე, ხელგაშლილი მასპინძლის ფაიფურ-ბროლითა და ვერცხლით აკრიალებული უხვი სუფრა და მოახლეების ჩუმი ფუსფუსი. სიმყარის წარმავლობის არმცოდნე ავეჯთა შორის ფალავანს უკვირდა და ვერარა გაეგო.

ისევ გოროზად და თავმოწონებით ედგა კედელს სვეტებით ორ სართულად ლამის ჭერამდე აყვანილი ბუფეტი, ანუ იუგენ-დეტილის გერმანული კრედენცი – დეკორითა და ლომისთავიანი ბარელიეფით შემკული კაკლის მონუმენტური კარადა. ის იყო მთელი სახლის წარსულის მემატიანე, გასაკვირად ჯერაც იქ დარჩენილი.

ოთახის კუთხის სიღრმეში ბეკერის ძველი გახუნებული ხმა-ჩახლეჩილი როიალი იდგა, პიუპიტრზე მუდამ გაშლილი ნოტებით. თითო-ოროლა ვენური სკამი, მაღალზურგიანი სავარძელი მთლად გაცრეცილ-დაკენკილი სირმებიანი შალითით და ლარ-ნაკის დასადგმელი მაღალფეხიანი შავი ხის კონსოლი იმ დრო-ის ბინის მორთულობის ნარჩენი იყო, როცა ახალფეხადგმული თბილისური წერილი თუ მსხვილი ბურუუაზია ევროპიდან ეზი-დებოდა ავეჯსა და ნივთებს.

მაშინ ღირსების საქმედ და ქალაქის საზოგადოებაში დასამკვიდრებლად მთავარი ევროპულ ყაიდაზე მოსვლა იყო. ამის-თვის ორი რამ უნდა შეძლებოდათ: საკუთარი სახლის ევროპულად გაწყობა და შვილების ევროპული ნასწავლობა. ამ ორივეს-თვის მუთაქებში ჩაკერებული წლობით ნაგროვები ფულიც კი იხარჯებოდა, იმდენად აეტანა თავის გამოჩენის დაუცხრომელ სურვილს აღზევებული მესამე წოდება.

ახალი კლასის გაკულტურების თითქოს ახირებულმა ამ პირობამ ბურუუაზიული თბილისი მთლად დასავლეთისკენ შე-

ატრიალა, თუმცა კაპიტალის ჭირვეულმა კანონმა მაინც ვერ შეცვალა მანამდელი ძველი თბილისის ნირი, ვერ დაშრიტა და-სავლეთ-აღმოსავლეთის გზა-შესაყარზე დაგროვილი ენერგია და ისევ ის დარჩა ქალაქის სულის შთამაგონებლად, ან სულაც თავისებურ კულტურულ მოკარნახედ.

ძველი თბილისის ხიბლის სამუდამო ტყვეობაში ჩარჩა ახალი კლასიდან წამოსული ინტელიგენციის მთელი თაობაც, ვის მომავალსაც მალე საბჭოურ სინამდვილეში ჩაკარგვა ელოდა.

ლარა იმ ხანის ბოლო მემკვიდრე იყო. დიდი ოჯახიდან მარტო დედა და ოთხმოცდაათსმილნეული დიდედა დარჩენდა. ხელმოკლეობას შეჩვეულები, სულიერად იოლად სძლევდნენ ყოფის შეტირვებას. მუსიკა-წიგნი უვსებდათ სიცოცხლის აზრს და ლარაც არავის უნახავს დაღონებულ-დათრგუნვილი. პატარა ოჯახს დედა არჩენდა სამუსიკო სკოლაში მასწავლებლობითა და რეპეტიტორობით. იმასაც ახერხებდნენ, ოპერაში პრემიერა და გასტროლიორების კონცერთი არ გაეცდინათ.

მხატვრულმა სტვენამ სახელიც გაუთქვა და მეგობრების წრე მის გარეშე არ შეიკრიბებოდა ხოლმე. მათთვის ლარას ოჯახი მიმზიდველი იყო დიდედას გამოც. წინა ეპოქიდან გადმოსული სერფუიკ-ბაბო სოლოლაკური სომხობის ცოცხალ ისტორიად ქცეულიყო და ძველი სახლის დიდ ოთახში როდიდან შემორჩენილ მაღალზურგიან სავარძელში მუჭისხელად გალეულ, ნათელგონებიან მოხუცთან მასლათი თეატრალურ წარმოდგენაზე მეტად ულირდათ.

როცა დიდედა შეიტყობდა ახალგაზრდების მისვლას, ლარას საგანგებოდ თავის მორთვას დაავალებდა. სკივრში სათუთად შენახული ჩიხტიკოპიანი თავსაბური ქარვის შუბლის სამაგრით, ხელით ნაქარგი ვოლანებიანი, იატაკამდე დაფენილი შავი გიპიურის მოსასხამი და ჯერ კიდევ ცოცხალი რარიტეტი – ატლასის ფეხსაცმელი მთავარი დამამშვენებელი იყო ამ საღამო-წარმოდგენების. ოღონდ ერთს წუხდა მოხუცი მანდილოსანი – მრავალ-კარატიანი ბრილიანტის შუბლის სამაგრი ქარვით რომ შეცვალა

და ბაჯალლო ოქროს მსხვილ ძეწკვზე ალმასებით მოჭედილი კულონის მაგიერ შავი გიშრის გრძელი ყელსაბამი მკერდზე ჩა-მოუშვა. დრომ ხომ მხოლოდ ეს დაუტოვა...

გარშემოხვეული გოგო-ბიჭები ცნობისნადილით ჩაეძიებოდ-ნენ ხოლმე ტიკინ სერფუიკ, ეს როგორ იყო, მოხუცს რომ ესი-ამოვნებოდა, ისე მიმართავდნენ. ტიკინი ქალბატონს ნიშნავდა და, ჩანს, ძველ თბილისში თოჯინების ტიკინებით სახელდება აქედან წამოსულა. ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი, მორ-თულ-მოკაზმული კაიხელა ზომის ქალბატონ-ტიკინების ანუ თოჯინების პატარა მუზეუმი ორმოცდაათიან წლებში ჯერ კი-დევ იყო ათარბეგოვის ქუჩაზე მუსიკალურ „ნიჭიერთა ათწლე-დის“ ეზოს ფლიგელში.

– ტიკინ სერფუიკ, როგორები იყვნენ მაშინ კაცები, ქალებს უფლება ცოტა ჰქონდათ, არა?

– ჯანიკ, კაცები მაშინ იყვნენ, თუ იყვნენ, აბა! ოჯახს ნიავს არ აკარებდნენ, კისრამდე სამსედ აცხოვრებდნენ, მაშა. აი, მამაჩე-მი, ცხონებული სედრაქ გრიგორიანცი ადრე უპანში რო ვცხოვ-რობდით, ხელს დაჰკრავდა და საქმეს დასტურიც ზედა ჰქონდა. როცა სოლოლაკში მოვედით, იმას უკვე ქარვასლაში ფართლის დახლები ეგრერიგად გაეწყო, რომ სულ მაგის ხელში იყო.

სულო და გულო, რაც გინძოდა – ბარხატი, ფარჩა, აბრეშუმი, ატლასი, მაუდი თოფებად ჭერამდე ელაგა. ქალაქის თავადობა მაგასთან დადიოდა, მაშ. ჴოდა, მალე სოლოლაკში იყიდა სახლი, მებელი სულ პარიუიდან ჩამაატანინა. ჩემთვის კი ნემეცკი რო-იალი – მუზიკა უნდა ისწავლოო. ფორტეპიანოს უჩიტელნიცაც დამინიშნა, რუსის ქალი ნატალია ვარონინა. სულ ჩხუბი ჰქონდა უროკებზე. მუზიკას გული ვერ დავუდე, იმან შემაძულა.

მამაჩემი სოვდაგარ-დიდვაჭარი არ იყო, მაგრამა ყველგან პა-ტივისცემა ჰქონდა – პრისტავიდან მანთაშოვის კაცებამდე.

– ტიკინ სერფუიკ, ისიც გვიამბეთ, როგორ გათხოვდით – მა-ჭანკლით თუ სიყვარულით?

– აჲა, თქვე ეშმაკუნებო. ამასაც გეტყვით, აბა მა რა. მამაჩე-მის სავაჭროში ზოგჯერ მივდიოდი ხოლმე. იმოდენა ხალხი და-

დიოდა, ცქერა მინდოდა. ჰოდა, ერთხელაც იქ შემოვიდა ახალ-გაზრდა ლამაზი ბიჭი, კოხტად ეცვა, მდიდრულადაც, თმა-ულ-ვაში მოდაზე... დაყენებული. ფრენჩისთვის ანგლისკი შალის ატ-რეზი მინდაო. ნაირ-ნაირი რო აჩვენეს, იმას კი არა, მე მიცქერო-და. მეც ვარდივით გოგო ვიყავი, მაშა. გულში ჩამივარდა ეს ბიჭი და ისევ სავაჭროში მივედი. ისიც მოსულიყო განა. კოტე მიქელა-ძეო, თავი დამიკრა და ხელზე მაკოცა. მერე ჩვენი სახლის წინაც იდგა ხშირ-ხშირადა, ერთხელ მამაჩემს ჩემი ხელი სთხოვა.

— მერე, მერე, — აცმუკდნენ გოგონები.

— მერე და ისა რომა, მამაჩემმა, არაო. მოქეიფე კრასავეცი რაში გამოვადგებაო. ეგრე ყასიდად ამბობდა, თორემ მე და დე-დაჩემმა ვიცოდით, რა ძალუმად უნდოდა გვარიშვილი ქართვე-ლი სიძე, თანაც ეგრე თვალტანადი. მერე ჩემი ცრემლისღვრაც რომ დაინახა, ჯანდაბას, ყაბულს ვარო. ისეთი ქორწილი გააჩა-ლა, დიდვაჭრებიც დაპატიჟა და ქალაქის თავიც. ეგრე იყო.

პირველი ვაჟი ორი წლისა ძლივ გახდა, წითელა-ბატონებით მოგვიკვდა. ლარას დედა გვიან გაგვიჩნდა, ზედგამოჭრილი მა-მამისი, კოხტა-ლამაზი. აი, მუზიკა იმას უყვარდა, ფორტეპია-ნოს ვერ ააცლიდი. ლარაც, ბაბო დაენაცვლოს, ეგეც მუზიკის გოგოა, მიქელაძეების ჯიშზე წავიდა.

— ტიკინ სერფუკ, ახლა ისიც გვითხარით, მაშინ ეგეთი მეო-ჯახე ქმრები გვერდზე არ დადიოდნენ ქალებში, ან ქალებსაც არ დასცდებოდათ ხოლმე რომანები?

— ქაა, ეგ რა აზრები მოგდით ეხლანდელ გოგოებსა, ჽა? მა-შინ აგრე ხმამალლა ამაზე ვინ ილაპარაკებდა. კაცი კაცია და იქ სადლაცა თავის საქმეს თუ მოითავებდა, ოჯახს რაში ეხებოდა, რაში ეპიტნავებოდა. ქალი სხვა იყო, ლუბოვნიკს თუ გაიჩენ-და, ოჯახიც ხელიდან გამოეცლებოდა. მაშ, მაშ, აგრე იყო ჩვენს დროში. ოჯახი დიდ რამედ ლირდა.

უნდა გენახათ, პრაზნიკებზე რა სუფრა იშლებოდა, კუზნე-ცოვისას თუ უბრალოდ ვხმარობდით, ამ დროს ფრანციის ლიმო-ჟის სერვიზებს, ვერცხლსა და ბაკარას ბაკლებს ლამის სუფრა

ნაელოთ, – ერთბაშად ჩაუქრა გამკრთალი შუქი სახეზე მოხუცს, გაყუჩებულმა გულმა ტკივილი გაუხსენა.

იგრძნეს გოგონებმა და გასახალისებლად ჰკითხეს:

– პარიზში თუ იცხოვრებდით, ტიკინ სერფუიკ?

– რათა. განა ჩვენი სოლოლაკი რა იმაზე ნაკლებია. თანაც სომხების აშენებული. მაშ, მაშ. განა მარტო ეგა: თამამშევის ქარვასლაში იტალიანსკი პირველ ოპერის ტეატრი; კაზარიან-ცის დვარეცი ხომ არის და არის, არამიანცის ბალნიცაც ხომ აგრეა, – გამოცოცხლდა მოხუცი.

გოგონებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს და ჩაჩუმდნენ. ლარა დიდედას ჩაეხუტა და მეგობრებს თვალი ჩაუკრა.

წარსულის ბევრ სხვა სურათსაც აცოცხლებდა ხოლმე უამგა-მოვლილი დიდედა, მაგრამ არ ახსენებდა უბედურ დღეს, როცა მამამისს სავაჭრო დაუწვეს და იმ დღიდან მალე სახლთან მოსული ფაეტონიდან მკვდარი გადმოიყვანეს. არასოდეს იტყოდა მოქეიფე და მოთამაშე ქართველ თავადობაზე ქარსგატანებული ქონებით, ტანჯვის თავისი წილიც რომ გაიღო მაშინ.

არც იმას, როგორ გადაუქციეს „კომუნალკად“ სოლოლაკის სახლი და იქ ერთ ოთახში შეკუჭეს. ქალიშვილთან მარტო დარჩენილი, წლობით როგორ ირჩენდა თავს გადანახული ძვირფა-სეულობის ჩალის ფასად გაყიდვით. ერთი კი შეძლო და ვიღაც კაიკაცისა თუ მექრთამის მეშვეობით ეზოში ჩადგმული ძველი სახლი დაიბრუნა. ახლა რომ იყვნენ იქ... სერფუიკ-ბაბომ ისეთი ნათელი კვალი დატოვა ახალგაზრდებში, როცა გარდაიცვალა, მათი ჭირისუფლობით პატივით დაკრძალეს თბილისის ძველ სა-საფლაოზე.

დიდედის სახით წარსულის გაქრობას ვერ შეეგუა ძველი სახლი, დაღონდა და მანაც არყოფნა მოინდომა თითქოს. ყავარჯენ-გამოცლილმა ცალ მხარეს გადაიკოჩა, ამას ფანჯრების მორკა-ლული რელიეფიც მიჰყვა და დასერილ-დახეთქილი სევდიანად მხრებში მოიხარა. აივნის ჩამრგვალებული რიკულებიც ატირ-დნენ და მორყეულებმა დაცვენა მოინდომეს. ბოლო სუნთქვით

სუნთქავდა და წამოდგომა აღარ ენება ძველ სახლს, მრავალი ამბის მომსწრეს თავის დროსთან დაბრუნება უნდოდა, ამ დრო-დან გასვლა და გაქრობა. მან ხომ ბოლომდე უერთგულა იმ წარ-სულს, ახლა კი მომავლისა აღარ ეჯერა.

ოჯახის მთელი წარსულის ბოლო ბეგრა დაფუმდა ლარას-თვის. რაღაც გაურკვეველი ძალა წაერთვა, იდუმალი. ჩაიკეტა და ჩაირაზა. დედაც მთვარეულივით დაბორიალობდა ოთახებში, ოჯახ-სახლის მფარველი სული გასცლოდა თითქოს იქაურობას და მოტიტვლებულ სინამდვილეში დაუცველი მარტოდ მიეტო-ვებინა. არ იცოდა, როგორ ეშველა შვილისთვის. მეგობრებიც ეცადნენ, მაგრამ ამაოდ – ლარას კარი არ იღებოდა. მალე მოხდა ისე, როგორც წათქვამშია ზოგი ჭირის მარგებლობაზე...

გადაკოჩებულმა სახლმა ისეთი ბზარი მისცა, კედელში მზის სხივი იჭრებოდა. უნდა ელონათ რამე, შეეკეთებინათ. მაგრამ რით? ორივემ ოთახებში მიმოიხედეს და გოროზ ბუფუტს დაად-გეს თვალი – ამას თუ გავყიდით, თორემ სხვას რასო.

წაცნობებისგან გამოგზავნილი ქალი მოვიდა, სიძველებს რომ გადახედა, ხარპი მუშტრის თვალით ოთახები შემოირპი-ნა უტიფრად. ბუფუტი დაზიანებულია, ეს არ უვარგა, არც ესო, – იქაქანა და შესავლით კმაყოფილმა, ბოლოს, წავიღებო, დაა-მადლა. რაც დაუფასეს, იმის წახევარი თქვა, თან კონსოლიც წა-ამატა.

დედაკაცს, დაგეშილ ტურას რომ ჰეგავდა, ჩანდა, ამ საქმეში ჭიპი ჰქონდა მოჭრილი. თავჩაქინდრულმა მთლად წამხდარმა დედა-შვილმა ამოიოხრა და რა ექნათ, დასთანხმდნენ. ტურა-დე-დაკაცმა მეორე დღესვე გაარბენინა წადავლი და გზიდან წაჩქა-რევად გასძახა, ორ დღეში ფულს მოგიტანთო.

როცა წავიდა, მაშინ მოეგენ ჭკუას – ასე როგორ გავატანე-თო, მაგრამ გვიან იყო. ორი დღეც გავიდა, ორი კვირაც. ჩქამი არ ისმოდა ტურა-ქალისგან. გაოგნებამ შეანჯღრია ლარა და სინამ-დვილეს დაუბრუნა. დიდედას ხმა ჩაესმა ძილში: მაგრა დადექ, ბაბო დაგენაცვლოს, თორემ გაგტეხენ და გაგთელავენ პატიო-სანსა და გამოუცდელსა.

ბურანიდან გამოერკვა. თალღითის მისამართიც დაადგინა, თანამდებობის კაცისგან მიღიციაც მიუგზავნა. ორ დღეში საბარგო მანქანამ უსამართლოდ ჩაგრული ბუფეტ-კრედენცი თავის სამყოფელს დაუბრუნა. როცა შეიტანეს და დეკორიანი კარი გამოაღეს, შიგნიდან წითელი ცარცით ორსართულიანი გინება გამოესახათ – მთელი თქვენი მოდგმის ესე და ესეო, თან უწმანური ნახატიც ზედ დაერთოთ, სამასოიანი.

ლარა არ დაიბნა, პირიქით, ძალის მოზღვავება იგრძნო, თუმცა სიძველის იშვიათი ნიმუშის – კონსოლის გაქრობა გვიანდა შეამჩნია. ახლა მიხვდა, რომ ოჯახის კერია არ უნდა ჩამქრალიყო. ცაში მოფარფატე დედის იმედზე ველარ დარჩებოდა, თავად უნდა ეზრუნა. სახლის შეკეთება ვერ შეძლო, მაგიერ სამუსიკო ტექნიკუმი წარმატებით დაასრულა და კონსერვატორიაშიც ჩაირიცხა. ნიჭმა და შრომაშ თავისი მოუტანა.

სტუდენტებს იმხანად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმე ევალებოდათ – სხვადასხვა კუთხეში, ეგრეთ წოდებული, გასვლითი კონცერტების ჩატარება.

ერთხელ ლარა ვოკალისტებს აკომპანიატორად გააყოლეს ქუთაისში სამი დღით. წასვლის წინ აფორიაქებულმა დედამ, თავს მოუფრთხილდი, შემოდგომაა და არ გაცივდეო. ჩანთა მოუმზადა, ისე ჩააფრინდა და ჩაეხუტა, რაღაც სხვანაირად დაუმძიმდა გული.

იმ დღეს სულ ცრიდა და მოქუფრულ ცას გამოდარებისა არაფერი უჩანდა. სადგურიდან ტრამვაით ჩავიდა კოლმეურნეობის მოედანზე და ფეხით აუყვა ენგელსის ქუჩას. ყრუ თაღი გაიარა, კიბით აივანზე ავიდა და კარის სახელური მოსწია. გაღებისთანავე ხმამაღლა დაიძახა:

– დედი, მე ვარ. აბა, ხომ მალე დავბრუნდი!

ჩამიჩუმი არ ისმოდა.

– დედი, დედი. ხომ სახლში ხარ, კარი ღიაა...

მერე აღარაფერი ახსოვდა. ბნელოდა და რაღაც ჩხარუნებდა, ტაშტზე კაკლები ცვიოდა რაკუნით და წყლის შხაპუნი ზედ ერთვოდა...

საავადმყოფოდან მეგობარმა გოგონამ თავისთან წაიყვანა.

სახლში შესულმა მიღიციამ ხელფეხშეკრული იატაკზე დაცემული ქალი თავქვეშ ჩაშავებული სისხლის გუბეში, ორი დღის გარდაცვლილად დაადგინა და გამოძიებას შეუდგა. კაიხანს გაგრძელებულმა მხოლოდ ერთი დაასკვნა – კარი ნაცნობს გაუღეს. ის ნაცნობი გადამალულს ეძებდა. განჯინის კედლები ნახვრეტებად ამოტეხილი იყო, საკუჭნაოსა და ოთახებში ალაგ-ალაგ იატაკის ფიცარი აეყარა, გაუქმებული ბუხარი ბელტებად ჩამოცვენილ ბათქაშს გაევსო, მურაბის თიხის ქოთნებიც ამოყირავებული მიმოეფანტა.

ლარას არაერთხელ გაუგონია მამის, ვინაც ცოლ-შვილი მიატოვა და უსაქმურ-უშრომელმა სხვა ქალს შეაფარა თავი, ხაშურელი მობიძაშვილო ნათესავები სავითომოდ როგორ ხუმრობდნენ – სერფუიკბაბოს ოქრო-ბრილიანტი ისე ექნება გადამალული, საიქიოს რომ გაუტევს, იმ განძს ვერავინ იპოვისო.

ახლა დედა აღარ იყო, სხვას ყველაფერს კი აზრი დაჰკარგვოდა. მტანჯველი ფიქრების დახლართული ლაბირინთიდან რამენაირად უნდა გამოეღწია. ამ აუცილებლობას აცნობიერებდა ლარა, მაგრამ როგორ – მთავარ კითხვას პასუხი არ ჰქონდა.

ორმოცდაათიანი წლებიდან ნელინელ უონავდა რკინის ფარდის ნაჩვრეტებში ევროპიდან აფორიაქებული იდეები ადამიანის არსებობის საზრისზე, ეჭვებით აყირავებულ ცხოვრებისეულ ტრადიციულ მაქსიმებზე, სიმყარისა და კანონზომიერების რწმენებს მტკრად რომ აქცევდა – ეგზისტენციალიზმის მსოფლიგაგებამ კარგა მაგრა შეანჯლრია ადამიანის მოქმედებითობის მანამდელი ყველა გაეხა.

გონების შუაგულში ლოგიკური ცნებები კი არა, გრძნობისმიერი, განცდისმიერი თავისი ეგზისტენციალები ჩასვა. ისინი, რაშიცაა ჩატანებული ადამიანის ყოფნა და რაც მისი უსასრულო ბორგვის სამყოფელია, საცა ბოგინობს „სასრულობა“, „არჩევანი“, „სიკვდილი“, „შიში“, „ზრუნვა“, „თავისუფლება“.

რა უნდა ექნა ამ ეგზისტენციალებისთვის ადამიანს, არასოდეს სცოდნია თურმე, და დღესაც არ იცის, ალბათ.

ესე ამგვარად, თბილისის ეკრანზე ნაცრისფრად ჩამოწვა ეგზისტენციალიზმის მხატვრულად გაშლილი კინო-იდეა „თოლიები ნავსადგურში კვდებიან“. ახალგაზრდობის მაძიებელმა სულმა შეიგრძნო იქ ჩაშიფრული კითხვა და აიტაცა. საზრისის მოტივი მთლად გასცა და გაამჟღავნა მისმა მუსიკამ მელოდიურ-ჰარმონიულ აბსტრაქტულ ენაზე. იმ დღიდან ის იმპროვიზაციებში არ შეწყვეტილა და წლობით შემორჩია დროს, ისევ და კვლავ რომ გაეხსენებინა ყოფნის სრული ეფემერია, ხოლო სიკვდილის ერთადერთი წარუკალი ჭეშმარიტება.

ლარას ცხოვრება „თოლიების“ კვალს გაჰყვა თითქოს. იმის მელოდია კი თანამგზავრად აეკიდა. შეეძლო საათობით იმპროვიზირება კლავიატურაზე ახალ-ახალი ვარიაციებით. არავის გამოსდიოდა ლარასნაირად, გაოცებულ მეგობრებს ვერ გაეგოთ, რა ჟინი ჩასდგომოდა მის სულს, ასე რა ძალა უბიძგებდა.

„ყოფნა-არყოფნის“ ჰამლეტურ გზაგასაყარზე კარგად ნატკეპნი ფიქრები აღარ კმაროდა. არც აზროვნების ცისკარზე ჰერაკლიტეს აფორიზმი – „ქვეყნიერება მარჯვედ მიმოფანტული ნაგვის გროვაა“, შექსპირმა რომ თავისებურად გაიმეორა, „სარეველებით დაძებგვილ მინაზე“ მიდის ცხოვრებაო.

სხვებისას შეაფარა თავი, იმათსას, ვინც კერპად ექცა – ეგზისტენციალისტების. მათგან ელოდა პასუხს. არსებობის საზრისის შემეცნებამ აიტანა, სხვა არაფერი აინტერესებდა და არც სურდა.

ერთი შეიცნო: „ადამიანი სულ გზაშია და ნავსადგურს ეძებს, ღუზა რომ ჩაუშვას“. მაგრამ ვერ ახერხებს. არ ძალუდს იმიტომ, რომ ვერ აურჩევია, სად ესე იგი, „არჩევანში“ იხერგება გზა. „თავისუფლება“ კი მიეცემა თითქოს ამ „არჩევანის“ ჩიხიდან გამოსასვლელად, მაგრამ ამ „თავისუფლებაში“ მარტო იტანჯება ზენა ძალისგან მიტოვებულ-მიგდებული. თანაც „თავისუფლებას“ ქაოსი ფეხდაფეხ მისდევს, ყოველივეს შიგ ჩასათელად.

აი, რატომ უარყო „თავისუფლება“ აღმოსავლურმა ხედვამ, მისთვის არჩევანის „ან-ან“ არ არსებობს. არის მხოლოდ ერთი

მოცემულობა და ის უნდა მიიღო, დამორჩილდე. ერთი და სხვა არაფერი. მაშინ არც დაიტანჯები, არც „შიში“ გექცევა მოუშორებელ სისხლისმწოვლად და მხოლოდ ერთს დასჯერდები, გარდუვალს – „სიკვდილი“ არის უარჩევანო მოცემულობა. აღმოსავალურმა დესპოტიამ გაანამდვილა ეს ხედვა. დასავლეთმა კი ვერაფერი შეძლო იმ თავისი „თავისუფლებით“ და ცას გამოეკიდა უპასუხოდ.

უშედეგოდ დასრულდა ეგზისტენციალიზმის დანიელი ნათლიმამის, სორენ კიერკეგორის ფუნდამენტური „Entweder-Oder“ „ან-ან“ და კარიც მიიხურა.

მდუმარე კედელს რომ მიაწყდა ლარა, სხვა – ჰინდურ „უპანიშადებს“ მიაკითხა. იქაც კარი ჩარაზული დახვდა დიდი აბრით: „არსებობა არის ტანჯვა“.

რუდოლფ შტაინერი უქეს, ავსტრიაში რუსულად გამოცემული არალეგალურად რომ შემოვიდა თბილისში და მეათე ხელიდან ხელში გადადიოდა გადმონაბეჭდით. ადამიანს შანსს აძლევ-სო გადარჩენის, ოპტიმისტურ მხნეობას ანიჭებსო.

ასე ამბობს:

მარტო ერთი სიცოცხლე არ მიეცემა ადამიანს. „ცხოვრებისეული სიცოცხლე“, რაშიც ჩვენ ვართ შეკეტილები, მხოლოდ შუალედია ორ მუდმივ სიცოცხლეს სორის. პირველი იქაა, საიდანაც „აქ“ შემოვდივართ, „აქედან“ კი გადავდივართ „მესამე“ მუდმივ სიცოცხლეში. „ცხოვრებისეული სიცოცხლე“ ერთგვარი გამოცდაა – როგორ გავივლით მას, ესაა მთავარი კითხვა და ამოცანაც. თუ მიზნად დავისახავთ სიკეთეს, სიმართლეს, გარჯას, თავაზეული მხნედ გავივლით ამ შუალედურ გზას და უმტკივნეულოდ შევაბიჯებთ „მესამე“ მუდმივში.

მაგრამ უმეტესობას გაუჭირდება უხინჯო სიარული, სიხარბე და სულნასულობა მხნედ ვერ გაატარებს „მესამისკენ“. თუმც, მაინც შეეძლება დანაგვიანებული თავისი გზა თავად გაისუფ-თავოს და „მესამეს“ მიეახლოს – წვალებით, მაგრამ მაინც შეძლებს „იქით“ გადასვლას.

შტაინერმა თვითონ განმარტა, რომ ეს რელიგიური მოძღვრება კი არაა, ფილოსოფიაა თავისი ხარისხით. ასეა თუ ისე, კეთილია შინაარსით და ალბათ, ამიტომაც არასოდეს მოჰკულებია მის სწავლებას გამზიარებელი დღემდე. ახლაც ხომ აწერია ჰამბურგის ცნობილ უმდიდრეს ბლანკენებეს უბნის დიდებულ ვილას „რუდოლფ შტაინერის სკოლა“.

აქ შეჩერდა ლარა და ალარ გააგრძელა სვლა შემეცნების ბურუსიან გზაზე. ახლა უნდა წაეშალა კითხვის ნიშნები არსებობის ფურცლიდან და რთული შერწყმული წინადადება სამწევრიანი მარტივით შეეცვალა. სჯეროდა, რომ ამნაირად შეიტანდა სულის სიმშვიდეს და წონასწორობას ცხოვრების დამძიმებულ, არეულ სინტაქს-მორფოლოგიაში.

ლარას არჩევანში მიიღია ბორგვა და ის არჩევანიც გაპქრა. უთანალროდ მიატოვა კონსერვატორია, ძველი სახლის მტანჯველი წარსულიდან გავიდა, იმპროვიზაციის აღმაფრენაზე უარი თქვა... და უპატრონო ბავშვთა სახლში აღმზრდელის სამუშაოს მთელი არსებით მიეცა. მეგობრებმა რომ ვერაფერი გაუგეს, თანდათან მიმოიფანტნენ.

კოჯრის ბავშვთა სახლის შენობაში სენაკისმაგვარ პატარა ოთახში ცხოვრობდა, როცა ერთხელ მიაკითხეს. ვიღაც სქელ-კისრიანმა კაცმა შესთავაზა, თქვენს წაქცეულ ძველ სახლს თუ გაცვლით რვასართულიანში სამოთახიანის ორ ოთახზე, ფულ-საც დაგიმატებთო. საერთო ერთ ქალთან გექნებათო.

მაშინ მხოლოდ საკუთარი ბინის ყიდვა-გაყიდვა დაიშვებოდა და მესაკუთრე ამით დიდად უპირატესობდა სახელმწიფოს, ესე წილებულ, „უაკტის“ ბინის მცხოვრებელზე. ამიტომაც კარგად ფასობდა. ფულს დაგიმატებო, – ტყუილად როდი შესთავაზა სამაცდუროდ სქელ-კისრიანმა.

არადა, თავად „საკუთრების“ ცნებას ოცნების დიდი ძალა გააჩნდა ქვეყანაში, სადაც ფხიზლად სდარაჯობდნენ საყოველ-თაო სილარიბეს, ისე მედგრად, რომ სოფლად ორი ძროხის ყოლისთვის, გლეხს კანონით დასჯიდნენ. ათწლეულობით დაგუ-

ბებულმა ამ ძალამ ერთხელაც ისე იხუვლა ჯებირიდან, მოვარ-დნილ ნიალვარს საკუთარი მიწა-წყალიც ლამის თან გააყოლა.

ძველ სახლში არასოდეს დაბრუნდებოდა, მიკედლებულად ყოფნა კი არ ახარებდა. ლარა დათანხმდა სქელკისრიანის წინა-დადებას და იმის გაჩარხული საქმით სულ მალე რვასართული-ანი კორპუსის მკვიდრი შეიქნა. „ხრუშჩოვკის“ მოტივის სამოთა-ხიანში ორი დაიკავა.

შესვლისთანავე პირგაბადრული ახალგაზრდა ქალი ხმაურით შეეგება – როგორ მიხარია თქვენთან დამეზობლება, ვერანაირი საერთო კუნა და ვანა-ტუალეტი ვერ დაგვაშორებსო. ბარგის შეტანაში მონდომებული ქუსქუსით ეხმარებოდა.

საცხოვრებლად ჰაი-ჰარად ჩაბარებული კორპუსი დალამ-ბულ, მიბრეცილ-მობრეცილად დამანქანებულ კაბას რომ ჩამო-აცმევენ თმაგაბუნულ ქალს, იმას გაგახსენებდა. სადარბაზოს ჩაყავისფრებული თუნუქით აკრული კარი ასე გადახრილ-მოღე-ბულად დარჩებოდა სამისდღემჩიოდ. სართულებზე ამავალი კი-ბის საფეხურები უკვე ჩამოფშვილ-ჩამოტეხილი ნაპირით უხა-რისხო ბეტონს და ვიღაცის გასქელებულ ჯიბეს უტყუარად გი-საბუთებდა, სართულის ბაქნებზე ალაგ-ალაგ ამოცვენილ ოთხ-კუთხა პატარა ფილებს ბოლომდე ამოყრის ხვალინდელი ელო-და, წყალწყალად შეთეთრებულ კედლებს კი აქერცვლა დაეწყო. მოკლედ, ახალშესახლებულ კორპუსს სულ მალე ჩამოძონძილი მომავალი პირზე ეწერა.

შიგნით ბინებში თხელი ქაღალდის გახუნებულ-დაყვავილე-ბული შპალერი მოწყენილად კედელს აკვროდა, ზეთის საღე-ბავით ცუდად გარანდულ კარ-ფანჯრებს ეხმიანებოდა ნაწიბუ-რებში გამოჟონილი გუდრონის ზოლებიანი გამოუმშრალი ხის პარკეტი, ამ ძვირფასი მასალის დაუზოგავი გამოყენება გულს რომ გაუხეთქდა ბუნების დამცველს.

მაგრამ ავირამ სხვაგან იყო ჩასაფრებული – ეგრეთ წოდებულ სველ წერთილებში, რისი მიღვაყვანილობა სამკვდრო-სასი-ცოცხლოდ მტრობდა სართულებს შორის კეთილმეზობლობას.

მამასისხლად ნაშოვნ დეფიციტს – ჩეხურ კაფელსა და უნიტაზ-ნიუარას, იმ გარემონტებულ-გადაკეთებულ ჭერ-კედლებს რო-ცა ზემოდან ნიაღვრით ჩამოაქცევდნენ და ბოდიშსაც არ მოუხ-დიდნენ ხოლმე, მტრობას ვერანაირი კაიკაცობა წინ ვერ დაუდ-გებოდა.

არადა, კორპუსამდელი თბილისი ხომ ახერხებდა საერთო გრძელ აიგან-შუშაბანდებსა და შუაგულ ეზოში ტრადიციულად ჭირსა და ლხინში ერთად ყოფნას, გვჩაგრავენო, ამას ვინ იტყო-და ჯიშით განსხვავებულთა შუშაბანდებში.

„კორპუსულმა“ თბილისმა სახე წაართვა მის უწინდელ ხიბ-ლიან იერს, სულიც დაუზიანა – გაუცხოება, გულცივობა, პრო-ვინციული სიხარბე თითქოს თავს დაესხა ძველი ქალაქის კულ-ტურას დასამცრობად.

თუმცა საბჭოური „სიკეთე“ მაინც უპირატესობდა სახელმწი-ფო ბინების უფასოდ ჩამორიგებაში, კაპიკიანი გადასახადის და თითქმის მუქთა კომუნიკაციებით უზრუნველყოფაში. გლახა-კად შემოსილი სახლები კი ისეთ მყარ კონსტრუქცია-ჩონჩხზე იდგა, რომ თბილისის სეისმური მუქარები იმას ვერაფერს აკ-ლებდა.

კორპუსულ მომრავლებას ანგარების ღრმა ფესვიც ჰქონდა. სწორედ სამოცდაათიან წლებში სუროსავით მოდებულ მშენებ-ლობაში, აკადემიური გამოთქმით კორუფციამ, ანდაზურით კი „ხელი ხელსა პბანს და ორივე პირსაო“, სიმაღლით ცხრასართუ-ლიანსაც გაუსწრო ზევიდან ქვემოთ და ისეთ ზევით ჩამომავალ-ამავალი ლიფტით რომ მოძრაობდა და შარდშეუკავებლობის სუნი შიგ რომ აგრერიგად იდგა.

კორპუსულ ცხოვრებაში ლარას გადმოსვლა დროის ამ დინე-ბაში მოექცა. იქ ყოველივეს უცხოს მისთვის სულის სიმშვიდე არ დაურღვევია. სიმშვიდე ტანჯვეიდან მოსული იყო და მდიდარი შინაგანი სამყაროს მონაპოვარიც. სწორედ ამან მოუხსნა გარე-განი ცხოვრების ბორკილი, საკუთარ თავში პიროვნება მოანა-ხვინა. გათავისუფლდა და ჩასწვდა უპირველესი მიზეზის არსს,

დრამის ოსტატმა კალდერონმა ზუსტად რომ გაკვესა – ადამიანის უმთავრესი ცოდვა ამქვეყნად დაბადებააო. აქედან ისიც იწამა, რაზეც შექსპირმა ასე ხმამაღლა განაცხადა – არ არს ქვეყნიერებაზე დამნაშავეო.

სრულად გაითავისა ცხოვრების შიგთავსიდან გადმოდინებული ტანჯვის აუცილებლობის აზრი და გამოსავალი კვლავ სიმშვიდეში დაინახა. ამიტომ უყვარდა პუშკინის სტროფი – ბედნიერება არსადა, სულის სიმშვიდეამ მხოლოდ.

არსებობის საზრისის შემეცნებამ მანამდე მისთვის ამოუცნობი რამ – ქალისა და მამაკაცის მიზიდულობისა თუ სიყვარულის საწყისის ასეთი საწყისი აღმოუჩინა:

ერთს უნდა მეორის მზერაში საკუთარი თავი დაინახოს, თანაც ისე, როგორც მის ფანტაზიას ეხატება. ამიტომ იწყებს საკუთარი თავის შეთხვას გრძელ მონოლოგში. ეს დაუდრგომელი სურვილი მანამდე განაგებს, სანამ გრძნობის ტალღებად არ იქცევა და შიგ არ ჩაიყოლებს. მაგრამ მონოლოგი თავისას ამბობს და სხვისა არ ესმის. ამიტომაც ორად მოხრილი დიალოგი წელში ვერ იმართება. მონოლოგი კი იმდენს გასწვდება, სანამ ამოილევა, დაშრება და დაინირიტება. მაშინ ამონურულ ფანტაზიასაც ვეღარაფერი შეავსებს და სინამდვილედ იქცევა, იმ სინამდვილედ, რომელსაც მარტოობა ჰქვია. მარტოობას კი რომ გაექცეს, თავიდან უნდა ააგოროს ფანტაზიის ბორბალი და... ასე უსაშველოდ.

ლარაზე ლამაზს ვერ იტყოდი, მაგრამ ტანმორჩილს, ოდნავ კეხიანი ცხვირით, დიდი შავი თვალებითა და ტალღოვანი გრძელი თმით მოვარაყებულ სწორნაკვთებიან მის სახეს სანდომიანობა არ აკლდა. სახეს არეკლილი სულიერების შინაარსით უფრო მიმზიდველი, მუდამ ყურადღებას იქცევდა. შეეძლო თავი სიყვარულში გამოეცადა, მაგრამ გულგატეხილობის ლახვარს ისევ მარტოობა ამჯობინა. ამით მოიპოვა კიდეც ის, რისიც ჰენრიკ იბსენს სჯეროდა – ქვეყნად ყველაზე ძლიერი გახდები, თუ ყველაზე მეტად განმარტოვდებიო. სულის სიმშვიდესა და

მარტოობაში ლარა გაძლიერდა, ცხოვრებისეული ფორიაქი წარსულს შეატოვა.

გათენებული პირველი დილა იყო, როცა ოთახში ფაჩუნი შემოესმა. მოტრიალდა და გაკვირდა – კართან ბიჭუნა იდგა, ორი წლისაც არ იქნებოდა, გალეული და ფერმკრთალი, ცრემლიანი შენუხებული სახით მისჩერებოდა. მერე პატარა ხელები წინ გაიშვირა და დამარცვლით დე-და, დე-დაო, მისკენ ბარბაცით წამოვიდა. გულმა შეახსენა – იქ, კოჯრის სახლში პატარები „დე-დას“ ეძახდნენ, კაბის კალთას ეჭიდებოდნენ ხელში ასაყვანად. ეს კი აქ საიდან გაჩნდა, ისიც ხელში აყვანას რომ სთხოვს? კალთაში ჩაისვა და ნანინათი მიაძინა.

ასე შემოვიდა მის ახალ ყოფაში რაღაცით დაჩაგრული ბიჭი, ჯანითსავსე დედას რომ არ ჰგავდა და „მამა“ არასოდეს გაეგონა. მეორე, მესამე და შემდეგაც დილაუთენია ფაჩუნი მეორდებოდა, შეციცინებული თვალები და კისერზე შემოხვეული პატარა ხელები, ნანინათი.

ერთ ოთახში ვიწროდ არიანო, წუხდა თავისთვის, უკეთესი იქნებოდა, მის უფრო მზიან ოთახში დაეძინა ბავშვს, მაგრამ როგორ ეთქვა დედისთვის, შვილი ჩემთან გამოუშვიო. ბოლოს, როცა მაინც შესთავაზა, დაიძაბა, ვაითუ ვაწყენინეო.

– შენ კი გენაცვალე, რა კეთილი ხარ, შენზე უკეთესთან ვის-თან იქნება, – გახარებულმა პასუხმა რაღაცნაირად გააკვირვა და ჩააფიქრა.

შეეცოდა კერიდან აყრილი და „კაი ცხოვრებისთვის“ ქალაქში გამოქცეული მარტოხელა ქალი, ქალაქისა რომ არაფერი გაეგებოდა და ვინ იცის, როგორ ძალადობდა, რამენაირად რომ მორგებოდა იქაურობას. ალბათ, ამის იმედმა გააწბილა კიდეც, როცა ბავშვი მოავლინა და მოტყუებული ახლა მეტი მონდომებით „აწვებოდა ცხოვრებას“. არ ანაღვლებდა, რომ ამ მიწოლას არც ყალიბი ჰქონდა, არც კალაპოტი და იქიდან ამოვარდნილს ზნეობის სიყრუე ხავსივით ეკიდებოდა. არ აწუხებდა, გასლე-ქილი ენით რომ მალავდა სხვის უჯრებში ხელის ფათურს და

ლამით გასული დილას ჩუმჩუმად რომ შემოიპარებოდა ხოლმე. დროდადრო გატენილი მაფრაში შეჰქონდა ოთახში და მერე იქ იკეტებოდა. ერთხელ მოტანილი მაცივარი ოთახში დაუდგა, მეტი ადგილი გაქვსო.

ლარას ეცოდებოდა და არ იმჩნევდა შოვნაზე გადაგებულის პირმოთნე საქციელს, ცდილობდა შეშველებოდა. მოუვლელ პატარას საჭირო საკვებს უმზადებდა, ჰაერზე დაატარებდა, ბანდა და ურეცხავდა. ყველანაირად უჭირდა, მაგრამ თავს არ ზოგავდა. სქელკისრიანმა დანაპირები თანხის ნახევარი მისცა, დანარჩენს მერეო და გადაიკარგა. ფული კი ელეოდა. კოჯრის სახლში კვირაში ორჯერ მორიგეობაში კაპიკებს იღებდა.

იმ სამორიგეო დღეს კოჯორში ასულმა თავი შეუძლოდ იგრძნო. იქაურმა ქალებმა დაიჟინეს და როცა წნევა გაუზომეს, წამალი მისცეს და სახლში დაბრუნება ურჩიეს. ბედად, იქვე სანოვაგის საზიდი მანქანა ქალაქში უნდა ჩასულიყო.

ლამით დაბრუნებულმა ლარამ ფრთხილად შეალო კარი და ლოგინს მიაშურა. ფიქრებში შემოათენდა. სრულ სიჩუმეში დერეფნიდან ჩურჩული შემოესმა. მის აბსოლუტურ სმენას არ გასჭირვებია გაეგონა:

— ხომ იცი, რაც უნდა გააკეთო, — კაცის ხმაში სქელკისრიანი ამოიცნო.

— კი, კი, რავარც თქვი, ისე ვიზამ, ჩემო ოქრო, — ქლესა ხმამ უპასუხა, — ჰე, გეიპარე, თვარა დაბრუნებულა და შეიძლება დაგინახოს.

ახლა მიხვდა, როგორ აღმოჩნდა ამ სახლში. ჩაეცინა — ბანალური ამბავია. ცოლშვილიანმა შუახნის კაცმა ახალგაზრდა ქალი დააიმედა, ბავშვი გაჩნდა, მაგრამ ოჯახი არ მიუტოვებია. ახლაც ფარულად დაიარება. უთუოდ ისევ აიმედებს, ოჯახიდან წავალო. ცხოვრების გაცვეთილი ისტორიაა, ბანალური, მაგრამ პარადოქსულად მყარი მოცემულობის.

ქალიც ვალში არაა, ატყუებს, თუმცა მსუყედ ცხოვრების იმედს მაინც არ ჰყარგავს, თანაც რაც შეუძლია სცინცლავს და

სცინცლავს სქელკისრიანს. ბულვარული რომანივით წაიკითხა მის წინაშე გადაშლილი ცოცხალი სიუჟეტი. უფრო მეტად შეიცოდა სადღაც ქვევით ჩამდინარე ნაკადში მოფართხალე ქალი, პატარაც, არავისთვის საჭირო, ვისი ცრემლიანი არსება თითქოს ახლავე გრძნობდა თავის ხევდრს.

ყოველდღიურობა ჩვეულად მიედინებოდა, ერთი შემთხვევა რომ არა. დილაადრიან ქალის ყვირილი შემოესმა, არიქა, მიშველეო. ლარა ოთახში შევარდა. ბიჭუნა პირს აღებინებდა და კანკალებდა. გამოძახებულმა სასწრაფოს ექიმმა – საკვებმა აწყინაო, კუჭი ამოურეცხა და დიეტა დაუნიშნა. დედამ დიაგნოზის წერილობით გაფორმება სთხოვა შემცპარ ექიმს. ორ დღეში ბავშვი გამოკეთდა და უსიამოვნო ამბავმაც ჩაიარა.

ლარა კი წუხდა, ნუთუ მისმა მომზადებულმა კერძმა ჩააგდო ამ დღეში. მისხალ-მისხალ შეამონმა და მიზეზი ვერ დაადგინა. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ დედის მიცემული უზომო რაოდენობის ნაყინი ბიჭუნამ ვერ მოინელა.

უსიამოვნებამ მოუხშირა ლარას კორპუსულ ყოფას. ერთხელაც იყო და შუალამისას კარზე ბრახუნმა წამოაგდო ლოგინიდან. მეზობლის ქალს, ჩანს მაგრად ეძინა. გამოლებულ კარში ქვედა სართულის ცოლ-ქმარი აღშფოთებით ხელებს იქნევდა – ქერი ჩამოვიქციეთ, საით იყურებით, თქვე არანორმალურებოო. სამზარეულოს გაჭედილ სავსე ნიჟარაში ღია ონკანიდან თქრიალით ჩასული წყალი იატაკს ტბორავდა.

– ახლავე, გვაპატიეთ... ეს როგორ მოგვივიდა... ვერ გამიგია, რატომ, – შენუხებულის მობოლიშებას რალაცნაირი ირონიით უსმენდა ცოლ-ქმარი და დაკვირვებულ მზერას არ აშორებდა.

დილას სადარბაზოს ბაქანზე შეჯგუფებული მეზობლები საქმეს იხილავდნენ:

– სირაძეებს რემონტი მთლად ჩაუოხრეს ზედაურებმა. იმ შავთვალა გამხდარი ქალის ნახელავი იქნება სწორედაც. ვერ ყოფილა კარგად უბედური, ურევს და პატრონიც არავინ ჰყავს.

— კიდევ კარგი, ის დალოცვილი გოგო ზრუნავს. ახლაც და-ზარალებულებს თავისი ხარჯით ურემონტებს სამზარეულოს, წარმოგიდგენია!

— მაგის გაკეთებული იქნება, აბა, ვისი. ღამეები არ სძინავს თურმე, პინაში დაბორიალებს მთვარეულივით. წიგნების კითხვასა და მუსიკას გაუგიშებია, ასე ამბობენ.

— ის პატარა ბიჭი არ გადაჰყაროს რამეს, დროზე მოაშორონ. ამას წინათ ისეთი რაღაც მიუცია, მოწამლულა და ძლივს გადაურჩენიათ, აბა!

— ის გოგო კი, ბავშვიანად ერთ ოთახში რომ შეუჭულა, ისეა გადაფოფრილი, ცუდი არაფერი თქვათ შავთვალაზეო, იცავს.

— გამოდის, რომ ჩვენთვისაც საშიში ყოფილა ყველასთვის, თუ გესმით. ერთხელაც წამოუვლის, გაზს გამოუშვებს და აგვაფერებს. დროზე უნდა მივხედოთ, სანამ არ დაგვიანებულა, მივწეროთ სადაც საჭიროა.

— ნამდვილად სწორია, დროზე მივხედოთ...

ბევრმა წყალმა ჩაიარა იმ დროიდან, როცა მელომანების-თვის კინო იყო აღმაფრენის წყარო. ტექნიკამ მერე სხვა გასაქანი მისცა სულის გატაცებას – ჯადოსნურმა მაგნიტოფონმა. ამ თითქოს ტექტონურმა იარაღმა შეაზანზარა თბილისის ჯაზური ცხოვრება. კასეტები ლეგიონებად დაეწყვენენ – არმსტრონგის, ფიცჯერალდის, პიტერსონის, სანტანას ლეგიონებად, ბრუბეკის ნოვატორულმა რიტმებმა ხომ მთლად დააკარგვინეს ძილი და მოსვენება.

უწინდელმა ახალგაზრდა ახლა კი ძველი თაობის მელომანებმა გემოვნების ავანგარდი თუ მედროშეობა კვლავაც შეინარჩუნეს – მათი შეფასებები აღმასივით სჭრიდა. მაგრამ მათთან აღარ იყო ლარა, დახვეწილი იმპროვიზატორი და პარმონიის ოსტატი. შეიკრიბნენ და დატრიალდნენ დაკარგული თანამოძმის საძებნელად. ძველი სახლიდან, რომელიც დაენგრიათ და იქ ახალს აშენებდნენ, დაიწყეს და, როგორც იქნა, კორპუსის მისამართს მიაგნეს.

თინეიჯერობისას დადგენილი მუსიკალური პაროლის – გლენ  
მილერის მელოდიის გასამღერებლად მოემზადნენ და ლილაკს  
მიაჭირეს. კარი გაიღო. მელოდია პირზე შერჩათ – ლარას ჩამო-  
ნაკვთილი სახის ნაცვლად ლოყებგაბადრულმა ხორცსავსე ქალ-  
მა თითქოს შეავსო კარის ჭრილი, საიდანაც რემონტის მძაფრი  
სუნი გამოდიოდა.

– უკაცრავად, ლარა აქ ცხოვრობს?

გაბადრულ სახეს მწუხარება მყის დაეწერა.

– დიახ, აქ ცხოვრობდა, მაგრამ... მაგრამ ახლა აქ აღარ არის.

– მისამართს თუ გვეტყვით, დიდად მადლობელი დაგრჩებით.

– ჰმ, რაფერ გითხრათ, – ხელები გაასავსავა ხორცსავსემ, –  
ეე, ფსიქიატრულ საავადყოფოშია... ვაი დედა, რა ქალი, ვაი დე-  
და, – სატირლად მოიბრიცა.

ახალ მისამართს ძებნა არ დასჭირვებია. რეგისტრატურის  
ხმამ გულგრილად გააჟღერა:

– ეს ავადმყოფი ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა.

უპატრონო მიცვალებულთა ადგილიც დასახელდა.

ამომშრალ მდინარეს ჭალა გასდევდა. იმის პირას პატარა  
ბორცვზე პალოზე დამაგრებულ წარწერიან თუნუქის ნაჭერს  
უნდა ეთქვა, რა არის სიკვდილის შემდეგ, რომ ის არის სასრული  
უსასრულობისა, რომ თოლიები ნავსადგურში კვდებიან, მგალო-  
ბელი ჩიტები – ჭალაში.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...

ବ୍ୟାପକ



სახარებას სევდისა და მწუხარების ბეჭედი აზის.  
ვასილ როზანოვი



რატომ, უფალო, რატომ? – შეჰლალადებს ზეცას ამა ცხოვრების სიმწრისას, ადამიანი.

მაგრამ ძრნის და ეშინია უთხრას, რატომ გვწირავ, უსამართლობისგან რატომ არ დაგვიცავ, დიდო გამჩენო. ან კი როგორ უნდა შეპბედოს სახიერს ანუ სიკეთის საწყისს, სასოება როგორ დაჰკარგოს.

ვერ გაუგია, რატომ ისჯება და ასე წვალობს პასუხის ძიებაში. პასუხი კი მუდამ ერთია: მორჩილება და დათმენა.

ბრძოლა და შფორთი ფუჭი და უაზროა, – ასე უპასუხებს ლუთერი, დიდი ღვთისმეტყველი, „აქ ვდგავარ და სხვაგვარ არ ძალმიძსო“ რომ თქვა და სხვა გვარზე მოაქცია ევროპა.

თქვა და მწუხარე სიტყვით დაასრულა: საგნები და მოვლენები დედამიწაზე ეშმას ხელშია, რასაც ვჭამთ და ვსვამთ, ისიცო.

მისი მოძღვრების მოზიარე კალვინმა, ასევე დიდმა ღვთისმეტყველმა კი მთლად ჩააშავა პასუხი, უიმედობაში გადაისროლა: ღმერთი წინასწარ განსაზღვრავს ყოველის ბედს. ერთს ჯოჯოხეთს მიუწერს, მეორეს სამოთხის ნეტარებას. ვერანაირი ძალისხმევა ვერ უშველის და ვერც „კეთილი საქმეები“ შეუცვლის წინასწარ დაწერილ განაჩენს მისასო.

შენი ხვედრი არასოდეს გეცოდინება, თუმცა შეგიძლია მიხვდე იმით, თუ როგორ მიგდის საქმე ცხოვრებაში. თუ წარმატება სდევს შენს ყოფას, ესე იგი, ასე უფალმა დაგინესა და არა შენმა ღირსებამ და ძალისხმევამ გიბოძაო.

თუ ჯახირობ და მაინც არაფერი გიმართლებს და არც ღირსება გიფასდება, ეს შენი ხვედრია და უნდა მორჩილებდე მას. ეს ხვედრი არ განასხვავებს კეთილშობილსა და უჯიშოს, ერთნაირად ორივე წინასწარგანსაზღვრულია.

იქნებ ღირდეს ამ ორი მოძღვრის ნაფიქრალით ამა ცხოვრების დანახვა, ჩვენ გარშემო უამრავის ბედ-იღბალმა ეგებ რაღაცას მიგვახვედროს, ამოუცნობი ამოგვაცნობინოს.

ერთმა ძველმა ამბავმა ღრმა კვალი ჩამიტოვა ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ან სულაც პირიქით, მთლად დასაბნევად...

ბავშვობაში სიყვარული დიდ სიხარულთანაა გადასკვნილი. ამით განსხვავდება ის მონიფულობის დროის სიყვარულისგან, საცა წუხილი და შფოთვა ოდენ პატარა კუნჭულს უტოვებს სიხარულს.

ბავშვობაში ასეთი სიყვარული იყო ჩემთვის იმერეთი. მაშინ სამყაროს შუაგული იქ მეგულებოდა, იქით მიიღებოდა სული და გული, ზაფხულსაც მისთვის ველოდი და როცა იქ წასაყვანად მამზადებდნენ, დედა იტყოდა ხოლმე, ნახეთ, მიწას ფეხს არ ადგამს, დაფრინავსო.

მატარებელს სამტრედიამდე ჩავყავდით. იქიდან ნაქირავები მანქანით ღანირ-ქვიტირის გზას რომ დავადგებოდით, კოლხური ჰაერის სურნელი მამცნობდა ნანატრი ადგილის მოახლოებას. ნანატრი ადგილი კი ნათალი ქვის დაბალმოაჯირიან ბოგირთან, ხვეულებით მორთულ რკინის ჭიშკრიდან იწყებოდა. სანამ ეზოს სიღრმეში სახლთან მიხვიდოდი, ხასხასა კოინდარი უნდა გადაგერბინა. ჟამგამოვლილი წითელი აგურით მკვიდრად ნაშენი სახლი ისეთივე წარმოსადეგი იდგა, როგორიც ბაბუამ ააშენებინა ხუროებს რევოლუციამდე. შეძლებულსა და იმ მხარეში საზოგადო საქმეებისთვის დაფასებულს, დროისთვის საუკეთე-

სოდ მოუპირკეთებია შენობა და დიდი აივანი. შიგნით ოთახები ჭერამდე აყვანილი გვირგვინიანი ჰოლანდიური „ფეჩებით“ და-უმშვენებია. მაღალჭერიანი ნათელი ექვსი ოთახი დიდი ოჯახის საყუდელი გამხდარიყო და სამი თაობის გამომვლელი.

ამ სახლში სამივე თაობას ვხედავდი და ვგრძნობდი. წინაპ-რების ალერსიანი ხმაც მესმოდა თითქოს, აქ მეგულებოდნენ ბიძები, ბიცოლები და მამიდები, მისვლისთანავე გულში რომ ჩამიკრავდნენ და მანებივრებდნენ. ერთი სული მქონდა, ბიძაშ-ვილ-მამიდაშვილების პატარა რაზმი როდის მომარბენინებდა ლელვის, მსხლისა და ვაშლის ხეებს, ულამაზეს ბოსტანს, რო-დის ჩამიყრიდა ყვითელ წინილებს კალთაში, როდის ჩავძირავდი უსაშველოდ ღრმა ჭაში პატარა კასრს ცივანკარა წყლის საკუ-თარი ხელით ამოსატანად, როდის ჩავუსხდებოდით ბუხართან მცხუნვარე ნაკვერჩლების ქვეშ დიდ კეცზე გაშლილ ხაჭაპურს. ეს უბრალო ქმედება არ იყო – წმინდა რიტუალს უტოლდებოდა.

მაგრამ ჩემი სიხარულის შუაგულში მაინც ბებია იდგა, სი-დარბაისლის ცოცხალი ხატი. როგორც მოდგმის ღერძის, ისე ტრიალებდა მის გარშემო რიცხოვანი მონაგარი, მისი ნათელი სხივის ანარეკლით იმოსებოდა. მაღალი, ტანსრული, კეფაზე დახვეული თეთრი სქელი ნაწნავით და მუდამ ფაქიზი, ხმააწეუ-ლი არავის გვინახავს. დიდ ეზოში გაბნეულ-მოთარეშე შვილიშ-ვილებს არასოდეს გასძახებდა შენიშვნებით. აივანზე გამოჩენა, ღიმილით ხელის დაქნევა და პატარა რაზმი იმწამს მის წინაშე გაეწყობოდა. ბებო გენაცვალოთ, აბა, ხელის დაბანა და სადი-ლისკენო, სიყვარულით სავსე თვალებს მოგვაპყრობდა. ეს სა-დილი არ იყო – სადღესასწაულო სუფრა ზღაპარში რომ არ იქ-ნებოდა, ისეთი.

ასაკიანი შვილების (ისინი ექვსნი იყვნენ) რიდი და პატივის-ცემა დედის მაგალითი იყო ყველასთვის. რძლების თუ არა სა-თუთ მიმართვას „დედა“ ან „ნინა მიხაილოვნაო“, სხვაგვარს ოჯახში ვინ გაიგონებდა. დედა ამბობდა ხოლმე, ნინა მიხაილოვ-ნას აზნაურობა გრძელთითებიან თეთრ ლამაზ ხელებს და სიფა-ქიზეს აწერიაო.

სიტყვაძვირი ბებია არაფერს ამბობდა შუახანსვერმილწეულ ჩვენი ბაბუის გარდაცვალებაზე და არც ამის მიზეზზე. თუმცა ყველამ იცოდა, როგორ უმტყუნა გულმა ოჯახის თავს, როცა ქონება ჩამოართვეს და პატივი აპყარეს. მხოლოდ იმას თუ გვეტყოდა: ისეთი კაცი იყო თქვენი ბაბუა, „ალეგრიზე“ ნასას-ვლელად რომ მოვემზადებოდით, ფაეტონს ჭიშკართან კი არა, აიგნის კიბესთან მომართმევდა ხოლმე. იტყოდა და ძვირფასი წუთების გახსენებაზე მოცისფრო თვალებში სხვანაირი შუქი ჩაუდგებოდა.

ბებიამ ამოგვიშენა სულიერი კეთილშობილების საძირკველი, რასაც უნდა დაყრდნობოდა მომავალი ჩვენი ცხოვრება. მან ჩაგვიფინა ქვეცნობიერში „ოჯახის“ ცნების სიდიადე, მხარში დგომისა და გამძლეობის განცდა. მრავალი წლის მერე სწორედ ეს დამეხმარა ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური საკითხის – გვარობის, მოდგმითობისა თუ გენურის შემეცნებაში, რასაც ხალხურ სიბრძნეში ასე უბრალოდ ჯიში და ჯილაგი ჰქვია, რასაც ეს სიბრძნე მეტაფორულად გამოსახავს ფსიქოსოციალურ პარადიგმაში: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“.

კილომეტრზე გაჭიმულ თეთრად მოხრეშილ, ლარივით სწორ ფართო ქუჩა-გზაზე ჩვენი ეზო-სახლი ერთგვარ მიზიდულობის ადგილად ქცეულიყო იმ მშვენიერ კოლხურ კუთხეში. მეტადრე მაშინ, როცა ზაფხულის მზიანში გაშლილ მოვლილ-მობიბინე ეზოს ბავშვების ურიამული ავსებდა.

– ე, ნინა მიხაილოვნასთან ჩამევიდენ ბაღნები და აწი ჩვენი ქუჩა რავა მეინყენს, – იტყოდნენ გახალისებული მეზობლები და იმათ ჯალაბსაც თვალი ჩვენი ეზოსკენ ეჭირა.

მოსაწყენად სად ეცალათ შრომის ჭაპანში შებმულებს, ან რა გამოლევდა იმერული ხუმრობის ხალისს, ეზოდან ეზოში ჭრელი პეპელასავით რომ დაფარფატებდა.

სალამოობით მამიდა-ბიცოლები მთელი დღის გარჯის მერე, კოინდარზე რომ მოიკალათებდნენ, მაშინვე ჩვენთან გაჩნდებოდა ხოლმე შუახანსმიტანებული ოლღა, ანუ ჩვენ როგორც მივ-

მართავდით – ოლღა ბიცოლა, ენაკვიმატობით, ოინბაზის არ-ტისტულობით განთქმული მეზობელი და მხიარული სცენების გათამაშებას იწყებდა. საამისო მასალა საძებნელი არ იყო – იქვე სახელდახელოდ ჩაავლებდა.

– ცუცა, პეტერე დეიცადე გოგო, რა მიგარბეინებს, – გასძახა ქალს და იცოდა რატომაც.

– ტრიფონიასთან მივდივარ დასამაკებლად. თუ დევიგვიანე, გამომისტუმრებს. ახლა არა. სალამოს შოუდლია მარტო, სიცხ-ეში არ გამავინოო. აპა, აპა, უნდა მივასწრო, თვარა ატეხილი იმდონია, რას ოუვა ეს ერთი კაცი, – ნაჩქარევად მიაფლატუნებდა ჩათელილ ფეხსაცმელს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი და წინ გაქცეულ ძროხას ძლივს ეწეოდა.

– ნამეტანი არ მოგივიდეს, შე ქალო, თვარა გაგძვრებათ სული შენც და ტრიფონიასაც, – სიცილ-ხარხარისგან ველარ სუნ-თქავდნენ ქალები. მეც ვიცინოდი, თუმცა ვერაფერი გამეგო, რატომ.

როცა წამოვიზარდე, უკვე ვიცოდი, ტრიფონიას ერთადერთი მედგარი ბუღა რომ არა, მთელ იმ მხარეში რძე და ყველი სანატ-რელი შეიქნებოდა გაბერწებული ძროხებისა გამო.

გზის მეორე მხარეს ერთი ძველი, მაღალზე შემდგარი წაბლისხის ოდა ჩვენი წინაპრების საოცარ გემოვნებაზე გვიყვებოდა.

ჰორნტენზიებით გადაპენტილი დიდრონი მომრგვალო ბუჩქები და უნაზესი ოლეანდრების გაყოლებული მწკრივები ბალა-ხის მწვანე ხალიჩაზე მხატვრის ფანტაზიას სცილდებოდა თით-ქოს და ზღაპრულ წარმოსახვას დიდი აივნის ხის არშიებით მორ-თული სურათით აგვირგვინებდა.

ამ სამოთხე ეზო-გარემოს პატორნი მარტოხელა მართა იყო, ომიდან ვერდაბრუნებულის ქვრივი, ძუძუმთა მართად რომ იწო-დებოდა უშველებელი გულმკერდის გამო. იქაურ ენაკვიმატ ქა-ლებს სამხიარულოდ მეტი რა უნდოდათ და თხზავდნენ ცოცხალ სურათებს: მართა სანამ ჭიშკარში გეივლის, ჯერ ძუძუმთა უნდა

გეიმძღვანიოს და მერე თავი წეიყოლიოსო. თხზავდნენ და მეტაფორული რთავდნენ თავიანთ მართლაცდა მხატვრულ წარმოსახვებს.

ეზოებში ჰამაკი სანატრელი რომ ჰქონდათ ბავშვებს მაშინ და ბებიები წუნუნებდნენ, სა ვიშოვოთ, რაი ვქნათო, რაი და, მართას ლიფჩიკი რო გაშონიათ, მაშინ ნახავდეთ ბალნების გახარებასო, – ოხუნჯობდნენ თავზაკრული დედაქალები.

ჩვენი ოლდაც როგორ გაუშვებდა ხელიდან ამ დიდებულ თემას: გეიგეთ ბისმარკიე რომ დეიარება ხშირ-ხშირად აქანე ქუჩაზე და მართას აივნისკენ ელრიცება მოტვლეპილი თავ-კისერი, თუ იცით, რეიზა? იმიზა, რომ ჰყვარებია თურმე და ვერ გოუბედნია თქმა. არადა, ხომ წარმეიდგენთ, სული რაფერ ელევა, ჭიშკართან რო დოუხვთეს და უთხრას, ქვეშიდან შეგიდგები ქალო და შეგატანიეფ სახლში ამას, ძლიერ რომ დაატარეფო. ატყ-დებოდა ამაზე ქალების ზივზივი, კისკისით იხოცებოდნენ.

ვინ იცის, რამდენ დარდს იქარვებდა და სიცოცხლის სიმძიმეს იმსუბუქებდა ლალი სულითა და გონებით შემოსილი იმერლობა ამ კეთილგანწყობილი იუმორით, რაიც უზილავი ძაფით ჰქონვდა მათ ერთად ყოფნას კოლხეთის ცისქვეშ, ჭირში ერთად დგომას და მწუხარების გაზიარებას. ეს თვისება იმათ ბუნებას იქამდე შემორჩა, ვიდრე ქალაქურმა მოჩვენებითმა „იოლი ცხოვრების“ ფილოსოფიამ ძირი არ გამოუთხარა ამას ყოველივეს.

ჩვენთან, იმერული გამოთქმით, გადმოსული ბავშვები ადას-ტურებდნენ „ზრდილი იმერის“ ასე ცნობილ წოდებას, მუდამ ჩაუკეტავ ჩვენს ჭიშკარს ფეხს რომ არ გადმოაბიჯებდნენ, სანამ არ შეიპატიუებდი მორიდებით იქ მომლოდინეთ. უბირი სიტყვა-პასუხი თუ შემაწუხებელი ქცევა სად იყო, თავაზიანობას ისეთს იჩენდნენ, გაკვირდებოდი. წლების მერე ბევრჯერ მიფიქრია: სად იღებდა თავის საწყისს ეს კულტურა, თუ არა ჟამთა სვლაში, სად კრისტალდებოდა ის, თუ არა თაობებში, რა იცავდა მის დაუნერელ კანონებს, თუ არა ოჯახი. და ვრწმუნდებოდი, სწორედ ეს კულტურული გამოცდილება ქვითკირით კრავდა და ამაგრებდა ჩვენი ხალხის ეთიკურ ცნობიერებას.

მეზობელ ბავშვებს შორის და-ძმა გამოიჩინდა რიდით და მოკრძალებით – შვიდი წლის სოფო და ორი წლით უფროსი ნიკო. ორივენი გამხდარ-გალეულები იყვნენ, ერთნაირად თმახუჭუჭა და დიდთვალება. როცა წასვლას დააპირებდნენ, უფროსი ბიცოლა ჭიშკართან მალულად რაღაც გახვეულს გაატანდა ხოლმე დამორცხვებულებს და გადმოდით ხშირადო, ეტყოდა. ერთხანს მათი ამბისა არაფერი ვიცოდი, თუმცა გული რაღაც სევდიანს მიკარნახებდა, ამოუცნობი თანაგრძნობა მეუფლებოდა.

ასაკით სხვებზე ცოტათი უფროსი ვიყავი და ვიცოდი, მეტი მომეთხოვებოდა. მეც ეს მეტი თავს ვიდე და საგანმანათლებლო გეზი დავიჭირე. საღამოობით დიდი კაკლისხის ქვეშ ჭილოფზე წრიულად დასკუპებულ ჩემს რაზმს ხან ვუკითხავდი, უფრო მეტს კი ვუამბობდი. რებუსების ამოხსნაზეც თავისტეხას არ ვაკლებდი. გაუნდრევლად გასუსულებს საათობით შეეძლოთ მოესმინათ ოლივერ ტვისტის ცხოვრების ისტორია, შერლოკ ჰოლმსი-მეთქი, რომ ვიტყოდი, ტაშს შემოჰკრავდნენ სიხარულით.

ერთმანეთს მიხუტებული და-ძმა მდუმარედ, მხოლოდ თვალებით გამოხატავდა შეძრული სულის ტოკვას და ღრმად შენახულ სუვდას, მოსმენილში ეხატებოდათ შორეული სამყაროს სურათები, თითქოს უცნობ ადამიანთა ბედ-იღბალში საკუთარი არსების გამოძახილს პოულობდა. ორჯერ წაკითხულ ლექსს ზეპირად იმეორებდა და რებუსების ამოხსნაშიც ყველას სჯობდა.

იმათ გაცრეცილ და ალაგ-ალაგ დახულ, მაგრამ გარეცხილ ტანისამოსზე გული მეკუმშებოდა. თუმცა საყოველთაო სიღარიბის გარემოში ამას ვერ გაიკირვებდი – ტანისაცმელ-ფეხსაცმელი იოლი მოსაპოვებელი როდი იყო და ძველმანებს თვალი ისე შეჩვეოდა, როგორც კეთილ ახლობელს. უფრო ფეხსაცმელი ჭირდა და ბავშვების ფეხშიშველა სირბილს მიღებულ ჩვევად აღიქვამდი. ალბათ აქედანვე დაწესდა ძილის წინ დედების ტუქსვა, ფეხდოუბანელი რავა შეიძლებაო.

იმ საღამოს მამლუქებზე ამბის თხრობა მქონდა დანაპირები და ჭილოფზე დასკუპებულებში და-ძმა არ ჩანდა. ნეტავ, რა

შეემთხვათ, როგორ გააცდენდნენ-მეთქი, გავიკვირვე, მაგრამ გატრუნულმა ჩემმა რაზმმა არაფერი მიპასუხა. მერე ბიძაშვილებში ყველაზე უმცროსმა ჩამჩურჩულა, ბებოს ჰკითხე და გეტყვისო. მეორე დილას ბებია დავიმარტოხელე. რა გითხრა, ბები, უბედურ დღეზე გაჩენილები ყოფილან ორივენიო. მეტი ვერაფერი შევიტყვე.

შემდეგ სალამოს დაძაბული ველოდი იმათ გამოჩენას და რა-რიგ გამიხარდა, როცა ორივე ჭილოფზე ვნაზე თავ-თავის ადგილზე ჩამომჯდარი. არაფერი შევიმჩნიე, ისე დავიწყე „ბასკერვილების“ საიდუმლოს ამბავი. იმათ დათრგუნვილ სახეებს ჯერ ვერ წაშლოდა რაღაცის მძიმე განცდა და ბინდმაც ვერ დამალა გამხდარ მკლავებზე ლურჯი ლაქები და თითქოს ეკლიანზე ნავალი დაკაწრული ფეხები.

მთლად საგონებელში ჩავარდნილი, უფროს ბიცოლას ჩავა-ცივდი და მაშინდელი მოკლე ნაამბობი წლების მერე ერთი ოჯა-სის სვედავსილი ცხოვრების ფურცლებად გადავშალე...

იამზე ქუთაისში ცხოვრობდა მშობლებთან ერთად. ჩვიდმეტი წლის გამხდარიყო და ოჯახი ამას დღესასწაულობდა. ხეულ-თმიანის სიფრიფანა აღნავობის, ბუნებითაც ნაზსა და სათნოს, დედ-მამა ხელისგულზე ატარებდა, შესციცინებდა. ლიტერატუ-რის მასწავლებლობის მოსურნე ინსტიტუტისთვის უნდა მომზა-დებულიყო.

— ამხელა გოგო კინოში ვერ წასულა ამხანაგებთან ერთად, — ჭარტალებდნენ მეზობლის ქალები, — ჰოდა, ასე შემოაბერდე-ბათ კიდეც.

მაგრამ სულიერების მადლით ცხებული, თავს გამოკეტილად სულაც არ გრძნობდა. განმარტოება უყვარდა თავის სამყარო-ში წიგნებთან ერთად, საოცნებოს რა გამოულევდა. ნდობასა და სიყვარულს მოეცვა მისი არსება, იქ სიმშვიდესა და სიკეთეს და-ესადგურებინა.

მაგრამ დრო არასოდეს დაგუბდება და მეტადრე უდრტვინ-ველობაში, შხუილით მოირღვევა და მძაფრი თქეშით ერთიანად

შეცვლის ყოველივეს – ან ტრაგედიას გაათამაშებს თავის სცენაზე, ან კომედიას. კომედია ერთბაშია წარმოქმნაში, ტრაგედია დიდი შესავლით უჩქუმრად შემოვა და მხოლოდ ბოლოსკენ დაასრულებს და დაგანახვებს თავის თავს.

სიმშვიდის მირაჟში დაგუბებული იამზეს დროც უნდა მორღვეულიყო და ეს დღეც დადგა. თითქოს ვიღაცის წარმმართველმა ხელმა კარს მოაყენა მანქანა მძლოლით. საიდან უნდა სცოდნოდა ოჯახს, რომ სახლის შეკეთების წადილს უკან მოსდევდა და აღვივებდა უხილავი აჩრდილი იმავ სახლის დასაქცევად.

სარემონტო მასალა ეზოში მხრებით შეზიდა ახალგაზრდა, მშვილდივით მოზიდულმა ფრიდონმა და თვალი მოჰკრა მოღებულ ფანჯარას მიმდგარ თითქოსდა ცითმოვლენილ გოგოს. ათჯერ მეტს შედგამდა ზურგს, ოღონდ იმ ფანჯრისკენ ეცქირა დაუსრულებლად. ფანჯარაც არ იხურებოდა – თითქოს ბედს შეეკრა მონუსხული გოგო.

ცხოვრების სცენარი კი იწერებოდა იმ წუთებში. დრამატურგმა, მთელი ხაზი უკვე რომ ჰქონდა მოფიქრებული მოქმედებისა და უანრისაც, ახლა კვანძი შეკრა და დატოვა, ასე მიუშვა კვანძის გახსნამდე ფინალისკენ.

ხელის დასაბანად სახლში შეუძლვნენ და პატარა დავილოცოთო, შესთავაზეს. გაბრუებული გაჟყვა მასპინძელს. ქცევაც წართმეოდა და ფეხიც – მაგიდას უბრალოდ აწყობდა ფანჯრის ფერია და დამორცხვებული თვალს აპარებდა წაკითხული წიგნიდან თითქოს გადმოსულ ბიჭს. რას ამბობდა ერთ ჭიქასთან ოჯახის მამა, მიირთვიო, როგორ ახალისებდა დედა, ყურს არ ესმოდა და ენაც ბორძიკობდა. ელვასავით გაჟკრა დრომ და მხოლოდ სატვირთო მანქანის საჭესთან მოევო გონს.

იმ ადგილს მიეჯაჭვა. უმთვარო ღამეში სახლთან იდგა და პირველი დღის ფანჯრის მადლს ელოდა. გაბედვით გაბედავდა, მაგრამ რას ეტყოდა – ერთი ღარიბი, ობლად გაზრდილი ბიჭი ვარ და თქვენი ანგელოზი გამატანეთო, თუ შრომაში

მოქანცულს არაფერი გამაჩინია და ასეთი მიმიღეთო. ფეხს მაინც არ იცვლიდა, სასწაულს ელოდა ალალი სულის კაცი და თითქოს გრძნობდა იმის მოახლოებას.

ძილ-ღვიძილში იამზეს ბნელში გამკრთალ შუქზე მობორიალე აჩრდილი უხმობდა და ის-ის იყო გულდაგულ დაფარული თავს აიშვებდა. მოხდა ასე. კარიდან უხმოდ გასული იმ აჩრდილს სა-მუდამოდ დაჰჭყვა და სახლიდან გადაიკარგა. სხვა გზა არ დარჩე-ნოდა – დედ-მამამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ამ უთვისტო-მო კაცს არ გაგატანთ, ქვეყანა რომ დაიქცესო. და როცა გოგო მშობლების ნებას წინ აღუდგა, შვილობიდან სამისდღემჩიოდ განკვეთეს.

ასე მოხვდა იამზე ჩვენს კუთხეში, სადაც ფრიდონს მშობლე-ბის დანატოვარი ლარიბული ოდა ედგა პატარა ყანითა და ბოს-ტნით. მისმა მირაჟმა აქ და აქედან დაიწყო განამდვილება. ჩა-ცუცქული ნატიფი ხელებით სარეველას წინკნიდა ბოსტანში, ყა-ნაში წელმოხრილ ქმარს ეხმარებოდა, სატვირთოს მძღოლს რომ სამუშაო არ გაეცდინა.

დღე დღეს მიჰყვებოდა და თვეს თვე. ერთმანეთს შესციცი-ნებდენ და გაჭირვებას არად აგდებდნენ. ბიჭის დაბადების ბედ-ნიერი წუთიც დაუდგა ფრიდონს და აკვანიც დაირწა აქამდე კე-რიაჩამქრალ ლარიბულ ოდაში. ლომის ძალა უნდა მისცემოდა, რომ მრომა გაეათმაგებინა, ლამითაც ეჯდა საჭეს ტვირთების გადასაზიდად. მაგრამ ხელმოკლეობა ტკიპასავით მიჰყვროდა მაინც.

სხვა მძღოლებმა შეაგულიანეს, ჭკუას უხმე და ეს „კაზიონი“ წელისწყვეტა „ხალტურებით“ შეცვალეო. ოდა შესაკეთებელი ჰქონდა, საყოფო ნივთებიც შესაძენი. სხვა რაღა დარჩენოდა ასე გამრჯე კაცს, თუმცა იცოდა, რომ ცუდს რაიმეს გადაეყრებო-და. თავდაპირველად უმართლებდა, მაგრამ ერთხელაც იყო და გზაზე გააჩერეს – მილიციელი განყოფილებაში წაყვანით დაე-მუქრა.

– წუ მიზამ ამას, ძმაო, ცოლ-შვილი მყავს სარჩენი, გამიშვი,  
– ეხვეწა.

იმან როცა ცოლიც და დედაცო, გონებაარეულმა ფეხქვეშ გაიდო.

შავად გათენებულმა და თითქოს ჩასაფრებულმა იმ ერთმა დღემ ნელი კვდომის გზას გაუყენა იმედის ნაპერნკლით გაკვე- სილი პატარა ოჯახის ცხოვრება. დაუნდობლად ამ გზას მიჰყავ- და ულუკმაპუროდ მარტოდ დარჩენილი ფეხმძიმე ქალი ახალ- ფეხადგმული ბიჭითა და წლებად გაწერილ პატიმრობაში დარ- დით გამნარებული კაცი.

როდემდის შეძლებდნენ ხელის გამართვას ისედაც გაჭირ- ვებული მეზობლები, რამდენს უნდა გასწვდომოდა სიფრიფანა იამზეს ძალა დილაადრიან შეშის ძებნაში, გვიანობამდე მიწის ბელტებთან ჭიდილში, თუ მშიაო, შვილის ძახილში. მისი მშვიდი გამოხედვა შიშჩამდგარ დიდ თვალებს წაეშალა, მთლად ვალე- ული გახშირებული ხელისგან მხრებში მოხრილიყო. მაინც მო- ფოთნიდა ხოლმე საგზალს ქმართან შესაგზავნად, მთელი დღე ნატეხ მჭადზე დარჩენილი. ასეთ დღეში გოგოც მოავლინა და მეზობელი კატო ბებია რომ არა, რა გადაარჩენდა.

დარდისგან შეჭმულ ფრიდონს გაძაღლებულმა წლებმა ბო- ლოს ჩარაზული კარი წიხლით გაულო და ტიალ გზას გაუყენა. დაბრუნებულს ვერავინ იცნობდა – ლალი ბიჭი სადღა იყო. ახლა გესლიანი გამოხედვა ოდენ ავს აუზყებდა, ზეზეულად ჩამომხმა- რი და ადრე დაპერებული, კოჭლობით ფეხს ძლიერ მიათრევდა. შეგებებულ ცოლ-შვილს როგორც უცხოს, ისე გულალრძნილი შეხვდა. მეზობლები კი არ გაიკარა, აქედან დაიკარგეთ, არ დაგი- ნახოთო. ეშმაკს შეუპყრია ეს უბედურიო, თქვეს და გაეცალენ.

ამ ბოლო დარტყმას დაუნდობელს ვეღარ გაუძლო სნეულმა იამზემ, სისხლს რომ ახველებდა ისედაც და ჩანვა. დედის სა- ბანს ჩაფრენილი პატარები შეშინებული შესცქეროდნენ მოსულ კაცს, მამა დაგიბრუნდათო რომ აუხსნეს, და არ ეკარებოდნენ.

იქაურმა ექიმმა თავი ჩაქინდრა – ალარაფერი ეშველება, ჭლე- ქი სულ მალე გაათავებსო, – და წავიდა. იამზეს დასაფლავების შემდეგ მეზობლებმა ფრიდონი შეურაცხადად მიიჩნიეს და შორს

დადგნენ. დროდადრო მგლის ყმულისმაგვარი ესმოდათ ჩარა-ზული ფარლალა ფანჯრებიდან და უფრო ხშირად ბავშვების გულის შემძვრელი ტირილი.

თუ გონს მოეგებოდა, აქა-იქ შავი მუშის კაპიკებით საკვებს მოუტანდა შვილებს, „ფეჩში“ შემას შეუკეთებდა, პატარებს თავზე ხელს გადაუსვამდა, სარეცხს მიხედავდა. თუ არადა, ნაცემ-ჩალურჯებული და გარეთ გაგდებული და-ძმა სასიმინდეში ათენებდა. ეს მაშინ, როცა არყით გაბრუებული დაბრუნდებოდა ხოლმე და გენიის ცეცხლად მოევლინებოდა პარტახ ოდას. თუ დაიმალებოდნენ, უფრო გამხეცდებოდა და დაგეშილი დაეძებდა საწუთროზე ბრაზის გასანელებლად. ზოგჯერ თითქოს საღათას ძილმა შეიპყროო, დღეებს ძილში ატარებდა.

უცისკრო მწუხრი ჩამოწვა სვეგამწარებულ ოდაში, ყველასა და ყველაფრისგან თითქოს უკუჭცეულის. რა დააშავეს ამისთანა უბედურებმა, უფლისგან ასე მოძულებული რომ შეიქნენ, – გულით წუხდნენ იქაურები. არ განიკითხავდნენ და არც გაკიცხავდნენ, ქვეცნობიერად შეშინებული, განგების რისხვა ჩვენზეც არ გადმოვიდესო. დუმდნენ და ამოიოხრებდნენ მხოლოდ.

პატარა და-ძმას თბილად ეკიდებოდნენ, მათ შემხედვარეს დედებს გული ეწვოდათ და ისე მიაწოდებდნენ ლუკმას თუ ჩასაცმელს, დაჩაგრულად თავი არ ეგრძნო. ისინიც გუმანით იმეცნებდნენ სიკეთის არსს, ღრმად რომ იკიდებდა ფეხს მათ სუფთა ბუნებაში. გასაოცარი იყო, რატომ არ ღვივდებოდა ამ ნატანჯარსებებში სამაგიეროს გადახდისა თუ რევანშის გრძნობა, სიმწარის გამო გაბოროტება, სიკეთეზე უმადურობა. ამ პატარა გოგოს და ბიჭს თითქოს თვალებში ედგათ სიკეთის დაბრუნების სურვილი და ამისთვის მზად იყვნენ ყოველთვის.

არ დამავიწყდება კინოკადრში დასასურათებელი ამბავი: იმ ზაფხულს დიდმა წვიმამ ეზოს გადაღმა ჩავარდნილი ადგილი ლაფით ამოავსო. ანგარიშმიუცემლად იქ გავლა მოვინდომე და ისე ჩავეფალი მუხლამდე, ძლივს გამოვალნიე, ფეხსაცმელი კი შიგ ჩარჩა. შეწუხებულმა ბიძაშვილებმა ვერაფერი გააწყვეს და

ფეხშიშველი შემოვბრუნდი ეზოში. როცა სოფომ ეს შეიტყო, ისე გაქანდა ლაფიანისკენ, წამით არ დაფიქრებულა. ჩვენ გავე-კიდეთ, მაგრამ გვიან იყო – პატარა გოგო მუხლამდე მძიმე ტა-ლახში ძლივს ინაცვლებდა ფეხს და იდაყვებამდე შიგ ჩაფლული ხელებით ფეხსაცმელს ეძებდა. როცა იპოვა და გამოიტანა, ჩა-ვეხუტე და ვაკოცე.

არასოდეს დამავიწყდება მის სევდიან სახეზე აკიაფებული სიხარულის სხივი, სხივი სიკეთის ქმნისა. გულგახსნილობაში არც ძმა ჩამორჩებოდა. თვალით ვნახე, ეს პატარა ბიჭი კაცურ ღირსებას როგორ დაეწაფა.

ჩვენი ბოგირის ქვეშ წყალი ნელა მიედინებოდა და უხვად ასაზრდოებდა მიწყივ გაყოლებულ ძეძვნარს, აბჯარივით ას-ხმულ გრძელი წვეტიანი ეკლებით. ახლო მისვლის მუდამ მეში-ნოდა, გველმა იცის იქიდან გამოსრიალებაო, მაფრთხილებდნენ. თუმცა, ძლოკვებია და საშიში არაა.

ერთხელაც ჩემს შეკივლებაზე ჩოჩქოლი ატყდა. ძეძვნარზე დაკიდებულმა მოყვითალო გრძელმა უხსენებელმა შემზარა და თავი ვერ შევიმაგრე. დამაწყნარეს, აქეთ არ გადმოძვრებაო. მე-ორე დღეს ისევ იქ ეკიდა და მის დანახვაზე, ვკანკალებდი.

ეზოში მორიდებით შემოსული ნიკო ჯერ წყალში ჩახტა, ძეძ-ვნარს გადაევლო და შიშველი ხელებით ეკლიანიდან ჩამოხსი-ლი გველი შორს მოისროლა. მის დაკანწულ მკლავებზე რომ შევწუხდი, არაფერიაო, მშვიდად მიპასუხა. რა ღირსება გამოს-ჭვიოდა ხმაში და რა მტკიცე იყო მისი გამოხედვა, ჩემი გაოცება დღესაც მახსოვეს.

საერთოდაც, ასე განამებულები, არასოდეს იტყოდნენ და არც გამოაჩენდნენ მამის ტრაგიკულ ბორგვას, შიმშილსა თუ სიცივეს, დედაზე ტირილს. თითქოს ცხოვრების ეს დაუზოგავი გვემა მათ შეულახავ სულს ვერას აკლებდა.

არავინ იცის, რახანს გაგრძელდებოდა ფრიდონის ეს ბორგვა, კაცისა, ვისაც ასე სჯეროდა მართალ-პატიოსნების, საკუთარი მარჯვენისა და სიკეთის. ეგონა კიდეც, რომ სწორედ ასეთობამ

გაუღლო ბეჭნიერების კარი. მაგრამ არ იცოდა, რომ ის საბედის-წეროდ ჩასაფრებული წუთიც რო აეცდინა, მაინც ვერ წაშლიდა წინასწარ უკვე დაწერილს. დათმენა და მორჩილება რომ შესძლებოდა, იქნებ არც გატეხილიყო, სამყარო არ გადაბრუნებოდა. მართალს უჭირდა მორგებოდა წუთს, ნაკუნებად ექცია აბურდული სურათი. ამ სურათმა წაუშალა კიდევ მზერა და ნება დაუშრიტა, სავალი გზა ველარ გაარკვია და კვდომის თავდაღმართს.

მეზობლებიც თითქოს გრძნობდნენ დაღუპულის ამგვარ ყოფას და ამიტომაც ბავშვებზე ძალადობას მილიციისგან მაღავდნენ.

— არავის დაგცდეთ ეგი, თვარა ბალნებს წეიყვანენ და უპატრონობის სახლს მიაბარებენ, — აფრთხილებდნენ ერთმანეთს და ხელს აფარებდნენ.

ნაშუადლევი იყო, როცა ჩვენი ეზოსკენ გამოქცეულმა ქალმა დაგვიძახა:

— არიქა, გამოდით, ფრიდონის ბალნები ყვირიან, გვიშველეთო, დედაია, ეგება კლავს ეგი ჭკუიდან გადასული!

ეზოში შეჩირჩქოლებულები შუახნის მამაკაცმა შეაჩერა და მარტო შევიდა ოდაში. მეხდაცემულივით გაშეშდა: ჭერიდან ჩამოშვებულ თოკებზე ფეხებით თავდაღმა ეკიდნენ ორივენი და ქვეშ ნაკვერჩხალი ღვივოდა.

მომებმარეთო, გასძახა ეზოს. როცა კაცებმა თოკები ჩაჭრეს და ხელში ატატებული გრძნობადაკარგული ბავშვები გამოიყვანეს, იქაურობა ქალების ვაი-ვიშმა შეძრა.

მეზობლის ეზოში თათბირი გაიმართა. ზოგმა მილიციას დავუძახოთო, ზოგმაც ჯერ არა, მოვიცადოთო. ნიკო ოლღასთან დატოვეს, სოფო ჩვენ წამოვიყვანეთ.

— თვითან სადაა, მოსასპობი, ეგი რა ჩაიდინა სასიკვტილემ, დიდუ, უბედურო ბალნებო, — მოსთქვამდნენ ქალები, — თუ გეი-გონეთ ჩვენ მხარეში ამისთანა, ჰა!

კაცებმა საგულდაგულოდ დაათვალიერეს იქაურობა, მაგრამ ფრიდონი თითქოს გამქრალიყო. იქითაც გზა გქონიაო, ხელი ჩაიქნიეს და წავიდ-წამოვიდნენ.

დასასრულის დილაც გათენდა. ეზოებში გამოსულებმა ახლო სახურავის თავზე ბოლის სვეტი დაინახეს.

ფრიდონის სახლი იწვის, – იქით გარბოდნენ და ყვიროდნენ.

ოდაში ცეცხლი ჯერ არ აწვერილიყო და შემტვრეულ კართან შეჯაფებულმა კაცებმა ანაზდად უკან დაიხიეს.

ჩამომხრჩვალი ფრიდონის სხეული შუა ოთახში თოკზე მშვიდად ირწეოდა თითქოს...

რატომ, უფალო, რატომ? – საგონებელშია ისევ ადამიანი.

იმიტომ, რომ იმედის ნისლიანში შეტყუებულმა ვერა და ვერ შეიმეცნა ნააზრევი: ბედნიერება ეს არის უბედურება, რაიც ჯერ მხოლოდ თვლემს.

იქნებ არა ღირს კამათით განწვალება კალვინიზმის მოძღვრების მთავარი დოგმატისა „აბსოლუტურ წინასწარგანსაზღვრულობაზე“!



ଓঁ পূজা দানাদাম  
অন্ত দার্শনী জনক



ნუ ჩაუჯდები, ლექსის კაცო, ხელმწიფეს ნავში.  
სპარსული პოეზიიდან



დილიდან იწყებოდა ექსკავატორის ხრიგინ-გრუხუნი. ფოლადკბილიანი გიგანტური ყბა-ჩამჩა ისე დააცხრებოდა ნანგრევის გროვას, თითქოს უნდა დედიან-ბუდიანად იმის ალაგმვაო. მერე პირთამდე ამოვსებული მოწყვეტით რომ ჩაიცლებოდა, მოხედვას ვერ მოასწრებდი, ისე მობლუჯავდა ახალ ულუფას და ასე მთელი დღე.

სამყაროს დასასრულამდე ამას ვერაფერი შეაჩერებსო, იტყოდი. არადა, მართლაც, რა შეაჩერებს ნგრევა-შენების უსასრულო დინებას? შენებას რა სჯობსო, შეგისწორებენ, თუმცა ერთ კითხვაზე გაიყურსებიან: აშენებულმა იცის განა, როდის დაანგრევენ იმასაც, აწყობილს რატომ დაშლიან და რისთვის.

ვუცქეროდი იმ ბედშავ ნარჩენებს და ვფიქრობდი: „აგერ ახლა არ იყო, აგურ-აგურ აყვანილ სართულებზე როგორ ადი-ჩადიოდნენ თუ არბოდ-ჩამორბოდნენ ხვალინდელით იმედსავსენი“.

როგორ ხარობდნენ იქ ახალი სიცოცხლის გაჩენით, როგორ ბერდებოდნენ და კარიდან უკანასკნელად როგორ გადიოდნენ. რამდენი ცრემლი და სიხარული, რამდენი მოქარგულ-მოუქარგავი ამბავი წაიყოლა ნანგრევის ყოველმა ნაფშვენმა, დატეხილ-დაჩეხილი ფიცრის პატარა ნარჩენმა, იატაკად საიმედოდ რომ ედგა

~ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

მოფამფალე ახალგეხადგმულსაც და წელში ორადმოხრილ ამა სოფლიდან მაღლე წამსვლელსაც.

ამასობაში ფოლადკბილიანი ათნაირად უტრიალებდა და რატომღაც ვერ ჩაევლო ნადავლისთვის – მიწას გართხმული სამფრთიანი დარაბისთვის. უტრიალებდა ჯიბრში ჩამდგარს და ვერ ერეოდა.

უკვე გვიანი საღამო იყო. ზემოთ წამომდგარ მოშვლებილ კაბინაში მთლად მისავათებულმა კაცმა-მემანქანემ ხელი ჩაიქნია, ერთი მაგისიცო და ზლაზვნით ჩამოიქვეითა. იქაურობას გაეცალა.

მივუახლოვდი ძირს გართხმულ სამფრთიანს, ჩავიცუცქე და ხელი გადავუსვი, თითქოს შეკრთა და გადაიკოჩა:

— რაო, არ სტოვებ აქაურობას ხომ? დამარცხებულ ბოლო მეპრძოლს რაღა შეგიძლია, მაინც გადაგისვრიან ნარჩენების გროვაზე.

უფრო გადაიკოჩა და მხარი მიჩვენა, ვერ მიცანი, ეს მე ვარ, ნატყვიარიო.

დიდ ოთახში მაღალი მძიმე დარაბა თითქოს მცველად ედგა ჩვენი ოჯახის სამ თაობას – ელვა-ქუხილს გვაშორებდა, სიცხე-სიცივეს არ გვაგრძნობინებდა და როცა ტყვიების სეტყვა დასცეს ფანჯრებს, მკერდით გადაუდგა, დაგვიფარა, გადაგვარჩინა.

ახლა, ჩანს, ვეღარ გაუძლო ჩემს ცრემლებს და ერთი ფრთა რომ მოსწყდა, მეორეც მიჰყვა. ხელში ატატება მინდოდა მისი, ჩახუტება. ფრთაზე იმ ნაირევს მივეფოფინე:

— არ მიგატოვებთ, ჩვენთან იქნები. უწინდებურად დაგვიდგები, ვითარცა ნიშანი ერთგულების სიმყარისა, როგორც მომსწრე სულიერი დაცემის და უგნურობისგან წარღვნისა. შენ იქნები მე-მატიანე – უამთააღმწერი ქორონიკონის, რაიც უნდა დაიწეროს, რომ ესმას ყოველსა...

დილას ხრიგინ-გრუხუნი განახლდა. ზემოთ მოშვლებილ კაბინაში კაცი-მემანქანე თვალით ამაოდ ეძებდა გუშინდელ გაკერპებულ ნარჩენს – ძირს გართხმული ის იქ აღარ იყო, სადღაც გაქრა.

— ერთი მაგისიც, — ისევ შეუკურთხა და მოჰყვა ნასახლარის ბოლომდე ჩამიწებას...

\* \* \*

დაცემის მაუწყებელმა ერთბაშად იქუხა დეკემბერში. ქვემე-სებმა, დემოკრატია რატომ არ გინდათო, ეგრევე დასცხეს ეროვ-ნული ხელისუფლების სვეტებიან სასახლეს.

დიდი ფუსფუს-თუხთუხი მიღიოდა დედაქალაქის შუაგულში: უნდა მოვაშოროთ ქვეყნის ვერგამძლოლი ეს მოგიუო კაცი, ვინაც ხუთი ენა იცის და არც იცისო, პოლიტიკოსობაში არც გამოცდი-ლება აქვს და არც ნიჭიო. ესეც არ კმარა და „დუბლიონკა“ ჩაიცვა თავხედმა, „მერსედესში“ ჩაჯდა, ამას უყურეთ, ცოლის ჭკუაზეც დაიარებაო.

თავშეყრა-დემონსტრაციებში ცნობილი და გამორჩეული თუ არა, აბა, ვინ იტრიალებდა წინა ხაზზე თუ ავანსცენაზე? შემალ-ლებული სცენები იმათი სტიქია ხომ ისედაც იყო: თეატრის, კი-ნოს, პოეტ-დეკლამატორების, მწერალ-დირექტორების, პრეზი-დიუმის მეცნიერების. კაიხელა დაგროვებულან თურმე, არადა, ვინ იფიქრებდა, ელიტურ სამყოფელში ასე თუ გამრავლდებოდ-ნენ, ამდენიც მიეტმასნებოდა — ჩვენც ნახირ-ნახირაო.

ეს ახლაა რომ ვკვლანჭავ სათქმელს სატირით, მაშინ რა მესა-ტირებოდა — სული იყო გადასარჩენი და იმასთან ხორციც, ფეხს რომ აჭერდნენ ორივეს ჩექმიანს.

სული რომ პირველობდა, ანუ სული-იდეა, ამიტომაც ჩავარ-და პოლიტიკურ იდეალიზმში, უფრო უარესი — პოლიტიკურ რო-მანტიზმში ჩვენი ქვეყანა და იოლად დასამარცხებელი გახადაო, რეალიზმი და პრაგმატიზმი ერთადერთია, რაც თავისუფლებას მოგვიტანსო, — იყო ყიამდე ამოსული გაცხარებული კამათი და გაწევ-გამოწევა.

როცა პოლიტიკურ იდეალიზმში, ანუ ხელმოცარულობაში ეროვნული ხელისუფლება დაადანაშაულეს რეალიზმ-პრაგმა-ტისტებმა და მერე გარეულ-შინაური ერთიანი ძალით ეს იდეა-

~ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

ლიზმი მოგუდეს, რეალიზმა ფრთა გაშალა, იმარჯვა, იმედი გაა-  
მართლა და ყველა წითელ-ყვითელ გადასარბენზე გადარბენილ-  
გადმორბენილი „მსოფლიო პოლიტიკოსი“ მოევლინა რეალიზმის  
ლიანდაგზე შესაყენებელ ქვეყანას.

მაგრამ ლიანდაგი კი არა, რკინა-ლითონის სახსენებელი გაქ-  
რა მაშინვე იქიდან, ქარხნები ჯართად დაიშალა და დიდ ფულად  
საზღვარს იქით პირი ქნა.

სადღა იყო რუსთავის ფოლად-საგლინავი, ისევ პაპა აპარეკას  
სამჭედლოს მიუბრუნდა ღვთისგან მიტოვებული ქალაქი. ქუთაი-  
სის ავტომშენებელსაც ჰქონია კაიხელა ჯართი და კიდევ რამდენ  
გატიალებულს, ჩამსხვრეულ-გაპარტახებულს.

განა ეს ნამდვილი პრაგმატიზმი არ იყო, კეთილგამოსაყენებე-  
ლი. უკუნეთ-ჩაბნელებულიც ხომ ასხივებდა უხილავ რეალიზმს.  
ცხარე „სადისკუსიო“ გონიერებამ არ შექმნა განა სოციალური  
სამართლიანობის ნამდვილი გვირგვინი თუ შედევრი – „ქონების  
მართვის“ სამმართველო, ანუ გაყოფა-ჩამორიგების მაღალი ძაბ-  
ვის დაწესებულება, რომელ ერთზე ითქვას კიდევ...

„ჰკა, მაგასო“ – იმიტომაც შეარყიეს ზეცა შეკივლებით, როცა  
იდეალისტმა პირველმა ესე წოდებული „პრივატიზაცია“ შეაყოვ-  
ნა, ან არ ქნა, ხელი აუქნია „ქონების მართვას“ და გაყოფა-ჩამო-  
რიგების იმედი დაუწირიტა ერის კეთილდღეობისთვის თავგადაკ-  
ლულ რეალისტ-პრაგმატისტებს.

იმ სულის პირველადობას ვუბრუნდები. სული იოლად დასა-  
მარცხებელი რომ არ არის, ამიტომაც ქმნიან გიგანტურ მანქანას  
კარგად შენიდებულ თეორიაზე დაყუდებულს, რომლის შუაგულ-  
შიც წერია – უხილავი ომი და მისი მამოძრავებლები. მამოძრა-  
ვებლების ნუსხა შიგ მიზანში უნდა ურტყამდეს:

სამოტივაციო მთელი სისტემის სრული დეგრადაცია-დაქვეი-  
თება, ანუ მიზნისგან და ამოცანისგან ქვეყნის დაშრეტა; აქედან  
მომართული ფსიქო-ისტორიული ღირებულებების ამოძირკვა  
და, მაშასადამე, ზნეობრივ-მორალური მნიშვნელობების სინამ-  
დვილიდან განდევნა;

ისტორიისგან დაღლილობის გრძნობის საყოველთაო დანერგვა, რაც კულტურული ინფანტილიზმისა თუ სულერთიობის, ან სულაც კულტურული დემენციის, ანუ კულტურული ჭკუასუსტობისკენ ყველას წაყვანას, ეთნოკულტურული კვდომის პირდაპირ გზას ნიშნავს.

მერე კი სუპერპოზიციებიდან ქაოსის, კრიზისების მართვა დაასრულებს მთელ სქემას. ამ მბრუნავ მორევში შებრძოლებას აზრი ეკარგება და თავად პრძოლა ქარის წისქვილებთან დონკი-ხოტურ სცენას დაემგვანება.

სოციოინჟინერიას, ანუ, როგორც ამბობენ, ამ ინჟინერინგს „შრედინგერის ომს“ უწოდებენ (ფიზიკოს შრედინგერის სახელს უკავშირდება), რომლის უხილავი ხელის ტექნოლოგიური ბაზა „ციფრული პლატფორმაა“, შედეგი კი საზოგადოების „საინფორმაციო-ტექნოგენური აუტიზმი“.

თხრობიდან გადახვევა და ტერმინებით ფურცლის ესოდენ დამძიმება მხოლოდ იმისთვის მომიხდა, ეჭვი არ შეგვეპაროს სულის პირველადობაში, იდეის შინაგან ძალაში, მასთან შეჭიდების სირთულეში, რასაც ოდენ სატანური გონება და ხელი თუ მოერვა.

ისტორიისგან დაუღლელი რომ ვარ და მისით სულჩადგმული, ამიტომაც იმასვე შევყურებ, მიკვირს და ვერ შემიცნია, რა გვჭირს, სული რამ დანრიტა, ქვეყნიერების გზებზე რამ გაგვიყენა, უთვისტომოებად რამ გვაქცია.

იქნებ „შრედინგერის ომმა“ უხილავმა, ვინძლო, მართლაც იმან. უფრო მძიმე დრო დაგვიძლევიაო, ყურში გიწივის ვიღაც, მაგრამ, ვაგლახ...

აღარ მინდა გამოვიყენო უკვე ძალლის პირით სათრევი სწავლანი: „გენეტიკური კოდი“, „ისტორიული მეხსიერება“, „ეროვნული მენტალიტეტი“ და უაზრო თუ უშედეგო სალაყბოდქცეული სხვა ამგვარი.

უბრალოდ, მინდა ზეცას ვკითხო: ხომ მოვიტანეთ თავი დღემდე, დასტურ, ჩვენივე ნიჭითა და უნარით, აბა, სხვანაირად

~ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

როგორ?! პოლიტიკური თვალჩუბინობა და მხედრული ნიჭი, ზე-დაც მედგარი ბუნება ძვალ-რბილში რომ არ გვქონდა, მოვალ-ნევდით განა?

ხალხები მოსულან ისტორიაში მარშით და მარშითვე წასულან, როგორც იტყვოდა კონსტანტინე-ბატონი. მარშით თუ შემოვედით ჩვენს კონკრეტულ კი არა, ტელეოლოგიურ დროში, მარშითვე უნდა გავიდეთ აქედან, ან იქნებ გზაში ვართ უკვე, ოლონდ მოღვენთილები, ტაატით უმარშოდ...

მაგრამ ტელეოლოგიური დრო დაუსაზღვრავი და დაუსაბამოა, არ იზომება. მაშინ იქნებ არც გავდივართ ისტორიიდან? ისევ და კვლავ წარსულმა უნდა დამიდასტუროს იმედიანობა:

სამხედრო გენიალობაზე დასავლურ სპეციალურ სახელმძღვანელოში შეისწავლება დავით ალმაშენებლის მხედართმთავრული ფენომენი და ომის მისეული კლასიკა დიდგორის;

მეფე ალექსანდრე პირველი მეთექვსმეტე საუკუნეში პოლიტიკურ საოცრებებს რომ სჩადიოდა ორ მაჰმადიანურ ზვიგენს შორის სრიალით, ისკანდერ-მელა კიდეც რომ შეარქვეს იმათ, და ამ საოცრებით ლამის ორმოცი ნელინადი კახელს ქარქაშიდან ხმალი არ ამოულია, იმ ხმალჩაუგებელს. კახეთ-ჰერეთი კი ხარობდა, ყვაოდა დოვლათითა და საკუთარი აბრეშუმითაც;

იქით პეტრე ბაგრატიონს, მხედართმთავარს რუსული იმპერიის ყალიბი ფოლადით რომ გამოჰყავდა, ბონაპარტისთვის შეეძლო შეეთვალა, საცა შენი დაიკვეხო, იქაც ჩემი სთქვიო. ეს იქით;

აქეთ გიორგის, დიდ მოურავს, სარდალს ირანი ინდოეთამდე მიჰყავდა;

— პატარა კახმა ასი ომიო...

ევროპულ სარდლობა-გენერალიტეტს ჩვენის ჯიშისას ვეტყოდით ახალ დროშიც, სამხედრო ახალ ისტორიაში — გენერალ ამილახვრისას თუ შალიკაშვილისას, იმ „ნატოს“ სარდლისას, უგვარო ნაბუშარივით დღეს რომ ვენუნუნებით მისუსტებული ხმით, მიგვიღეთ;

სოსო-კობა ჯუღაშვილზე ან ყველაფერი, ან არაფერი. ყველაფერს კი ვერ გაექცევი, ფაქტი ძლიერიაო.

ამ ნუსხებით თავს არ ვიწონებ, არც ვიტყუებ, პირიქით, შეჭირვებული მყარ არგუმენტებს თუ მტკიცებულებებს ვეძებ, მინდა ჩავეჭიდო. ჩვენის ნიჭისა და უნარის მინდა მეიმედებოდეს. სხვა გზა ჩახერგილია...

რამ ჩახერგა ეს გზა, ნიჭმა და უნარმა? ალბათ, არა – სულის მიწაზე ჩამოქვეითებამ და ზნეობის დამცრობამ – ამან. სულს მიწაზე ხოხვისას ჭია-მატლი აეკიდება, იქიდან ამონვერილ ზნეობას კი მცდენარი.

ამისთვის აგრუხუნდა მძიმე მანქანები, აბრუნდა რკინის მუხ-ლუხოები – მარცხნივ შიმშილ-გაჭირვების მიმოსაფენად, მარჯვნივ სულისთვის მატლების შესასევად და ეს ორივე გვერდიგვერდ, ერთდროულად.

მოულოდნელობის თავზარმა დააბნია ხალხი, აქეთ-იქით იცქირებოდა ხელის საგსავით, ხან რას მიაწყდებოდა, ხან – რას, მაგრამ რას დაინახავდა ბნელეთში, მიმწყდარი კედელს ეხეთქებოდა.

ყველაფერი ერთბაშად დაუწყვიტეს გადაკეტილი ონკანის წყალივით: დენი, გათბობა... ქვაბს ვერაფერზე შედგამდი. ტრანსპორტიც ერთიანად მონჯღრეული შეიქნა კარებჩამოლებულ კიბეზე დაკიდებული ადამიანებით და როცა პურზე რიგები უეცრივ გაეწყო, ერთმანეთს გადახედეს, ცა ჩამოგვექცაო, დაინახეს, მაგრამ რატომ – ამ ფიქრისთვის აღარ სცხელოდათ, უკვე კარგადაგვიანებულიყო.

ყველაფერი გახევდა, დადამბლიანდა, რასაც სოციალურ სივრცე-გარემოს უწოდებენ, ყველანაირი სამუშაო-სამსახური. ერთმანეთში აირია შემოგდებულ-გამოგონილი კუპონი და ლარი, ისიც თვეობით გაუცემელი გასამრჯელოდ.

სალაროებში ადრე შეტანილი კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ალალი ფული ერთბაშად გაქრა, დაიკარგა, მილიონობით. შიშველ ქვაზე დარჩენილი ხალხი მაინც იცინოდა „შვიდი ლარის“ ირონიაზე, როცა დიდმა პირველმა ქალბატონმა, საჯდომად ორი სკამი რომ ვერ ეყოფოდა, დიასახლის-ქალები ფილოსოფიურად მომჭირნეობაში დამოძღვრა, შვიდი ლარით იყოჩალეთო.

ქალები კაცებად იქცნენ ოჯახის გადასარჩენად. სარჩენალ გზებს დაადგნენ მომვლელ-მბანელებად, მცხობელ-მრეცხავებად, ნადავლს ტურებივით შემოსეული უცხოელების პირისფარებებად. გაიგეთ, თორმეტ-ცამეტი წლის გოგონები სადგურზე დაუყენებიათო, თავში ხელს იცემდნენ.

კაცები იმ ქალებს შესჩერებოდნენ, აბა, რა ექნათ, რა ქართველია კაცური თავმოყვარეობა დაკარგოს სამუშაოს ძებნაში. აქა-იქ ზოგნი, უფრო კი ნაინტელიგენტარნი, ხელში მაგნიტჩა-მოცმული ჯოხით ნაგავსაყრელებზე ფასიან ლითონს კენკავ-დნენ ჯართში კაპიკებად მისატანად და მერე თურქეთში გასაზი-დად.

ადრე პროფესიონალი, ისიც ნაინტელიგენტარი ახლა კუსტა-რულ ელექტროპლიტებს, გამაცხელებელს, სათქვეფს და კიდევ სხვას აქოთებულ ბაზრებში სთავაზობდა მყიდველს თავჩალუ-ნულ-შეურაცხყოფილი.

ნიჭითგენიოსი ბიჭები – აქ ვის ვჭირდებითო, და გადაიხვენ-ნენ ძლიერ ქვეყნებში, მერე იქიდან ხმა ისმოდა, ეს ვინ ყოფილან ქართველები, აინშტაინი ამოაყირავესო. ნელი-ნელ გამოჩნდა: ასეთები ბევრი წასულან თურმე, უფრო კი გაძევებულან სხვა-თა ცოდნა-გონების გასამდიდრებლად.

მარტო რჩეულები კი არა, ათიათასობით სხვებიც აიყარნენ და დაადგნენ შორეთის გზებს. ჯერ მალეს, მერე გამოიტანეს – მი-ლიონ-ნახევარი წავიდა.

ისევ ზეცას მინდა ვკითხო: ისტორიამ მტარვალად რომ შე-რაცხა „ასი ათასი ქართველის“ ირანში გადასახლებისთვის შაჰ-აბასი და სამისდღემჩიოდ დასწყევლა, ფერეიდანში ვაისგან სა-ხედაკანრული კახელები როზგის ქვეშ როგორ წაასხაო, ახლა სამშობლოდან საკუთარი ფეხით გაქცეულ-გაგდებულ „მილიონ-ნახევრისთვის“ ქვეყნის მხსნელად გამოგზავნილი ამის მქმნელი უბირი კაცი ისტორიის შავ ფურცელში მტარვალად ჩაიწერა? განსასჯელის სკამზე დაისვა? სახელმწიფო დამნაშავედ გამო-ცხადდა?

ამ სატანას შავზე შავი წყევლაც ვერაფერს დააკლებს, ვერც მის მონაგარს მისწვდებაო, თქვეს და ჩაჩუმდნენ.

ამბობენ, ისტორია როსკიპი ქალივით უსირცხვილო და უნა-მუსოა, გასამრჯელოსთვის, რასაც გინდა ამლერებს, წინიდან და უკნიდან, როცა გინდა წაკუნცხავო.

მაგრამ დრო ხომ მაინც თავისას იზამს, ჭუჭყს წყალს გაა-ტანს და სიმართლეს სამზეოზე გამოიტანს, – ესეცაა ნათქვამი. ლოდინი უნდა ოღონდ. მაგრამ ვაგლახ, ამასობაში სახსენებელი თუ ამოგიგდეს, შავ ფურცლებს ვინდა დასწერს ან ვინდა წაიკი-თხავს?!

ქვეყნის ცხოვრება ეშმას ნებას დაეკიდა.

მთლად გასატეხად გაჭირვებას შიდა მოთარეშეც შეუსიეს. გადამთიელი კი არა, მოძმე, შენიანი. მხედრულ წარსულს წიხლი ჩააზილეს და მოთარეშეს „მხედრიონი“ უწოდეს, ყველაზე დაუნ-დობელს სხვა ამგვარ მარბევალთა მომრავლებულ რაზმებს შო-რის. მტერსა და ავს, იმან რაც შეძლო, მომხვდურის გავეშებით მოტრიალემ, საკუთარ ენაზე მოძმის რომ არა ესმოდა, ყიზილბა-შობას დაგავიწყებდა.

არადა, „მხედრიონი“ პირველად როცა გაისმა, გული ლირ-სებით აივსო, გველირსა, როგორც იქნა, ქართული მხედრობაო. მერე, როცა ემანდ კარგად წაიკუზეთ, ლობიობანა არ გეგონო-თო, ვერაგობამ კისრის ძარღვი გადაჭრა – უბანი უბანზე წავი-და, ქუჩა-ქუჩაზე, „ბოროტები“ „კულინარებზე“ და თუ სხვა ათასი ლვთის რისხვა... „ასე იქნებაო“ ხომ აფრთხილებდა წინასწარმე-ტყველურად ის იდეალისტი კაცი, უნიჭო, „დინების წინააღმდეგ“ წასული გლობალ-კაცების გასაბრაზებლად.

რაზმებად დაეწყვენენ წვიმის მერე სოკოს მომრავლებით საი-დანდაც, თითქოს მიწისქვეშეთიდან გაჩენილები. ერთბაშად, ხე-ლის დაქნევით-მითითებით „სწორდითო“, იმათ განუკითხაობის სიგელ-გუჯრები დაურიგეს, შეესიეთ, დაერიეთ უფრო იმათ, მო-უსყიდველებს, სულის პატრონებსო. სამეგრელო არ დაინდოთ,

~ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

მიწასთან გაასწორეთ, გუბაზ მეფის ერის ერთიანობის სული იქი-დან უბერავს, არ ჩერდებაო.

გასამრჯელოდ გინდა ოპერის თეატრის საზღაპრო ჭალი ჩა-მოგიხსნიათ, გინდა საქართველოს მუზეუმიდან თამარის ჯვარი და ოპიზრის სამკარედი წაგილიათო.

მილიონად ვერგამოსყიდული კაცი ცოცხლად მიწაში ჩაგითხ-რიათ, დღისით-მზისით ქუჩებში ავტომატის ჯერით გამვლელები ჩაგიცხრილიათ, ან შეძლებული ოჯახები ცოცხლად დაგიუთოე-ბიათო.

ქურდულ-ბანდიტური „პენი“ მიმოეფინა არემარეს, სოფელსა და ქალაქს. ახალწამოზრდილების, ერის ხვალინდელის რამდე-ნის გონება უნდა დაესახიჩრებინა, ზნეობა წაერთმია. დრომ მე-რე აჩვენა – თურმე ბევრის. თრიაქით გაბრუებული რამდენი ჩაი-ტანა მიწამ, ერთმანეთი რამდენი ხოცეს, უკვე არსაჭირო რამდე-ნი გააქრეს – დედების გლოვა თუ მოითვლის, სხვა მეტი ვერავინ.

სული უნდა მომსპარიყო, უდრეკი მოდრეკილიყო, ნიჭი და უნარი ქვეყნიდან გაძევებულყოფილიყო, წახირად ქცეულიყო ხალხი.

ამისთვის გააწყვეს რაზმები მოძმებისგან, მიზანი ეს იყო. ისევ იმ სულის შიშით, ჯერ კიდევ ჩაუქოლავის, ჯერ კიდევ მფეთ-ქავი მრნამსისა.

ამასობაში „სამხედრო საბჭომ“ სამი გასვრილი ამირსპასალა-რით დამშვენებულმა, ოლონდ გაუგებარ ომში „სამხედროსი“, აწენილ-დაწენილობიდან, არეულ-დარეულობიდან ქვეყნის გა-მოსაყვანად „სახელმწიფო მეთაური“ და მერე „პრეზიდენტად“ ქცეული მიუჩინა ერსა და ხალხს.

ქვეყნის დამწიოკებლები ესენი არიანო და „ბაბოჩიანი“, ინ-გლისელ ლორდს რომ შეშურდებოდა იმგვარი ჯიშიანი და მოხ-დენილი, თანაც მეცნიერ-დოქტორობით დამშვენებული, მერედა რა, რომ „რამკიანი“, ციხეში შეამწყვდია, მარბევალთა რაზმები დაარბია და იმათი საქმე „სუფთა ხელით“ დაასრულა, ახლა უკვე ხელპირდაბანილმა. „მავრმა თავისი საქმე შეასრულაო“, გაგვა-სენა ლიტერატურიდან, ლიტერატურასთან მწყრალად მყოფმა.

სროლა-ბათქანი კი გრძელდებოდა ყოველ ცისმარე დღეს, და-უდგენელი, გაურკვეველი. საღამოს ვინ გავიდოდა. სახლებში შე-კეტილებმა დალოცვილი ხის კარები მახინჯი რკინისათი შეცვა-ლეს, მაღალი სართულებიც არ დაინდეს და გისოსებში ჩასხდნენ, ქალაქი ზოოლოგიურ ყაიდაზე ვოლიერებად იქცა.

სინამდვილე იყო ასეთი და ამიტომ.

ყოველ ორშაბათ-დღეს ერთი ჩასუქებული ქალი, ქონიანი რომ შეარქვა ხალხმა, მაძლარ-ნეტარი სახით ჩაბნელებულ-დამშეულ ქვეყანას ქუსქუსით იმედის ნათურას ჩაურთავდა ხოლმე – ახლა ხომ ვართ კარგად მამა-მარჩენლის წვა-დაგვით, ხვალ უკეთესად ვიქწებითო – ჩამთავრების მოჩქარეს შემწვარ-მოხრაკულის სუ-ნი საღერღელს უშლიდა.

იქვე ახლოს, „დაიჯერეთ, დაიჯერეთო“, კვერს უკრავდა ჩიჩი-ვირიანი ენაფლატუნა კაცი, იმასაც ხაშლამ-ბულლამა ცხლად რომ ედგა გვერდზე.

რა იყო ეს სინამდვილე, რამ შექმნა?

ესეც ყოფნა-არყოფნის ჰამლეტურ კითხვას უტოლდებოდა.

როგორც ჩანს, საფრანგეთის ისტორიაზე მორგებული დას-კვნა: „ყოველ დიად ცვლილებას ამზადებს მაღალი გონება, ახორ-ციელებენ გმირები, ძალაუფლებას წამოასხდებიან ზნედაცემუ-ლები“, – კაცობრიობისთვის საყოველთაო ყოფილა.

ჩვენკენ თუ გადმოვიტანთ, ჩვენი დიადი ცვლილება მეცხრა-მეტე საუკუნის „მამული, ენა, სარწმუნოება“ ამაღლებულმა გო-ნებამ მოამზადა. მერე წინამურით ვერგანხორციელებულმა მეო-ცეს გადმოაბარა, თავისუფლების დიადი ცვლილება წინმავლებს და ერს დააკისრა, ვითარცა გმირს. ძალაუფლებას კი აქაც ზნე-დაცემულები შემოასხდნენ.

ისტორიას თავისი ყალიბი ჰქონია თურმე.

ერთი კარგი ნათქვამი აქვთ გერმანელებს: „Jeder neuer Weg beginnt mit dem ersten Schritt“ – ყოველი ახალი გზა პირველი ნაბი-ჯით იწყება. პირველი ნაბიჯი ის-ის იყო, გადაიდგა – ერმა და-მოუკიდებლობის სუნთქვით შეისუნთქა და... აღარ დასცალდა.

სადავები დასჭიმეს, შემოახტნენ და მოგუდეს.

წინამური ისევ გამეორდა – დიადი ქადილი, გერმანულად „Niemandsland“ ჩვენებურად კი „არავეთი“, „დამოუკიდებელი არავეთის“ წინა-უკმოთი უსახელოდ ასე დასრულდა.

„ლირსება და მისი ბიძაშვილი თავდადება“ – ცოდვის ფულით გამოსასყიდი ინდულგენციის შემოქმედი პაპი ბორჯიას ამ გეს-ლიანმა დაცინვამ მარჯვედ გაიდგა ფეხი „არავეთში“, დაცინვით მოილრიცა სახითაც და საქმითაც.

თუ რამ აღმა ხნული დარჩა, დაღმა ფარცხა ქვეყნის სულიერ წინა ხაზზე თუ ავანგარდში დგომა რომ ევალებოდა იმან – ეპო-ლეტებიანმა ინტელიგენციამ.

იმათში თუ ვიღაც ერთი პრივილეგიებს ვერ თმობდა ნაწყ-ალობევს, სსრკ-ში გაჩვეულს, მეორე ორივ ფეხით ისე იყო გას-კვანჩული, „იქიდან“ თავს ვერ დაიძვრენდა.

ნამდვილებს კი იმდენი ურტყეს შიგნიდან თუ გარედან, სანამ დიადი საქმის ასპარეზიდან სამუდამოდ არ მოჰკვეთეს. მათთან ერთად ქართულიდან ამოძირკვეს სიტყვა-ცნება „ერი“, „ეროვნუ-ლი“, ოდენ სათაკილოდ და სამასხარაოდ რჩენილი.

ჩანს, ამ სიტყვის გამოთქმა ისე საფრთხილო ყოფილა, რომ მეხსიერებიდან სამუდამოდ ამოსარეცხად წლების მერეც ახალ-მოსულებს „ნაციონალური მოძრაობა“ დაარქვეს, თითქოს „ნა-ციონალური“ „ეროვნულად“ არ ითარგმნებოდეს. ამ პარადოქსს ერთი კითხვა კიდია: რა მიზნით, რატომ? გარედან „ნაციონალუ-რად“ აუღერებული, შიგნით „ეროვნულს“ არ ნიშნავდა მაინც?! თუ იმიტომ, რომ „ნაციონალური“ „ეროვნულს“ ჭიტლაყით გააძევებ-და ლინგვისტიკიდან.

„ეროვნული“ სულის ტოლფასი რომაა, ამიტომაც შეიქნა საჭი-რო იმის ამოგდება ძირიანად და საერთოდაც, „მშობლიური ენა სულის ენაა, სხვა ენები კი – ოდენ მეხსიერების მონაპოვარია“, – ხომ ასე იტყომდა იაკობ გოგებაშვილი.

ნგრევის სქემაში იმგვარ ინტელიგენციაზე, ლენინი ფეხისად-გილის სიტყვით რომ მოიხსენიებდა ხოლმე, დიდი ფსონი ყოფი-ლა დადებული, დრომ ამის უტყუარი საბუთი შექმნა.

დემოკრატიისთვის ბძოლას ფარად იყენებდნენ, ტყავიდან ძვრებოდნენ, რომ როგორმე აერიათ ტვინები, ქვეყნის წინაშე თავისი დანაშაული ამით გადაეფარათ. დავალება იყო ასეთი. უკან აკიდებული წვრილფეხობაც ავტორიტეტებს ტაშით ხვდებოდა და აცილებდა ქალაქში საბუქნაოდ.

რა გულუბრყვილობა ყოფილა, თურმე. ფუჭი თხოვნა-შეგონება. ვინ იცოდა და ვინ დაიჯერებდა, რომ ისინი საკუთარ საცხოვრებელს კი არა, ქვეყანას გაყიდიდნენ უკანმოუხედავად, რომ დიდ ლუკმას მიმწვდარნი არასოდეს დათმობდნენ ამ ლუკმას, კარისკაცად და სეფექალად ქცეულები.

მეც გულუბრყვილობ მაშინ იმათ მივმართე დევნილი ტელევიზიით შავად გათენებულ დღეებში, 1991 წლის ოქტომბერში, ისტორიული დაცემის პირველ საათებში:

დღევანდელი ვითარებიდან ერთი საკვირველი კითხვა ამოიზარდა-მეთქი: რატომ ვატრიალებთ წალმა-უკულმა ამდენს დემოკრატიის ცნებას, რატომ ვათრევთ და ვეძებთ მის შინაარსს ასე უსასრულოდ შინ თუ გარეთ?

ხომ ვიცით, რომ დემოკრატიის ცნებას თუ მორალი არ უძევს მთავარ განზომილებად, იგი კარგავს თავის შინაარსს. იქნებ ამიტომ ვეძებთ, ალბათ, გამალებულები, რომ ძალზე დაშორიშორდა დემოკრატიზმისა და მორალის ცნებები.

დღეს, როცა ჩრდილოეთიდან გაისმა, რუსეთია დემოკრატიის ბურჯი ხალხებისთვის და ყურში უსიამოდ აუდერდა ძველებური, რუსეთიამ სოციალიზმის ბურჯი ხალხებისთვის, იმპერიის ხალხები შეკრთხენ და ჩაფიქრდნენ.

როცა დღეს გორბაჩივს ახალი ტიტული მიანიჭეს სახელდებით „კომპრომისების გენიოსი“ და არ განმარტეს, რომ ზნეობრივ კომპრომისებს კაცობრიობის ეთიკა ამორალიზმს უწოდებს, იმპერიის ხალხებმა გადაწყვიტეს თავად მიხედონ თავს და საკუთარ წიაღში ეძიონ დემოკრატიის ბურჯები.

ჩვენც, ამ ხალხებიდან ერთ-ერთი, შეკვრთეთ უნდა და ჩაფიქრდეთ, გავიაზროთ, რომ ასე ძალის სათრევად ქცეული

~ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

„დემოკრატიის“ ცნება ჩვენდა საგვემად შემოგვიგდეს გარედან და ოდენ და მხოლოდ პოლიტიკური მანიპულაციების ხელსაწყ-ოდ გვიქციეს.

დავფიქრდეთ, რომ გარე დიდი პოლიტიკის სათამაშო დაფაზე პაიკებად უნდა ვიქცეთ ამასობაში, ვიდრე აღმა-დაღმა სირბილ-ში დავადგენთ დემოკრატიის შინაარსს. დავფიქრდეთ, რომ ორი სექტემბერი ამ დაფაზე გათამაშებული დიდი პოლიტიკის მორი-გი რაუნდია და, რომ მის უკან გარე პოლიტიკისა თუ გარე დე-მოკრატიის მსახურის, რენეგატის დამწუხრებულ-ტრაგიკული ნიღაბია მხოლოდ.

თუ დავფიქრდით, მაში, რატომდა ვიქცევით პაიკებივით? ამ კითხვით მივმართავ ქრისტესმიერ ძმათა ჩვენთა ინტელიგენ-ციას სულიერს შრომაში – გაღმა დემოკრატიის ძებნაში ხომ არ დაშორიშორებულან თქვენში „მე“ და „ჩვენ“? სხვაგვარ როგორ ავხსნათ ყოველივე?

დემოკრატიზმი რაღაც კოსმოლოგიური, განყენებული ცნება ხომ არაა, მას ხომ თავისი დროითი და სივრცითი განზომილება-ნი გააჩნია. ხომ არ გვიჯობს, თავადვე გავიაზროთ მისი შინაარ-სი ჩვენი ერის საარსებო დროსა და სივრცეში! ჩვენვე მივაგნოთ ჩვენსავე დემოკრატიას, თორემ გაღმა ძებნაში ეს-ესაა ქართულ სივრცეს ახალ თარგზე გამოგვიჭრიან და დროის ათვლასაც თა-ვისი „დემოკრატიზმით“ აგვითვლიან.

მაშინ მივაგნებთ ჩვენსას, როცა მივაგნებთ „მე“-სა და „ჩვენ“-ის გამთლიანების საშუალებებს. ქართველებს დიდად გაგვიჭირ-დება ეს, მაგრამ უნდა ვძლიოთ „მე“-ს ყოვლისშემძლეობას და „ჩვენ“-ს მივაპყროთ მზერა. თუ არადა, მალე დაგვიდგება დრო, როცა სათქმელად შეიქნება აკაკისეული სიტყვები – ფურთხის ღირსი ხარ, ქართველო.

მტერს აუხდეს ისე, ჩვენ რომ აგვიხდა: ქართული სივრცე ახალ თარგზე გამოგვიჭრეს, ეროვნული შეგნება კი „მე“-სა და „ჩვენ“-ის უფსკრულით გააპეს. დროც დადგა ხეიბარი ოცდაათწლიანი, „ფურთხის ღირსი ხარ, ქართველო“, აკაკი რომ იტყოდა, ისეთი.

დღო კი წრიულად დატრიალდა წრეშივე ჩაკეტილი და ლამის ოცდაათი წელიწადიც აღარ ყოფნის სატრიალებლად. დაცემის არჩევანმა მოიტანა იგი და, საერთოდ, არჩევანის ვერშეძლებამ.

დღესაც, ყველა დროის დროს აკრული ასწლოვანი მათუსა-ლები თუ მუმიები, ქალები და კაცები, პირჩიჩვირიანი მოძღვარ-მეტყველები „დაიჯერეთ, დაიჯერეთ“ გუშინდელი ამბიონიდან დღეს გამოლმა გადმომხტრები, „არ დაიჯეროთ, არაო“, – ისევ მეტყველებენ.

„დაიჩოქეთ, დაიჩოქეთო“, მაშინ ღრმადჩამძვრალი თვალებით აკივლებულები, დღესაც სპორტული მხნეობით წაჩოქილები, ნა-ზად ულულუნებენ ამა ცხოვრების სიამეს, ისევ საჭირონი.

გახუნებულ-გაქუცულ მეხსიერებას კი ეზარება გაიხსენოს, სად ჩაიმარხა ძალლის თავი, რომ დღესაც ის მოძღვრავს და ამუ-ნათებს, ვინც ნება წაართვა და ნახირში გაუშვა.

Quo wadis – როდემდისო, იკითხავს ვინმე? ჩაზარმაცებულ, გაზანტებულ მეხსიერებას წამოახტუნებს რამე? ამიტომ ისევ მეტყველებენ მუმიები, ისევ კივიან, ნეტარებით იზმორებიან ათ-ჯერ საცვალგამოცვლილები.

იოანე ნათლისმცემლად მოვლენილმა, ქვეყნის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე, ყოჩალ, ჩვენმა ინტელიგენციამ მაგრა იბრძო-ლაო, ეგრევე დაასმინა და... სახელ-სახელ ჩამოთვალა. სიის ბო-ლოს ერთი რეჟისორი რომ გამორჩა, იქვე შეავსო დანაკლისი.

მაღალთამასიან საპატიო სიაში გამოვიჭიმეთო, ასე გაიგეს, ასე მოესმათ. ვერ ჩახვდნენ გალალებულ-გულმოცემულები, რომ ცბიერების უხმო ხარხარით ის სია საჯაროდ გაიროზგა.

დროს რემინისცენციები უყვარს – გონებაში მოვლენებს შო-რის ხიდის გადება. ერთი ერთშიო, რომ იტყვიან, ისე ამოცურდა ცნობიერებაში ოცდაათწლისწინანდელი საჯარო გაროზგვის სცენა:

ახალმა სადავის მჭერმა, როცა გაზეთს გულდაგულ ჩამოათ-ვლევინა, ანუ დაასმინა იგივე წვირიანი სულები, ფულადი „დახ-მარებით“ მოსყიდულები, შემთხვევით იქ მოხვედრილებმა ოდენ

~ ————— ტყვეია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

თუ „გაანელეს“ სია, თორემ ვის რამდენს უხდიდნენ წლობით და დამსახურების მიხედვით, დოკუმენტად დაიდო – კვლავაც საჯაროდ გასაროზგად.

ჰოი, საოცრებავ, ახლაც ნეტარად გაიზმორნენ იმ კურდღელივით – ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო, ხელს ვინ გვახლებსო და ისევ აღუღუნდნენ, ისევ საჭირონი.

მერე როგორი, თურმე! ვინც ჯერ პრესა-ტელევიზით საქვეყნოდ გამოაჭენეს – დახეთ, ეს ქალი მოსკოვში გადაიხვენა კავებე-ს ეს გაფუჭებული აგენტიო, ვითომც აქ არაფერია, ისევ გადმოაჭენეს იმავ ტელევიზით – თქვენი სიბრძნე და გამოცდილება ქვეყანას სჭირდება და ქადაგად დასვეს ეკრანთან.

ერთი-ორჯერ მექოთნე თუ ამირსპასალარყოფილიც გამოიყვანეს, პატრიოტული სიტყვა ძლივ-ძლივ ამოათქმევინეს ვერმეტყველს – მე რა შუაში ვარ, ისინი ურტყამდნენ ზარბაზანს ქვეყანასო. ყველაფერი, რაც მოხდა დასაქცევად, იმ ბებრის ბრალია, იმ გაქნილ-გაიძვერა „თეთრი მელასიო“. ჩანს, რიხიანად რომ ვერ გამოუვიდა, აღარ მიუპატიჟებიათ მერე. ერთი თქვენი დედაცო და ჩაიკარგა მოსკოვ-ქალაქში, აღარც გამოჩენილა.

ბევრი რამ დაიტია ცოდვილმა ტელეეკრანმა იმთავითვე, ორი აკადემიკოს-ისტორიკოსის მკაცრად შთაგონებული ორი სახეც, დაუმორჩილებელ სამეგრელოში წესრიგი უნდა დამყარდესო, – მოუწოდა ქართული ისტორიული სულის საუკეთესო მცოდნემ, მერე სამი დღე არგასული სამეგრელო უკვე იწვოდა ცეცხლის ალში „მხედრიონის“ ეგზეკუციით.

მოვვიანებით იმ ცეცხლის ამბებში ერთ ამაზონელ ქართველ ქალზე შექება-შეპარვით, „მემუარების“ წერით დაღლილმა – ამ ქალის ვაჟკაცობას რომელი კაცისა შეედრებოდაო, თქვა და დაასმინა, ისევ საჯაროდ.

იქით, ვიღაც ჩიაკაცი, პროფესორი, ტელეეკრანზე დროის რეგლამენტით შეუზღუდავი, როცა კაიხანს არჩევდა ენის ლიტერატურულ-სტილისტურ პრობლემებს და „კრიტიციზმის“ უცხელეს წერთილს მიაღწევდა მთლად ანთებული, „დიდოსტატის

მარჯვენის“ დამწერი გადაპრანჭული ენისა იყო, იტყოდა და მყისვე მშვიდდებოდა. ვიღაც ტელემაყურებელი კი ბრაზობდა, აბა, ჰე, ყველა მხრიდან დასცეხთ „არტაბსტრელითო“.

ზოგიერთი სეზონურად ამუშავეს და დავიწყებული, უსახელოდ გაუშვეს სარბიელიდან. ვინდლო იმიტომაც, რომ იმის მოსავალმა დიდი ვერაფერი მოიტანა, მეტისმეტმა მონდომებამ კი ვერ გაამართლა.

ის იდეალისტი, ანუ როგორც უწოდებენ, ქარიზმატული პიროვნება და მისი სახალხო-ეროვნული შარავანდელი რით გავაბიაბუროთო და ფსიქოლოგს მიანდეს ეს საქმე.

იმან, სპეციალისტმა, ეგ კაცი კია წარმოსადეგი, მარა რად გინდა, ცვედანია, იმპოტენციის ნიშანი სახეზე ადევს – ულვაშსზე. წონიანი არგუმენტი ფროიდის ფსიქოანალიტიკიდან გადმოქაჩა თაბახიან ქალალზე, მარა სულ პატარა შტრიხმა შეუშალა ხელი – თავად ზიგმუნდ ფროიდის სახის დამამშვენებელმა ულვაშმა.

მერე იყო და, ეს ქალები რას ბობიქრობენ ქუჩაში იმ ქარიზმატულის დასაცავადო, – იმიტომ, რომ კაცს დანატრებული ამძუვნებული მდედრები არიან და იმას ეტრიანო. ვერც აქ ივარგა საბუთმა, – ნახევარი საქართველოს ქალები თუ ატრუებული ყოფილან, აბა, ქართველ კაცებს შარვალში კარგად ჰქონიათ საქმეო, – ბევრი იცინა ხალხმა.

ისე კი, ფსიქოლოგობა სარფიანი რამ გამოდგა, მელას კუდისა არ იყოს, დასამონშებლად ვარგისი. მაშინ მერვე სართულიდან ადამიანები რომ ხტებოდნენ სვეგამწარებული სიცოცხლის მოსათავებლად, ფსიქიკის ლაპირინთებში იოლად მორონინე ქალი ქვეყანას ამშვიდებდა – სუიციდი, ანუ თვითმკვლელობა ამინდის თუ კლიმატის ერთბაშად შეცვლამ იცისო. არგუმენტი არც დასჭირვებია, მოკლედ მოჭრა.

ზოგმა სახელი ისტორიის ფურცელში ჩაწერა და დაცემის ქორონიკონში საკუთარი საფლავი მოიზომა. საკვირველია, მაგრამ ფოლკლორშიც შევიდა. აქლემი ისე არ დაეცემა, ვირისტოლა არ აზიდოსო – ასე სჭირდა ჩვენს ხალხს. სციოდა – პალტოიანად

~ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

შეწვებოდა გაყინულ ლოგინში, შიოდა — არაფრისგან ისეთს მოიგონებდა, გერმანულ ანდაზას თვალს დაუყენებდა, — „Hunger ist der beste Koch“ — შიმშილი საუკეთესო მზარეულიაო.

მაშინდელი, ესე წოდებული, კიდით-კიდემდე განთქმული „სიგუას ნამცხვარი“, დღესაც რომ უკვდავი რეცეპტია ჩვენში, ნგრევის მქმნელთა შეუდარებელი შედევრი იყო.

ვიღაც გაიკვირვებს, კი მარა, ამ მეცნიერ კაცს, ინსტიტუტის დირექტორს პრემიერმინისტრად, ქვეყნის გამძლოლად დანიშნულს, მერე... საკუთარ ხალხთან ბრძოლაში წარმატებული შეიარაღებული რაზმების მეთაურს, კულინარიასთან რა ესაქმებოდაო. არადა, სწორედ ამ კულინარიულმა მიღწევამ დაუდგა ძეგლი ასე სახელგატეხილად ამა ქვეყნიდან წასულ კაცს. ამაზე მეტი რაღა იქნებოდა! მისი სახელი ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს მშიერ-ლატაკ სუფრასთან უკვერცხო, უკარაქო, უშაქრო ქართულ შედევრს.

არადა, სწორედ სწავლულ-განათლებულს ევალებოდა ის, რა-საც უპირველესი ერისკაცი ილია, ვინც თავს ედგა ქართველი ერის ინტერესებს, შემგნები, ვითარცა განდეგილი, მეცხრამეტის სამოციან წლებში მოუწოდებდა: მართალი სიტყვა „უნდა აღვიძებდეს მძინარ ხალხს, აფხიზლებდეს ახლად გაღვიძებულს, უსიამოდ ჩასძახოდეს ყურში და მით სარგებლობა მოჰქონდეს“ — ესე იგი, დროის საყვირის მისიას აკისრებდა.

ამათ საყვირმა კი დრო უკულმა აბრუნებულ ბორბალს აკიდა. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ სამყაროს საკუთარი ხედვის უნარი დაქვეითებულიყო, რათა შემოგდებულ პროპაგანდას გამოეძევებინა ეროვნული მსოფლხედვის ისტორიული გამოცდილება, შეექმნა მსოფლგაგების სრული კრიზისი და ამით დაჰკარგვოდა თვითგანსაზღვრის უნარი. სწორედ ეს გახდიდა შეუძლებელს ქვეყნად, სახელმწიფოდ ყოფნას და გარე, საერთაშორისო კავშირებში საკუთარი ადგილის გაცნობიერებას.

უკულმა აბრუნებულის შედეგი იყო დიდი დანაშაულიც — საშუალო კლასის მოსპობა. ფენისა, რომელიც სოციალური წონას-

წორობის მკეთებელი და საზოგადოების შიდა ურთიერთობების საძირკველია.

სწორედ საშუალო კლასი აღაგებს სისტემას, რომლის საფუძველს შრომის დაყოფა ქმნის. ქართველებს ხომ ამ კანონთა გენიალური ცოდნის ნიმუში აქვთ „რწყილისა და ჭიანჭველას“ სოციალური ფილოსოფიით.

ის ასწავლის, რომ როცა გლეხს პური მოჰყავს, ხარატი ჩარხავს, ხაბაზი აცხობს, ექიმი ექიმობს და სწავლული იმეცნებს, მაშინ იქმნება ურლვევი ჯაჭვი საზოგადოების ერთიანი ცხოვრებისა და, მაშასადამე, საკუთარი მსოფლგაგებისა.

ხელოვნურად შექმნილმა ვითარებამ გადააგვარა შრომის დაყოფა, ყველა წესი ააყირავა, როცა მეცნიერი ბაზარში დააყენა, როცა ცოდნის მსახურები უანგიან „ბუდკებში“ გამოამწყვდია და ხანდაზმული სპეციალისტები სანაცვე ურნებთან გაამწესა.

შეგნებულად მკვიდრდებოდა მცდარი აზრი, თითქოს საზოგადოება ორად გაიყო – მცირერიცხოვან მდიდრებად და არასმენეთა მრავალრიცხოვან კლასად. კლასი ვერ დაერქმეოდა ვერც პირველს – ქვეყნის ქონების დამტაცებელს და კაპიტალის არმწარმოებელს და ვერც მეორეს, რომელიც შრომის დაყოფის მიჯნის იქით დეკლასირებულ ლუმპენად იყო ქცეული.

**რატომ? პასუხი უბრალოა:**

სადაც საშუალო ფენა არ არსებობს და სოციალური სივრცე ქაოსურია, იოლია ძალაუფლების შენარჩუნება. ამგვარ სივრცეში ნოყიერი ნიადაგი აქვს კორუფციას, მმართველი ეშელონების მიერ სახელმწიფო ქონების დატაცებას, იოლი გამდიდრების უსაზღვრო შესაძლებლობებს.

**ასეც მოხდა.**

მაგრამ ამ სქემაში სხვა დიდი საფრთხე ის იყო, რომ დაშლილი სოციალური სივრცე აკნინებდა ეროვნულ ცნობიერებას, ეროვნულ იდეას, ათასწლოვან მაღალცივილიზებულ ღირებულებებს, მოკლედ, sui generis, ანუ საკუთარი წარმომავლობის ისტორიული პროცესის დამუხრუჭებას იწვევდა.

დღესაც ამ სქემის მუშაობა არ შეჩერებულა და არც წრეზე ბრუნვა ახალ-ახალი ხელისუფლებით.

დაიღალა ერი დაუსრულებლად ერთი და იმავე პერსონაჟთა გნიასითა თუ გრიალით, დაწყვილებულ ძმათა, ცოლ-ქმართა, მამა-შვილთა, დედა-შვილთა, ყოფილთა და მუდამ ახლანდელთა ცხრა მთავრობის მსახურთა. ისე გაწბილდა, რომ ნამდვილ ერის-კაცთა ხმაც ვეღარ მიენვდინოს, ვეღარ დაეჯერებოდეს.

ხალხი მაინც გადის ქუჩაში, ზღვარზე მყოფი, იძულებულია უსმინოს გაცვეთილ მოწოდებებს, აღმა-დალმა მორბენალ „მოლვანებს“, ვისაც აკადემიურად „კომპრომენტირებულებს“ უწოდებენ, ხალხურად კი გასვრილ კაცებს, მორალის სრულიად არ-მქონეთ.

მართული ქაოსის ამგვარ არემარეში ჯიბის სტიქიამ იხუვლა და ჯებირი გადმოხეთქა. ფულის ბზიკმა ისე დაკბინა, პირ-კისერ-შესიებულები ერთმანეთსაც ვეღარ ცნობდნენ, მტერ-მოყვარე აერიათ, შენი-ჩემი დაეკარგათ. ჟილეტ-ჯავშანი მოირგეს, მცველები დაიყენეს და სამალავი გაიმაგრეს.

აქეთ გალავნიანი სასახლეები დაიდგა, იქით – ევროპული ვილები. მაგრამ ძლიმას საშველი მაინც ვერ დაადგა. დანაწილებისას თუ ვერ მოილაპარაკებდნენ, ჩაცხრილული მანქანა ხან სად იდგა ქუჩაში და ხან სად. ეს წესი მახრიბელასავით შემოეჭდო ქვეყნის არსებობას.

მესაჭესთან ახლო მდგომები და მოთარეშეებიც ერთნაირად ხრავდნენ ქვეყანას, ხვრას ბიზნესი ერქვა, მხვრელებს კი ბიზნესმენები. მათთან მათებური კანონი კანონობდა – ხელი ხელს ბანდა და პირთანაც კაიხელა მიდიოდა. „აბა, დაყაჭეთ, დაყაჭეთ“, – ცივი ხმით უთითებდა და მაგიდას თითს უკაკუნებდა მთავარი „პირი“ მშოვნელებს პირდაპირ ტელეეკრანზე.

ერთხელ საჯაროდ თქვა მელანქოლიურის პირსახით, რა ვქნა, ჩემი ოჯახის წევრებმა ბიზნესის დიდი ნიჭი გამოიჩინესო. ხვალინდელისთვის აზრს ამზადებდა, ალბათ, მილიარდერობა მათი ამ ნიჭიდან წამოვიდა.

განა რისთვის მიგაყენეთო სახრავს, უჯავრდებოდა თავაშვე-ბულებს. იმათაც თავისი ხომ უნდა გამოეწურათ და ტრიალებდა წისქვილის ბორბალი ხალხის თავზე.

მთლად გატყავებულებს ბინა თუ ჰქონდათ, ქუჩაში აგდებ-დნენ, კაპიკებად ჩადებულს, ბანკირებად ქცეული გუშინდელი თაღლითები. ატირებულმა ნახევარმა ქვეყანამ ისინი მილიონე-რები გახადა, ახლა უკვე დარბასისლური მიხრა-მოხრის მძარცვე-ლები. შავი ფული უწმინდურობის სიმყრალის ჩამრეცხი მილე-ბით მიედინებოდა და დასტა-დასტად ლაგდებოდა შვეიცარიის, ბრიტანეთის, აშშ-ისა და, ეშმაკმა იცის, რა კუნძულების ბანკებ-ში, ოფშორულს რომ უწოდებენ.

მაგრამ ახალმოვლენილებმა „მდიდრებად“ ყოფნა მაინც ვერ შეძლეს, რადგან სიმდიდრის კულტურისა არაფერი გაეგებო-დათ. საერთოდაც, ასეთი გაგება – „სიმდიდრის კულტურა“ საი-დან გაუჩინდებოდათ წინადლის ნაქურდალ-ნათაღლითევით გა-ზულუქებულებს. დასავლურ სამყაროში იგი თაობებს გასდევდა მემკვიდრეობით.

ოკეანეში მოთარეშე მეკობრე მორგანის ნაშიერებმა მერე კარგად იცოდნენ მდიდრის „ქცევის წესები“: მოხუცებულთა სახ-ლების გაწყობა, საავადმყოფოების გამართვა, უნივერსიტეტე-ბის მეურვეობა, სახელობითი სტიპენდიების, პარკების, გზების, ქალაქის გამნვანებისთვის დიდი თანხის გაღება. ამას ყოველი-ვეს იმათ სწორედ „სიმდიდრის კულტურა“ აიძულებდა.

თანხის გაღება კი არა, იმ ბეჭედეთ-შიმშილეთის დროს მშოვ-ნელებში ერთ-ერთმა პირველმა თბილისში ქობულეთის პატარა ქუჩაზე „ოსობნიაკი“ რომ წამოჭიმა, ვაგლახად აყრილ-დაყრილი, გადაჩიჩენილი გზა სამისდღემჩიოდ ეგრე დატოვა, ტალახ-თოვ-ლში თვითონაც რომ შეძლო კისერი მოეტეხა.

ყველგან ასე იყო – ქალაქშიც და მის გარშემო სააგარაკო სა-სახლებშიც. ოთხმეტრიანი სიმაღლის მძიმე გალავნის იქით ხომ „არავეთი“ იწყებოდა და გზის დაგებაზე ვინ ამბობს, მოკირ-წყვლაც თავში ვის მოუვიდოდა.

ასეთები მრავლდებოდნენ სოკოებივით. ვერ გაიგებდი, როგორ და რით. გაპარტახებულ-გამათხოვრებულ ქვეყანაში, საცაფაბრივის მიღი არ ბოლავდა და არც ტრაქტორი ხმაურობდა სოფლად, საცა საპონიც და ასანთიც გარედან უნდა შემოეტანათ, კარტოფილი და პამიდორიც თურქის მოყვანილი იყო, ნიჟ-ხავი და ფლოსტებიც იქიდანვე ჭრელი მაფრაშებით შემოზიდული, სადაც ქათამი კვერცხს აღარ დებდა და არც ღორი ღრუტუნებდა დაცარიელებულ სოფლებში.

იქიდან გამორეკილები კი ისტორიაში დიდი ასოებით ჩარჩენილ „ელიავა-ნავთლულის“ ჩაბინძურებულ სამოთხეში პურის ფულს ჭყლეტდნენ. უმუშევარ-გაპროლეტარებულებისთვის ბაზრობების ეს ფარდულ-გასასვლელები გადარჩენის ერთადერთი ბილიკი იყო, თითქოს იერუსალიმს მიმავალი.

განა ასე წაიქცა ერი? – იკითხავს ვინმე, არსაიდან ხმა, არსით ძახილში ჩაიფერფლა?

რომ არ წაქცეულიყო, ამიტომაც ტალღებად ედებოდა ქუჩებს წინააღმდეგობა, ათიათასობით მოედინებოდა.

გარედან შემოყოფილი გრძელი ხელი, ყველასა და ყველაფერს რომ მისწვდებოდა მწვანე დასტებით, თოფითა და ტყვით, ვერას გახდებოდა, შიგნიდან წამშველებელს მეტი ტყვია-წამალი რომ არ გაეხმარა შეუპოვართა შესამუსრავად.

იქით, შეთითხნილ რაღაც პარტია „ქარტიის“ ყაყანზე, არ გაუშვათ ეგ სუნიანებიო, აქეთ „ეროვნულ-დემოკრატიულმა“, პარტიული ყაყანი რას მიქვია, ავტომატის კაკანი თუ იზამს საქნელსო, მაგრა შეიარაღებული ყოჩალი ბიჭები წინ დაუყენა წინააღმდეგობის უიარაღო ტალღას და ტყვია დასცხო.

ანდაზის სიბრძნეს ქართულისას საამისოდ უთქვამს ჯერ კი-დევ როდის: ხემ სთქვა, ნაჯახი რას დამაკლებდა, ტარი ჩემგან რომ არ ჰქონდეს გამოთლილიო...

ერისკაცთა ხმაც ისმოდა და ძახილიც, სიტყვაც და შეგონებაც. ცის მანანასავით ელოდნენ იმათ შეძახილს, ყველაფერს გავუძლებთ, არ შედრკეთო. „მარჯი“, „სამრეკლო“, „იბერია-სპექტრი“ – იქ იჭედებოდა სათქმელი მართალი სიტყვა, მაგრამ ეს

სამჭედლოც აიყარა ადგილიდან, გაქრა სინამდვილიდან, რაღაც ბნელი მანქანებით გაძევებული.

დედა უნივერსიტეტი – ალმა-მატერ – ამ დროს სად იყო, რას იქმოდა ო. სულის ტაძრისთვის მეტი მოიცალეს, მეტი მოინდომეს. სხვაგვარ არც იქნებოდა:

უნივერსიტეტი პოლიტიკურად საშიში რომ არ ყოფილიყო, რუსული იმპერია მთელი ძალით წინ არ აღუდგებოდა საკუთარი უმაღლესი სკოლისთვის ქართული ინტელიგენციის ბრძოლას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

განათლება სახელმწიფო მიზნების შემადგენელი რომ არ ყოფილიყო, ქართულ ენას არ აკრძალავდა ქვეყანაში და ამით ძირს არ გამოუთხრიდა სახალხო სკოლებს. სწორედ განათლების დამპყრობლური პოლიტიკით ახორციელებდა იმპერია ერის გადაგვარების გეგმას და საამისოდ საშუალებების მთელ არსენალს ამოქმედებდა.

რა შეძლო მაშინ დიდმა ქართველობამ, ახლა უფრო გვაკვირვებს და ჩაგვაფიქრებს. მან ხომ არა მარტო წარსულის მემკვიდრეობა დაიცვა და შეინახა, ახალს ამოუშენა საძირკველი. ქართული უნივერსიტეტი ამ დიდი შემართების და გაუტეხელობის გვირგვინი შეიქნა და დიდი ამოცანაც დაეკისრა.

რატომ აღივა ერმა იგი ტაძრად, მარტივად გასაგები არაა. იმიტომ, რომ მისი კედლების მონუმენტური სიმშვიდე სიტყვით ვერსათქმელზე მიგანიშნებს და იქ ფეხშედგმულს მოკრძალებულ ნაბიჯს გადგმევინებს? არა მხოლოდ.

იმიტომ, რომ იმ დიდი მიზნისკენ მიგმართავს, რომელიც უნივერსიტეტს, დღიდან აღმოცენებისა, ზეგარდმო შთაგონებით დაეკისრა: თავის წიაღში მოაქციოს „ყველა საარსო საკითხი“ ერისა და ქვეყნის მომავლისა.

აი, ამ მიზნისგან უნივერსიტეტის ჩამოშორება დაცემის სქემაში ყველაზე დიდი დანაშაული იყო. კუთვნილი ამოცანის წართმევა, ხანგრძლივად – თოთხმეტ წელიწადს მიმდინარეობდა და დღესაც ასეა.

მიზანი და ამოცანა სიცივე-შიმშილის, სოციალური ჭურვებით იბომბებოდა, დასახულად და აუცდენლად. მისი მძლავრი დარტყმების ქვეშ ძლივსლა სუნთქავდა საბჭოთასგან ზნეობრივად გადარჩენილი მიზნის მქონეთა მცირე ნაწილი.

სინდისთან გარიგების ისეთი დრო იდგა, მტერსაც რომ შე-შურდებოდა. ცოდნის ტაძარში პოლიტიკური ლეკიანობის ხე-ლი ტრიალებდა: „საიმედოებს“ მარჯვნივ აწყობდნენ ცენტრში მდგომი დამწყობლები, „არასაიმედოებს“ მარცხნივ კედლისკენ ერეკებოდნენ. გონიერ ნეიტრალებს კი რა გამოლევდა. სწორედ მაშინ არაერთმა ნიჭით დაჩაგრულმა გამოჰკრა ხელი მეცნიე-რულ ადგილ-წოდებებს, ხოლო სულმოკლემ – ხელის ჭუჭყს.

ამასობაში მთელი თაობა წამოიზარდა და... დაიკარგა.

წრეზე მბრუნავი ქვეყანა სხვა – მეორე ხვეულზე გადავიდა. „ვარდებით“ ენერგიულად შემოჭრილმა ახალმა ძალამ თუ ძალა-უფლებამ ქველი საკუთარ სამფლობელოებში დასასვენებლად „გაუშვა“, არაფერი მოჰკითხა, ისე. არც იმათ, არჩევნების გაყალ-ბებაში და ხალხის მოტყუებაში დიდი ბრალი მიუძღვით და ამი-ტომაც „რევოლუციის“ დროშა გაიშალაო.

იმედი მაინც გაკრთა, თავი წამოსწია. დაწყევლილმა „მეცხრე ბლოკმა“ წამდაუნუმ სიბნელეში რომ ახვევდა ქალაქს და დენი სხვა ქვეყანაში გადიოდა გასაყიდად, პირი მოუსვლელში ქნა და განათდა არემარე.

სახლებში შემორჩენილი ჭალი აციმციმდა, სადარბაზოს კიბე-ზე ოთხფეხა აღარ მიცოცავდი, გაზქურაზე ქვაპი შეიდგა და ადა-მისუამინდელი „კერასინკა“, ყოველი შემთხვევისთვის, ისევ სარ-დაფში დასავანდა. ღამეშიც გახვიდოდი – ავაზაკები ჩამწყვდეუ-ლები იყვნენ.

წესრიგი გველირსაო, უკვირდა და უხაროდა ხალხს.

უანგიანი „ბუდკა“-ჯიხურების ანტისანიტარიაც აილაგმა და სავაჭრო ცენტრების სუფთად გაწყობილ თაროებზე საკვები ძალის მაგიერ ადამიანზე გაითვალა.

გამომცხვარი პური საშიში აღარ იყო მაშინდელივით, როცა ის პური „ცხენის ბალლინჯოთი“ დაავადებულ-გაფუჭებული, კა-პიკებად შემოტანილი, ან სულაც გადაყრილი ფქვილით აშმორე-ბული შუაგულით ცხვებოდა. კუჭ-ნაწლავით სამუდამოდ დაავა-დებულ ხალხში სამი-ოთხი წლის ბავშვებს დაბნეული ქირურგები კუჭის წყლულზე ოპერაციებს უკეთებდნენ, მანამდე გაუგონარ ასაკში.

მერედა, დიდ ცოდვად ჩაეთვალა იმ ფქვილის მილიონებით გამდიდრებულ „მთავართან“ დაძმაკაცებულ ოჯახს? პირიქით, ხელისუფლების რბილ სავარძელში ჩამჯდარს ოცდაათი წლის მერეც იქ კოპწიაობის ჟინი არ გაპქრობია. მაგიერ ფოლკლორ-მა მიიღო, გაითავისა და „ფქვილის პრინცესას“ სახელრქმევით ის მომავალს დაუტოვა.

ერთიანად გაჭირვებას სასიკეთო ბევრი არაფერი უჩანდა, თუმცა სხეულს კაცისას რაღაც ადამიანურის ნიშანი დაეტყო. სულს კი, რა ბედი ეწერა, რა ელოდა?

იგივე, რაც წინა ხვეულში. იმ სხვაობით ოღონდ, რომ წინას ნგრევის საშუალებები ბლაგვი და დაუფარავად უხეში ჰქონდა. მაშინ თუ „სალამო მშვიდობისას“ ირონიას წარმომავლობა ზედ ეწერა და მისი ტელეაგიტაცია მიზანს სწორხაზოვნად ამჟღავ-ნებდა, ახლა ღრმად ჩამალული, ზნეობის ხრწნაზე მიმართული „ჯეობარი“ ოსტატურად ზემოქმედებდა.

ხედვის ჩამოფასება-გაიაფების საქმეს თუ წინარე ხვეულში ბარაქიანად მიწოდებული ბრაზილიური სერიალები კარგად აკ-ვარახჭინებდნენ, ახალში ამას უფრო მაღიანად თურქული და ინ-დური ასრულებდა. კაცომოყვარე ჰინდოსტანს რას ვერჩით, მა-რა მძვინვარე ოსმანზე, სულეიმან სულთანზე შეყვარებას იმ სე-რიალით ცოტა რომ აკლდა, მართლა დაიჯერებდი, ამ კაი კაცმა ნახევარ ევროპას დედა კი უტირა, მარა საქართველო იქვე გვერ-დში თბილად ჰყავდა მოყუჩებული ჰიურემ ხათუნივითო.

გარე დამქირავებლების ნაირ-ნაირი ორგანიზაციები დემო-კრატიულობით გამსჭვალული სახელდებით — გამჭვირვალე,

~ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

საერთაშორისო დახმარება, ბავშვთა დაცვა და, რა ჩამოთვლის, მოეფინა ქვეყანას. „ენჯეოების“, ფონდების, ჰუმანურ საქმე-თა მკეთებლის ქსელით დაიქსელა, გარედანვე დაფინანსებული გულმოდგინე მუშაკებით.

ისინი ნაკარნახევი „მაღალი“ ღირებულებებით მოძღვრავ-დნენ ხალხს ადამიანის უფლებებზე, სქესურ თანასწორობაზე, მშობელზე უკმაყოფილო ბავშვთა იურიდიულ პარაგრაფებზე, სექსუალური უმცირესობის ჩაგვრისგან დაცვაზე და შიგადაშიგ ერთსქესიანთა ქორწინების დემოკრატიული თავისუფლების ამ-ბავსაც აპარებდნენ.

ამას ყველაფერს ფართო საპროპაგანდო სიერცე სჭირდებოდა და შესატყვისად მორთული ეკრანი, ანუ სრულად აღჭურვილი ტელევიზია ჟურნალისტთა რაზმებით. იქ ფრთაგაშლილ მასმე-დიას შეეძლო და ქმნიდა კიდეც „ცნობად სახეებს“, „სტატუსიან პერსონებს“, მეტყველ რაგინდარა-მქადაგებელ ძველსა თუ ახალ სიმართლის მოციქულებს.

მთავარი იყო ჩიჩინი, ლულუნი, საჭირო დროს უივილ-ხივილიც თუ წივილ-კივილიც. გასართობი ნაყარ-ნუყარიც არ აწყენდა ხოლმე წიგნის ხელიდან გასაგდებად. ხედვის დაკნინება კი გამდაბიობისკენ პირდაპირი გზით მიემართებოდა.

გზის დასაწყისშივე ქართულიდან ამოვარდა სიტყვა-ცნებები: ერი, ხალხი, ერისკაცი, მამულიშვილი, სამშობლო, ისტორია – ყველა ეს გაგება ერთი სიტყვით ჩანაცვლდა, ერთ სიტყვაში გაქარწყლდა, დაემცრო და დამდაბლდა – „მოსახლეობა“ – უეროვნო, გეოგრაფიულად უმისამართო, ისტორიულად არარსებული და, მაშასადამე, უკულტურო, სამყაროში სადღაც მოფართხალე ადამიანთა სიმრავლე-პოპულაცია – „მოსახლეობა“.

ეს სვლა-გეზი არ შეცვლილა, უფრო აჩქარდა კიდეც, ცნობიერებას მთელი ძალით დააწვა, გონებას წვდომის ადგილს არ უტოვებდა, რომ არ ჩაფიქრებულიყო კითხვაზე: – რატომ?

რომ ჩაფიქრებულიყო, დაინახავდა, როგორ კარგავდა ის საკუთარ ღირებულებებს, რასაც მსოფლხედვა, მსოფლგაგება

ქმნის და სამყაროში საკუთარი თავის გაცნობიერების ძალას აძლევს. ამ ქმნადობის ისტორიული პროცესის შეფერხება ან წყვეტა უდრიდა საკუთარი გამოცდილების, სამყაროს სურათისა და რეალობის გაგების უნარის დაქვეითებას, ან სულაც გაქრობას.

სწორედ მსოფლებელი უზრუნველყოფდა მუდამ კულტურის მემკვიდრეობითობას, მოძრაობის მუდმივობას, ცხოვრების წესის შემქმნელი ტრადიციის სიჯანსაღეს. ისვე ნაკვთავდა ეროვნულ იდეას, ეროვნული მიკუთვნილების აუცილებლობის ფიქიკურ სიმყარეს და, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტდა კიდეც ერად, ქვეყნად ყოფნის უმთავრეს საკითხს, საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ქცევის შესაძლებლობებს.

მსოფლებელი მოშლა კულტურული დამბლის ტოლფარდი მოვლენაა, რაც კითხვის ქვეშ მოაქცევს მიზნისა და ამოცანის ქონას, ურომლისოდაც შეუძლებელია ეროვნული მიკუთვნილების სასიცოცხლო ენერგიის არსებობა.

კულტურული დამბლა, ყოვლის უპირველესად, ქვეყანას ზნეობრივ ქაოსში სძირავს თანმხლები სულიერი ყველანაირი კრიზისით. ამ დროს სახელმწიფო იდეა კნინდება და კვდება.

არადა, ქართული სახელმწიფოებრივი იდეა ასწლეულობით ნაწრთობი, სრულად ფლობდა და წინა რიგში აყენებდა ღირებულებით გამოცდილებას და მის უწყვეტ სვლას. ამის ნიმუში თავად მონარქის ტიპი იყო ეროვნულ სინამდვილეში.

ქართველი მონარქი-პოლიტიკოსი მონარქი-განმანათლებელი იყო და რა დასტური სჭირდება იმ ფაქტს, რომ „განათლებული მონარქის“ იდეა ქართველებს უკვე მაშინ ჰქონდათ ხორცშესხმული, როცა ეს იდეალი მთელ დასავლეთევროპულ გონებას აფორიაქებდა.

პოლიტიკურად დამარცხებული მეფეები – არჩილი, ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე სწორედ ამ „განათლებულ მონარქებს“ ასახიერებდნენ და სპარსულ-ოსმალური შემოსევების უმძიმეს ხანაში დიდ კულტურულ სტრატეგიას ამუშავებდნენ. ამ სტრატეგიის მიზანი იყო ისტორიულ-ტრადიციულ ფასეულობათა

～ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ～

შენარჩუნება და ამ გზით ერის ცივილიზაციური სვლის შეუფერ-ხებლობა.

კულტურული თვითგადარჩენის იდეა მეთაურობდა და მთა-ვარ მისწრაფებად გასდევდა ქვეყნის ისტორიას ყველა გადამ-წყვეტ ვითარებაში. მეცხრამეტე საუკუნეც ამის დიადი მაგალი-თია, როცა რუსულ იმპერიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგია კულტურის დროშით დაუპირისპირდა და თითქმის მინავლებილი, ის თავის გზას დაუბრუნა.

მაგრამ მერე საბჭოეთმა სულ სხვა გასაღები მოურგო ერის მთავარ შესასვლელს – ცნობიერებას. მისი სივრცე დაიკავა და იქიდან პატრონი გამოაძევა. რაც მანამდე ვერავინ, იმან შექლო – ხელიდან გამოაცალა მთავარი რამ: საკუთარი მიზანი და ამოცა-ნა, დაკარგვინა ეროვნული იდეისა და მსოფლმხედველობრივი თვითქმნადობის აუცილებლობის გაგება, საუკუნეებით ნაგროვი სააზროვნო-ისტორიული დოკუმენტების გადასაცემა.

საქართველოს, რომელსაც თავისი არც პოლიტიკა გააჩნდა და არც ეკონომიკა, არც სახელმწიფო ჰქონია, ამიტომ კარგად ესმო-და, რომ ის ფიქტიური რამ იყო, მაგრამ ვერ სწვდებოდა ყველა-ზე მნიშვნელოვანს – ათწლეულების განმავლობაში ამ ფიქტიურ ეროვნულ არსებობაში თავად ეროვნული იდეაც ფიქციად იქცა. ის მარტო გაშლილი სუფრის სადღეგრძელობის აზარფებაში ჩა-იწურა მთლად გაიაფებული, წყალწყალა სიტყვით.

ეროვნული ცნობიერების გაძევებას მიუძღვდა „არალეგალუ-რი ცხოვრების“ წესი – უკანონო შემოსავლები, მრუდე გზის ქონე-ბა და კეთილდღეობა, მრუდე მორალით მოპოვებული. ქვევიდან ზევით ყველა იპარავდა, რასაც მისწვდებოდა და არ ანალვლებდა გაქურდული საკუთარი ქვეყანა იმით გულდაჯერებულს, რომ ეს ქვეყანა მისი არ იყო.

როცა კონსერვ-წვენების მკეთებელი ჯიბისთვის დანაშაულზე მიდიოდა და მავნე შენარევებით ბავშვებს წამლავდა, არ ეფიქრე-ბოდა, არც აწუხებდა, ამით ერის მომავალს რომ აზიანებდა.

ცხოვრების ეს წესი მოურჩენელი სენივით ედებოდა ყველას და ყველაფერს, ყოვლისმომცველობით ასაჭურისებდა, უნაყოფოს ხდიდა ეროვნულ სულისკვეთებას. ქვეყანას სახელიც შესაფერი შერქმევოდა – სსრკ-ში ყველაზე გადასუქებულ-გადაღორებულიო.

მაგრამ კულტურული ძარღვი მაინც ძლიერად ფეთქავდა. რა გამოლევდა იქ შემოქმედებით ადამიანებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში. თუმცა, იმათი შემოქმედებითი გზნება ცხოვრების სხვადასხვა გზას მიჰყვებოდა, ორად საპირისპიროდ გაიყო.

პირველნი გვარის სტიქიის გამყოლნი და რწმენის გაუბზარავი სიმტკიცის იყვნენ. მრუდე სინამდვილეს წინ აღუდგნენ „მთვარის მოტაცებითა“ და „ჯაყოს ხიზნებით“. მარჯვენით დიდოსტატისას და ვარამით გმირთა ზარს ჩამოჰკრეს, ძილს რომ არ მისცემოდა ქვეყანა, სულის წარსულით მოპრუნება განიზრახეს.

ამ ენერგიით ძალმიცემულებმა დიდი ლიტერატურაც დაუტოვეს მომავალს და დიდი ქართველობის სახელიც დაიმკვიდრეს.

მეორენი ნიჭით მაინც ლვთისგან ნაკურთხები, ამა ცხოვრების მყიფე და მსხვრევად სხვა გზას დაადგნენ. ენერგიის ოქროს ზოდი ფუყე კეთილდღეობაზე გაცვალეს, ცრუ სიკეთის ქსელში გაიხლართნენ. ამ წესით და ნირით მათ შიგნით ამაღლებული აზრი გახუნდა და გარქოვანდა.

რაღაც კასტური რჩეულობის, ელიტურობის ავადმყოფურმა მონდომებამ გადასწონა და ნამდვილი მიზნის კვალიდან ამოაგდო. ეს ის შემთხვევა იყო, რაზეც პლატონი და არისტოტელე დარწმუნებით ამბობდნენ: ადამიანები კი არ ჰქმნიან საზოგადოებას, არამედ საზოგადოება – ადამიანებსო.

ამგვარი ნირისა თუ ტიპის შემოქმედებითი ინტელიგენცია სწორედ საბჭოურ-საზოგადოებრივმა სისტემამ შექმნა, ამ საზოგადოების მფშვინავი სხეულის ფსევდო-ელიტურ ნაწილად აქცია და ნებსით თუ უნებლიერ სისტემის მსახურად გაამწესა.

როცა ერის დრომ დაპერა, საყვირი დასცა და ქვეყანაში ყველა თავ-თავის ხაზზე გაეწყო, ეს ნაწილი მიზნის გაღმა ხაზზე

~ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

აღმოჩნდა. თავს რომ ვერ სძლია არჩევანში – ზოგადისადმი სამსახური თუ თავკერძობა, ჩვეულს თავკერძობას ვერმოწყვეტილი, იმასვე მიუპრუნდა.

ამ საბედისწერო მიბრუნებამ ეროვნული იდეისადმი ისედაც გულგრილობა ახლა უკვე ქვეშეცნეულ მტრობად გაუღვივა, ძალაუნებურად დაცემის მქმნელებს შინაურს თუ გარეულს, გვერდში დაუყენა.

აქაც ხარისხით დალაგდა. ხმის ჩახლეჩამდე აქტიურები – მომეტებულად საქმიანი პოეტ-მწერლები წრიულად ტრიალებდნენ საძულველი იდეალისტისა და მასთან ერთად იმ იდეალის ჩასაქოლად. გაიკვირვებდი – სამშობლოზე რითმები ამათ როგორ ეწერებოდათო, მერე მთაწმინდაზე განსასვენებელი იქ რატომ ეღირსათო.

აქტიურებში მოჭარბებულად თეატრ-კინოს ხალხი ზეობდა. უცნაური ბრაზითა და მზვაობით ყელყელაობდა მოპოვებულ თუ ბოძებულ ასპარეზზე. რას არ იგონებდა, რა ხრიკს არ მიმართავდა რეჟისორობის ხელოვნებას დაუფლებული.

აგერ განდევნილს თოფითაც ისე გაეკიდებოდა მოსაკლავად, რომ ეკრაზე „ალავერდობის“ გმირი-მამულიშვილი ტაძრის გუმბათიდან გამნარებით გამოსძახებდა – რას სჩადით, ეშმას შეუპყრიხართ, გონს მოეგეთო.

იქით მოტყუებული, ვერგამჭვრეტი სანდომიანი ქალი კი „თეთრი მანდილის“ გულუბერყვილობის გამო, სიყვარულის მაგიერ „მატარებლის ქალის“ სახელს არ მოირგებდა.

ტრაგიკულ ფერხულში ზემონდომებით ჩაბმულ, ნიჭით გაქუცულ პლაკატ-ფილმების მკეთებელსა და ცხრა მთავრობის ხელზე გაჩვეულს რა მოეთხოვებოდა, მაგრამ „გიორგობის თვის“ ნოვატორ-შემოქმედი იქ, სხვის მიწაზე საჯაროდ თუ განაცხადებდა, ქართველი კი არა, რუსი რეჟისორი ვარო, – თავში ხელს წაიშენდი, ვაი, ჩვენს გაჩენასო.

რა ხვედრი ერგო ქვეყანას, ისე როგორ აიზილა უგნურობაში, რომ თუთაშეიას ზეცით შთაგონებულმა იერ-სახისამ, ადამიანის

სვედავსილი ცხოვრების მთელი ფილოსოფია მეტყველ მის ერთ გამოხედვაშიც რომ ჩაეტეოდა, ამანაც, ახოვანმა მშვილდი მოზიდა ისრის სატყორცნად ზურგში.

თავის ხაზზე გაყუჩულ-ჩაჩუმებულებიც იყვნენ სავალალოდ. ჩვენს საქმეს ვაკეთებთ, „პოლიტიკა“ რაში გვეკითხებაო და... დუმდა ქარი, ნანას რომ გვიმდერდა, დუმდა ჭადარი, ზღაპარს რომ გვიამბობდა.

ჩარაზულ კარს მიღმა ხმას არ იღებდნენ დიდი სწავლულები ენისა, დღესაც რომ ცოცხალია მკვდარ ენებს შორის, კაზმული სიტყვით ათასწლიანი ამბის ისევ რომ მთხრობელია – „იყო მერვესა წელსა, სპარსთა მეფისასა“, და მარად ცინცხალი ხმით აღმნერია – „ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნიო“, „ვითარცა ლერნამნი ქართაგან ძლიერთაო“.

წრიული ბრუნვის მეორე ხვეულში პირველნი აღარ გამოჩენილან, არც არსებობდნენ თითქოს. მაგიერ მეორენი ისევ ტრიალებდნენ ასპარეზზე, თუმცა ისინი ახალმა ნამრავლმა უკვე შეცვალა, კაი ცხოვრებაზე უფრო დაგეშილმა, პირველთა სიტყვის ჯავარისა რომ არაფერი გაეგებოდა, არაფერი წაეკითხა.

აზრის მიდამო ახლა ისე იყო სარეველამოდებული, რომ არჩევანის საღი თავთავი იქ აღარც იხარებდა. პირისპირ მხოლოდ ცხოვრების ურიამული იდგა ნივთებით სავსე, „ბრენდებით“ მოფენილი.

ჯიბე გახდა ნათელი მიზანი და მისი ამოვსება უპირველესი ამოცანა.

ამიტომაც ამ არემარეში უხილავი გეგმა იოლად იკვალავდა გზას. ის, რაც ნგრევის პირველ, წინა მრავალწლიან ხვეულში შეპარული ტაატით მიდიოდა, ახლა მეორეში ჭენებ-ჭენებით მისდგომიდა ზღვარს, რომლის იქით „მესამე სამყარო“, ანუ „განვითარებადი“ იწყებოდა.

იქ მერე წერა-კითხვას ვიღაც სხვა დაგაწყებინებდა, ოღონდ შენი კი არა, თავისი ანბანით, რახან შენი აღარ გექნებოდა.

არადა, ცოდნით დატვირთულ ქვეყანაში, სადაც ფიზიკა-მათემატიკის, ფიზიოლოგის, ფილოსოფიის, ფიქოლოგისა და

~ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

კიდევ რამდენის აკადემიური სკოლები, ტოლს რომ არ უდებდნენ მეწინავე სხვებს, გაუქმებულად გამოცხადდა, დაიკეტა, დანაც-რდა.

დიდი საკვლევი ლაბორატორიები წვრილ-წვრილ შპს-ებად მიმოიფანტა ან გაქრა. რაზმაძის, უზნაძის, ბერიტაშვილის, ელია-ვას სახელები სახსენებლადაც აღარ ღირდა. სახსენებლად მარტო აკადემიის დირექტორატი დარჩა, ისიც აქა-იქ, კანტიკუნტად გაუგებრად რატომ და რისთვის.

დედა-უნივერსიტეტს კი ისიც ეყოფოდა დასამცრობად, როცა დიდი ივანე ჯავახიშვილის სარექტორო საგარდელში მავანი-ვილაცები სხდებოდნენ, ხშირ-ხშირად გამოცვლილები ამინდის კვალდაკვალ.

აუდიტორიაში, სადაც „ქართული რენესანსის“ მბორგავი იდეა შალვა ნუცუბიძის შთაგონებული ხმით გაისმოდა, ახლა იქ, იმავე კათედრასთან დგომას ბედავდა და ღლაბუცობდა უბირი თავ-ხედი.

მეცნიერთა საბჭო კი კვერს უკრავდა ერთიანად თავჩაკი-დულ-ჩაჩუმებული, მემკვიდრე იმ დიდ სწავლულთა კრებულისა, ვინც ცოდნის ასეულ ტომებს კრავდა განათლებული ერის მომავლისთვის.

აბეზარი, ჯერაც შემორჩენილი მრწამსით პროტესტანტი პროფესურა, თეთრი ტაძრის კედლებში ჰაერს რომ აფუჭებდა საუნივერსიტეტო მიზნების ქადაგებით, ყოველივეს მაშინდა ჩახვდა, როცა ესე წოდებული „რეფორმა“ დაუტრიალეს და „კონკურსი“ მოუვლინეს, ნაძალადევად წარდგენილი „curriculum“, ასე ითქვას, სამეცნიერო ღირსებათა ჩამონათვალი, თავზე დაახიეს.

კონკურსი რისთვისლაო – უბრალოდ, ერთი არასასურველის მეორე სასურველით შეცვლისთვისო. კურიკულუმს კი მექოთნის ფილოსოფია მიუყენეს და ყური საცა უნდა, იქ მიაბეს. *Punica fides* – მუხანათობაა, პროტესტანტებმა და წამოიჭრნენ... მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულან.

ასე იყო.

ამიტომ დაცემის ბორბალი ძალუმად როდის უფრო ტრიალებზე და – მაშინ, როცა ბრუნვის იმ პირველ ხვეულში ქვეყანა აშკარა თარეშის მოედანი იყო და ბანდიტი ქვეყნის სახელით იხსენიებოდა გერმანელი უურნალისტისა და მწერლის, იურგენ როტის საქვეყნოდ გახმაურებულ დოკუმენტურ წიგნში „Schmutzige Hände“ – „ჭუჭყიანი ხელები“, სადაც ევროპელ ხელისუფალთა არაერთი დანაშაული აშკარავდებოდა და საქართველოს ხელისუფლებასაც პრეზიდენტის უშუალო მონანილეობით საერთაშორისო ნარკოტრაფიკში ბრალი ედებოდა, კრიმინალურ სამყაროში ის ჩართულად სახელდებოდა, თუ შემდეგ მეორეში, როცა კრიმინალურის სახელი კი ჩამოირეცხა, მაგრამ უძველესი კულტურის სულიერი მონაპოვრის სრულად დაკარგვის საფრთხე პირისპირ დადგა, პასუხი მარტივია – ორივე დრო სულს კვდომას უქადდა, რაც ერის განადგურების ქმედებას უტოლდებოდა.

მრავალწლიან წრეზე ბრუნვაში მესამე ხვეულის დროც დადგა. გვეშველაო, ხალხი ტაშს აგრიალებდა, მილიარდების პატრონი და დიდი ქველმოქმედი ნალდად აგვაშენებსო, – გულს იხარებდა.

ქართული ზღაპრების წიგნი ერთხელ მაინც რომ გადაეშალა ალალად მინდობილს, იქ მაინც წაიკითხავდა მდიდარი კაცის ამბავს და ლარიბისასაც, ხარბისა და კეთილისას, ქოსა მატყუარას ხრიკებსაც გაიგებდა. მაგრამ ურემი როცა გადაპრუნდა, ის ზღაპრები რაღას უშველიდა და... შედგა ისევ გაჭირვების აიკორა-დაიკოჩაზე, ისევ დაბნეული, უბირი და მოტყუებული.

ამასობაში მოხელთებულებმა მიწის ზედაც არაფერი დატოვეს ჩაუბლუჯავი და არც მიწის ქვეშ. ამ ქვეყნის საქმე მაინც წასულია და რაღა სხვებმა, ჩვენ დავასწროთო, ერთიანად დააცხრნებ.

გოეთეს უთქვამს: „Das Geld ist das zweite Blut“ – ფული მეორე სისხლიაო. რეგვენი უნდა იყო, არ გესმოდეს, რომ მეორე სისხლი პირველის გადასარჩენად მოსახმარია და არა იმის დასაშრეტად, რომ ის პირველი შენი საარსებო მიწა და ცაა.

ალმა-დალმა მორბენალი ძველნი თუ ახლები ისევ შეხტნენ  
შემაღლებულ ფიცარნაგზე თავისი გამოდით, ხალხო, ქვეყანას  
ვუშველოთ, მზიან მომავალს გპირდებითო, — გაჰყვირდნენ.

ხალხიც გროვდებოდა, მარა უფრო საცქერლად, ვიდრე სასმე-  
ნად, ასჯერ მოტყუებულ-გაბითურებული.

დაკარგულ სამაჩაბლოს მიწასა და სოხუმს ვინდა ჩიოდა, ახლა  
„ევროპულ გზას“ დავადგეთ და ევროპისკენ ჰერი-ჰერიო, იმათ  
ოჯახში შევიდეთ და ჩამოვსხდეთო.

მაგრამ იმ ევროპას თუ ჰერითხავ, ეს ხალხი მისკენ რატომ მი-  
იწევს, როცა საკუთარ დედაქალაქში პრესტიულ უბნებშიც კი  
სახლის ფასადებზე ჩამსხვრეულ-ჩაბინძურებული ფანჯრების  
რიგი იქ სადარბაზოს არსებობას ნიშნავს, სადარბაზოს მოშლილ-  
მორცვეულ კართან კი შარდი ყარს, მაგირ მოვლილ ბინებში  
ნესრიგი სუფევს, — ის ამრეზით გიპასუხებს, ამ ხალხმა ფეხი არ  
დაადგას ჩვენს ნალოლიავებ-ნაშრომ ქვეყანაში. ჯერ „საკუთა-  
რის“ შინაარსში გაერკვევს და იმას მიხედოს.

„საკუთარს“ როგორ გაარკვევს, როცა თავის თავზე ვერაფე-  
რი გაურკვევია, თავის სადაურობაზე არც უფიქრია, სხვანი უფ-  
რო არჩევენ ამ საკითხს — ჩანს, უფრო იმათ აინტერესებთ.

აგერ, ჰანს მაგნუს ენცენბერგერმა, ცნობილმა პოეტმა და  
პუბლიცისტმა საქართველოში ყოფნისას ერის კულტუროლო-  
გიურ ტიპზე ასეთი აზრი გამოთქვა: „ადამიანთა აზროვნების მა-  
ნერა აქ დასავლურია, ყოველდღიური ცხოვრება აღმოსავლური,  
ნეს-ჩვეულებებში ბევრი რამ აღმოსავლურია, მაგრამ სულიერე-  
ბის მხრივ საქართველო, მე ვფიქრობ, უფრო ევროპული ქვეყა-  
ნაა“.

ღმერთმა ააშენოს ეს გერმანელი ინტელექტუალი, ასე თუ  
ფიქრობს, მაგრამ...

უბედურება ის არის, რომ ევროპელივით „საკუთარის მიხედ-  
ვას“ იმ სხვის აწყობილ ქვეყანაში მარწყვის თვალშეუდგამ პლან-  
ტაციებში თაკარა მზესა თუ წვიმიან ავდარში ცხრადმოკეცილი  
მონურ შრომას ამჯობინებს, ჩამალულ იაფიან არალეგალად  
აუტანელ სიმძიმეს თრაქავს, ამას რაღა ეწოდოს და თვალხატუ-

ლა გოგოებს ცოდვითსავსე სახლებში სხვადასხვა ფერკანიანის ვნებებისთვის ვინდა უშვებს.

ასეთია მძიმე სინამდვილე „არავეთში“ და ცუდი სიმართლე.

არადა, „ჩემეთში“ ყოფნის შეგნება ხომ შეამეცნებინებდა ერის მამის, ილია ჭავჭავაძის მრწამს – ცუდად ჯდომას, ცუდად დგომა სჯობსო. „შრომის სუფერის“ ეს შეგონება საკუთარ მიწაზე დგომას და გარჯას გულისხმობდა. გადარჩენის ერთადერთ გზას.

ეს მესამე ბოლო ხვეულია თუ კიდევ იქნება ახალი, – იკითხავს ვინმე. ვიდრე სადღაც ჩამალულს ამოაძვრენენ, დლევანდელის პროპაგანდა-ჩიჩინი უნდა დაიჯერო, რომ „პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტება“ სამანს დაუდებს წრიულ მოძრაობას და გატკეცილ გზაზე გაიყვანს ქვეყანას. თურმე არამკითხე პრეზიდენტობანა ზნეს შეუცვლის იმათ, ვინც დაცემის დავლურში ბუქნას სცემს.

ანდა, რა მნიშვნელობა აქვს მეპირველე კაცს პრეზიდენტი დაერქმევა, პრემიერმინისტრი თუ მამასახლისი, თუ ის კაცი მეპირველე კი არა, ნამდვილი ერისკაცი არ იქნა. ვინც ჩაკეტილ წრეს გაარღვევს, გაიჭრება და ქვეყნის გამსხვისებელს შუბლზე ამოუტვიფრავს პოლიტიკის მამის ძველბერძენ პერიკლეს ურყევ კანონს: „როცა სახელმწიფო ინგრევა, შეუძლებელია, იქ ვინმე კეთილდღეობდეს – ისიც მასთან ერთად იმ ნანგრევებში დაიღუბება“.

მილიონებით საცა მინდა, იქ ვიცხოვრებო, ჰგონია იმას. არის ასეთი შავი ტერმინი „ექსპატრიაცია“, ანუ სამშობლოს შეცვლა. „სამშობლო“ ლიტერატურული მეტაფორა არაა, რომ შეცვალო – მკაცრად რეალისტური ცნებაა: სამშობლო არის ის, სადაც შენ გეცხოვრება და სხვაგან – არა. იმას ისევე ვერ შეცვლი, როგორც გულის კვნესას „ვაიმე, დედა“ და „დედა შენ გენაცვალოსო“ ენით შენის რომ, მხოლოდ შენ გესმის და სხვას – არა!

ცნობიერების გამძლეობა სამ სიდიდეზეა დაბჯენილი: გნოსის – ეპისტემე – ალეთეია, ანუ შემეცნება – ცოდნა – ჭეშმარიტება. ამ საბჯენს თუ გამოაცლი, ის მოირყევა და წაიქცევა.

~ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

სწორედ ამისთვის პრუნავს წრე, ამისკენ მიჰყავს ქვეყანა. წინ აღმდგომი თუ არ გამოუჩნდა, საბჯენი თუ არ გაუმაგრა, გვიან იქნება თითზე კერძანი – ისტორიას ვერ მოატყუებ, ის კი იზამს ამას – მოგატყუებს.

ამბობენ, ახლა ასი მწერალი დაითვლებაო ქვეყანაში. ამდენი? თუ არიან, რად არ ჩანან, სად კიაფობს მათი მიზანი? მეცხრამეტის დიდ ქართველობაში ამდენი სად იყო, მაგრამ ხომ შეძლო თითქოსდა შეუძლებელი.

ასიდან ნახევარმა მაინც მიბაძოს წინაპარს და აკაკის ნათქვა-მი წაიმდლვაროს: „ჩვენი ხალხი საერთოდ ძილისგან იყო წაღებული და გამოლვიძება ეჭირვებოდა. მესამოცე წლების ახალგაზრდობამ გამოაღვიძა ის მართლა და ჩიჩინით, კიუინითა და ჯანჯგალით“.

მაშინდელივით ახლა ხალხს ასე არ სძინავს, მაგრამ როცა ფასეულობები აუყირავეს და გონების თვალი დაუზიანდა, რწმენას როცა მლირი შეუსიეს და სულისკვეთება გაულაყდა, ხელი ჩაიქნია. ენერგიის ოქროს ზოდი სანთლად ექცა და ნელინელ ჩაილია.

ოცდაათი წელიწადია ერის ცხოვრების ქარავანი აქლემისებრ ცოხნა-ცოხნით ულიმღამო გზას მიეღალება.

მიზანი კი სადღაც კიაფობს მაინც, ზარის ჩამოკვრას ელის.

მხოლოდ ხელია საჭირო, რომ ჩამოჰკრას...

\* \* \*

ნაშუადღევს რუსთაველის გამზირზე მუზეუმს მივადექი. დაკუნთულმა მძღოლმა ისე ფრთხილად გადმოიტანა ხის მძიმე სამფრთიანი დარაბა, შემხედვარეს გაუკვირდებოდა, ასე სასოებით რა მიაქვთო.

– ექსპონატი მოგიტანეთ, – ვუთხარი დარბაზის თანამშრომელს და დარაბა კედელს მივადგით.

– ეს რა არის? – გაოცებით შემომხედა მუზეუმში ჩაბერებულ-მა ქალმა და ამრეზით გახედა გაუგებარ „ექსპონატს“

– დარაბაა, მაგრამ ჩვეულებრივი კი არა, ისტორიული.

- რაო, ანტიკური ხანისაა? — ირონიულად გამოცრა.
- ანტიკურობისა რა გითხრათ, მაგრამ „სინამდვილეზე მეტი სინამდვილის“ მთქმელია, — გალაკტიონი ასე იტყოდა.
- ესე იგი, გსურთ გვითხრათ, ეს აბსტრაქციონიზმის ნიმუშია ან უფრო მეტის — სუპრემატიზმის და მალევიჩს რომ მოეწონებოდა, ისეთი?
- თქვენი ცოდნის დიაპაზონი სანაქებოა, მაგრამ შეცდით — ის რეალიზმის პირნავარდნილი ნიმუშია.
- სიჩუმე ჩამოვარდა. ქალი-ინტელექტუალი გვარიანად ჩაფიქრიანდა, გამომცდელად მიცერდა, რა მახს მიგებსო.
- ამ ექსპონატს რომელი საგამოფენო დარბაზისთვის გულისხმობთ? — ჩანდა, შეკითხვით კმაყოფილი იყო.
- ცხადია, ოკუპაციის მუზეუმისთვის.
- მერედა, როგორ წარმოგიდგენიათ იგი ამ მუზეუმში, მის შინაარსთან რა კავშირი აქვს?
- უნდა გითხრათ, რომ პირდაპირი.
- ესე იგი, სამაჩაბლოდან არის მოტანილი, უფრო ზუსტად, მისი ოკუპირებული ნაწილიდან, ხომ ასეა?
- ასე არ გახლავთ, თბილისიდან არის.
- იგავებით მელაპარაკებით, იქნებ განმიმარტოთ, ვხედავ, სათქმელი ბევრი გექნებათ.
- თქვენი მიხვედრილობაც სანაქებოა და მეც ყველაფერს გეტყვით დაუფარავად:

გენერალ მაზნიაშვილისა და მარო მაყაშვილის სახელებმა ბოლშევიკურ-რუსული ოკუპაციის ისტორია დაწერეს, როგორც 1801 წელმა იმპერიულ-რუსულის. სამშობლოსთვის შეწირულთა სახელებს სწორედ მუზეუმის კედლები მომავალს არ ავინყებენ თავდადების დიად იდეას, მომხვდურების მსახვრალი ხელის ნამოქმედარს და ეს ასეცაა.

მუზეუმი „მუზების სახლს“ კი ნიშნავს, მაგრამ მატერიალური და სულიერი ძეგლების შენახვა-დაცვის გარდა, მართალი ისტორიის სიცოცხლის შენარჩუნების მისია რომ აკისრია, ესაა

~ ————— ტყვია დარაბაში ანუ დაცემის ქორონიკონი ————— ~

მთავარი. ოკუპაციის ისტორიის შემნახველს კი ჭეშმარიტების დაცვის ამოცანა ხომ ერთიათად უმრავლდება.

— რაც თქვით, უდავოდ აქსიომატურია მუზეუმის არსის გაგებაში და ჩვენიც, მჯერა, ამ გზით მიდის.

— ნუ მიწყენთ, მაგრამ, ვფიქრობ, მთლად ასე არაა.

— ეს როგორ?

— იქიდან დავიწყოთ, რომ ოკუპაციას არაერთი ნიშანი თუ განზომილება გააჩნია. მთავარი მათში კი ორი რამ არის: მსხვერპლი ქვეყანა და ძალადობრივი ქმედება. რუსულ-ბოლშევიკურის — გარე ძალის ოკუპაციასაც ამის ყველა აუცილებელი ნიშანი ჰქონდა.

ისტორიამ კი აჩვენა, რომ იგივე შეუძლია შიდა ძალებსაც — ანუ საკუთარი ქვეყნის დაკავება — ოკუპაცია. ინგლისური განმარტება ამას ოკუპაციის „განსაკუთრებულ სახეობას“ უწოდებს. ვის ვის და სწორედ დიდ ბრიტანეთს არ ესწავლება ოკუპაცია-ანექსიის შინაარსები.

ახლა ვიკითხოთ, რომელი ნიშანი დააკლდა ამგვარ „თვითონკუპაციას“ საქართველოში?

შეიარაღებული მოქმედებით ძალაუფლების ხელში ჩაგდება თუ ქვეყნის დოკუმენტის დატაცება;

მძარცველი რეჟიმის დამყარება თუ ეთნიკური შიდამტრობის სახელით დიდი ტერიტორიის დაგეგმილი გასხვისება;

უსასრულო ეკონომიკური სიდუხჭირე თუ ნახევარი მოსახლეობის მსოფლიო გზებზე გაფანტვა;

ერის განათლებულობის დაცემა თუ გასაღების თაღლითურ პაზრად ქვეყნის გადაქცევა;

„მესამე ქვეყნად“ ჩამოქვეითება და ვიღაცის პროტექტორატად მისი გამწერება.

ჩვენი ექსპონატი ამის ისტორიულ-ნივთიერი საბუთია. ის უბრალო დარაბა კი არა, ქვეყნის დარაბის სიმბოლოა, დახვრეტილისა და დანარცხებულის, კატასტროფის ისეთივე ნივთმტკიცებაა, როგორიც შეურიგებელთა სისხლით მორწყული, საკუთარი ხელით განწირული „ვაგონია“ თქვენს მუზეუმში.

ამ ექსპონატში ჩატედილმა ტყვიამ უნდა აუხსნას მომავალს, რა ხდება ერში, როცა მისი სული თვლებს და ზნეობის დვრიტა დაკარგულია. რა ელის ქვეყანას, სადაც დაძაბუნებულ ნებას არ ძალუძს მისი დაცვა.

ქალი-ინტელექტუალი სკამიდან წამოიჭრა.

— ახლა რა ვქნათ, რა თავში ქვა ვიხალოთ — არ მიიღებენ, სიმართლეს აირიდებენ, ვიცი, როგორც იმ „ვაგონის“ სამუზეუმო წარწერაა ნახევარსიმართლე, — თვალებში სასოწარკვეთა ჩაუდგა.

— დამშვიდდით. სასოწარკვეთა არ გვარგებს, სიმართლე რწმენით უნდა იყოს გაჯერებული. უმისოდ არც კალამი იქნება ორლესულივით ბასრი ქორონიკონისთვის და არც ქორონიკონი შეიქნება დიდი გზის დაკარგვის მაუწყებელი.

ახლა, დღეს არსებული სიცოცხლისა და სიკვდილის ძალების მოსინჯვაა ოდენ, როცა თვითშეფასებას უნდა მიეპყროს გონების თვალი და სხვისი ხედვაც შეეშველოს ისეთი, გერმანელ მწერალს, ნიკოლაუს ზომბარტს რომ დაუწერია საქართველოზე.

ის არისო „კულტურის აკვანი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზღვარზე, მაგრამ უფრო ახლოს აღმოსავლეთთან, ძველი წინარე-ელინურ, წინარე-ისლამურ აღმოსავლეთთან, ბაბილონისა და ეგვიპტის მემკვიდრე. ადგილი, სადაც უძველეს, თითქმის ზედროულ მატრიარქატულ გადმოცემებს არასდროს დაუკარგავთ სიცოცხლისუნარიანობა“...

მართლაცდა, შეუცნობელია ზედროულის ისტორიული მდინარება და სიცოცხლის ძალის საიდუმლო.



ଜ୍ଞାନବ୍ଦୀ

≈

≈ ⊕ ≈



## თუალთა მიღმა

(Ego-სა და alter ego-ს გათამაშება)



### სცენა პირველი:

Ego – ეროსს ვაღიარებ იმთავითვე, სიცოცხლის ინსტინქტს.  
მას ვეაჯები, კურთხეულს, საკმეველს ვუკმევ!

Alter ego – თუ ღრმა ჭაში ჩაგიხდია, საუფლოში იდუმალ ძალთა,  
მრუმე სივრცეში დაინახავდი ტენატოს – სახეს  
სიკვდილის.  
დემონურს იერს მისას მონუსხული მუხლს მოუყრიდი.

Ego – მე დავთვლი სიკვდილს!

Alter ego – მაშინ სიცოცხლეც გადაითვალე, რადგან  
სიცოცხლით სავსე საჭურჭლე ამდენსავე სიკვდილს  
დაიტევს.

Ego – სიყვარულის დიად მეჯლისს სტროფებს მივუძღვნი!

Alter ego – სიძულვილს უხმე, მიმალულს იქვე,  
სიყვარულთან რომ მოსწონს ფერხული.

Ego – სილამაზეს ვეთაყვანები, ყოვლისშემძლეს ძეგლებს  
ავუგებ!

Alter ego – სიმახინჯეს ნუ აწყენინებ, შურს იძიებს, ძეგლებს  
დაგინგრევს.

Ego – მზეს და სიხარულს დითირამბს ვეტყვი!

Alter ego – მიმქრალი მთვარის და მლაშე ცრემლის  
ეპიტაფია არ დაგავიწყდეს!

### სცენა მეორე:

Alter ego – ნეტავ ხანგრძლივად ზენიტზე დგომა თუ შეძლებია  
ოდესმე ვინმეს?  
მშვენიერება თუ გაქცევია მიხრნილებისა კეთროვან  
ხელებს,  
ვინ აღიარებს შემრჩენიაო მარადჟამს გრძნობა  
დაუცხრომელი,  
და გადურჩება სოფლის თემშარას ბროლის ლარნაკი  
დაუმსხვრეველი?

Ego – ჰო, ასე არის. ვერწმუნები ავად თქმულ სიტყვებს.

Alter ego – მაშ თუ ასეა, რად გნიასობენ აგრერიგად ერთად ყველანი?  
გაჰქიდე, როგორ ჩასჭიდებიან ეროსის კალთას ბრიყვნი,  
ბეჩავნი.  
ეროსის მიერ ნება-ნება მიშვებულნი ეძალებიან  
რას? არ იციან. რას წაილებენ და დატოვებენ განა იციან?

სულ იჩქარიან. სულთათანას აღარ ელიან,  
ვნების კვირას ივიწყებენ გაშმაგებულნი. სულ იჩქარიან...  
რისთვის და საით? – შენ მიპასუხე,  
კლიტე ახსენ აზრის კიდობანს, ეროსის მონავ!

Ego – მაგრამ ზენიტი ხომ ყოფილა, უარჲყოფ განა?

Alter ego – ჰო, მხოლოდ ერთხელ, რადგან ზენიტზე ორჯერ ვერ  
ახვალ.

პირველის შემდეგ ჩამოვარდნილი, დაიღუპები. და თუ  
არა,

ხეიბარი ხომ მაინც იქნები!  
ხეიბარი კი ლოლვით სად წავა?

Ego – ვითომ ის ერთიც არ კმარა ჩვენთვის?

დედამინას ღრუბლებიდან გადმოხედო თუნდაც  
ერთხელ,  
უზენაეს ნეტარებად არა ღირს განა?

Alter ego – სიმაღლეს ვერ გრძნობ, ვიდრე ძირს არ დაეშვები  
ხელმოცარული, მარტოდმთენილი, აპოთეოზზე  
ფეხშედგმული  
არაფერს უფრთხი, დააბიჯებ გულდაჯერებით და ვერ  
შენიშნავ  
ქარაფის ნაპირს საბედისწეროდ მისკენ წასული  
და თუკი უფრთხი, კრთები, კანკალებ, ნეტარება სადღა  
გექნება,  
არაქათმიცლილს მუხლი გიმტყუნებს, ფეხი წაგცდება,  
გადმოეშვები.  
წელში გადრეკილს, ვაგლახად შთენილს  
შეგამცივნებს მოგონება აპოთეოზის

და ხმა ყოფისა ტურების კივილს მოგაგონებს შხამით  
დაგესლილს.

Ego – მაშ, სადღაა გამოსავალი, რა გზაა იგი?  
თვალთა მიღმა მიჩქმალული, გადასროლილი.  
თვალს არ ძალუძს გაიკვლიოს ლაპირინთში და ვერცა  
გრძნობას,  
აბა, ვისია იგი ხვედრი ნეტარქმნილი, გამორჩეული?

Alter ego – სულისა მხოლოდ, იდუმალთა მიმთხრობისა,  
გრძნეული მეწინათქმისა, მისნობას მიღწეულისა.

Ego – რას ხედავს იგი?

Alter ego – რაც ჩვენ მიღმაა, თვალთა მიღმა გონების მიღმა,  
არსებულის საპირისპირო, რაიც არა ჩანს,  
მაგრამ თან ერწყმის ყოველივეს თვალთა საჩინოს.  
ამ მთლიანობას, არა ცალკეულს ღვთაებად რაცხს –  
დემიურგად, იდეად, აზრად, ბუდად, იაჰვედ, ქრისტედ  
ალაპად...

### სცენა მესამე:

Alter ego – ნუ იჩემებენ ერთხელშობილნი გაღმერთებას ცრუ  
ცალკეულის,  
თვის არსებაში ატარონ რწმენა საპირისპიროს  
გარდუვალობის  
და... ქვეშეცნეულ კრთომით აღსავსე აღარ ითქმება:  
„ეჲა, ღამევ, მამცნე იდუმალნი ზრახვანი შენნი“,

ვერცა საწუთოო – წუთისოფელსა ვერ წაამწარებს შიში  
სიკვდილის,  
ვერ შეაშფოთებს ჟამი მწუხრისა ამ ფერფლისფერით  
ნორჩ სილამაზეს,  
ღიმილის თბილი სხივი შეაშრობს ღაწვებზე ამაოდ  
დადენილ ცრემლებს.

Ego – ამ მთლიანობას ველოლიავო, სანთელი ვუნთო,  
და არ ვიცოდე, რომელია ჩემთვის უტქბესი?  
ორი კერპი ერთადქმნილი სად გაგონილა? არა და არ მსურს,  
რომ ვიცოდე თვალთა მიღმა რა აჩრდილი ატორტმანდება,  
მე სიცოცხლე მიწისშობილი ამირჩევია ცალკეულად,  
სიკვდილს ვემტრობი,  
მზე, სილამაზე, სიხარული, აღტაცება კერპად დამითქვამს.  
იესოს დარად ვერც ამქვეყნიურ დიდებისაგან განვიძარცვები,  
მე იმ ღვთაებამ, გრძნეულმა სულმა დაბერჩავება  
აღმითქვას თუნდა!

### ეპილოგი-ეპიტაფია

– ჰოი, მხევალო სიცოცხლისა, კაენისებრ მონწრიალე  
კაცისშობილო,  
შენ განარისხე ჭეშმარიტება, როს არ შეიცან საპირისპირო,  
და როს უარპყავ თვალთა მიღმა არსებული, გადასროლილი,  
ზიარების მადლს მოკლებულსა, გოლგოთად გექცა  
წუთისოფელი.

## თუ შეგიცნია



ვის და რას არ ადარებენ კაცს – ბერმუხას თუ ქვეწარმავალს, ლომვეშაპსა და ტურას, თაგვს, ჭრიჭინას, პეპელას და, ღმერთმა უნყის... ასე სჩვევია იმთავითვე ადამიანს ბუნებასთან გაიგივება. ასეც უნდა იყოს. რასაც თვალი ხედავს, ჭუაც იმას სწვდება. ცის სივრცესა და ზღვას ვერ სწვდება თვალი. ვერ სწვდება და ამიტომაც ვერ ედრება ამ ორ სტიქიას.

თუმც რისთვისაა იგი საჭირო – სიღრმის საიდუმლოებით მოცული და თვალით შეუბილწავი სისპეტაკით ამაღლებული. მისი არსება სიღრმეშია განაბული. კაცს კი სგრძე-სიგანით ხედავენ, სიღრმით ხომ არა.

ზღვისა რა ითქმის, მაგრამ ადამიანი-ტბა შემიცნია, ადამიანი-გუბე, ადამიანი-წუმპე, ნახირის ნაქუსლარში ჩამდგარი მყაყისა და ამომშრალი ნაქუსლარის ადამიანიც. ოპტიმისტი ვიქნები, თუ ვიტყვი, ადამიანი-წყარო და ადამიანი-მდინარეც-მეთქი. ბუნებას ყოველი მათგანისთვის თავისი მიუცია. თავისი კალაპოტი და სიგრძე-სიგანე. რომელი სჯობსო, რომ მკითხონ, ფიქრი დამჭირდება.

აბა, რა დასაწუნია ადამიანი-ტბა? არის თავისთვის. ხელს არავის უშლის. ოდნავ თუ აღელდება ხანდახან.

თევზებსაც ახარებს, სიღრმეც აქვს, სიგრძეც და სიგანეც. მერე და რა, რომ ხანდახან მოიკლებს ხოლმე სისქეში? მისი ბრალი ხომ არ არის, წყაროების დაშრობამ იცის ზოგჯერ ასე. თავის ლაპლაპა ზურგზე ცელქებსაც აცელქებს და უმაღურებისაგან ნაგავსაც გადაყლაპავს უდრტვინველად.

ადამიანი-გუბე რითაა ცუდი? ფერი არ ვიცით, როგორი აქვს? განა უკეთესი არაა, ხან მწვანე იყო, ხან მინისფერი? თევზები

არ ჰყავს? ბაყაყები სჯობნიან მხიარულებით. წურბელებსაც კვებავს. ესაა სულ ძაგძაგებს, ვაითუ, მცხუნვარე მზემ ამაორ-თქლოსო.

დღემოკლეა ადამიანი-წუმპე, მაგრამ ისეთი მყრალი, რომ მისი არყოფნის შემდეგაც ეს სიმყრალე დიდხანს აშმორებს მი-დამოს. ისე კი ჩუმია, არც კი ისმის, როგორ დასრიალებენ თავ-კომბალები და ნახირის ნაქუსლარში ჩამდგარი მყაყის და ამომ-შრალი ნაქუსლარის ადამიანებიც ცოცხლობენ. მცირედ ჩანან, მაგრამ ქვეითად მოსიარულებს სიცოცხლეს უმწარებენ. წამ-დაუწუმ ებლანდებიან... მდაბლად სალამი მიგვიცია ადამიან-წყაროსათვის. სალბუნად მოგვდებია რაკრაკი მისი, ჩაგვიხედია გმჭვირვალე მის სულში და კენჭებიც კი დაგვითვლია. წყურვი-ლიც ხომ დაუმადლებლად მოუკლავს ჩვენი და ასე ჩადენილა თავის გზაზე.

სულის მომბრუნებელია წყარო-ადამიანი. პოეტებს მისთვის უძღვნიათ ლექსი, მაგრამ ის მაინც პატარაა, უფერული, მაგრამ რაკრაკა...

ადამიანი-ზღვა მომჩვენებია მირაჟისმაგვარ ზმანებებში. ილუზიებში შემიქმნია ამაოდ. რატომ და რისთვის? მზერა მიიღ-ტვის ზღვის სიღრმისაკენ... მხოლოდ ისა ვთქვი, რაც თვალით მინახავს. თვალთახედვას დამიგმობენ ბევრნი, შემცდარიაო, დამნამებენ, მაგრამ ისინი შემინდობენ, ვისაც უთქვამთ: rare humum est – შეცდომა ადამიანის თვისებააო.

მინაწერი: ვუძღვნი მას, ვინც ზღვას დაიტევს.

# „პარნასი დაცარიკლებისა გამო პურიკლება“ (ქოდა)



რა მწარე ირონია ჩაღვენთილა უიტმენის ამ სიტყვებში. ამაო არ გამოდგა მისი სასოწარკვეთა. იდეალებისაგან დაცლილ-მა კაცთა მოდგმამ ტლანქ ვნებებს მიაქირავა მუზათა სავანე, უბადრუქმა ვერ შეიფერა ღმერთებისაგან ნაბოძები და ხორცის მეჯლისს მიეტანა სულით ღატაკი. სატანამ იმარჯვა და პარნას-ზე შურსა და სიხარბეს დიდი ღრეობა გაამართვინა. შორს მიი-მალნენ შემოძარცვული მუზები. ცრემლმორეული შესცქეროდ-ნენ აპოლონისეულ სამყოფელს – წაბილულსა და გათელილს. მანამდე გაუგონარ ტრაგედიას ხედავდა იქ მუზა ყველა ტრაგე-დიისა – მელპომენე, გასაოცარ ისტორიას პეირდებოდა თავის პერგამენტებზე კლიო, ცრემლად დაწურულ პოეზიას თხზავდა ევტერპე, ლირა დაჲკარგვოდა ერატოს – მუზას სიყვარულისას და აპოკალიფისის პიმნს სწირავდა პოლიპიმნია. ოლიმპს შეს-თხოვდნენ შველას გზააბნეული მუზები... შური და სიხარბე კი თავაწყვეტილი ღრეობდა პარნასის მწვანეზე. კაცთა მოდგმა თრთოლვით ეპოტინებოდა ნასუფრალს მისას და სტომაქსავსე კმაყოფილი იღმიჭებოდა. იბილნებოდა მაღალ ვნებათა სავანე, მასთან ერთად დნებოდა და იფერფლებოდა იდეალების წმინდა სანთელი.

პატივაყრილი ქურუმები სამუდამოდ ტოვებდნენ პარნასს და სინანულით იხსენიებდნენ გარდასულ დრო-უამს, როცა ძე-ხორციელი მაღლა თვალებაპყრობილი ღმერთებს ჰბაძავდა, ღმერთები კი კაცის შობილს ედრებოდნენ. ის კი არ იცოდნენ, ახალმა დრომ კაცზე იმძლავრა და მის მოდგმას მაღლა რომ არ

აეხედა, კისრის ძარღვები გადაუჭრა და რომ მას შემდეგ თავჩია-  
კიდულმა შორიახლოს იწყო ხელის ფათური და მიწაზე დაყრილს  
გაშმაგებით დაეწაფა...

ოლიმპმა ისმინა ვედრება მუზებისა და დევნილნი მწვერ-  
ვალზე დაამკვიდრა სამარადისოდ. და იქიდან გადმოსცეროდ-  
ნენ გადარჩენილნი კაცთა მოდგმას, სადღაც ქვევით, უბადრუკ  
მლოლავთ.

# ისევ შენქ, ადამიან!



ვერა და ვერ შეიცნეს ადამიანის ბუნება. სულ ჩაჰკირკიტებენ მას, მილიონობით ტომებს თხზავენ, ხან ვარდისფრად ხატავენ, ხან ნაცრისფრად ტილოებზე ბორიალებენ მის სულში, წალმა-უკულმა აბრუნებენ.

მაგრამ ვერა... ვერ მიაკვლიეს ჩამარხულ ძალლის თავს.

გამოსავალი რომ ვერ მოინახა, ასე ითქვა: კაცმი ორი რამააო მოცემული – დემონური და ღვთიური. ჭიდილიაო მათ შორის გა-მართული, უსასრულო და უშედეგო. ეს ისევ კაცმა თქვა თავის თავზე. კვლავაც იცრუა. ზეკაცური მიისაკუთრა ურცხვად. დე-მონურად თუ მანკიერება, სულის სიგლახე, უმეცრება და სხვა წაწყმედა წარმოიდგინა – შეგნებით შეცდა. დემონები კაცზე მეტნი და ღმერთთან მოქიშპენი არიან.

შეგნებით შეცდა, როცა ღვთიურს მიაწერა ხელმოცარული ალტრუისტული ინსტინქტი, სისუსტის დროს ციებიანივით რომ წამოახურებს და უმალ ცივი ოფლით შეაგრილებს ხოლმე გონზე მოუსვლელად კაცს.

„ეგოს“ ასფეხა დაცოცავს ადამიანის ბუნებაში. ვის გინდა რომ არ წამოეწიოს და რას არ აჯობოს. შეუღწეველ ცხრაკლი-ტულში ძვრება ფეხმარდი და სისინებს ეგო, ეგო – მე-ო.

ეს, როცა სიბნელემია. სამზეოზე გამომძვრალი ასფერით იღებება, ჭრელად იმოსება და, თუ დასჭირდა, ესაიას ბაგითაც შეჰდალადებს. ცერბერივით ფრთხილია. ალტრუიზმმა არ მიმას-წროსო დათქმულ ალაგას. საოცარია, რისი ეშინია? განა ოდესმე კუს გაუსწრია ხვლიკისათვის? როცა ადამიანის ბუნების ფესვი ფესვს ეგოიზმში ეძიებდნენ ჰობსი და ლოკი, შეფეხსბერიმ ჭკვი-ანი კაცის სახელი მით მოიხვეჭა, რომ ადამიანი კეთილგანწყო-

ბილ არსებად გამოაცხადა, მას თანდაყოლილი „მორალური გრძნობა“ (moral sense) მიმწერა და ზღაპრის დასასრულს „ჭირი იქა, ლხინი აქა“-თი დაგვამშვიდა.

ისტორიას ნინ ავყევით და ერაზმ როტერდამელს მივუგდოთ ყური: „სხვა რომ შეიყვარო, უნინარეს ყოვლისა, თავი უნდა შეიძლო“, – ბრძანებს დარბაისელი და, განა ასე არაა? მაგრამ ვის ძალუძს იგი, თუ არა „სულით ავადმყოფს“?

„არ არს თვისება, რომელიც სრულიად და განუყოფლად ბატონობდეს ჩვენში“, – ეჩვენება მიშელ დე მონტენს და ცდება „ესსე“-ს ფუძემდებელი. დიახაც, რომ სრულიად და განუყოფლად ბატონობს ჩვენში ფესვმაგარი ეგოცენტრია, გაჩენის დღი-დან ხახა დაბჩენილი და უძლები.

სიტკბოსმოყვარულმა ეპიკურელმა ლორენცო ვალამ არც კი დამალა გულისნადები და წარმართული ვნებით „ეგოს“ კერძს ემთხვია: „მიწამ მოკვდავთ აურაცხელი სიკეთე შესთავაზა, ჩვენი საქმეა მისი მოხმარება“, უფრთხილდითო, რომ „დამწუხრებულის შემხედვარემ მხიარულის სიტკბო არ წაიმნარო“-ო, – დაგვარიგა.

ცდებოდა დიდი გოეთე, კაცისშობილზე კეთილ იმედებს რომ ამყარებდა. გულუბრყვილოა აზრი მისი: „მე მუდამ ასე მგონია, ადამიანის აღნაგობა (გარეგნობა) უნდა იყოს თავად ის საუკეთესო ტექსტი, რომლისგანაც საგრძნობელსა და სათხრობელს ამოვიკითხავთ ხოლმე“. ამით ბანქოს მეფეს თუ იტოვებდა იგი იმ რწმენით, რომ მით ამოხსნიდა კაცის ბუნების გამოცანას.

ადამიანმა კარგად შეიმეცნა გარეკანის ფსიქოლოგია. იაზრა, რომ მთავარია იგი იყოს თავსართი ასოებით მომგებიანად მოკაზმული, საგულდაგულოდ შეფერილი, თორემ ფურცლებზე დაწერილი რა ბედენაა. ვინ გადაშლის, ვის აქვს ამის დრო, ან სურვილი?

ცხოვრება ხანმოკლეა, თანაც მალემსრბოლი. მას უნდა დაეწიო, მეტი მოასწრო, მეტი მობლუჯო... თორემ მიქელ გაბრიელი თავს რომ წამოგადგება, ბოლმა დაგახრჩობს – ისე წაველ, ყველაფერი ვერ ვიგემეო.

გარეკანზე რომ თქვა, ამიტომ შეცდა გოეთე, მონტენი კი არა: „მართლაც, როცა კაცს სრულიად შიშველს წარმოვიდგენ, წარმოვიდგენ მის ნაკლა და ხინჯს, მის ბუნებისმიერ არასრულყოფილებას, ვხვდები – ჩვენ მეტი გვაქვს მიზეზი სხეულის დაფარვისა, ვიდრე ცხოველთ. ამიტომაც უნდა დავესესხოთ მათ, ბუნებისაგან უხვად შემკულთ, შევიმოსოთ და გავმშვენდეთ ფარჩითა და ბეწვეულით“.

შედნიერნი იყვნენ ანტიკის გენიოსები. სწორედ იმით, რომ სწამდათ ჭეშმარიტებისა და სჯეროდათ ადამიანის. რენესანსის ტიტანებიც ქმნიდნენ ძლიერთა შორის ძლიერთ – დავითს, მოსეს; უმწიკვლოთა შორის უმშვენიერესთ – ჯოკონდას, ლიტას. შემდეგ? დიდ ეპოქებს შობდა ისტორია. განუმეორებელს ტოვებდა დედამინაზე, ქებათა ქებას ასხამდა ულამაზეს ნამოქმედარს და... მასთან განუყოფელ ხელმარჯვე სიყალბეს ცხოვრებისას. ამას კარგად მიხვედრილმა მე-18-19 საუკუნეთა ხელოვან-მოაზროვნეებმა ისედაც მიმალული, საიმედოდ გადამალეს, რომანტიზმის იდეალებისაგან შეკერილი საბანი გადაახურეს და გადაულოცეს მომავალს. მომავალი კი დიდებული მეოცე საუკუნე შეიქნა. მიუხრენილ-მოფხრენილი სულით, ცუდად დაფარული სიშიშვლითა და ციკლოპური პარადოქსებით, ფროიდისტული ნევროტიზმით დაუძლურებული და გოლიათური სიყალბით გაპერილი...

„ეგო“ საზეიმო მანტიით იმოსება ხშირად.: პატივმოყვარეობით იქებს თაგს. ტრიბუნიც ხდება და პათოსით ბრძანებს: „ან კეისარი, ან არაფერი“-ო.

რომის სენატის წინ წამდგარ გაიუს იულიუს კეისარივით ლაკონიურ სტილში მოაქცევს თავის ტრიუმფს: *veni, vidi, vici* (მოველ, ვნახე, ვძლიერ). მრავალზე ჯადოსნურად მოქმედებს პრიალა მანტია. ისე აბრმავებს და აშეშებს, რომ ვერვინ ბედავს მისი კალთის გადანევას... ანგარება, პირმოთნეობა, თავხედობა, სიძუნნე და სულწასულობა ამ კალთებქვეშ დაფარული ბინძური საცვლებია, საუკუნეების მანძილზე ტანთგაუძრობელი.

უზენაესმა ვერ შეძლო ადამიანის ბუნებაში მექას აგება. „ეგომ“ შეძლო მხოლოდ თავისთვის. სცილა და ქარიბდა მიუყენა მის კარიბჭეს პილიგრიმების შესაძრნუნებლად. მექაში ღორი მოამრავლა უძლებმა და მით იწყო კვება. „ღორი იყო აღმოსავლეთში წყვდიადისა და ნგრევის სიმბოლო უხსოვარ ჟამიდან“...

რამდენიც არ უნდა აუნიოს მარციალმა კალთა ვენერას, ვერ შეძლებს მისი სიშიშვლის ჩვენებასო სრულად. ასე მოსდის ამ სტრიქონების დამწერსაც. ამაოდ დაიფანტნენ ასობი, აზრი დაუნერელი დარჩა. კვლავაც დაიბნევიან ისინი და შეიკვრებიან. რა გამოლევთ მათ.

## დოკონი ღმერთობენ (თავისუფალი კარიაგიები დოკოის თქმაზე)



თემა. დრო ჩუმია. გართმევს და გპირდება. რას? ვერაგულად სდუმს. სდუმს, როცა გტაცებს და მაშინაც, როცა გპირდება. კიდევ კარგი, რომ წართმეულს ვერ ხედავ და დაპირება ნათლის სვეტად გეზმანება.

ვარიაციები.

იემენის კობრას მსგავსია დრო. მიზანში ამოგილებს, გაგაბრუებს, ძეძვნარში გაბორიალებს გათვალულს: სულს არ ამოგხდის, შემოფლეთილ-შემოძარცულს მიგაგდებს და თვალს არ მოგაშორებს, რომ ტანტალოსმა არ გაბედოს თავის შველა. ვისაც უცდია – ამაოდ. გაცრეცილა და შემოფლეთილა მაინც.

დრო დასცინის ყველას და ყოველივეს.

სატანურია მისი მდუმარე სიცილი. გოგ და მაგოგივით ყოვლისშემძლე და თავზარდამცემი. დემიურგზე უძლიერესი. არვის გაუზომია ძალა მისი, არც არვინ უფრთხის უხილავს, პირიქით, სიამით ელის, ელის ბოლომდე. ის კი იტყუებს, როგორც ცირცეა ბურუს სივრცეში და თვით პირსახეს განურიდებს ავით შეპყრობილს.

ცბიერი თემიდაა დრო.

თავის თვალსაკრავს უჩუმრად იხსნის და მით ქვეყანას მზრუნველობით თვალს უხვევს – თვალისჩინი შუქმა არ დაუზიანოსო. სასწორს ხელს შეაცოცებს და არავინ ხედავს, რა გადასწონის – ფერნასული სიცრუე, თუ შეფაკლული ჭეშმარიტება.

გადაწონილს ხელში უტოვებს თვალდაბნელებულს, ზანტად ჩაუვლის და ჩაიქირქილებს: კისერი გიტეხიათ, კინჩიც მიგიყოლებიათ.

ეძიეთ, რა იყო და რა არა, ილილინეთ „იყო და არა იყო რა“... შემდეგ?

„ასე უნდა იყოს!“ – თალმუდების კონად იქცევა, ზვინად დადგება და ჩალის ღეროზე ამხედრებულ წუთისოფელს ზედ დაანგება.

დრო კეთრია.

შლის და არ ჩქარობს. აცლის. ჭაშნიკს უღებს ნამოქმედარს.

მზაკვარი და მუხანათია. ჯერ კიდურებს შეუდგება, ნელი-ნელ ღეჭავს, ფქვავს და არბილებს, გაქცევის ძალას მიხრნის პირამდე მიიყვანს და ასე ტაატით გაჰყვება. დღეს ყურს ჩამოაცლის, სმენას წარსტაცებს, ხვალ ყნოსვას მოუსპობს, ზეგ ყელს მისწვდება, სუნთქვას შეუკრავს. გულს უეცრივ გაგლეჯს – გეყო ძერაო. თვალებს დატოვებს ბოლოსთვის, მხოლოდ თვალებს, რომ დაანახვოს დაშლილი გვამი საკუთარი, რომ დატკბეს იმ თვალთა ტანჯვით, საკუთარ ფლეთას რომ უცქეროდა დამლიერებული.

დრო სფინქსია, გამოუცნობი, აზრს ვერ უპოვი. იგი კლავს და იგი ბადებს, რომ ისევ მოჰკლას, იგი ართმევს და იგი აძლევს, რომ კვლავ წარსტაცოს, იგი სჯის და აპატიებს, რომ კვლავ დასაჯოს. აბა, სადაა აზრი, მისი სათავე და დასასრული, ვინ იტყვის, ნეტავ?

ომეგაც, ალფაც დრო არის და ნისლიან კარებს უსუსურად აწყდებიან გათანგულები.

უპოვნელია დროის აზრი. ამის მოსურნეს იმ კაცივით დაემართება, თავის ქალა რომ გააპო, ტვინი აქექა – ჭკუას ვიპოვიო.

დრო იანუსია. საოცრად მსგავსი ორი პირსახით. ერთს „იყო“ ჰქვია, მის ტყუპს – „იქნება“, მათი გარჩევა ბრძენთ მოძღვარსაც გაუჭირდება. გულდაჯერებულია „იყო“. „ის მშვენიერი ზღაპარი ჩაკვდა, დრომ წარიტაცა“, – მასზე იტყვის მითთამთხრობელი. სხვა კი იგოდებს, – „როდის და რატომ?“ – ცრემლებს დააფრქვევს. დაარიგებს ჭკვათამყოფელი – „მიტომ იყო, რომ ისე,

ასე“. აილენება უჩვეულო მოლანდებად ნიმფა „იქნება“. მშვენიერი ზმანება კალიფსოს მსგავსად ხელს დაგიქნევს ლაინისფერს, შეგიტყუებს ნისლიანში და არ გიჩვენებს, როგორ ახსნის დრო კლიტებით დამძიმებულ წიგნს შვიდპეჭდიანს და გამოგზავნის დესპანს აბადონს მაუნიყებელს გარდუვალისას.

## კაციჭამიაა დოკ



კაცთაგან მშვენიერს ეტანება უფრო. გემო იცის კანიბალმა. ხარჯს ახდევინებს და მასაც უხდიან. ასი მახინჯი ერთს თვალ-წარმტაცს მიჰვრის და თავი ფონს გასული ჰგონია. პუნიკურად ლმობიერი კი არ ჩქარობს, ჯერ მშვენიერს შეექცევა და მერე იმ ასსაც დააყოლებს. და განა სხეულს ეტანება მხოლოდ? ასე რომ იყოს, რა უშავს. სულს ეძალება. კლანჭებში მოგდებულ თავგვით ათამაშებს ავადმყოფურის ნებიერებით, აწრუნუნებს, ჭყლეტს და მოთენთილს კმაყოფილებით გადაისვრის წვალებით დამტკბარ-შეზარხოშებული. ხორცშესხმულთაგან ვინ განდგომია დროს? მხოლოდ ის, ვისაც თვით განდგომია იგი... და მაინც მუშტს უღერებენ კაციჭამიას დაბანგულ-აღერლილები, ეჭიდებიან, ერკინებიან და საკუთარ სისხლითვე განიბანებიან. ჭკვა-თამყოფელნი ზიზღით აფურთხებენ განბანილთ და ლიცლიცით ეაჯებიან ციკლოპს. ოთხზე დგომით ეაჯებიან. იმავ ყოფაში თქვლეფენ სალაფავს ნაბოძარს ლმობიერებისას, სავსეს მშვენიერის მეტაფორებით, უტკბილესი ჰიპერბოლებით, სრიალა მოსახვეჭელით... და ზენამოჯდებიან შემაღლებულზე მოსანელებლად, ვით ოქროს ბუდა აპოთეოზზე ფეხშეეცილი... ჰომეროსული ხარხარით ჩამოიქროლებს სწრაფი სამუმი საჰარისა დროსგან გზავნილი, აღიგვებიან პირისაგან მიწისა ბუდადქცეულნი.

ამ სტრიქონების დამწერს ერთ მეკალმესთან ამოუკითხავს:

„მწერალი გვევლინება ადამიანთა ცხოვრების დარაჯად, მაშასადამე დამცველად“. ურწმუნია აზრი იგი, მწერლობა უჩემებია, დამცველად გამოსულა უდაბნოსა შინა მღალადებელი:

სულიერნო, გეშინოდეთ დროისა და განერიდეთ. განერიდეთ, ვითარცა კობრას, კეთრს, ცირცეას, მით იცილებთ ბეჭ-იღბალს გაცრეცილ-დაფლეთილისას; განუდექით იმ ღვთაებას, რომაე-ლებს იანუსი რომ შეურქმევიათ, და იღმერთეთ ღმერთი ჭეშმა-რიტი. განერიდეთ დროისა და იგალობეთ: „ჟამი ღვთისა – ჟამი ნეტარი“...

წყეულიმც იყოს, მკრეხელო, ყორნის ხმაზე დაწერილი შენი ფურცლები! დე, ასე იყოს, თუკი გიშველით.

## „Les confessions“

### „აღსარება“



აღსარება ძლიერი მრწამსი იყო ერთხელ შობილთათვის. ბავ-შვობიდან იქნდნენ მას და პერსეფონას სამეფომდე თან დაა-ტარებდნენ მოუშორებლად. მორალის მქადაგებელიც იყო და სატკივართა მომარჩენელიც. სულის განმწმენდიცა და იმედის მიმცემიც.

ღვთის ტაძარში მოფარდულს იქით შესული უკეთურობისგან თითქოს გათავისუფლებულ-განმენდილი უბრუნდებოდა სამყა-როს.

ასე ქმედებდა მუდამ, როცა სინდისის ქენჯნა შეაწუხებდა ხოლმე. აღსარება უბრალო რამ რომ ყოფილიყო, ასე არ დამ-კვიდრდებოდა ცხოვრებასა და, მეტადრე, ხელოვნებაში.

ყველა ეპოქის დიდ ადამიანს მოსწყურებია, თაობებისთვის დაეტოვებინა საკუთარი „confessions“. ჯერ კიდევ როდის, ავ-გუსტინე წეტარი, პირველმა რომ შექმნა ლიტერატურული ფორ-მა „აღსარებისა“, გამოგვიტყდა ხმამაღლა: „რაი არს არსება ჩვე-ნი? სული და სხეული. რომელი ჯობს ორთაგან? ჭეშმარიტად, სული. რას უქებენ სულსა? ვერას ვხედავ, სილამაზისა გარდა. რაი არს სილამაზე სხეულისა? შესიტყვება ფერთა ფერის სია-მით შეზავებული. და იგი სახე მშვენიერია ჭეშმარიტებაში თუ სიცრუეში? ვინ არ ირნმუნებს, რომ მშვენიერია ჭეშმარიტებაში. სად არს იგი ჭეშმარიტი? სულში. და თუ აგრეა, გიყვარდეს სული სხეულზე მეტად. სულის რა ნაწილშია ჭეშმარიტება იგი? გონე-ბასა და განნათლებაში. რა ეჭიდება მას? შეგრძნება. მაშ, ძალი-თა ყოვლითა სულისა საჭიროა შეერკინო შეგრძნებასა. მაგრამ

რაი ვქმნათ, უკეთუ გრძნობის ნივთი გვანიჭებდეს ჩვენ უდიდესა-სა ნეტარებასა? არ არს საჭირო მონიჭება მისი. როგორ მიაღწევ ამას? ჩვევით გაძევებისა მისისა და ჭეშმარიტად მშვენიერისკენ ლტოლვისა ჩვევით. რა იქმნების უკეთუ სული განუტევებდეს? მაშინ განუტევებს ჭეშმარიტება“.

„აღსარება“ სხვებმაც მრავლად დაგვიტოვეს. ყოველი თით-ქოს თავისი დროის აღსარებასაც გამოთქვამდა. თუნდაც უა უაკი. უცნაური და ჯიუტი ყოფილა ეს კაფანდარა ახირებული. თავისი დროის ხალხს ხომ აურია გონება, ბრძენ ვოლტერსაც გა-უმნარა დღეები და, წარმოიდგინეთ, დღესაც მისი სენსუალიზმი ბევრს უჯდება ჭკუაში. აღიარებდა უან უაკი და ჯიუტად სწამდა კიდეც თავისი. აი, თუნდაც ეს: გონება გვატყუებს, გრძნობა კი არ გვატყუებს არასოდესო („*a raison nous trompe, mais le sentiment ne nous trompe jamais*“).

დეკარტსა და ვოლტერს ნიშნი მიუგო: მე უკვე ვგრძნობდი, ვიდრე დავიწყებდი აზროვნებასო („*je sentis avant de penser*“), თქვა და სენტიმენტალიზმის მამამთავრობაც დაიმკვიდრა. აღი-არებდა იმასაც, რომ საკუთარი ხუთი შვილი სახლიდან უპატრო-ნოთა თავშესაფარში გაყარა და სინდისი აღსარებით დაიმშვიდა – მე არ დამიმალავს ეს საქციელი არავისთვის, რადგან არაფერს ცუდს მე მასში არ ვხედავდიო. სხვა რომ არ იკმარა, ისიც თქვა: კაცი, რომელიც აზროვნებს, კაცი კი არა, გადაგვარებული პი-რუტყვიაო („*homme qui medi t est un animal deprev*“). აღიარება მით არის კარგი, რომ შენდობა მოსდევსო, ნათქვამია. შეუნდო კი-დეც ისტორიამ რუსოს სულის აღრევის ცოდვები. გენიოსურად შეუნდო.

„აღსარებას“ ვერც რომანტიკოსთა აფორიაქებულმა სულმა აუარა გვერდი. სინამდვილე რომ ელიარებინა, იდეალებისათვის ცოტათი მაინც უნდა შემოეტეხა ფრთხები. ძნელი იყო ალბათ, მაგრამ მიუსემ გაბედა და შემოატეხა კიდეც იდეალებს ფრთხები თავის „საუკუნის შვილის აღსარებაში“. ცრემლით აღიარა უძ-ლურება ნებისყოფისა, ფლიდობა და მზაკვრობა ცხოვრებისა,

განწირულება მისწრაფებებისა და უსამართლო ტრიალი ფორტუნის ბორბლისა.

„აღსარება“ ოდენ ლიტერატურის საკუთრება როდია. იგი ხელოვნების სხვა სახეობებშიც არსებობს. ფერწერასა და ქანდაკებაში მას „ავტოპორტრეტი“ ჰქვია, ახალი თეატრიც ცდილობს დაისაკუთროს „ავტოტიპი“ და ნუ გაიკვირვებთ, თუ ყოველი ჩვენგანის „პირად საქმეში“ სწრაფმერით დაბმული, ჩვენივე ხელით შექმნილი „აღსარება“ აღმოაჩინოთ. სწორედ ის, ავტობიოგრაფია რომ შეურქმევიათ. ირონიაა, მაგრამ ჯიუტი.

ავტობიოგრაფიის წერისას თავხედიც შებოჭილია. წვალობს. სიტყვებს ანგარიშობს. ეძალება ფურცლის შევსებას და როცა თვალინ საკუთარი „მე“ ორიოდ სტრიქონით მორიდებით აიტუზება, ჩაფიქრდება და კრიალოსნის მძივივით ნელა, გულდასმით საკუთარი არსების აკრეფას იწყებს.

ამ ნუთებში თავის აღსარებაში უხვი და გულწრფელი რომ იყოს, არ გაექცეს მწარე სიმართლეს, გაბედულად გახსნას „მე“-ს ჩახლართული კვანძები... შეევსება ფურცლები უანგარიშოდ, სიგრძე-სიგანით შეხედავს თავს და მხატვარიც რომ არ იყოს, ისე შექმნის შეუფერავ ავტოპორტრეტს თვისას.

ლრმაა „es confessions“ ფორმითა და არსითაც. საუკუნეებში დაბიჯებდა ტრიუნფატორივით, მაგრამ ჩვენს დღეებს მოღწეულმა, წაიბორძიკა და ჩაიკეცა. ჩაკეცილი კი არა, ზღაპრული მალემსრბოლი ვერ გასწვდება ჩვენი საათების შეშლილ ფეთქვას. აღსარებას კი მყუდრო მოფარდული, მშვიდი ტაძარი და... სინდისი სჭირდება.

აღსარება რიტუალია. ყოველი ატარებს მას შეგნებითა თუ ქვეცნობიერად, ნიჭისა და გასავლიანობის კვალად, საკუთარი თავისა თუ სხვათა წინაშე, მიიჩნევს თუ არა იმად, რადაც შუა საუკუნეების დომინიკელს ასირიული წარმართობა მიაჩნდა. არც ტაძრის მოფარდული სჭირდება, რადგან მრწამსი შეუძლია გაუცვალოს ან მიჰყიდოს ვინმეს. „ინდულგენციასაც“ არ სჭირდება წმიდა სავანე და სინდისი. მასაც გრძელი ისტორია აქვს უკან

მოტოვებული. ისეთი, რომ თუკი წაართვი, ძირიანად მოსპე, და-ამცირე, მოკალი, გაძარცვე, დაასმინე – მცირე საფასური გაი-ღე ცოდვის მოსანანიებელი „ბილეთისათვის“ და ასე გაუდექი ამ ცხოვრების ცუდად გატკეპნილ გზას.

თუ იუმორს გესლი ვერ მოვაშორე, ვერ შევძელი, ალბათ, ჩემი აღსარებაც მასში გამოსჭვივის...

## Каприс Das Ewigweibliche Вечноженское



Всегда подшучивала я снисходительно над стариком Руссо за формулу – „я чувствую, прежде чем подумаю“ – казавшуюся неконтролируемым баловством и позёрством давно ушедшего мировидения.

И что-же, ...поспешила я в своей снисходительности.

Да, сейчас уже не слышится мне антиномией парадокс чудака – мыслящий человек – животное.

Надо было дотянуться до высот этого парадокса, дабы с недо-верием покосится на незыблемый картезианский авторитет „Cogito, ergosum“.

Почему, вдруг, включила я регистр эссеиста? Почему-бы нет! Разве нельзя написать эссе на тему „Вечноженское“?

В каком множестве граней предстает перед строкой дивно цельная сущность – Вечноженское!

Границы светятся, переливаются в изобилии спектров – имён, пересекаются, узлом завязываются в одно, трудноходимое слово.

И всё-такиходимое.

Слово это вырастает из глубин своей непостижимости, как стремящийся, непересекающийся луч из недр бытия...

Вечноженское – фантасмагорический узел понятий – весом в Крест, длиной в Голгофу, цветом Пьеты.

Вечноженское – Поступь Дианы, Руки Марии, Подол Веры,  
Надежды и Любви.

Вечноженское – Поклон Скорби, Молчания, Слезы и Уте-  
шения. О, Ewigweibliche, если ты есть, имя тебе Вечность!

„Я чувствую, прежде чем подумаю“, – повторяю я... и верую.

## კაპრისი ფერთაბრძოლა



ბრეიგელისეული თვალებით ხედვა გლობის, დალტონისტად გაქცევს, განისლიანებს.

ხანგრძლივი ნისლიანობა კი სპლინით ავადებს სულს. იწვი-  
მოს მაინცა ღვართქაფად. ცისარტყელა გადაიჭიმება ჩამოქცე-  
ვის შემდეგ.

მისი ფერები გჭირდება... სიცოცხლიანი, ნათელ ფერთა კავე-  
ბად დაწნა და მხრებზე ჩამოშლა გჭირდება.

თუმც იცი – ზღაპრულ ფიფქიასავით ჩამოდნება უდროოდ  
იგი და ყინულით დაამძიმებს მხრებს ცივი სუნთქვის შემდეგ. მე-  
რე ისევ რუხი და შავი კაბადონი გადაიზიდება გარდუვალად...  
მაინც გსურს ფერთა წუთიერი ზმანება, თუნდაც წუთიერი. სავ-  
სე და მიწიერი ფერებისა. რენუარისა და გოგენის. სარდონიკუ-  
ლად გაიღიმებს ევა – ზექალად რომ იტყუებდი თავს ჩემდაგვა-  
როო, – გეტყვის თითქოს და გულში იზეიმებს ყოველი ზეობის  
დამმინებელი.

საუკუნო წყევლა თან სდევს მაცდუნებლის მოდგმას და ალ-  
ბათ, ამიტომაც იღიმება იმედიანად. მაინც ზექალი იზეიმებს და  
თუ დასჭირდა, თავისი ხელით დაშლის დაწნულ კავებს ნათელ  
ფერებისას, ფერფლისფრად აქცევს და... ისევ რუხ ფერს მოუხ-  
მობს სამარადისოდ.

ასე იძიებს შურს ხორცისფერზე. მაგრამ ვისზე – დამნაშა-  
ვეზე?

შექსპირმა ხომ თქვა, არ არს ქვეყნიერებაზე დამნაშავეო.





8

უძინ ბერე, იძინ ქვემოს -  
ცალი ფრთის, იგ ცაგენდენთ -  
ცეკვენს დიდი

ս մ ջ օ ե ր ս յ օ ւ մ ք մ ժ մ յ օ չ օ մ մ մ -  
ժ մ ժ օ ր ս ժ մ դ յ օ ս ժ օ ս ե ր ,  
Ք յ ժ ե ժ օ Ե ց յ օ չ օ մ օ յ օ լ ո  
ո յ ե ց օ ժ ե ղ մ ե յ օ ւ մ









ინგა ბახტაძე (დ. 31.10.1940, თბილისი – გ. 28.12.2022, ბერლინი) – მუსიკათმცოდნე, პიანისტი, ისტორიკოსი (კულტუროლოგი), ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგი.

განათლება:

1959 წლს დაამთავრა თბილისის „ნიჭიერთა ათწლედი“, 1966 წლს კი ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (საფორტეპიანო).

მოღვაწეობა:

1966-1969 წლებში იყო თბილისის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი (ფ-ნო); 1966-70 წლებში ასწავლიდა თბილისის VIII სამუსიკო სკოლაში (ფ-ნო), 1968 წლიდან კი ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგია. 1976 წლიდან ესთეტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის მთავარი მეცნიერ-მუშავია, 1970-1979 წლებში სავალდებულო ფორტეპიანოს კათედრის მთავარი პედაგოგი, 1979 წლიდან კი მეთოდიკისა და პედაგოგიური პრაქტიკის კათედრის დოცენტი.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (დისერტაციის თემა „მუსიკის სოციალური პრობლემის ფუნქცია XIX ს-ის II ნახევრის ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეურ-ესთეტიკურ პროგრამაში“, 1978 წ.), ასევე ისტორიის (კულტუროლოგიის) მეცნიერებათა დოქტორი (დისერტ. თემა „ქართული მუსიკალურ-ესთეტიკური კულტურის განვითარების ძრითადი ისტორიული პრობლემები“, თსუ. 2002 წ.); 1980 წლიდან კომპოზიტორთა კავშირის წევრია; 2002-2010 წლებში გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტში განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი, დოქტორი, 1993-2009 წლებში კი უურნალ „ქართველოლოგიის“ რედაქტორი. ავტორია წიგნებისა: „ქართული კულტურა – დასავლეთი“ (2001) და „მიჯნები“ (2014).

პუბლიკაციები:

ინგა ბახტაძის კრებულები და სტატიები იბეჭდებოდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსა“ და სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში; სტატიები „ასალი ქართული ოპერა“ (1973) და „დავით მაჩაბლის მუსიკალური ესთეტიკა“ (1978) გამოქვეყნებულია ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“.

